

სიჩვივე ჯონსის

დღიური



ელენ ფილდინგი



ელენ ფილდინგი

ბრიჯიტ ჯონსის

დღიური

სამადლობელი

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩარლი ლიდბიტერს, რომელმაც „ინდეფენდენტში“ სვეტის წერა შემომთავაზა.

დიდი მადლობა გიონ აიტკენს, რიჩარდ კოულსს, სკარლეტ კერტისს, ფილდინგების ოჯახს, პიერ, პაულა და სემ ფლექტჩერებს, ემა ფროიდს, ჯორჯია გარეტს, შერონ მაგუაიერს, ჯონ ტერნერს და დენიელ ვუდსს, და, როგორც ყოველთვის, გამორჩეულად — რიჩარდ კერტისს, შთაგონებისა და მხარდაჭერისთვის.

საახალწლო გეგმები

ადარ:

დავლევ კვირის განმავლობაში თოთხმეტ ერთეულ(ალკოჰოლის ერთეული – მოხმარებული ალკოჰოლის საზომი ერთეული. დამოკიდებულია სასმელში ალკოჰოლის შემცველობასა და მიღებული ალკოჰოლის რაოდენობაზე. მისი გამოთვლისთვის გამოიყენება ფორმულა: ალკოჰოლის ერთეული. სადაც საშ არის სასმელში ალკოჰოლის შემცველობა, ხოლო V – სასმელის მოცულობა. საშუალოდ, 1 ერთეული ალკოჰოლი შეესაბამება 10 გრ. სუფთა სპირტს. რეკომენდებულია დღეში არაუმეტეს ორი ერთეული ალკოჰოლი (ე.ი. ბრიჯიტი ჯანმრთელობის რეკომენდაციის დაცვას ცდილობს).) ალკოჰოლზე მეტს.

მოვწევ.

გავფლანგავ ფულს: მაკარონისა თუ ნაყინის დამამზადებელ მანქანებზე ან ისეთ კულინარიულ ხელსაწყოებზე, რომლებსაც არასოდეს გამოვიყენებ; უინტერესო ავტორების წიგნებზე, რომლებითაც გადატენილი მაქვს თაროები შთაბეჭდილების მოსახდენად; ეგზოტიკურ საცვლებზე – რა აზრი აქვს, მეგობარი მამაკაცი მაინც არ მყავს.

მოვიქცევი ბოზივით სახლში ყოფნისას, ამის გადასაჩვევად წარმოვიდგენ, რომ ვიღაცები მითვალთვალებენ.

დავხარჯავ იმაზე მეტს, ვიდრე გამოვიმუშავებ.

მივცემ თავს უფლებას გამიტაცოს: ალკოჰოლმა, სამუშაოზე გადამკვდარმა ხალხმა, ვალდებულების შიშით შეპყრობილმა ადამიანებმა, ცოლიანმა ან საყვარლიანმა მამაკაცებმა, ქალთმოძულებმა, განდიდების მანიით შეპყრობილებმა, შოპინისტებმა, ტვინის მტყვნელებმა, მუქთამჭამელებმა, გარყვნილებმა.

გავლიზიანდები დედაზე, უნა ალკონბერიზე ან პერპეტუაზე.

გავნაწყენდები კაცებზე; ამის ნაცვლად გავხდები მშვიდი და გულგრილი ყინულის დედოფალი.

შევიყვარებ დაუფიქრებლად; გავაბამ ადამიანებთან ურთიერთობებს მათი პიროვნების გონივრულად შეფასების გარეშე.

ვიჭორავებ ზურგს უკან სხვებზე; ვიქნები ყველასადმი დადებითად განწყობილი.

დავუწყებ კუდში დევნას დენიელ კლივერს, რადგან საცოდაობაა ბოსის შეყვარება მის მანიპენივით(მის მანიპენი – გამოგონილი პერსონაჟი იან ფლემინგის რომანებსა და

ფილმებში ჯეიმს ბონდის შესახებ. მის მანიპენი არის M-ის – ჯეიმს ბონდის უფროსის მდივანი.).

დავიბოლმები, რომ არ მყავს მეგობარი მამაკაცი, ამის ნაცვლად ვეცდები გამოვიმუშაო შინაგანი წონასწორობა და თვითრწმენა, ვისწავლო საკუთარი თავის აღქმა ისეთ ქალად, რომელიც მამაკაცის გარეშეც სრულყოფილია, და ამ გზით, ბოლოს და ბოლოს, მართლა გავიჩინ მეგობარ მამაკაცს.

ამერიდან:

თავს დავანებებ მოწევას.

აღარ დავლევ კვირის განმავლობაში თოთხმეტ ერთეულ სასმელზე მეტს.

ანტიცელულიტური დიეტით შევიმცირებ ბარდაყების გარშემოწერილობას 3 ინჩით (ინჩი – იგივე დუიმი, სიგრძის არამეტრული საზომი ერთეული, 1/12 ფუტი. უდრის 2,54 სმ.) (ე. ი. 1 ½ ინჩით თითოეულს).

გავასუფთავებ ბინას ყოველგვარი უცნაური ნივთისგან.

უსახლკაროებს დავურიგებ იმ ტანსაცმელს, რომელიც ორი ან მეტი წელია, არ მცმია.

წინ წავიწევ კარიერაში და მოვძებნი ახალ, უფრო პერსპექტიულ სამსახურს.

დანაზოგის სისტემით დავაგროვებ ფულს – უკვე დროა, პენსიაზე ვიზრუნო.

ვიქნები საკუთარ თავში უფრო მეტად დარწმუნებული.

ვიქნები უფრო მტკიცე.

უფრო ჭკვიანურად გამოვიყენებ დროს.

აღარ გავალ სახლიდან გასართობად ყოველ დამე, ამის ნაცვლად სახლში დავრჩები, წიგნებს წავიკითხავ და კლასიკურ მუსიკას მოვუსმენ.

გამომუშავებული ფულის მცირე ნაწილს ქველმოქმედებისთვის გამოვიყენებ.

ვიქნები უფრო კეთილი და მეტად დავეხმარები სხვებს.

შევჭამ უფრო მეტ პარკოსნებს.

დილაობით მაშინვე ავდგები, როგორც კი გავიღვიძებ.

კვირაში სამჯერ ვივლი სავარჯიშო დარბაზში – ოღონდ იმიტომ არა, რომ მერე სენდვიჩი ვიყიდო.

ჩავაწყობ ფოტოსურათებს ფოტოალბომებში.

შევქმნი სხვადასხვა განწყობისთვის შესაფერის ჩანაწერების კოლექციას და მზად მექნება საყვარელი რომანტიკული (ან საცეკვაო, ან გამამხნეველები, ან ფემინისტური და ა.შ.) მუსიკალური ჩანაწერების კრებულები, იმის ნაცვლად, რომ გამომთვრალი დიჯეისავით მთელ იატაკზე მიმოფანტულ ფირებში ვეძებო ხოლმე.

დავიწყებ ურთიერთობას პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, ზრდასრულ მამაკაცთან.

ვისწავლი ვიდეოს ჩაწერას.

იანვარი უკიდურესად ცუდი დასაწყისი

კვირა, 1 იანვარი

9.3 სტოუნი (სტოუნი – წონის ერთეული, რომელიც უდრის **14** ფუნტს (ევერდიუპოის, ანუ საერთაშორისო ფუნტს) და ეკვივალენტურია **6.35029** კგისა.) (თუმცა, ამაში ბრალი შობასაც მიუძღვის), ალკოჰოლის ერთეული – **14** (თავისუფლად გადანაწილდება ორ დღეზე, რადგან მათ რიცხვში შედის ოთხსაათიანი საახალწლო წვეულებისას დალეული სასმელიც), სიგარეტი – **22** ღერი, კალორია – **5424**.

დღეს მოხმარებული საკვები:

2 პაკ. ყველი „ემენტალი“ (დაჭრილი);

14 ახალი კარტოფილი (ცივი);

2 სისხლიანი მერი (საკვებში ვწერ, რადგან ვუსტერის სოუსსა და პომიდორს შეიცავს);

1/3 ჩაბატა(ჩაბატა – იტალიური თეთრი პური.) ბრისთან (ბრი – დამველებული ფრანგული სამეფო ყველი.) ერთად; $\frac{1}{2}$ პაკეტი ქინძის ფოთლები;

12 ცალი რძიანი შოკოლადი (ჯობია ერთი დარტყმით მოვიშორო თავიდან მთელი საშობაო ტკბილეული და ხვალიდან ახალი ცხოვრება დავიწყო);

13 კანაპე (ყველისა და ანანასის);

უნა ალკონბერის ერთი ულუფა ბარდისა და ბანანის გარნირირანი ინდაური;

უნა ალკონბერის ერთი ულუფა „ჟოლოს სიურპრიზი“ (დამზადებული ბურბონიანი ორცხობილებით, დაკონსერვებული ჟოლოთი და რვა გალონი(გალონი – ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში თხევადი და ფხვიერი სხეულების საწყაო სხვადასხვა ტევადობისა (**3,5**დან **4,5** ლიტრამდე).) ათქვეფილი კრემით; მორთული გაყინული ალუბლებით).

შუადღე. ღონღონი. ჩემი ბინა. უჰ! ახლა ჩემი ფიზიკური, ემოციური და გონებრივი მდგომარეობა საერთოდ არ შეეფერება მანქანაში ჩაჯდომას და გრაფტონში, ანდერვუდში საახალწლო ინდაურის დასაგემოვნებლად გამგზავრებას. მასპინძლები – ჯოფრი და უნა ალკონბერები ჩემი მშობლების საუკეთესო მეგობრები არიან და, როგორც ბიძია ჯოფრი განუწყვეტლად მახსენებს, ჯერ კიდევ იმ დროიდან მიცნობენ, როცა სახლის გარშემო გაზონებზე ტიტველი დავრბოდი. გასულ აგვისტოს ერთ-ერთ საბანკო უქმეებზე (საბანკო უქმეები – სამოქალაქო დღესასწაული ინგლისსა და ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში, ასევე არაოფიციალური სამოქალაქო დღესასწაული ირლანდიაში. ასეთი დღეები ოფიციალურად არ არის აღნიშნული, მაგრამ ბანკები იკეტება, შესაბამისად, მოქალაქეები სამსახურებიდან თავისუფლდებიან ან დამატებით აუნაზღაურდებიან ასეთ დღეს მუშაობა.)

დედაჩემმა დილის ცხრის ნახევარზე დამირეკა და მაიძულა პირობა მიმეცა, რომ ახალ წელს ალკონბერებს ვესტუმრებოდი. თანაც დიალოგის განვითარება ძალიან ეშმაკურად ჰქონდა მოფიქრებული.

– ოჰ, გამარჯობა, ძვირფასო. იცი, იმისთვის გირეკავ, რომ გავიგო, რას ისურვებდი საჩუქრად შობას.

– შობაას?

– სიურპრიზი ხომ არ გირჩევნია, ძვირფასო?

– არა! – დავიღრიალე, – ბოდიში. იმას ვგულისხმობ, რომ...

- ჩემოდნის გორგოლაჭები ხომ არ გაჩუქო?
 - მაგრამ მე ხომ ჩემოდანი არ მაქვს.
 - კარგი, მაშინ გორგოლაჭებიან ჩემოდანს გაჩუქებ, აი, ისეთს, ბორტგამცილებლები რომ დაატარებენ.
 - მაგრამ მშვენიერი ჩანთა მაქვს.
 - ოჰ, ძვირფასო, იმ უგემოვნო, მწვანე ბრეზენტის რალაციტ ვერ იმოგზაურებ. გალატაკებულ მერი პოპინსს ჰგავხარ ხოლმე, როცა ეგ გიჭირავს. სულ სხვაა ამოსაწევსახელურიანი, კომპაქტური ჩემოდანი! გაოცდები, იმდენ რამეს იტევს. როგორი გირჩევნია – მუქი ლურჯი, წითელი თუ ლურჯ-წითელი?
 - დე, ახლა დილის ცხრის ნახევარია. ზაფხული. პაპანაქება! არანაირი ბორტგამცილებლების ჩემოდანი არ მინდა.
 - ჯული ენდერბის აქვს ეგეთი. ამბობს, სხვა აღარაფერს ვიყენებო.
 - ჯული ენდერბი ვინ არის?
 - იცნობ ჯულის, ძვირფასო, მევის ენდერბის ქალიშვილია. ჯული! არტურ ანდერსონთან ძალიან მაგარ თანამდებობაზე რომ მუშაობს.
 - დედა...
 - ყოველთვის თან დააქვს მოგზაურობისას...
 - არ მჭირდება გორგოლაჭებიანი პატარა ჩანთა!
 - იცი, რა მოვიფიქრე?! მოდი მე, მამა და ჯეიმი ერთად წავალთ და ახალ, გორგოლაჭებიან, დიდ ჩემოდანს გიყიდით.
- კამათით დაქანცულმა ყურმილი შორს გავწიე, თავს ვიმტვრევდი იმის გამოსაცნობად, საით უკაკუნებდა მთელი ამ საშობაო საჩუქრების ამბით. როცა ისევ ყურთან მივიტანე, აგრძელებდა: – ...სხვათა შორის, ზოგიერთ მათგანს სპეციალური განყოფილებაც აქვს აბაზანის ქაფისა და ეგეთი წვრილმანების ჩასალაგებლად. მეორე ვარიანტი, რომელზეც ვფიქრობდი, საყიდლების ურიკა იყო...
- შენ რა გინდა შობას გაჩუქო? – გავაწყვეტინე მოუთმენლად, თან თვალებს ვახამხამებდი, რადგან კაშკაშა მზის სხივები მაწუხებდა.
 - არა, არა, – მომიგო მაშინვე, – მე ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება. მართლა, ძვირფასო, – დაისისინა მოულოდნელად, – წელს ხომ ჩამოხვალ უნასა და ჯოფრის საახალწლო წვეულებაზე ინდაურის გასასინჯად?
 - აჰ. იცი რა, მე... – ცხოველურმა შიშმა შემიპყრო. რა მომეფიქრებინა თავის ასარიდებლად, რას გავაკეთებდი? – იცი, მგონი ახალ წელსაც მუშაობა მომიწევს.
 - მნიშვნელობა არ აქვს. შეგიძლია სამსახურის მერე ჩამოხვიდე. მართლა, დამავიწყდა, გითხარი თუ არა – მალკოლმ და ელაინ დარსები ჩამოდიან და მარკიც ჩამოჰყავთ. ძვირფასო, მარკი გახსოვს? ახლა ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატია. უამრავი ფული აქვს. განქორწინებულია. რვაზე შევიკრიბებით.
- ღმერთო ჩემო! ოღონდაც მორიგი უცნაურად ჩაცმული, ოპერაზე შერყეული ტიპი არ იყოს, ხუჭუჭა თმითა და სადაგელი ბაკენბარდებით.
- დე, ხომ გითხარი, არ მჭირდება დახმარება ვიღაცის...
 - უბრალოდ ჩამოდი, ძვირფასო. უნა და ჯოფრი საახალწლო წვეულებებს ჯერ კიდევ იმ დროიდან აწყობენ, სახლის გარშემო გაზონებზე ტიტველი რომ დარბოდი! რასაკვირველია, უნდა ჩამოხვიდე. თანაც ახალ ჩემოდანსაც გამოიყენებ.

23:45 უჰ! ახალი წლის პირველი დღე საშინელებათა დღე იყო. არც კი მჯერა, რომ ისევ მშობლების სახლში, ერთკაციან საწოლში ვიწყებ წელს. ჩემს ასაკში ეს ძალიან შეურაცხყოფელია. საინტერესოა, იყნოსავენ, ფანჯრიდან რომ გავაბოლო?

ნაბახუსევიდან გამოსვლის იმედით მთელი დღე სახლში ყურყუტის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დავნებდი და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიან იყო, ინდაურის საჭმელად მაინც გავემგზავრე. ალკონბერების სახლის კართან, როცა მათი უცვლელი ზარი – ქალაქის გონგიანი საათი – დავრეკე, ისევ გაბრუებული ვიყავი და გულისრევა, თავის ტკივილი და პირში სიმჟავე მაწუხებდა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ დავწყნარებულიყავი „საგზაო მძვინვარებისგან“ – დაუკვირვებელი მართვის გამო **M-6** გზატკეცილზე მოვხვდი **M-1**-ის ნაცვლად და სანამ მოსაბრუნებელ ადგილს ვიპოვიდი, თითქმის ნახევარი გზა გავიარე ბირმინგემის მიმართულებით. საკუთარი გრძნობებისთვის გასაქანი რომ მიმეცა, გაცოფებული მთელი გზა სიჩქარის სატერფულს ვაწვებოდი, რაც ძალიან სახიფათოა. კარს მიღმა მორჩილად შევყურებდი ორნაწილიან, ფუქსიისფერ კოსტიუმში გამოწყობილ უნა ალკონბერის – მის სხეულს ტალღისებრი შუშა სასაცილოდ ამახინჯებდა – რომელიც გაღებისთანავე მეცა.

– ბრიჯიტ! უკვე ვიფიქრეთ, რომ გზა აგებნა! ახალ წელს გილოცავ! უშენოდ ვაპირებდით დაწყებას.

ამ სიტყვების თანხლებით ერთი მოძრაობით მოახერხა ჩემთვის ეკონა, პალტო გაეხადა, საკიდზე ჩამოეკიდა, საკუთარი პომადა ჩემი ლოყიდან მოეწმინდა და თავი უზომოდ დამნაშავედ ეგრძნობინებინა. მე კი ორნამენტებიან თაროს ვეყრდნობოდი და ვცდილობდი, არ წავქცეულიყავი.

– მაპატიეთ. შემთხვევით სხვაგან გადავუხვიე.

– სხვაგან გადაუხვიე? ეჰ! რა უნდა მოგიხერხოთ? წამო, შემოდი.

შუშის კარის გავლით სასტუმრო ოთახში შემიყვანა და დაიყვირა:

– გაიგონეთ? სხვაგან გადაუხვია!

– ბრიჯიტ! ახალ წელს გილოცავ! – ყვითელ, რომბებიან სვიტერში გამოწყობილი ჯოფრი ალკონბერი სასაცილო ნაბიჯებით მომიახლოვდა და ისე ჩამეხუტა, რომ სხვა ჩემს ადგილას სექსუალური ქვეტექსტისთვის უჩივლებდა.

– ჰმ-ჰმ! – ხმა ჩაიწმინდა სახეწამოწითლებულმა და შარვლის სათავე წელისკენ აიქაჩა,

– რომელი კვანძით მოდიოდი?

– მეცხრამეტეტი, მაგრამ მერე გზა გაიყო.

– მეცხრამეტეტი! უნა, მეცხრამეტე კვანძით მოდიოდა! მგზავრობა ერთი საათით გაგიწელია. მოდი, დასაღევს მოგიტან. როგორ მიდის შენი სასიყვარულო საქმეები?

ო, ღმერთო! რატომ არ შეუძლიათ დაქორწინებულ ადამიანებს იმის გაგება, რომ ეს აღარ არის ზრდილობიანი შეკითხვა? ჩვენ ხომ არ მივეჭრებით ხოლმე მათ და ვუღრიალებთ: „როგორ მიდის თქვენი ქორწინება? ისევ გაქვთ სექსი?“ ისედაც ყველამ იცის, რომ ოცდაათი წლის შემდეგ პაემნები ისეთი იღბლიანი და ყველასთვის ხელმისაწვდომი აღარ არის, როგორც ოცი წლის ასაკში და გულწრფელი პასუხი უფრო ასეთი იქნება: „წუხელ ჩემი ცოლიანი საყვარელი აჭიმებსა და ანგორის მოკლე მაისურში გამომეცხადა და გამომიტყდა, რომ გეია (ან სექსდამოკიდებული, ან

ნარკოდამოკიდებული, ან ურთიერთობების ეშინია) და სულ დილდო მირტყა“, ვიდრე: „გმადლობთ, შესანიშნავად“.

დიდად ნიჭიერი მატყუარა არ ვარ, ამიტომ ჯოფრის პასუხად დარცხვენილმა ჩავიბურტყუნე: „კარგად“, რასაც დაუყოვნებლივ გამოეხმაურა: – ესე იგი, მეგობარი მამაკაცი ისევ არ გყავს!

– ბრიჯიტ! რა მოგიხერხოთ?! – შეიცხადა უნამ, – ოჰ, ეს კარიერისტი გოგონები! არც კი ვიცი, რა ვთქვა. მაგრამ ხომ იცი, სამუდამოდ ვერ გადაავადებ. ტიკ-ტაკ-ტიკ-ტაკ!

– დიახ. როგორ შეიძლება შენს ასაკში ქალი გაუთხოვარი იყოს? – დაიღრიალა ბრაიან ენდერბიმ (მევის ქმარმა, კეიტერინგის კლუბ „როტარის“ ყოფილმა პრეზიდენტმა) და მეტისმეტი ემოციებისგან ხერესისჭიქიანი ხელი ჰაერში გაიქნია. საბედნიეროდ, მამამ გადამარჩინა.

– ძალიან მიხარია შენი დანახვა, ბრიჯიტ, – მითხრა და ხელი ჩამკიდა, – დედაშენმა კინალამ მთელი ნორთქემპტონშირის სამხედრო პოლიცია ფეხზე დააყენა და მთელი არემარის გადასაჩხრეკად გამოგზავნა, რომ შენი დანაწევრებული გვამი ეპოვათ. მოდი, შენებურად გაგვილამაზე აქაურობა და მამას გული გაუხარე. მართლა, როგორ მოგეწონა გორგოლაჭებიანი ჩემოდანი?

– იმხელაა, ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს. შენ როგორ მოგეწონა ტრიმერი?

– ოჰ, თავის საქმეს აკეთებს – კრეჭს.

ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მგონი, ცოტა უხეშად გამომივიდოდა, რომ არ ჩამოვსულიყავი. მაგრამ მარკ დარსი... ჯანდაბა! ამ ბოლო დროს, ყოველი დარეკვისას, დედაჩემი საუბარს ასე იწყებდა: „ძვირფასო, ხომ გახსოვს დარსები? ბუკინგემში რომ ვცხოვრობდით, სტუმრად მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან და შენ და მარკი საბავშვო აუზში ერთად თამაშობდით“, ან „ოჰ! გითხარი, რომ ელაინი და მალკოლმი მარკსაც მოიყვანენ უნას საახალწლო წვეულებაზე? ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან. განქორწინებულია. ჰოლანდ პარკში სახლის ყიდვას აპირებს. საშინელ დღეში აგდებდა ცოლი. იაპონელი ქალია. რა სასტიკი ერია!“

ან მოწმენდილ ცაზე მეხივით გაისროდა: „მარკ დარსი გახსოვს, ძვირფასო? მალკოლმის და ელაინის ვაჟი? ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატია. განქორწინებული. ელაინი ამბობს, გამუდმებით მუშაობს და საშინლად მარტოსულიაო. ჩემი აზრით, ისიც ჩამოვა უნას საახალწლო წვეულებაზე. რა თქმა უნდა, ჩამოვა“.

ამდენ სისულელეს ჯობდა, პირდაპირ ეთქვა: „ძვირფასო, მარკ დარსი ინდაურიან მაგიდაზე გაჟიმე, კარგი? ძალიან მდიდარია!“

– წამოდი, მარკი გაგაცნო, – წაიღიღინა უნამ. ერთი ყლუპის დალევაც კი ვერ მოვასწარი.

რა თქმა უნდა, დამამცირებელია გირიგებდნენ მამაკაცს მიუხედავად იმისა, გინდა თუ არა ეს, მაგრამ როცა ნაბახუსევს თავი გისკდება, საკუთარი მშობლების მეგობრები თვალს არ გაცილებენ, უნა ალკონბერი კი კაცისკენ პირდაპირი გაგებით მიგათრევს, დამცირებაზე ბევრად უარესია.

მდიდარი, სასტიკ ცოლთან განქორწინებული მარკი – სხვათა შორის, საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა – ოთახისკენ ზურგშექცევით იდგა და ალკონბერების წიგნის თაროებს ათვალთქვებდა (წიგნების უმეტესობას მესამე რაიხის თემაზე დაბეჭდილი ტყავისყდიანი ეგზემპლარები შეადგენდა, რომლებსაც ჯოფრი „რიდერს დაიჯესტიდან“

იწერდა). უცბად გამიელვა, რა სასაცილოა, რომ კაცი, გვარად დარსი (მისტერ დარსი – პერსონაჟი ჯეინ ოსტინის რომანისა „სიამაყე და ცრურწმენა“. რომანის დასაწყისში ის მკითხველის წინაშე მეჯლისზე წარდგება, სადაც ამაყად აცხადებს უარს ცეკვასა და ქალბატონებთან ურთიერთობაზე.), წვეულებაზე განმარტოებით დგას, ცხვირაბზუებულები-მეთქი.

– მარკ, – კეთილი ფერისასავით დამტკბარი ხმით დაუძახა უნამ, – მინდა ვილაც გაგაცნო. ის შემობრუნდა და აღმოჩნდა, რომ რაც ზურგიდან უწყინარ ლურჯ სვიტერად მეჩვენებოდა, სინამდვილეში ყელიანი, რომბებიანი, ლურჯყვითელი ჯემპრი იყო – ხანშიშესული სპორტული ჟურნალისტების საყვარელი სამოსი. ჩემი მეგობარი ტომი ხშირად აღნიშნავს ხოლმე, რომ პაემნების სამყაროში უამრავი დროისა და ფულის დაზოგვაა შესაძლებელი, თუ დეტალებს მეტ ყურადღებას მივაქცევთ. თეთრი წინდები, წითელი აჭიმები, ნაცრისფერი უქუსლო ფეხსაცმელი, სვასტიკა – ხშირად სრულიად საკმარისია იმის მისახვედრად, რომ აზრი არ აქვს ტელეფონის ნომრების გაცვლას და ძვირად ღირებულ სადილებზე ფულის ფლანგვას – მაინც არაფერი გამოვა.

– მარკ, ეს კოლინისა და პემის ქალიშვილია, ბრიჯიტი, – უნა ნერვიულობისგან გაწითლდა და აკანკალდა, – ბრიჯიტი გამომცემლობაში მუშაობს, ხომ ასეა, ბრიჯიტ?

– დიახ, მართლაც ასეა, – რატომღაც დავეთანხმე და თავი ისე ვიგრძენი, თითქოს „ქეფითალ რადიოს“ სატელეფონო შოუში ვმონაწილეობდი და სადაცაა მოვიკითხავდი მეგობრებს – ჯუდს, შერონსა და ტომს, ასევე ჩემი ოფისის თანამშრომლებს, დედ-მამას, და ბოლოს – ინდაურის დასაგემოვნებლად საახალწლო წვეულებაზე შეკრებილებს.

– კარგი, ახალგაზრდებს მარტო დაგტოვებთ, – შემოგვაპარა უნამ, – ბრრ! დარწმუნებული ვარ, ბებრებმა უკვე თავი მოგაბეზრეთ.

– სულაც არა, – უხერხულად თქვა მარკმა და გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. უნამ თვალები გადაატრიალა და, მკერდზე ხელმიდებულმა, ხმამაღალი სიცილით დაგვტოვა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– მე... ისა... ხომ არ კითხულობთ... ბოლო დროს რაიმე კარგი წიგნი ხომ არ წაგიკითხავთ? – მკითხა მარკმა.

ოჰ, კარგი რა, ღვთის გულისათვის!

გონება დავძაბე, რომ გამეხსენებინა, ბოლოს როდის წავიკითხე რიგიანი წიგნი. გამომცემლობის თანამშრომლისთვის თავისუფალ დროს კითხვა იგივეა, რაც მენაგვისთვის არასამუშაო საათებში მტვერში კოტრიალი. ნახევრამდე მქონდა წაკითხული „მამაკაცები მარსიდან არიან, ქალები კი – ვენერადან“, რომელიც ჯუდმა მათხოვა, მაგრამ, ჩემი აზრით, ისედაც უცნაურ მარკ დარსის არ მოეწონებოდა საკუთარი თავის მარსელთა რიგებში აღქმა. და უეცრად გონება გამინათდა!

– სიუზენ ფალუდის „უკურეაქცია“, – წარმოვთქვი ტრიუმფალურად. უჰ! სინამდვილეში სულაც არ წამიკითხავს, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გადამებულბულებინოს, რადგან შერონი სულ მასზე ლაპარაკობდა. ყოველ შემთხვევაში, სრულიად უსაფრთხო ვარიანტად მომეჩვენა, წარმოუდგენელი იქნებოდა რომბებიან ჯემპრში გამოწყობილ ფრიადოსანს ხუთასგვერდიანი ფემინისტური ტრაქტატი ჰქონოდა წაკითხული.

– ოჰ, მართლა? – მიპასუხა, – წავიკითხე, როგორც კი გამოქვეყნდა. არ გეჩვენებათ, რომ მეტისმეტად ცალმხრივია?

- იცით რა, არც მაინცდამაინც... - ამოვიღმუვლე და ტვინის ჭყლეტა დავიწყე, როგორ შემეცვალა თემა, - ახალ წელს მშობლებთან ერთად შეხვდით?

- დიახ, - მაშინვე მომიგო მან, - თქვენც?

- დიახ. არა. წუხელ ლონდონში ვიყავი წვეულებაზე. მართალი გითხრათ, ცოტა ნაბახუსევი ვარ, - ნერვიულად ავლაქლაქდი, რომ უნას და დედაჩემს არ ეფიქრათ, კაცებთან ისეთი უნიათოა, მარკ დარსისთან საუბარიც არ შეუძლიაო, - იცით, ჩემი აზრით საახალწლო გეგმის განხორციელების დაწყება პირველ იანვარს შეუძლებელია, არ მეთანხმებით? ეს ხომ საახალწლო ღამის გაგრძელებაა - მაგალითად, საათი თორმეტჯერ ჩამოჰკრავს თუ არა, მწველები მაშინვე ვერ დაანებებენ თავს მოწევას, თუკი ოცდათერთმეტში ეწეოდნენ, რადგან მათი ორგანიზმი ნიკოტინით იქნება გაჟღენთილი. არც დიეტის დაწყებაა ამ დღეს გონივრული, რადგან ჯობია სინდისის ქენჯნის გარეშე გადაწყვიტო, ნაბახუსევის ცოტათი მაინც შესამსუბუქებლად რა და როდის შეჭამო. ჩემი აზრით, ბევრად უფრო ჭკვიანური იქნება, საახალწლო გეგმის შესრულება ორი იანვრიდან დაიწყოს კაცმა.

- მგონი, რაღაც უნდა შეჭამოთ, - მოულოდნელად გამაწყვეტინა მან, სასადილო მაგიდისაკენ გავარდა და წიგნების თაროებთან მარტო დამტოვა. ყველა მე მიყურებდა და ფიქრობდა „აი, თურმე რატომ ვერ თხოვდება ბრიჯიტი. მამაკაცებს განიზიდავს“.

მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ უნა ალკონბერის და დედას თავიანთ მცდელობაზე ხელი არ აუღიათ. იმ იმედით, რომ ჩემი და მარკ დარსის გზები ისევ გადაიკვეთებოდა, მაიძულებდნენ ბოსტნეულის მარინადებითა და ხერესით გაწყობილი ლანგრით ხელში სტუმრებს შორის მეტრიალა. ბოლოს, გაღიზიანებულებმა მოთმინება დაკარგეს და როდესაც მისგან ოთხიოდე ფუტის (ფუტი - სიგრძის არამეტრული საზომი ერთეული. უდრის 30,48 სმ-ს.) მოშორებით აღმოვჩნდი, უნა ალკონბერი ოლიმპიელი მორბენალივით წინ გამოიჭრა და უთხრა:

- მარკ, აუცილებლად უნდა ჩაიწერო ბრიჯიტის ტელეფონის ნომერი, რათა ლონდონშიც შეძლოთ ურთიერთობა.

სიმწრისგან გავწითლდი. ყელში ბურთი გამეჩხირა. ახლა მარკს ეგონებოდა, რომ უნა მე მივუგზავნე!

- დარწმუნებული ვარ, ლონდონში ბრიჯიტს ისედაც მჩქეფარე ცხროვრება აქვს, მისი ალკონბერი, - უპასუხა მან.

ოჰო! ისე არ გამიგოთ, თითქოს მინდოდა ჩემი ტელეფონი ჩაეწერა ან რამე, მაგრამ რა აუცილებელი იყო ყველასთვის ეჩვენებინა, რომ ამის იოტისოდენა სურვილიც არ გააჩნდა. თვალები დავხარე და მისი თეთრი წინდები შევამჩნიე, ზედ ამოქარგული ყვითელი ბზიკებით.

- კიტრის მარინადს ხომ არ ინებებთ? - მისკენ გავემართე იმის საჩვენებლად, რომ მისაახლოებლად სერიოზული მიზეზი მქონდა, ეს კიტრის მარინადი იყო და არა ტელეფონის ნომრის შეჩერება.

- მადლობას მოგახსენებთ, არა, - მიპასუხა და ცოტა არ იყოს, შემფოთებულმა შემომხედა.

- დარწმუნებული ხართ? ზეთისხილზე რას იტყვით? - უკან არ დავიხიე.

- არა, მართლა არ მინდა.

- დამწნილებულ ხახვს? ჭარხლის კუბებს?

- გმადლობთ, - სასოწარკვეთილი ხმით მიპასუხა და ზეთისხილი აიღო.

- გემრიელად მიირთვით, - საზეიმოდ მივუგე.

წვეულების ბოლოს დავინახე, რომ დედამისსა და უნას მარჯ დარსისთვის ალყა შემოერთყა და რაღაცაში გაცხარებით არწმუნებდნენ. ბოლოს ჩემკენ უბიძგეს და მანაც დაძაბული ხმით შემომთავაზა:

- ლონდონში დაბრუნებას ხომ არ აპირებთ? მე ვრჩები, მაგრამ ჩემს მანქანას შეუძლია წაგიყვანოთ.

- როგორ, თავისით? - გავიოცე.

დარსი თვალების ხამხამით მომაჩერდა.

- ღმერთო! მარკს სამსახურებრივი მანქანა და მძღოლი ემსახურება, სულელო, - ისე თქვა უნამ, თითქოს ტრაბახობდა.

- გმადლობთ, დიდი სიკეთეა თქვენი მხრიდან, - ვუპასუხე, - მაგრამ ხვალ ჩემი რომელიმე მატარებელი გამომივლის.

2:00 რატომ არ ვარ მიმზიდველი? ბზიკებამოქარგულწინდებიან კაცსაც კი საშინელებად მივაჩნივარ. მძულს ახალი წელი! ყველა მძულს! დენიელ კლივერის გარდა.

არა უშავს. მაგიდაზე შობიდან შემორჩენილი „ქედბერის“ ფირმის უზარმაზარი რძიანი შოკოლადი მიდევს, კიდევ ჯინტონიკის მომცრო, სასაჩუქრე ბოთლი. ახლავე ყველაფერს შევსანსლავ და პაპიროსსაც დავაყოლებ.

სამშაბათი, 3 იანვარი

9.4 სტ (საშინელი სისწრაფით მივქრევარ სიმსუქნისაკენ - რატომ? რაატომ?), ალკოჰოლის ერთეული - **6** (ბრწყინვალეა!), სიგარეტი - **23** ღერი (მ. კ.), კალორია - **2472**.

9:00 უჰ! სამსახურში წასვლაზე ფიქრიც არ მინდა! ამას მხოლოდ დენიელის ნახვა გადამატანინებს, მაგრამ არც ეს მინდა, რადგან გავსუქდი, ნიკაპზე გამონაყარი მაქვს, გულში კი სურვილი - ვიჯდე რბილ ბალიშებზე, ვჭამო შოკოლადი და ვუყურო საშობაო ფილმებს. უსამართლობად და არასწორად მეჩვენება, რომ შობა ჯერ გვინდა თუ არა, თავს დაგვატყდება ხოლმე, დაგვძაბავს, გამოგვაცარიელებს ფინანსურად და ემოციურად, მერე კი, როცა ბოლოს და ბოლოს დღესასწაულით ტკბობას ვიწყებთ, უხეშად გვეცლება ხელიდან. ის იყო შევიგრძენი, რა სასიამოვნოა ყოველდღიურობისგან თავის დაღწევა - როცა არაფერი შავდება ლოგინში გემოზე კოტრიალით, რაც მოგესურვება, იმის ჭამით და პირველივე შესაძლებლობისას ალკოჰოლის დაყოლებით - დილაობითაც კი! და უცებ, გაწვრთნილი მწევრებივით ყველანი ჩვეულ წესრიგს უნდა დავუბრუნდეთ.

22:00 უჰ! პერპეტუას, რადგან თანამდებობით ცოტა წინაა, ჰგონია, რომ ჩემზე პასუხისმგებლობა მისი მოვალეობაა, თანაც დღეს განსაკუთრებით აუტანელ და მბრძანებლურ ხასიათზე იყო; გაუთავებლად ლაქლაქებდა და ლაქლაქებდა უკანასკნელ

ნახევარი მილიონი ფუნტის ღირებულების სახლზე, რომლის ყიდვასაც ის და მისი მდიდარი, მაგრამ უნაყოფო მეგობარი მამაკაცი, ჰუგო აპირებენ: „ფანჯრები ჩრდილოეთით გადის, მაგრამ, რაღაც ჭკვიანური დაგეგმარების წყალობით, შესანიშნავი განათება აქვს“. დანაღვლიანებულმა შევხედე. ფართო, ამოზნექილ, ვიწრო წითელ ქვედაბოლოში გამოკვართულ უკანალზე ასიმეტრიული, ზოლებიანი ჟილეტი შემოეცვა. რა ბედნიერებაა, ასეთი თავდაჯერებული რომ დაიბადები ქალი! პერპეტუა ღენაულტ ესპაციის ოდენაც რომ გახდეს, მაინც არ იდარდებს. რამდენი საათი, თვე, წელი დავხარჯე წონის პრობლემაზე დარდში, პერპეტუა კი მშვიდად დააბიჯებდა ფულჰემ როუდზე და კატის ფორმის ფაიფურისსადგამიან აბაჟურს დაედებდა. და მაინც, არც ისაა ბედნიერი. უახლესი გამოკვლევები ადასტურებს, რომ ბედნიერება სიყვარულს, სიმდიდრეს ან ძალაუფლებას არ მოაქვს, ის თურმე ისეთი მიზნების შედეგია, რომლებისთვისაც ყოველდღიურად შრომობ – მაშ, სხვა რაღაა დიეტა?

სახლში მიმავალმა, იმის ნიშნად, რომ არ ვეთანხმებოდი დღესასწაულის ასე უცებ დასრულებას, ერთი პაკეტი ფასდაკლებული შოკოლადის ნაძვის ხე და ერთი ბოთლი შუშხუნა ღვინო ვიყიდე, არ ვიცი ნორვეგიული, პაკისტანური თუ რომელიღაც ეგეთი ქვეყნიდან. ორივე ხარბად გადავსანსლე ნაძვის ხის ციმციმა სინათლეების ქვეშ, სატენიანი ღვეზელი, საშობაო ნამცხვრის უკანასკნელი ნაჭერი და ყველი სტილტონი დავაყოლე, თან ტელესერიალს ვუყურებდი და ვცდილობდი წარმომედგინა, რომ საშობაო ფილმი იყო. სწორედ ამიტომ, ახლა მრცხვენია და ჩემი თავი მეზიზღება. ვგრძნობ, ჩემი სხეული როგორ იღვრება ქონად. არა უშავს. ზოგჯერ საჭიროა ჩაიძირო შხამიან, ქონიან გარსში, რომ ხელახლა ამოტივტივდე, ფენიქსივით აღდგე ქიმიური რეაქციებით განწმენდილი და მიშელ პფაიფერივით მშვენიერი. ხვალიდან ახალ, სპარტულ რეჟიმს დავიწყებ ჯანმრთელობისა და სილამაზის მისაღწევად.

მმმ! დენიელ კლივერი! როგორ მიყვარს მისი გარყვნილი, თავაშვებული ქარიზმა, თანაც როგორი წარმატებული და ჭკვიანია. დღეს ძალიან სასაცილო იყო – ყველას უამბობდა დეიდამისზე, რომელსაც დენიელის დედის ნაჩუქარი სამზარეულოს ქაღალდის რულონის სადგამი ხელოვნური პენისი ეგონა. მართლა ძალიან ვიმხიარულეთ. მეც კი გამეარშიყა და მკითხა, შობას რა გაჩუქესო. ალბათ ხვალ მოკლე შავ ქვედაბოლოს ჩავიცვამ.

ოთხშაბათი, 4 იანვარი

9.5 სტ (სრული კატასტროფა! თითქოს შობას ცხიმი ჩემი სხეულის რომელიღაც საიდუმლო კაფსულაში გროვდებოდა და ახლა თანდათან კანქვეშ ჟონავს), ალკოჰოლის ერთეული – 5 (უკეთესია!), სიგარეტი – 20 ღერი, კალორია – 700 (ძ.კ.).

16:00. სამსახური. საგანგებო მდგომარეობა! ახლახან აქვითინებულმა ჯუდმა დამირეკა და ხმის კანკალით ძლივძლივობით ამიხსნა, იძულებული გავხდი საბჭოს შეხვედრა დამეტოვებინა (ჯუდი „ბრაიტლინგის“ საფონდო ოპერაციების უფროსია), რომ იქვე არ ავტირებულიყავი და ქალთა საპირფარეშოს შევაფარე თავი, საიდანაც სირცხვილით თავი ველარ გამომიყვია, რადგან თვალეები ელის კუპერივით დამისივდა, კოსმეტიკის ჩანთა კი თან არ მაქვსო. მეგობარმა მამაკაცმა, უნამუსო რიჩარდმა (ეგოცენტრულმა და

ურთიერთობის შიშით შეპყრობილმა), რომელსაც უკვე თვრამეტი თვეა დროგამოშვებით ხვდება, მიაგდო, რადგან ჯუდმა ჰკითხა, შვებულება ერთად ხომ არ გავატაროთო. ასეთი კაცისგან ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ, რასაკვირველია, ჯუდს ახლა ჰგონია, რომ ყველაფერში თვითონაა დამნაშავე.

- გადავაჭარბე. ვჭირვეულობდი და მისგან მეტისმეტს მოვითხოვდი, მაშინაც, როცა ეს აუცილებელი არ იყო. ნეტავ დროის უკან დაბრუნება შემეძლოს!

მაშინვე შერონს დავურეკე და საგანგებო შეკრება შვიდის ნახევრისთვის კაფე „რუჟში“ დავთქვით. იმედი მაქვს, პერპეტუასთან შეტაკების გარეშე მოვახერხებ გამრომას.

23:00. ხმაურიანი სადამო გამოგვივიდა. რიჩარდთან შექმნილი სიტუაციის შესახებ შერონმა მაშინვე საკუთარი თეორიები გადმოალაგა: ეს „ემოციური მოუმწიფებლობაა“, რომელიც ისეთივე სისწრაფით ვრცელდება ოცდაათს გადაცილებულ მამაკაცებში, როგორც ტყეში ხანძარიო. მისივე მტკიცებით, ოცდაათ წელს გადაცილებულ ქალებში ძალთა ბალანსი იცვლება. მათი ყველაზე გულადი და სულით ძლიერი წარმომადგენლებიც კი კარგავენ სიმტკიცეს და აჰყვებიან ხოლმე ეგზისტენციალური ძრწოლის პირველივე შემოტევებს: შიშობენ, მარტოდმარტო მოვკვდები და სამი კვირის შემდეგ თუ აღმოაჩენენ ჩემს ნახევრად შეჭმულ გვამს საყვარელი გერმანული ნაგაზის გვერდითო. ამ ასაკში, როგორი გულანთებული მიმდევარიც არ უნდა იყო ჯოანა ლამლის ან სიუზენ სარანდონის პრინციპებისა, (ჯოანა ლამლი – ინგლისელი მსახიობი, ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მებრძოლი. **60**-იან წლებში, როცა ინგლისურ საზოგადოებაში ასეთი საქციელი ჯერ კიდევ მიუღებლად მიიჩნეოდა, უქმროდ გააჩინა შვილი. სიუზენ სარანდონი – ამერიკელი მსახიობი, პოლიტიკური აქტივისტი და ადამიანთა თანასწორუფლებიანობის მომხრე ცხოვრების ნებისმიერ სფეროში) მარტოხელების შესახებ გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულებები თავს მაინც ცოტათი სულელად გაგრძნობინებს.

- და ამ შიშით სარგებლობენ რიჩარდის მსგავსი კაცები, – შეაჯამა შერონმა, – მისი წყალობით თავს არიდებენ ვალდებულებებს, ზრდასრულ და ღირსეულ საქციელს, ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობების ბუნებრივ განვითარებას. ამასობაში მე და ჯუდი უკვე ხმადაბლა ვაჩუმებდით როლში შეჭრილ შერონს და სავარძლებში ჩამალვას ვცდილობდით. ასეა თუ ისე, კაცებისთვის აგრესიულ ფემინიზმზე აუტანელი არაფერია.

- როგორ გაბედა ეთქვა, მეტისმეტად სერიოზულ სახეს აძლევ ურთიერთობასო, შენ ხომ მხოლოდ შვებულების ერთად გატარება შესთავაზე? – ღრიალებდა შერონი, – რა ჯანდაბას ბოდავს?

ფიქრებში ჩადირულმა დენიელ კლივერზე დავიწყე ოცნება – ყველა კაცი რიჩარდს კი არ ჰგავს! ამასობაში შერონმა ემოციური მოუმწიფებლობის ვრცელი და ხატოვანი მაგალითების ჩამოთვლა დაიწყო ჩვენი მეგობრების ცხოვრებიდან: ერთის მეგობარი მამაკაცი ცამეტი წლის განმავლობაში უარს ამბობს განიხილოს ერთად ცხოვრების შესაძლებლობა; მეორე მეგობარი ოთხჯერ შეხვდა მამაკაცს, მერე კი ამ უკანასკნელმა მიატოვა, რადგან მისი აზრით ოთხი პაემანი უკვე მეტისმეტად სერიოზული საქმე იყო; მესამეს თავყვანისმცემელი სამი თვის განმავლობაში მხურვალედ არწმუნებდა, ცოლად

გამომყევით, და როდესაც ქალი როგორც იქნა დათანხმდა, საქმრო გაიქცა და ახლა ყოფილი საცოლის საუკეთესო მეგობარს დაუწყო ცოლობის თხოვნა.

– ჩვენ პირველი თაობა ვართ იმ ქალებისა, რომლებიც უარს ამბობენ სიყვარულში კომპრომისებზე და აქვთ საკუთარი შემოსავალი. ამიტომაც ვზარალდებით. სულ რაღაც ოციოდე წელიწადში კაცები ვეღარ გაბედავენ მოუმწიფებლად მოქცევას, რადგან პირში დავცინებთ, – გრგვინავდა შერონი.

სწორედ ამ დროს კაფეში შერონის თანამშრომელი, ალექს უოკერი შემოვიდა. მას თან ქერა ლამაზმანი ახლდა – ათჯერ უფრო მიმზიდველი, ვიდრე ალექსი. მამაკაცი მოსასალმებლად მოგვიახლოვდა.

– ეს შენი ახალი მეგობარია? – ჰკითხა შერონმა.

– იცი, რა... მისი აზრით ასეა, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთს არ ვხვდებით, უბრალოდ ერთად ვწევართ. რასაკვირველია, ჯობია ეს შეხვედრები დავასრულო, მაგრამ... – თავი მოიწონა ალექსმა.

– აი, მთელი საღამოა სწორედ ასეთ ნაგვობაზე ვლაპარაკობ! შე მხდალო, გონებაჩლუნგო რეგვენო! ახლავე წავალ და იმ ქალს დაველაპარაკები, – წამოხტა შერონი. მე და ჯუდმა ძალით დავაბრუნეთ საკუთარ ადგილზე, დაფეთებული ალექსი კი თავის ლამაზმანს დაუბრუნდა, რათა ისევ გაეგრძელებინა მოუმწიფებელი ქცევა.

საბოლოოდ, სამივემ ერთად მოვიფიქრეთ სამოქმედო გეგმა ჯუდისთვის. სასწრაფოდ უნდა დაევიწყებინა ყველაფერი, რაც ამოიკითხა წიგნში „ქალებს მეტისმეტად უყვართ“ და გადართულიყო თეორიაზე „მამაკაცები მარსიდან არიან, ქალები კი – ვენერადან“. ასეთ შემთხვევაში რიჩარდის საქციელის გამო თვითგვემას შეწყვეტდა და აღარ იფიქრებდა, რომ გადააჭარბა და მეტისმეტს მოითხოვდა; მიხვდებოდა, რომ კაცი, როგორც მარსელი, რეზინზე გამობმული ბურთივით რაც შეიძლება შორს უნდა მოისროლო, თუ გინდა დაგიბრუნდეს.

– ჰო, მაგრამ, ვერ გავიგე, უნდა დავურეკო თუ არა? – საცოდავად გვკითხა ჯუდმა.

– არა! – მკაცრად დამასწრო შერონმა, სანამ მე ვიტყოდი: – კი.

ჯუდი ადრე წავიდა, 5.45-ზე უნდა ამდგარიყო, რომ სპორტდარბაზში ვარჯიში და პირად დიეტოლოგთან ვიზიტი მოესწრო სამსახურში წასვლამდე, რომელიც 8.30-ზე ეწყება (ეს მაცოფებს!). მისი წასვლისთანავე მე და შერონი სინდისის ქენჯნამ და საკუთარი თავებით უკმაყოფილებამ შეგვიპყრო, რადგან ჯუდს უნამუსო რიჩარდის თავიდან მოშორება არ ვურჩიეთ – იმიტომ, რომ უნამუსოა. მეორე მხრივ, შერონს გაახსენდა, რომ უკანასკნელად, როცა ასე მოქცევა ვურჩიეთ, ჯუდი რიჩარდს მაინც შეურიგდა და მონანიებით გატაცებულმა აღსარებაში ყველაფერი სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა, ამიტომ ახლა მასთან შეხვედრისას თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობთ. რიჩარდის აზრით ენამწარე ძუკნები ვართ – რაც, ჯუდის თქმისა არ იყოს, მცდარი შეხედულებაა, რადგან მართალია, დიდი ხანია აღმოვაჩინეთ რომ შინაგანად ძუკნები ვართ, მაგრამ ასე არც ერთი ვიქცევით.

ხუთშაბათი, 5 იანვარი

9.3 სტ (შესანიშნავი პროგრესია – 2 ფუნტი ქონი თავისთავად აორთქლდა მხიარული განწყობისა და სექსის პერსპექტივის წყალობით), ალკოჰოლური ერთეული – 6 (მ. კ.

შედეგია წვეულების გათვალისწინებით), სიგარეტი – 12 ღერი (ჩემმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო), კალორია – 1258 (სიყვარული ღორულად ჭამის სურვილს აქრობს).

11:00. სამსახური. ო, ღმერთო! ახლახან დენიელ კლივერმა შეტყობინება გამომიგზავნა! ვცდილობდი პერპეტუასგან მალულად საკუთარი CV განმეახლებინა, როცა ეკრანზე წარწერა გაჩნდა: „ახალი შეტყობინება“. ძალიან გამიხარდა – მუდამ ყველაფერი მახარებს, რაც სამუშაოს არ ეხება – და სასწრაფოდ დავაჭირე ღილაკს „წაკითხვა“. კინალამ კანიდან ამოვხტი, როცა ტექსტის ბოლოს ხელმოწერა „კლივი“ დავინახე. თავიდან ვიფიქრე, ეტყობა რაღაცნაირად ჩემს კომპიუტერში შემოდგრა და ნახა, რომ არ ვმუშაობ-მეთქი. მაგრამ შემდეგ აი, რა წავიკითხე:

შეტყობინება ჯონსს

მგონი ქვედაბოლოს ჩაცმა დაგავიწყდათ. ჩემი აზრით, თქვენს დასაქმების ხელშეკრულებაში ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომ თანამშრომლებისგან სამუშაო საათებში სრულად ჩაცმას მოველით.

კლივი

ვაჰ! მეფლირტავება, წყალი არ გაუვა. გარკვეული დროის განმავლობაში ვიჯექი და ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მორიგი მთვარეულისგან გამომცემლობაში მოტანილ გაურკვეველ ხელნაწერს ჩავკირკიტებდი, ვფიქრობდი, როგორ მეპასუხა. დენიელ კლივერთან მიმოწერა არასოდეს მქონია, მაგრამ ვირტუალური მიმოწერის პლუსი სწორედ ისაა, რომ შესაძლებლობას გაძლევს, საკუთარ ბოსთანაც კი მოურიდებელი და არაოფიციალური იყო. რამდენიც გინდა, იმდენი წერე. საბოლოოდ, აი, რა გავუგზავნე:

შეტყობინება კლივს

ბატონო ჩემო, აღშფოთებული ვარ თქვენი შეტყობინებით. ვაღიარებ, რომ სრულიად შესაძლებელია ჩემი ქვედაბოლოს მისამართით გაჩნდეს გონივრული ეჭვი, ხომ არ იბუნწეს მისი შეკერვისას ნაჭრის გამოყენებაზე (თუმცა, ეკონომიურობა ჩვენს გამომცემლობაში ყოველთვის წახალისებული იყო), მაგრამ უხეშ გადაჭარბებად მიმაჩნია იმის განცხადება, რომ ქვედაბოლო თავის ადგილზე არ არის. აუცილებლად მივმართავ პროფესიულ კავშირს.

ჯონსი

და კინალამ ჭკუიდან შევიშალე პასუხის ლოდინში. საკმაოდ მალე ეკრანზე ისევ გაჩნდა ახალი შეტყობინება“ და მეც მაშინვე ვეცი „წაკითხვის“ ღილაკს:

კოლეგებო, ვინ აიღო ჩემი მაგიდიდან „კაფკას მოტოციკლეტის“ ჩასწორებული ხელნაწერი? დაჟინებით გთხოვთ, ახლავე დამიბრუნოთ.

დაიანა

ჯანდაბა. ისევ არაფერი მოდის.

შუადღე. ღმერთო ჩემო. დენიელს ისევ არ უპასუხებია. ალბათ, გაცოფებულია. იქნებ სერიოზულად მომწერა ქვედაბოლოზე? ღმერთო, ღმერთო. მგონი ამ მესენჯერის არაოფიციალურობამ ტვინი ამირია და ხელმძღვანელს ვეუხეშე.

12:10. იქნებ ჯერ არ მიუღია? ნეტავ იმ შეტყობინების უკან დაბრუნება შემეძლოს. მოდი, გავივლი და ვნახავ, ხომ არ შეიძლება დენიელის კაბინეტში შევიპარო და წავშალო.

12:15. ოჰ. ყველაფერი გასაგებია. შეხვედრა აქვს საიმონთან, მარკეტინგში რომ მუშაობს. კაბინეტთან ჩავლისას თვალი გამომაყოლა. ჰა-ჰა-ჰა! „ახალი შეტყობინება“:

შეტყობინება ჯონსს

თუ კაბინეტთან ჩავლა იმის მცდელობა იყო, გეჩვენებინათ, ქვედაბოლო ადგილზეაო, გატყობინებთ, რომ ის წარუმატებელი გამოდგა. ეჭვგარეშეა, რომ ქვედაბოლო სახლში დარჩა. ავად ხომ არ გახდა?

კლივი

მაშინვე კიდევ ერთი „ახალი შეტყობინება“ მოჰყვა:

შეტყობინება ჯონსს

თუკი ქვედაბოლო მართლაც ავად გახდა, შეამოწმეთ, წარმოადგინა თუ არა ბიულეტენი და რამდენი დღე გააცდინა უკანასკნელი თორმეტი თვის განმავლობაში. არარეგულარული გამოცხადება სამსახურში სიმულაციის ეჭვს აჩენს.

კლივი

პასუხად დავწერე:

შეტყობინება კლივს

ქვედაბოლო არც ავადაა და არც სამსახურს აცდენს, ეს სრულიად ნათელია. აღშფოთებული ვარ მისდამი მენეჯმენტის აგდებული, საიზისტური (საიზისტური – ბოლო დროს შექმნილი სიტყვა, ინგლისური სიტყვიდან **size** – ზომა. საიზისტი – ადამიანი, რომელიც უარყოფითად ან დამამცირებლად არის განწყობილი სხვა ადამიანების სხეულის ზომებისადმი (ძირითადად ჭარბწონიანებთან მიმართებაში).) დამოკიდებულებით. ქვედაბოლოს მიმართ გადამეტებული ყურადღება იწვევს ვარაუდს, რომ ავად მენეჯმენტია და არა ქვედაბოლო.

ჯონსი

ჰმ! მგონი, აჯობებს უკანასკნელი წინადადება ამოვიღო, რადგან სექსუალურ შევიწროებაში ბრალის დადებას ჰგავს, მე კი ძალიანაც მესიამოვნებოდა დენიელ კლივერისგან სექსუალური შევიწროება.

ფუ! პერპეტუა ზურგიდან მომადგა და ჩემ მხარს ზემოდან დაიწყო ნაწერის კითხვა. მართალია, მოვასწარი ბოლოს წინა ფანჯარა გადმომერთო ეკრანზე, მაგრამ ამან კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა – ეს ჩემი CV აღმოჩნდა!

– შემატყობინე, როდესაც ხელნაწერის გაშიფვრას დაამთავრებ, კარგი? – ავად გაიღიმა პერპეტუამ, – არ მინდა, შენნაირი ძვირფასი თანამშრომელი არასაკმარისად დავტვირთო.

როგორც კი მომშორდა, ტელეფონს დასწვდა: „გულახდილად გეტყვით, მისტერ ბირკეტ, რა აზრი აქვს ტექსტში იმის მითითებას, რომ სახლში ოთხი საძინებელია, თუკი ბოლოს აღმოჩნდება, რომ მეოთხე საძინებელი სინამდვილეში საკუჭნაოა?“ მეც მაშინვე „სამუშაოს“ ვეცი. აი, რა მივწერე:

შეტყობინება კლივს

ქვედაბოლო რომ არც ავადა და არც სამსახურს ადენს, ეს ნათელია. აღშფოთებული ვარ მისდამი მენეჯმენტის ადებული, საიზისტური დამოკიდებულებით. ვამზადებ მიმართვას სამრეწველო ტრიბუნალისადმი, გაზეთებისადმი და ა.შ.

ჯონსი

აი, ასეც მოგიხდება. პასუხი:

შეტყობინება ჯონსს

„აცდენს“, ჯონს, და არა – „ადენს“, „აგდებული“, და არა – „ადებული“. ეცადეთ, ორთოგრაფიის საწყის დონეს მაინც დაეუფლოთ. არ ვამტკიცებ, თითქოს ენა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, უცვლელი სისტემაა, პირიქით, ვაღიარებ რომ ის ცოცხალი ორგანიზმი და ურთიერთობის არამდგრადი საშუალებაა (იხ. ჰონიგსვალდი), მაგრამ მაინც მგონია, რომ კომპიუტერის სპელჩეკერი დაგეხმარებათ.

კლივი

ელდა მეცა, მაგრამ მალე დენიელმა მარკეტინგულ საიმონთან ერთად ჩამიარა და ჩემს ქვედაბოლოს ცალი წარბის აწევით მოარშიყე მზერა ესროლა. ვგიჟდები ამ შეტყობინებათა სისტემაზე! თუმცა, ვაღიარებ, ორთოგრაფია უნდა გამოვასწორო. ბოლოს და ბოლოს, ჩემი სპეციალობა ინგლისური ენაა.

პარასკევი, 6 იანვარი

5:45. უბედნიერესი ვარ! ელექტრონული მიმოწერა ქვედაბოლოს ყოფნა-არყოფნაზე მთელი დღე არ შეწყვეტილა. არა მგონია, ჩემს ღრმადპატივცემულ უფროსს პარალელურად მუშაობაც მოესწრო. პერპეტუასთან (უშუალო უფროსთან) უცნაური სიტუაცია შემექმნა – გაიგო, რომ ვმესიჯობდი და სასტიკად განრისხდა, მაგრამ რადგან ისიც შეიტყო, რომ მთლად უფროსს ვწერდი, ცოტა არ იყოს, აირია – მის მზრძანებლობის მოყვარულ ხასიათს ხელმძღვანელობისადმი ერთგულება დაუპირისპირდა და, საბოლოოდ, ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა. რა თქმა უნდა, ყველა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ მთლად უფროსი ყოველთვის მართალია.

უკანასკნელი წერილი ასეთი იყო:

შეტყობინება ჯონსს

მინდა უქეიფოდ მყოფ ქვედაბოლოს უიქენდზე ყვავილების თაიგული გავუზავნო. თუ შეიძლება, მომწერეთ სახლის ტელეფონის ნომერი, მონაცემთა ბაზაში მის ძებნას აზრი არ აქვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს იმის თაობაზე, სწორად იქნება თუ არა დაწერილი „ჯონსი“.

კლივი

არის! არიიის! დენიელ კლივერს ჩემი ტელეფონის ნომერი უნდა. მე მშვენიერება ვარ! მე სექსის უძლეველი ქალღმერთი ვარ! ვაშააა!

კვირა, 8 იანვარი

9.2 სტ (კი ბატონო, გადასარევია, მაგრამ აზრი?), ალკოჰოლური ერთეული – 2 (ბრწყინვალეა), სიგარეტი – 7 ღერი, კალორია – 3100 (საშინელება).

14:00. ღმერთო, რატომ არ ვარ მიმზიდველი? არც კი მჯერა, რომ შაბათ-კვირას არაფერი დავგეგმე – მთელი კვირა თავს ვირწმუნებდი, სამუშაო მექნება-მეთქი, სინამდვილეში კი დენიელთან პაემანს ველოდი. რა საზიზღრობაა! მთელი ორი დღე გავფლანგე – ტელეფონისთვის თვალი არ მომიცილებია, თან ნერვიულობისგან გამუდმებით რაღაცას ვჭამდი. რატომ არ დამირეკა? რატომ? რას მიწუნებს? რისთვის მკითხა ტელეფონის ნომერი, თუ დარეკვას არ აპირებდა, და თუ აპირებდა, უქმეებზე უკეთეს დროს როდისღა იპოვის? საკუთარ თავზე კონცენტრირება უნდა ვისწავლო. ჯუდს ვკითხავ, შესაფერისი თვითმასწავლებელი წიგნი ან რომელიმე აღმოსავლური რელიგიური სისტემა ეცოდინება.

20:00. ტელეფონმა დარეკა, მაგრამ ტომი აღმოჩნდა, აინტერესებდა, მქონდა თუ არა რაიმე სიახლე სასურველი ზარის თაობაზე. ტომი, რომელიც თავს ჩემს „საუკეთესო დაქალს“ უწოდებს, ძალიან მგულშემატკივრობს დენიელთან. მისი თეორიის თანახმად, ოცდაათ წელს გადაცილებულ ჰომოსექსუალებს და მარტოხელა ქალებს ერთი რამ აერთიანებთ: ორივე ჯგუფი მიჩვეულია, რომ მეგობარი მამაკაცები იმედს უცრუებენ, ხოლო საზოგადოება შერყეულებად მიიჩნევს. ტომი მოთმინებით მისმენდა, სანამ საკუთარ კომპლექსზე მოვთქვამდი, რომელიც, როგორც ავუხსენი, ჯერ წყეულმა მარკ დარსიმ გამიმწვავა და მერე არანაკლებ წყეულმა დენიელ კლივერმა. ბოლოს ტომმა მკითხა: – მარკ დარსი ახსენე? ეგ ის სახელგანთქმული ადვოკატია, ადამიანის უფლებების დაცვაზე რომ მუშაობს?

მერწმუნეთ, ამით საერთოდ ვერ დამეხმარა. ჰმ! მეც ხომ მაქვს ადამიანის უფლება – არ ვიტანჯებოდე, რადგან მამაკაცებს საკმარისად არ ვიზიდავ, რომ პაემანი დამინიშნონ?

23:00. უკვე ძალიან გვიანია. დენიელი აღარ დარეკავს. უკიდურესად სევდიანი და ტრავმირებული ვარ.

9.2 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **4**, სიგარეტი – **29** ღერი, კალორია – **770** (მ. კ. მაგრამ რის ფასად?!).

სამსახურში კომმარული დღე მქონდა. მთელი დილა დენიელის კარს მივჩერებოდი – სულ ამაოდ. თორმეტს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, უკვე სერიოზულად შევშფოთდი. განგაში ხომ არ ავტეხო?

მოულოდნელად პერპეტუამ ტელეფონს ჩასძახა: – დენიელი? კროიდონში გაემგზავრა შეხვედრაზე. ხვალ იქნება! – მერე ყურმილი დაახეთქა და მიაყოლა: – თავი მომაბეზრეს ამ უჭკუო ქალებმა. მთელი დღე ურეკავენ და ურეკავენ!

თავზარდაცემული სიგარეტის კოლოფს ვწვდი. რომელი ქალები? რაო? როგორღაც გავძელი სამუშაო დღის ბოლომდე და სახლში მისულმა დენიელს ავტომოპასუხეზე (არც კი მჯერა, რომ მართლა ასე მოვიქეცი) შეტყობინება დავუტოვე: „გამარჯობა. ჯონსი ვარ. როგორ ხარ? მაინტერესებდა, ისევ აპირებდი თუ არა მონაწილეობას ჩვენ მიერ დაგეგმილ კონსილიუმში ქვედაბოლოს ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე“.

როგორც კი ყურმილი დავდე, მივხვდი, რომ სასწრაფოდ დახმარება მჭირდებოდა და ტომს დავურეკე. მან მშვიდად მომისმინა და დამპირდა გიშველიო – რამდენჯერმე დავურეკავ და მის სატელეფონო კოდს გავარკვევ, რომლის საშუალებითაც შენს შეტყობინებას წავშლიო. ასეც მოიქცა და ის იყო, მართლა უნდა გაეგო სატელეფონო

კოდი, რომ უკანასკნელ ზარს დენიელმა უპასუხა. იმის ნაცვლად, ეთქვა: „უკაცრავად, ნომერი შემეშალა“, დაბნეულმა ტომმა გაუთიშა. მშვენიერია! ახლა დენიელი იმ გიჟურ შეტყობინებას მოისმენს და ეგონება, რომ ამ საღამოს მის ავტომობილსზე თოთხმეტივე ზარი ჩემგან დაფიქსირდა, ხოლო როცა პასუხი გამცა, დავუკიდე.

სამშაბათი, 10 იანვარი

9.1 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **2**, სიგარეტი – **6** ღერი, კალორია – **998** (ბრწყინვალეა, ძალიან კარგია, თვით სრულყოფილება ვარ, ნამდვილი წმინდანი!).

ფეხაკრებით შევიპარე სამსახურში, რადგან წუხანდელი შეტყობინების გამო ისევ მრცხვენოდა. გადაწყვეტილი მქონდა, დენიელს ახლოსაც აღარ გავკარებოდი, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა და ყველას გამხიარულება დაიწყო – უზომოდ სექსუალურად გამოიყურებოდა – მაშინვე დავდანი.

მოულოდნელად ეკრანზე „ახალი შეტყობინება“ აციმციმდა.

შეტყობინება ჯონსს

დიდი მადლობა სატელეფონო ზარისთვის.

კლივი

გული ამომივარდა. ის ზარი ხომ შეხვედრის შეთავაზებას ნიშნავდა. ვინ პასუხობს ასეთ რამეს მადლობით, თუკი... ცოტა ფიქრის შემდეგ მივწერე:

შეტყობინება კლივს

თუ შეიძლება, მოკეტე. მნიშვნელოვანი საქმე მაქვს და ძალიან დაკავებული ვარ.

ჯონსი

რამდენიმე წუთში მიპასუხა.

შეტყობინება ჯონსს

ვწუხვარ, რომ გაწყვეტინებ, ჯონს, დარწმუნებული ვარ ძალიან გადატვირთული იქნები.

პ.ს. ძალიან მომწონს შენი მკერდი ამ ბლუზაში.

და წავიდა... გააფთრებული მიმოწერა მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და ბოლოს იმით დასრულდა, რომ კვირა ღამით შეხვედრა შემომთავაზა და მეც თავბრუდახვეული, ეიფორიაში მყოფი, უყოყმანოდ დავთანხმდი. ზოგჯერ სამსახურში აქეთ-იქით ვიყურები ხოლმე, ვათვალიერებ, როგორ უკაკუნებენ კლავიშებს ჩემი თანამშრომლები და ვფიქრობ, ნეტავ, აქ საერთოდ ვინმე თუ მუშაობს-მეთქი? (მოლანდებები დამეწყო, თუ მართლა უცნაურია პირველი პაემანი კვირა ღამით? ისეთივე უჩვეულო, როგორც შაბათს დილაადრიან ან ორშაბათს დილის ორ საათზე?).

კვირა, 15 იანვარი

9 სტ (ბრწყინვალეა), ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – **29** ღერი (ძ. ძ. ცუდი, განსაკუთრებით **2** საათში), კალორია – **3879** (რა საზიზღრობაა), უარყოფითი აზრი – **942** (დაახლოებით; საშუალო რაოდენობა წუთში), უარყოფითი აზრების რაოდენობის გამოთვლაზე დახარჯული წუთი – **127** (დაახლოებით).

18:00. მთელი დღე პაემნისთვის მზადებისგან გადავიქანცე. ქალობა ფერმერობაზე უფრო ძნელია – ზოგჯერ იმდენი მკა და რწყვა გიწევს – ფეხებზე თმა ცვილით უნდა მოიშორო; იღლიები გაიპარსო; წარბები ამოიპუტო; პედიკური გაიკეთო; კანი კარგად აიქერცლო და მერე დაიტენიანო; გამონაყარი მოიშორო ან დაფარო; თმის ძირები შეიღებო; წამწამებზე ტუში წაისვა, ფრჩხილებზე – ლაქი; გაიკეთო ცელულიტის საწინააღმდეგო მასაჟი; ავარჯიშო მუცლის კუნთები. და მთელი ეს პროცესი განუწყვეტლად იმეორე, რადგან თუ რაიმეს გამოტოვებ, ყველაფერი წყალში ჩაგეყრება. ზოგჯერ დავფიქრდები ხოლმე, როგორი შესახედავი ვიქნებოდი, ბუნებას რომ არ ვებრძოდე. ალბათ ფეხებზე უზარმაზარი წვერ-ულვაში მექნებოდა, წარბები – ერთ ზოლად შემიერთდებოდა, სახე – კანის მკვდარი უჯრედების სასაფლაოდ იქცეოდა, გამონაყარისგან კრატერები წარმოიქმნებოდა, გრძელი ფრჩხილები ზამბარებად დაიხვეოდა, კონტაქტური ლინზების გარეშე თხუნელასავით დავბრმავდებოდი და გვერდებზე ქონის ნაკეცები გადმომეკიდებოდა. ოჰოჰო! რა გასაკვირია, რომ გოგონებს თავდაჯერება აკლიათ?

19:00. დაუჯერებელია! ასე როგორ შეიძლება?! სააბაზანოსკენ მივდიოდი, რომ საბოლოო შტრიხებით დამესრულებინა მზადება, როცა ავტომოპასუხე აციმციმდა და ტაბლოზე დაეწერა – დენიელი.

„მისმინე, ჯონს. მართლა ძალიან ვწუხვარ. მგონი დღეს ვერ მოვახერხებ. დილაადრიან პროექტი უნდა წარვადგინო და ჯერ კიდევ დაახლოებით ორმოცდახუთი ფურცელი დამრჩა წასაკითხი“.

წარმოუდგენელია! ისევ გადამაგდო! სულ ტყუილად ვიშრომე არაადამიანურად მთელი დღე და არანორმალური ენერჯია დავაგროვე. მოიცა, უნდა დავმშვიდდე: მე მამაკაცის გარეშეც სრულყოფილი ვარ! მე მამაკაცის გარეშეც სრულყოფილი ვარ! მე მამაკაცის გარეშეც სრულყოფილი ვარ!

21:00. ასეა თუ ისე, დენიელს მაღალი თანამდებობა აქვს. იქნებ არ უნდოდა, პირველი პაემანი სამსახურის საქმეებზე ფიქრით გაეფუჭებინა.

23:00. ჯანდაბა! ხომ შეიძლებოდა, კიდევ ერთხელ დაერეკა. ალბათ ვინმე უფრო ტანადთან ერთობა.

5:00. რა ჯანდაბა მჭირს? სულ მარტო ვარ. მძულს დენიელ კლივერი! მასთან საქმეს აღარ დავიჭერ. ეჰ, წავალ, ავიწონები.

ორშაბათი, 16 იანვარი

9.2 სტ (საიდან გაჩნდა? რატომ, რატომ?), ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – **20** ლერი, კალორია – **1500**, დადებითი აზრი – **0**.

10:36. სამსახური. დენიელი ჯერ კიდევ თათბირზეა შეკეტილი. იქნებ მართლაც ჰქონდა არმოსვლის მიზეზი.

13:00. ახლახან დავინახე, როგორ გავიდა დენიელი ლანჩზე. ჩემთვის არ მოუწერია. ძალიან უბედური ვარ. წავალ, საყიდლებზე გავივლი.

23:50. ტომთან ერთად ვისადილე, რომელიც შეპყრობილივით ლაქლაქებდა „დამოუკიდებელ კინორეჟისორ“ ჯერომზე (პრეტენზიულად ჟღერს, არა?). მე კი დენიელზე შევჩვილე, რომელიც მთელი დღე შეხვედრებს მართავდა და მხოლოდ ერთხელ მომესალმა: „გამარჯობა, ჯონს, ქვედაბოლო როგორ გრძნობს თავს?“ ტომმა მირჩია, პარანოია ნუ დაგემართება, დრო მიეციო, მაგრამ შემძლია დავიფიცო, ყურადღებით არ მომისმინა, მხოლოდ იმ თავის განუმეორებლად სექსუალურ ჯერომზე ქაქანი უნდოდა.

სამშაბათი, 24 იანვარი

კურთხეული დღე! ექვსის ნახევარზე ცით მოვლენილი საჩუქარივით გამომეცხადა დენიელი, ზურგით პერპეტუასკენ, ჩემი სამუშაო მაგიდის კურთხეზე ჩამოჯდა, თავისი გეგმების დღიური ამოიღო და წაიბუტბუტა: – პარასკევს რას აპირებ? არის! არის!

პარასკევი, 27 იანვარი

9.3 სტ (მაგრამ მაინც გავსკდი იტალიური კერძებით), ალკოჰოლის ერთეული – **8**, სიგარეტი – **400** ღერი (ასეთი შეგრძნება მაქვს), კალორია – **875**.

უჰ! ოცნების პაემანი მქონდა დენიელის სახლთან ახლოს მდებარე პატარა იტალიურ რესტორანში, რომელშიც ინტიმური ატმოსფერო სუფევდა.

– მმმ... კარგი, ახლა ტაქსის გავაჩერებ, – წავიბურტყუნე უხერხულად, როცა ქუჩაში გამოვედი. მან მსუბუქი მოძრაობით გადამიწია შუბლზე ჩამოშლილი თმა, ლოყაზე მომეფერა და სწრაფად მაკოცა. მერე ძლიერად მიმიზიდა და ხრინწიანად ჩამჩურჩულა: – არა მგონია, ტაქსი გჭირდებოდეს, ჯონს.

როგორც კი მის ბინაში აღმოვჩნდი, მხეცებივით ვეცით ერთმანეთს, გზადაგზა იატაკზე მიმოფანტულ ფეხსაცმელს, ჟილეტებს, წინდებს ვტოვებდით.

– ჩემი აზრით, ეს ქვედაბოლო თავს ცუდად გრძნობს, – წამჩურჩულა, – აჯობებს, ცოტა ხნით იატაკზე წამოწვეს.

მერე თავის შარვალზე ელვის გახსნა დაიწყო და თქვა: – ცოტა გავერთოთ, ხომ? არაფრის გართულება არ გვინდა.

გამომიცხადა თუ არა საკუთარი პოზიცია, ისევ ელვას მიუბრუნდა. კიდევ კარგი, შერონმა, ემოციური მოუმწიფებლობის შესახებ მისმა თეორიებმა და ნახევარმა ბოთლმა ღვინომ ძალა შემმატა, თორემ ალბათ უღონოდ ჩავიკეცებოდი მის მკლავებში. ახლა კი ფეხზე წამოვხტი და ქვედაბოლო ისევ გადავიცი.

- ჯანდაბა! - მღელვარებისგან ხმა მიწყდებოდა, - როგორ ბედავ ჩემთან თაღლითურ არშიეს, მხდალო და გონებაჩლუნგო? არ მაინტერესებს ემოციურად მოუმწიფებელი ურთიერთობები. კარგად ბრძანდებოდე!

შესანიშნავად გამომივიდა. უნდა გენახათ, რა სახე ჰქონდა. მაგრამ სახლში მისული სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. მართალია, სწორად მოვიქეცი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი ჯილდო მარტოდმარტო სიკვდილი იქნება, გერმანულ ნაგაზთან ერთად.

თებერვალი ვალენტინობის ტანჯვაწამება

ოთხშაბათი, 1 თებერვალი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული - 9, სიგარეტი - 28 ლერი (მაგრამ მალე სამუდამოდ შევეშვები მოწევას, ასე რომ, ახლა შემიძლია თუნდაც გავიგუდო), კალორია - 3826. დენიელის მოუმწიფებლობისგან გაქცევის შემდეგ მთელი დარჩენილი დრო იმას შევალე, რომ მედიდურობა და მხნეობა შემენარჩუნებინა. თავს გაბრუებამდე ვუმეორებდი ისეთ სიტყვებს, როგორცაა „საკუთარი თავის პატივისცემა“ და „ჰმ!“. იმისთვის, რომ ჩამეხშო სასოწარკვეთილი აზრი - „მე ხომ ის მიყვარს!“ ვეწეოდი უამრავს. არსებობს მარტინ ემისის ერთი პერსონაჟი, რომელიც ისეთი ნიკოტინდამოკიდებულია, რომ მაშინაც კი ახალი ღერის მოკიდების სურვილი აქვს, როცა ეწევა. ეს პერსონაჟი საშინლად მგავს.

შერონს დავურეკე და ვიტრაბახე, როგორი „მის რკინის ნერვები“ ვიყავი, მაგრამ როცა ტომს გავუმეორე იგივე, მაშინვე ყველაფერს მიხვდა: - ოჰ, ჩემო საბრალოვ!

მაშინვე გავჩუმდი, რათა საკუთარი თავის სიბრაღულით ცრემლებად არ დავღვრილიყავი.

- აი ნახავ, ამას ინანებს, - მითხრა ტომმა, - აუცილებლად ინანებს.

- არა, არ ინანებს, - ვუპასუხე სევდიანად, - ყველაფერი გავაფუჭე.

კვირას მშობლებთან გავემგზავრე. უზარმაზარი სადილი გამართეს, ღორის ცხიმინი ხორცისგან უამრავი კერძი ჰქონდათ მომზადებული. გარუჯულ დედაჩემს ღია ნარინჯისფერი დაჰკრავდა და ბევრად უფრო თავდაჯერებული ჩანდა, ვიდრე ოდესმე. ის და უნა ალკონბერი ის-ის იყო დაბრუნდნენ ალბუფეირადან, სადაც ნაიჯელ კოულის ცოლთან, ოდრისთან ერთად ისვენებდნენ.

დილით წირვაზე წასულ დედას, როგორც დამასკოს გზად მიმავალ წმინდა პეტრეს, მოულოდნელად ხილვა ეწვია - აღმოაჩინა, რომ ღვთისმსახური გეი იყო.

- ყველაფერი სიზარმაცის ბრალია, ძვირფასო, - აი, ჰომოსექსუალიზმის მისეული ხედვა, - მათ უბრალოდ საპირისპირო სქესთან ურთიერთობა ეზარებათ. თუნდაც შენი ტომი ავიღოთ. ჩემი აზრით, ცოტაოდენი მამაკაცურობა რომ გააჩნდეს, დიდი ხანია შენთან შეხვედრას დაიწყებდა იმის ნაცვლად, რომ ამ თავისი „მეგობრობით“ ტვინს გირევდეს.

- დედა, - გავახსენე, - ტომმა ათი წლის ასაკში გაიაზრა საკუთარი ორიენტაცია.

- კარგი, რა, ძვირფასო! თითქოს წარმოდგენა მაინც გქონდეს, როგორ ეხვევიან ადამიანები სულელური იდეების მახეში. ყოველთვის შესაძლებელია მათი გონებიდან ამ მონაჩმახის გამობერტყვა, თუკი მკაცრად და დამაჯერებლად დაელაპარაკები.

- გინდა თქვა, რომ თუკი ძალიან დამაჯერებლად დაგელაპარაკები, მამას მიატოვებ და დეიდა ოდრისთან გააბამ ურთიერთობას?

- სისულელეს ამბობ, ძვირფასო.

- მართლაც, - სიტყვა ჩაურთო მამამ, - დეიდა ოდრი ჩაიდანს ჰგავს.

- ოჰ, ღვთის გულისათვის, ჯონ, - შეაწყვეტინა დედამ, რაც დიდ უხეშობად მომეჩვენა, რადგან ჩვეულებრივ, დედა მამას სიტყვას არასოდეს აწყვეტინებდა.

სადილის დასასრულს მამამ უცნაურად დაიჟინა, წასვლამდე მანქანას მთლიანად შეგიმოწმებო, მიუხედავად იმისა, რომ ვარწმუნებდი, არაფერი სჭირს-მეთქი. მაგრამ, სამწუხაროდ, თავი საკითხის დიდ მცოდნედ ვერ წარმოვაჩინე, რადგან კაპოტის ახდაც კი ვერ მოვახერხე.

- დედაშენისთვის რაიმე უჩვეულო ხომ არ შეგიძნევიან? - თავს ძალა დაატანა და შეცბუნებული გამომეტყველებით მკითხა, თან ზეთის შესამოწმებელ ჩხირს დასტრიალებდა - ჯერ ჩვრით გაწმინდა, მერე კი თუკი ფროიდისეული მიდგომით შევაფასებდით, ადგილზე არც ისე მშვიდი მანერით დააბრუნა. თუმცა, ფროიდის დიდი მიმდევარი არ ვარ.

- თუ არ ჩავთვლით ნარინჯისფერ ნამზეურს?

- ჰო, და კიდევ... მისთვის დამახასიათებელ თვისებებს ვგულისხმობ.

- მგონი, მეტისმეტად გაიტაცა ჰომოსექსუალიზმის თემამ...

- ოჰ, არა, ეგ არაფერია. უბრალოდ, დღეს ღვთისმსახური ახალი სამოსელით გამოცხადდა და ხალხს სალაპარაკო მიეცა. სიმართლე გითხრა, ცოტა გადაპრანჭული მართლაც იყო. ახლახან დაბრუნდა დამფრის აბატთან ერთად რომში მოგზაურობიდან. წარმოგიდგენია? თავიდან ფეხებამდე ვარდისფერებში იყო გამოწყობილი. არა, იმას გეკითხებოდი, დედაშენისთვის რაიმე უჩვეულო ხომ არ შეგიძნევიან-მეთქი.

გონება დავძაბე.

- გულწრფელად გითხრა, არაფერი. უბრალოდ, მეტისმეტად თავდაჯერებული მომეჩვენა.

- ჰმმ! - მიპასუხა, - კარგი, არაფერია. უმჯობესია დაბინდებამდე გაემგზავრო. ჯუდი მომიკითხე. როგორ მისდის საქმეები?

მამამ კაპოტი საქმის დასრულებით კმაყოფილი ადამიანის იერით დახურა, მაგრამ ისეთი ძალით, შემემშინდა, ხელი ხომ არ მოიტეხა-მეთქი.

იმედი მქონდა, რომ დენიელთან ყველაფერი ორშაბათსვე გაირკვეოდა, მაგრამ ის არ გამოჩენილა. არც გუშინ მოსულა. მეჩვენებოდა, თითქოს სამსახურში კი არა, წვეულებაზე დავდიოდი ბიჭის სანახავად, რომელიც არა და არ ჩანდა. უკვე ვღელავდი, რადგან მეჩვენებოდა, რომ ამბიციები, კარიერული პერსპექტივა და მორალური სიმტკიცე აღარ გამაჩნდა და სასკოლო დისკოტეკის დონემდე დავეცი. საბოლოოდ, ისევ პერპეტუასგან გავიგე, დენიელი ნიუ იორკში გაემგზავრაო. აი, ახლა ნამდვილად გაერთობა რომელიმე თხელი აღნაგობის ამერიკელ უაინონასთან, იარაღს რომ ატარებს, გადამწყვეტ მომენტში ქვედაბოლოს ჩაცმას არ იწყებს და საერთოდ, ჩემგან სრულიად განსხვავებული პიროვნებაა.

თითქოს ეს არ მეყოფოდა, დღეს ვალდებული ვარ „დაოჯახებულთა წვეულებას“ დავესწრო მაგდასა და ჯერემის სახლში. ასეთი შემთხვევებში თავსყოველთვის ძალიან დამცირებულად ვგრძნობ, თუმცა უმადური არ გეგონოთ - მსიამოვნებს, რომ

მეპატიჟებიან. მაგდაცა და ჯერემიც ძალიან მიყვარს. ზოგჯერ მათთან ვრჩები და გახამებული თეთრეულითა და თაროებზე გამწკრივებული მაკარონის სხვადასხვა სახეობით სავსე შუშის ქილებით ვტკბები. წარმოვიდგენ, რომ ისინი ჩემი მშობლები არიან. მაგრამ როგორც კი მათ წყვილს დაოჯახებული მეგობრები ემატებიან, გაბოროტებულ შინაბერად ვიქცევი ხოლმე.

23:45. ღმერთო, რა საშინელება იყო! ოთხი დაქორწინებული წყვილი, მე და ჯერემის ძმა (დაივიწყეთ, მხოლოდ აჭიმები კი არა, სახეც წითელი აქვს, თან გოგოებს „ჭაკებს“ უწოდებს).

- აბა, - ჩაიბურდუნა კოსმომ და სასმელი დამისხა, - როგორ მიდის შენი სასიყვარულო საქმეები?

ოღონდ ეს არა! ასე რატომ იქცევიან? რატომ? იქნებ თვითკმაყოფილი დაქორწინებულები მხოლოდ სხვა თვითკმაყოფილ დაქორწინებულებს ეგუებიან და აღარ იციან, როგორ მიმართონ მარტოხელა პიროვნებებს? თუ შეგნებულად უსვამენ ხაზს საკუთარ უპირატესობას, რომ ჩემნაირებმა თავი წარუმატებელ ადამიანებად იგრძნონ? ან იქნებ სხვისი პირადი ცხოვრების დეტალების მოსმენა სექსუალურად ადაგზნებთ?

- ჰო, მართლა, რატომ არ თხოვდები, ბრიჯიტ? - გესლიანად ჩაიცინა ვონიმ (შინაურები ასე ვეძახით ფიონას, ჯერემის მეგობრის, კოსმოს ცოლს) და სცადა, ირონია მზრუნველობად გაესაღებინა, თანაც ნაზად მიეფერა ორსულობისგან გამობერილ საკუთარ მუცელს.

„იმიტომ, რომ არ მინდა, შენ დაგემსგავსო, შე მსუქანო, მოსაწყენო, აუტანელო ძროხა“ - დიდი სიამოვნებით ვუპასუხებდი ამას, ან „ვალდებული რომ ვიყო კოსმოს სადილი მოვუმზადო, მერე კი თუნდაც ერთხელ დავწვე მასთან, რომ აღარაფერი ვთქვათ ყოველ ღამეზე, თავს მოვიკლავდი“, ან „იმიტომ, რომ სინამდვილეში, ვონი, ტანსაცმელქვეშ სხეული ქერცლით მაქვს დაფარული“ და ა.შ. თუმცა, ასე არ ვუპასუხე, რადგან, სასაცილოა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, არ მინდოდა, მისთვის გული მეტკინა. ამიტომ მხოლოდ გავუღიმიე, რაც შეეძლო, მობოდიშებად მიეღო. სწორედ ამ დროს, ტიპი, სახელად ალექსი გამოხტა: - იცით რა, გარკვეულ ასაკს რომ მიაღწევ...

- სწორედაც... აღმოჩნდება ხოლმე, რომ ყველა ღირსეული კანდიდატი უკვე დაკავებულია, - დაასრულა კოსმომ და სულელურად გაკრეჭილმა მოზრდილ ღიპზე ხელი დაირტყა.

სასადილო მაგიდასთან მაგდამ კოსმოსა და ჯერემის მოსაწყენ ძმას შორის ისე ჩამაკვება, შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ სექსი გვქონდა და ე.წ. „სენდვიჩს“ ვქმნიდით, რომელსაც მწიკვი ინცესტი პიკანტურ გემოს მატებდა.

- უკვე მართლა უნდა იჩქარო, რომ ბავშვის გაგორება მოასწრო, ბებრუხანავ, - ამ სიტყვებით კოსმომ მეოთხედი პინტა (პინტა - სითხის საზომი ერთეული, ბრიტანული პინტა უდრის **0.568** ლიტრს.) სასმელი ჩაიცალა, - დრო არ იცდის.

მაგრამ ამასობაში მეც დაახლოებით იმდენივეს დალევა მოვასწარი.

- უკანასკნელი სტატისტიკა რას ამბობს, ყოველი მესამე ქორწინება სრულდება გაყრით თუ ყოველი მეორე? - წამოვროშე. ვცდილობდი, სიტყვებში რაც შეიძლებოდა მეტი სარკაზმი ჩამექსოვა.

- სერიოზულად გეუბნები, ბებრუხანავ, - კოსმომ ჩემს გამოსვლას ყურადღება არ მიაქცია, - ნებისმიერი სამსახური სავსეა ოცდაათს გადაცილებული მარტოხელა ქალებით. ყველანი შესანიშნავ ფორმაში არიან, მაგრამ კაცს ვერ პოულობენ.
- მაგის პრობლემა არ მაქვს, - ამოვისუნთქე და სიგარეტის კვამლი ჰაერში გავუშვი.
- ოჰო! მიდი, მოგვიყევი, - წამაეჭეზა ვონიმ.
- აბა, რას წარმოადგენს? - დაინტერესდა კოსმო.
- ხანმოკლე სექსპაემნები მოგწონს? - ჩაერთო ჯერემიც. ყველანი მომაჩერდნენ. პირები დაადეს, ლამის დორბლი ჩამოსვლოდათ.
- თქვენი საქმე არ არის! - გავცეცხლდი.
- ესე იგი, კაცი არ ჰყავს, - საზეიმოდ განაცხადა კოსმომ.
- ღმერთო, უკვე თერთმეტი საათია, - დაიწვილა ვონიმ, - ძიძა გველოდება!
- ყველანი წამოხტნენ და სახლებში წასასვლელად მომზადება დაიწყეს.
- ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. არ გეწყინოს, ძვირფასო, - ჩამჩურჩულა მაგდამ, რომელიც შესანიშნავად ხვდებოდა, როგორ ვგრძნობდი თავს.
- სადმე ხომ არ მიგიყვანო? - ბოყინით შემომთავაზა ჯერემის ძმამ.
- მართალი გითხრათ, ლამის კლუბში მივდივარ, - ნერვებისგან აკანკალებული სასწრაფოდ ქუჩაში გავვარდი, - მაღლობელი ვარ შესანიშნავი სადამოსთვის, - ამ სიტყვებით ტაქსიში შევხტი და მაშინვე ცრემლი წამსკდა.
- შუალამე. ჰა-ჰა! ახლახან შერონს ველაპარაკე.
- უნდა გეთქვა: „თქვე იდიოტებო, იმიტომ არ ვთხოვდები, რომ მე თავისუფალი მარტოხელა ვარ, თქვე თვითკმაყოფილო, ნაადრევად დაბერებულო, გონებაშეზღუდულო ჩლოუნგებო“, - შერონს სიტყვების ბრახაბრუხი სიამოვნებდა, - „და კიდევ იმიტომ, რომ ცხოვრების მრავალი გზა არსებობს - ყოველ მეოთხე საოჯახო მეურნეობას მარტოხელა ადამიანი უძღვება, თითქმის ყველა სამეფო ოჯახის წევრი მარტოხელაა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა მამაკაცების დიდი უმრავლესობა საერთოდ არ გამოდგება ოჯახის შესაქმნელად. და აი, შედეგად - ჩემნაირი გოგოების მთელი თაობა, გოგოებისა, რომლებსაც აქვთ საკუთარი შემოსავალი და სახლი, რომლებიც ბევრს მხიარულობენ დასულაც არ სჭირდებათ ვიღაცისთვის წინდების რეცხვა. ჩვენი ბედნიერება უფრო სრულყოფილი იქნებოდა, შურით ატანილი თქვენნაირები რომ არ გვაიძულებდნენ, თავი სულელებად ვიგრძნოთ“.
- თავისუფალი მარტოხელა! - ავიტაცე მხიარულად, - გაგვიმარჯოს თავისუფალ მარტოხელებს!

კვირა, 5 თებერვალი

დენიელისგან ისევ არაფერი ისმის. ვერ შევგუებოვარ, რომ წინ მთელი კვირა დღე მაქვს, როდესაც მსოფლიოში ყველა, რასაკვირველია, ჩემ გარდა, ვინმეს გვერდით წევს და ხითხითებს, ან სექსით არის დაკავებული. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ კვირაზე ოდნავ მეტი დარჩა დამამცირებელ ვალენტინობის დღესასწაულამდე. შანსი არ არის, ვინმესგან მისალოცი ბარათი მივიღო. საჩუქრის მისაღებად ვინმეს ხომ არ გავეარშიყო?

მაგრამ ეს აზრი მაშინვე ამორალურად მივიჩნიე და უარყავი. როგორც ჩანს, მომიწევს სრულ უყურადღებობას შევეგუო და თვალი გავუსწორო.

ჰმმ... მოვიფიქრე! ავდგები და ისევ დედ-მამას ვესტუმრები, მაინც ვნერვიულობ მამაზე. ასეთ შემთხვევაში თავს მის მფარველ ანგელოზად ან წმინდანად ვიგრძნობ.

14:00. უკანასკნელი იმედიც ფეხქვეშ გამომეცალა. სულგრძელ შეთავაზებას მოულოდნელი სტუმრობის შესახებ ყურმილის მეორე მხრიდან მამაჩემის უცნაური, დაეჭვებული ხმა მოჰყვა: – ისა... არ ვიცი, შვილო. შეგიძლია, დამელოდო?

თავბრუ დამეხვა. ახალგაზრდებში (ჰმ, ახალგაზრდებში!) გავრცელებული ერთ-ერთი სტერეოტიპის თანახმად, როგორც კი მშობლების ნახვას ინებებ, ისინი მაშინვე ყველაფერს თავს დაანებებენ და ხელგაშლილები მოგეგებებიან. თუმცა, ასე არ ყოფილა. მამა დაბრუნდა.

– მისმინე, ბრიჯიტ. ახლა მე და დედაშენს ურთიერთობაში პრობლემები გვაქვს. მოდი, შუა კვირაში დაგირეკავთ.

პრობლემები? რა პრობლემები? ვცადე, მამისგან რაიმე გამეგო, მაგრამ ამაოდ. რა ხდება? ნუთუ მთელ მსოფლიოს რთული პერიოდი უდგას? საწყალი მამა! მოიცა, ახლა ყველაფერთან ერთად დანგრეული ოჯახის ტრაგიკული მსხვერპლიც უნდა გავხდე?

ორშაბათი, 6 თებერვალი

8.12 სტ (ქონი სადღაც გაუჩინარდა – ნამდვილი საოცრება), ალკოჰოლის ერთეული – **1** (მ. კ.), სიგარეტი – **9** ღერი (მ.კ.), კალორია – **1800** (კ.).

დენიელი დღეს დაბრუნდება სამსახურში. თავი ღირსეულად და გულგრილად უნდა მეჭიროს და მახსოვდეს, რომ დიდებული ქალი ვარ და სრულყოფილებისთვის მამაკაცი არ მჭირდება, განსაკუთრებით კი ის, რომ არ ვაპირებ მისთვის მიწერას და მით უმეტეს, მისი არსებობის შემჩნევას.

9:30. ჰმ! როგორც ჩანს, დენიელი ჯერ არ მოსულა.

9:35. ისევ არანაირი ნიშანწყალი დენიელის გამოჩენისა.

9:36. ღმერთო, ღმერთო! იქნებ ნიუ იორკში ვინმე შეუყვარდა და იქ დარჩა?

9:47. ან ლას ვეგასში წავიდა და დაქორწინდა?

9:50. ჰმმმ! წავალ, მაკიაჟს შევიმოწმებ, ვაითუ მაინც მოვიდეს.

10:05. გული მუცელში ჩამივარდა, როცა უკან დავბრუნდი და მარკეტინგელ საიმონთან ერთად ასლის გადამღებ აპარატთან მდგარი დენიელი დავინახე. როცა უკანასკნელად ვნახე, საკუთარ დივანზე იწვა და გაოგნებული სახით შემომყურებდა ქვევიდან, სანამ მე ქვედაბოლოს ვიცვამდი და ჩემს შესანიშნავ მონოლოგს ემოციური მოუშწიფებლობის შესახებ თავზე დავყვიროდი. ახლა კი ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ

მივლინებისას დასვენებაც მოეხერხებინა – თავიდან ფეხებამდე გაჯანსაღებული და გამოცოცხლებული ჩანდა. გვერდით რომ ჩავუარე, ჩემს ქვედაბოლოს მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა და ყურებამდე გამეკრიჭა.

10:30. ეკრანზე „ახალი შეტყობინება“ აციმციმდა. „წაკითხვას“ დავაჭირე.

შეტყობინება ჯონსს
ფრიგიდულო ძროხა!
კლივი

სიცილი ამიტყდა. თავი ვერაფრით შევიკავე. მისი შემინული კაბინეტისკენ გავიხედე და დავინახე, რომ გულღიად და მხიარულად მილიმოდა. მერე რა, მაინც არ ვუპასუხებ.

10:35. პასუხის არგაცემა უხეშობად მეჩვენება.

10:45. ღმერთო, მოვიწყინე!

10:47. მხოლოდ პაწაწუნა, მეგობრულ შეტყობინებას გავუზავნი. არავითარი ფლირტი, მხოლოდ კარგ ურთიერთობებს მივაგებ პატივს.

11:00. სისტემაში პერპეტუას სახელით შევძვერი. ცოტას შევაფუცხუნებ.

შეტყობინება კლივს

თქვენ მიერ დასახული გეგმების შესრულება შეუძლებელი იქნება, თუკი გამუდმებით მოაცდენთ ჩემს თანამშრომლებს უაზრო მიმოწერით.

პ.ს. ბრიჯიტის ქვედაბოლო ავად გახდა და დღეს სამსახურიდან გავათავისუფლე.

პერპეტუა

22:00. მე და დენიელი მთელი დღე ვწერდით ერთმანეთს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დავწვები მასთან!

დედას და მამას დავურეკე, მაგრამ ყურმილი არავინ აიღო. რა უცნაურია.

ხუთშაბათი, 9 თებერვალი

9.2 (როგორც ჩანს, ვემაპივით კანქვეშ ვიმარაგებ ქონს ზამთრის გადასატანად), ალკოჰოლის ერთეული – 4, სიგარეტი – 12 ღერი (მ. კ.), კალორია – 2845 (რა ვქნა, ცივა!).

21:00. მსიამოვნებს ზამთრის ზღაპარი – მახსენებს, რომ ყველანი სტიქიათა გულმოწყალების იმედად ვცხოვრობთ, საჭირო არ არის მეტისმეტი კონცენტრირება გამოცდილების დაგროვებასა და შრომისმოყვარეობაზე, ჯობია სახლში თბილად იჯდე და ტელევიზორს უყურებდე.

უკვე მესამედ დავურეკე ამ კვირაში მშობლებს და ისევ არ უპასუხებიათ. იქნებ თოვლმა კაბელები დააზიანა? სასოწარკვეთილმა ყურმილი ავიღე და ჩემს ძმას, ჯეიმის დავურეკე მანჩესტერში. შედეგად მის ერთ-ერთ ხმაურიან ჩანაწერს გადავაწყდი ავტომოპასუხეზე: ჯერ წყლის ნაკადის ხმა გაისმა, მერე ბილ კლინტონით

დაბოხებული ჯეიმის ხმა, ბოლოს ტუალეტში წყლის ჩარეცხვისა და ჯეიმის აუტანელი მეგობარი გოგონას ხითხითის ხმები დაემატა.

21:15. სამჯერ ზედიზედ დავურეკე დედ-მამას. თითოეულ ჯერზე ოცჯერ ვაცადე ზარს გასვლა. საბოლოოდ, დედამ მიპასუხა უცნაური ტონით და გამომიცხადა, ახლა ვერ დაგელაპარაკები, კვირის ბოლოს თვითონ დაგირეკავო.

შაბათი, 11 თებერვალი

8.13 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **4**, სიგარეტი – **18** ღერი, კალორია – **1467** (მაგრამ იმდენი ვირბინე საყიდლებზე, მგონი დავწვი).

ახლახან დავბრუნდი საყიდლებიდან და მამას შეტყობინება დამხვდა, კვირას სადმე ხომ არ შემხვდები, რომ ერთად ვისადილოთო. ჯერ გამაცია, მერე დამცხა. კვირას ლონდონში ჩემთან ერთად სასადილოდ მამაჩემი საკუთარი ნებით არასოდეს ჩამოდის. სახლში რჩება და დედას მომზადებულ შემწვარ ხორცს ან ორაგულს მიირთმევს ახალ კარტოფილთან ერთად.

– არ გადმომირეკო, – მთხოვდა შეტყობინებაში, – უბრალოდ, ხვალ გამოგივლი.

რა ხდება? ნერვიულობისგან აცახცახებული კუთხის მაღაზიაში გავვარდი და სიგარეტი ვიყიდე. სახლში დაბრუნებულს დედას შეტყობინება დამხვდა. თურმე ისიც ლონდონში აპირებს ჩამოსვლას ჩემს სანახავად, თანაც – ისიც სადილზე. ორაგულის ნაჭერს წამოვიღებ და შენთან პირველ საათზე მოვალო.

ისევ ჯეიმის დავურეკე და ჯერ ოცი წამის განმავლობაში ბრუს სპრინგსტინს ვუსმენდი, მერე კი ჯეიმის ღრენასავით ნამღერს: „მვირფასო, მე სიჩქარისთვის დავიზადე... სად მაქვს დრო ავტომობილის მოსასმენად“.

კვირა, 12 თებერვალი

8.13 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **5**, სიგარეტი – **23** ღერი (რა გასაკვირია!), კალორია – **1647**.

11:00. ღმერთო, როგორ შეიძლება ორივეს ერთდროულად და თანაც – ცალ-ცალკე შევხვდე? რა უბედურებაა? იქნებ მთელი ეს სადილის ამბავი ჩემი მშობლების რაღაც უკბილო ხუმრობაა, ფარული კამერასავით? რა სანახაობა იქნება, დედა რომ ცოცხალი, სხმარტალა ორაგულის თანხლებით დამადგეს თავზე და გამომიცხადოს, მამაშენს ვტოვებ და ამასთან ერთად გავრბივარო. მერე ფანჯარაში ცირკის მასხარასავით გამოწყობილი, თავდაყირა ჩამოკიდებული მამა გამოჩნდეს, შუშა შემოამტვრიოს და დედას თავში ბუმტის ცემა დაუწყოს, ან მოულოდნელად გამოვარდეს საკუჭნაოდან, ზურგში გარჭობილი პლასტმასის დანით! ერთადერთი, რაც ახლა მიშველის, „სისხლიანი მერია“. არაფერი დაშავდება, უკვე თითქმის შუადღეა.

22:05. დედამ დამირეკა.

- კარგი, მაშინ იმან გნახოს, - ჩაიბუზღუნა, - როგორც ყოველთვის, ისე იყოს, როგორც მაგ წყეულს სურს (ჩვეულებრივ, დედაჩემი არ ილანძღება. დიდი-დიდი „ჯანდაბა“, ან „ღმერთო ჩემო“ წამოიძახოს). ჯანდაბა, უმისოდაც კარგ დროს გავატარებ. სახლს დავალაგებ, თითქოს დედინაცვალისგან დასჯილი კონკია ვიყო (ნეტავ ნასვამი ხომ არ იყო? მაგრამ დედაჩემს 1952 წლის შემდეგ აღარაფერი დაუღევია, როცა მევის ენდერბის დაბადების დღეზე ჭიქა ხერესმა თავბრუ დაახვია; ეს შემთხვევა სამუდამოდ დაამახსოვრდა: „ძვირფასო, ნასვამ ქალზე უარესი არაფერია!“).

- არა, დედა, მოიცა. ნუთუ არ შეიძლება, ყველამ ერთად ვისადილოთ და ყველაფერი ერთად გავარკვიოთ? - ისე შევთავაზე, თითქოს ყველანი ფილმის „უძინარნი სიეტლში“ პერსონაჟები ვყოფილიყავით და სადილი აუცილებლად ჩემი მშობლების გადაჭდობილი თითებით დასრულდებოდა, მე კი, უზარმაზარ ზურგჩანთამოკიდებული, უხილავ კამერას თვალს ჩავუკრავდი.

- დაიცადე და ნახავ, როგორები არიან კაცები, - დამემუქრა იდუმალად.

- მაგრამ, მე უკვე... - დავიწყე.

- გასვლას ვაპირებ, - გამაწყვეტინა დედამ, - გასვლას ვაპირებ და ვინმესთან დაწოლას. ორ საათზე მამა მოვიდა და „სანდი ტელეგრაფის“ აკურატულად დაკეცილი ეგზემპლარი მოიტანა. დივანზე ჩამოჯდა თუ არა, მაშინვე სახე მოეღრცა და ცრემლი წასკდა.

- ასე ალბუფეირაში უნა ალკონბერისა და ოდრი კოულთან ერთად დასვენების შემდეგ იქცევა, - ქვითინებდა და ცდილობდა, სველი ლოყები მუშტით მოეწმინდა, - დაბრუნებულმა მოთხოვნები წამომიყენა - მიინდა დიასახლისობისთვის ხელფასი გადამიხადო, მთელი ცხოვრება თქვენს მონობას შევალიყო (ჩვენს მონობას? ვიცოდი! ყველაფერი ჩემი ბრალია. მე რომ უკეთესი ადამიანი ვყოფილიყავი, დედას მამა ისევ ეყვარებოდა...). უნდა, რომ ცოტა ხნით სახლიდან წამოვიდე და ამბობს, რომ მე... რომ მე...

- ხმა ჩაუწყდა და ახლა უხმოდ განაგრძო ქვითინი.

- რა, მამა?

- თქვა, რომ კლიტორი ნაიჯელ კოულის პეპლების კოლექციის ეგზემპლარი მგონია!

ორშაბათი, 13 თებერვალი

9.1 სტ, ალკოჰოლის ერთეული - 5, სიგარეტი - 0 ღერი (ერთბაშად შეწყვეტა; სულიერი ამაღლებისას მოწვევის სურვილი ქრება), კალორია - 2845.

მართალია, მშობლების საწუხარი გულს მიკლავს, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ სამარცხვინოდ კმაყოფილიც ვარ ჩემი, როგორც მზრუნველი ადამიანისა და გონიერი მრჩევლის როლით. იმდენი ხანია სხვებისთვის აღარაფერი გამიკეთებია, რომ ეს ყველაფერი რაღაც ახალი და სენსაციური მეჩვენება. აი, თურმე რა მაკლდა ცხოვრებაში! უკვე წარმოვიდგინე, როგორ ვხდები კეთილი სამარიტელი, ან რომელიმე საკვირაო სკოლის მასწავლებელი, როგორ ვამზადებ წვნიანს(ან, როგორც ტომმა შემომთავაზა - მომცრო ბრუსკეტებს პესტოს სოუსით) უსახლკაროებისთვის, ან ექიმად გადამზადების კურსებზე ვეწერები. იქნებ რომელიმე ექიმთან რომანი გამეჩადებინა - სექსუალურადაც დამაკმაყოფილებდა და სულიერადაც. ისიც კი ვიფიქრე, განცხადება ხომ არ

გამოვაქვეყნო გაზეთ „ლანცეტის“ მარტოხელათა სვეტში-მეთქი. ექიმი მეგობრისთვის რას აღარ გავაკეთებდი – ვუპასუხებდი სატელეფონო ზარებს, თავიდან მოვაშორებდი პაციენტებს, რომლებსაც ღამე ენდომებოდათ მიღება, მოვუმზადებდი თხის ყველის სუფლეს... მაგრამ ალბათ მერე, სამოცი წლის ასაკში, დედაჩემივით ყველაფერს დავაყვედრებდი.

ოჰ, ღმერთო, ხვალ ვალენტინობაა! რატომ? რატომ? მთელი მსოფლიო იმაზე იქნება მომართული, რომ სიყვარულში წარუმატებელ ადამიანებს თავი სულელებად გვაგრძნობინოს, არადა, ხომ ყველამ ვიცით, რომ სიყვარულისგან დიდი ხიერი მაინც არ არის? აი, მაგალითად სამეფო ოჯახი ავიღოთ. ან თუნდაც დედაჩემი და მამაჩემი.

ვალენტინობა ერთი კომერციული, ცინიკური დღესასწაულია. და ჩემთვის სრულიად უინტერესოა.

სამშაბათი, 14 თებერვალი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **2** (ვალენტინობის დღის პატივსაცემად ორი ბოთლი ლუდი მარტომ დავლიე, ჰე-ჰე!), სიგარეტი – **12** ღერი, კალორია – **1545**.

8:00. ოოჰ, ჯანდაბა! ვალენტინობა. ნეტავ, ფოსტა უკვე მოიტანეს? იქნებ დენიელმა ბარათი გამომიგზავნა. ან რომელიმე ფარულმა თაყვანისმცემელმა. ან ყვავილები და გულის ფორმის შოკოლადები მომართვეს. ცუდი არ იქნებოდა.

აღტაცება დამეუფლა, როდესაც ჰოლში ვარდების თაიგული შევნიშნე. დენიელი! კისრისტეხით დავეშვი კიბეზე და როგორც კი მხიარულად ვტაცე ხელი, ქვედა ბინის კარი გაიღო და ვანესა გამოვიდა.

– რა მშვენიერი თაიგულია, – შურით წამოიძახა, – ვისგანაა?
– არ ვიცი, – მორცხვად ვუპასუხე და ბარათს დავხედე, – ოჰ... შენი ყოფილა.
– არა უშავს. აი, ეს კი შენ, – „გამამხნევა“ ვანესამ და გადასახადების ქვითარი გამომიწოდა.

გადავწყვიტე, რომ სამსახურში მისვლამდე კაპუჩინოსა და შოკოლადიანი კრუასანების მირთმევა გამომიკეთებდა გუნებას. რა დროს სხეულზე დარდია. მაინც არავის ვუყვარვარ და არავინ ზრუნავს ჩემზე.

მეტროთი მგზავრობისას ადვილად შეამჩნევდით, ვინ მიიღო მისალოცი ბარათი და ვინ არა. ყველა ერთმანეთს ათვალიერებდა და მზეერების შეხვედრისას ან მხიარულად იღიმოდა, ან თვალის არიდებას ცდილობდა.

სამსახურში მისულმა შევამჩნიე, რომ პერპეტუას მაგიდაზე უზარმაზარი თაიგული იდო.

– აბა, ბრიჯიტ, – დაიღრიალა მან ყველას გასაგონად, – შენ რა მიიღე?
სკამზე დავეხეთქე და დამცირებული თინეიჯერივით კბილებში გამოვცარი: – მოკ-კ-კე-ტ-ტე!

– კარგი, რა! გვითხარი.
„ახლა მოვა და ყურს ამიწევს, ან რამე ასეთს ჩაიდენს“, – გამიელვა გონებაში, ხმამაღლა კი გამოვუცხადე:

- მთელი ეს დღესასწაული უაზრო და სასაცილოა. უბრალოდ, კომერციული მიზნებისთვის გამოიგონეს.

- ვიცოდი, რომ არაფერი მიგიღია, - დაიგრგვინა პერპეტუამ. მხოლოდ მაშინ მოვკარი თვალი ოთახის მეორე ბოლოში მდგარ დენიელს. გვისმენდა და იცინოდა.

ოთხშაბათი, 15 თებერვალი

მოულოდნელი სიურპრიზი. სამსახურში წასვლას ვაპირებდი, როცა ჰოლში მაგიდაზე ვარდისფერი კონვერტი შევამჩნიე - ნამდვილად დაგვიანებული ვალენტინობის მისალოცი ბარათი იყო - რომელსაც ეწერა „მწუხრის ლამაზმანს“. წამით გამიხარდა, ჩემი მეგონა და საკუთარი თავი მამაკაცთა ბნელი, იდუმალი სურვილების ობიექტად წარმოვიდგინე. შემდეგ ის წყეული ვანესა და მისი მუქი კულულები გამახსენდა. ფუ, ამის!

21:00. ახლახან დავბრუნდი და კონვერტი ისევ იქაა.

22:00. ისევ იქაა.

23:00. დაუჯერებელია. კონვერტი ისევ იქაა. ნუთუ ვანესა ჯერ არ დაბრუნებულა?

ხუთშაბათი, 16 თებერვალი

8.12 სტ (წონის დაკლებაში კიბეზე სირბილი დამეხმარა), ალკოჰოლის ერთეული - **0** (ბრწყინვალეა), სიგარეტი - **5** დერი (ბრწყინვალეა), კალორია - **2452** (ცუდია), კიბეზე ჩარბენის რაოდენობა ვანესას კონვერტის შესამოწმებლად - **18** (ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის ცუდია, სამაგიეროდ ვარჯიშად მეთვლება).

ბარათი ისევ იქ დევს! ყუთში ჩარჩენილ უკანასკნელ კანფეტს ჰგავს, ან ნამცხვრის უკანასკნელ ნაჭერს თეფშზე - ორივე ჩვენგანი ზრდილობის გამო უარს ვამბობთ მის აღებაზე.

პარასკევი, 17 თებერვალი

8.12 სტ, ალკოჰოლის ერთეული - **1** (მ. კ.), სიგარეტი - **2** დერი (მ. კ.), კალორია - **3241** (ცუდია, მაგრამ კიბეზე სირბილი დაწვავს), კონვერტის შემოწმების რაოდენობა - **12** (აკვიატებად მექცა).

9:00. კონვერტი ისევ აქაა.

21:00. ისევ აქაა.

21:30. ისევ აქაა. მეტი აღარ შემიძლია. დარწმუნებული ვარ, რომ ვანესა სახლშია და საჭმელს ამზადებს - ბინიდან სურნელი გამოდის. კარზე დავაკაკუნებ.

- მგონი, ეს შენია, - ვუთხარი, როგორც კი კარი გააღო და კონვერტი გავუწოდე.
- ოჰ, მე კი მეგონა, შენი იყო, - მიპასუხა.
- იქნებ გაგვეხსნა? - შევთავაზე.
- კარგი.

კონვერტი მივაწოდე, მან დამიბრუნა, თან ნერვიულად ხითხითებდა. მე ისევ მივაწოდე. რა ვართ ეს ქალები!

- მიდი, - გავამხნევე და მანაც კონვერტის კიდე სამზარეულოს დანით გაჭრა, რომელიც ხელში ეჭირა. მისალოც ბარათზე ფერწერული ნახატი იყო, ალბათ ხელოვნების რომელიმე გალერეაში შეიძინეს.

ვანესას გამომეტყველება შეეცვალა.

- ვერაფერს ვუკავშირებ, - მითხრა და ბარათი გამომიწოდა.

„სასაცილო და უაზრო კომერციული დღესასწაულის მცირედი ნაწილი ჩემი ძვირფასი, პატარა, ფრიგიდული ძროხისთვის“ - ეწერა შიდა მხარეს.

თავი ველარ შევიკავე და მთელი ხმით ვიღრიალე.

22:00. ახლახან დავურეკე შერონს და ყველაფერი ვუამბე. მითხრა, ცხვირი არ უნდა ჩამოუშვა რაღაც იაფფასიანი მისალოცი ბარათის გამო, და საერთოდ, დაიკიდე დენიელი, რადგან ცუდი პიროვნებაა და მისგან კარგს არაფერს უნდა მოელოდეო.

შემდეგ ტომს დავურეკე, რომ მისი აზრიც მომესმინა, უფრო სწორად, მაინტერესებდა, უნდა დამერეკა თუ არა დენიელისთვის შაბათკვირას. „არრრრრააა!“ - ამიკრძალა ყვირლით. უამრავი კითხვა დამისვა: მაგალითად, როგორ იქცეოდა დენიელი უკანასკნელ დღეებში, ბარათის გამოგზავნის შემდეგ და რამე ისეთი ხომ არ ჩამიდენია, რაც შეეძლო პასუხად მიეჩნია. ვუპატაკე, კლივერი ჩვეულებრივზე უფრო მეტად მეარშიყებოდა-მეთქი.

ტომმა ვერდიქტი გამომიტანა:

- შემდეგ კვირამდე დაიცადე და მისგან რაც შეიძლება შორს გეჭიროს თავი.

შაბათი, 18 თებერვალი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული - **4,** სიგარეტი - **6** ღერი, კალორია - **2746,** რიცხვები, რომლებიც ლატარიის ბილეთებს დაემთხვა - **2** (d. კ.).

როგორც იქნა, გავარკვიე, რა სჭირთ ჩემს მშობლებს. არადა, უკვე მთელი სცენარი მქონდა წარმოდგენილი, როგორ იჯდა პორტუგალიური არდადეგებიდან დაბრუნებული დედაჩემი რომელიმე სატელევიზიო სტუდიაში ქერად შეღებილი თმითა და გამომწვევი, ლეოპარდის პრინტიანი ბლუზით, ვიღაც გახეხილჯინსიან გონსალესთან ერთად და გვარწმუნებდა, რომ როცა ადამიანი მართლა შეგიყვარდება, ორმოცდაექვსწლიანი ასაკობრივი სხვაობა არაფერს ნიშნავს.

დღეს კი დამირეკა და მთხოვა, სადმე ერთად დაგველია ყავა. მეც მაშინვე ვაჯახე, ვინმეს ხვდები თუ არა-მეთქი.

- არა, არავინ მყავს, - მიპასუხა და მწუხარე, მაგრამ გულადი გამომეტყველებით გახედა სივრცეს. შემიძლია დავიფიცო, რომ ეს ჟესტი პრინცესა დაიანასგან გადმოიღო.

- მაშინ რატომ ექცევი მამას ასე უხეშად?

- იცი, ძვირფასო, უბრალოდ გავაცნობიერე, რომ... მას შემდეგ, რაც მამაშენი პენსიაში გავიდა, უცრად მივხვდი, რომ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში შეუსვენებლად ვმუშაობდი მის სახლში და ვზრდიდი მის შვილებს...

- კი მაგრამ, მე და ჯეიმი შენი შვილებიც ვართ, - გავაწყვეტინე გულნატკენმა.

- მისი მუშაობა პენსიაში გასვლით დასრულდა, ჩემი კი ისევ გრძელდებოდა. სწორედ ამას ვგრძნობდი მაშინაც, როცა პატარები იყავით და არდადეგები გეწყებოდათ. ადამიანი ერთხელ ცხოვრობ. გადავწყვიტე, ყველაფერი შემეცვალა და დარჩენილი დრო საკუთარი თავისთვის დამეთმო და არა მისთვის.

ანგარიშის გადასახდელად, სალაროსთან მისული გონებაში ისევ მის სიტყვებს ვატრიალებდი და ვცდილობდი, როგორც ფემინისტს, როგორმე დედის მხარე დამეჭირა. უცებ თვალში მომხვდა ევროპული სტილის ტყავის ქურთუკში გამოწყობილი მაღალი, წარმოსადეგი, ჭაღარათმიანი მამაკაცი, პატარა დიპლომატიური ხელში. მან კაფეში შემოიხედა, თითი მაჯის საათზე დაიკაკუნა და მრავალმნიშვნელოვნად ასწია წარბები. მოვტრიალდი და დავინახე, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით როგორ წარმოთქვა დედაჩემმა: „ახლავე მოვალ“ და თვალით ჩემზე ანიშნა.

მისთვის არაფერი მითქვამს, უბრალოდ დავემშვიდობე, შემდეგ ჩუმად დავბრუნდი შენობაში და უკან გავყევი, რომ დავრწმუნებულიყავი, არაფერი მეღანდებოდა. მალე პარფიუმერულ განყოფილებაში იმ მამაკაცთან ერთად აღმოვაჩინე. თითოეულ სუნამოს რიგრიგობით იღებდა თაროდან, მაჯაზე იკპურებდა და მერე თანმხლების ცხვირთან მიჰქონდა, თან კეკლუცად უცინოდა.

სახლში ავტომობილსაუბრეზე ჩემი ძმის, ჯეიმის შეტყობინება დამხვდა. მაშინვე გადავურეკე და ყველაფერი ვუამბე.

- ოჰ, ღვთის გულისათვის, ბრიჯიტ! - ლამის ჩაბყირდა, - სექსზე ფიქრით ისეთი შეპყრობილი ხარ, დედა ეკლესიაში რომ დაგენახა ზიარების მისაღებად დაჩოქილი, იფიქრებდი, მღვდელს მინეტს უკეთებდესო. მართლა, ვალენტინობას მიიღე მისალოცი ბარათი?

- შენ წარმოიდგინე, კი, - ღრმად ამოვიოხრე. ჯეიმი ისევ ჩაბყირდა. მერე მითხრა, უნდა წავიდე, მე და ბეკამ პარკში ტაიპიში (ტაიპი - ჩინური საბრძოლო ხელოვნება ძლიერი მედიატური კომპონენტით.) უნდა ვივარჯიშოთო.

კვირა, 19 თებერვალი

8.13 სტ (ძ. კ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნერვიულობის შედეგია), ალკოჰოლის ერთეული - **2** (კვირას დალევს საღვთო საქმეა), სიგარეტი - **7** ღერი, კალორია - **2100**.

დედას დავურეკე და იმ თავის გამოწვეპილ მეგობარზე ვკითხე, რომელთანაც ლანჩის შემდეგ დავინახე.

- ოჰ, ალბათ ჯულიანს გულისხმობ, - აღელდა.

ყველაფერს ნათელი მოეფინა. ჩემი მშობლები მეგობრებს მხოლოდ სახელით არასოდეს მოიხსენიებენ. ყოველთვის სრულად ამბობენ - უნა ალკონბერი, ოდრი კოული, ბრაიან ენდერბი... „ხომ იცნობ დევიდ რიკეტსს, ძვირფასო, ანთეა რიკეტსის ქმარს, მაშველთა ჯგუფში რომ მუშაობს“. ეს ადასტურებს, რომ გულის სიღრმეში მშვენივრად იციან, წარმოდგენა არ მაქვს მევის ენდერბის ვინაობაზე, მაგრამ

მიუხედავად ამისა, შემდეგი ორმოცი წუთის განმავლობაში ბრაიან და მევის ენდერბებზე საუბრით გამომიჭედავენ ყურებს, თითქოს მათ ხელში ვიყო გაზრდილი.

მაშინვე მივხვდი, ჯულიანი რომელიმე მაშველთა ჯგუფის წევრი არ აღმოჩნდებოდა, არც ცოლი ეყოლებოდა ამ ჯგუფიდან. ისიც გასაგები იყო, რომ დედამ ის პორტუგალიაში გაიცინო, მამასთან მისი პრობლემების დაწყებამდე, და შესაძლოა, სინამდვილეში მას ჯულიანი კი არა, ჯულიო რქმეოდა. სწორედ ეს ჯულიო გახდა ჩემი მშობლების დაშორების მიზეზი.

მაშინვე ყველაფერი პირში მივახალე. დედამ უარყო. რაღაც სულელური ზღაპარიც კი მიაძმო, თითქოს „ჯულიანი“ მას შემთხვევით დაეჯახა „მარკს ენდ სპენსერში“ და იმწუთას ნაყიდი ფაიფურის ლანგარი გააგდებინა ხელიდან, ლანგარი დაიმსხვრა, მან კი ზარალის ასანაზღაურებლად ქალი ჭიქა ყავაზე დაპატიჟა. დედას ვერსიით სწორედ ასე დაიწყო მათი „წმინდად პლატონური მეგობრობა, რომელიც მხოლოდ სავაჭრო ცენტრების კაფეტერიებში შეხვედრებით შემოიფარგლება“.

რატომ ფიქრობს ხალხი, რომ როცა ახალი ვინმეთი გატაცების გამო პარტნიორებს შორდებიან, თავის მოკატუნება ჯობია, თითქოს არავინ ჰყავთ? ნუთუ ჰგონიათ, რომ მათი ყოფილი პარტნიორისთვის ნაკლებად მტკივნეული იქნება აზრი, რომ საყვარელ ადამიანს უმიზეზოდ მოხეზრდა მის გვერდით ყოფნა და მაშინვე ისე გაუღიმა ბედმა, რომ განშორებიდან ორ კვირაში ომარ შარიფივით ეშხიან, მაღალ ჯენტლმენს შეხვდა, მაშინ, როცა მისი ყოფილი ჯერ კიდევ ცრემლებად იღვრება თაროზე საყვარელი ადამიანის კბილის ჯაგრისის დანახვისას? ზოგიერთი ადამიანი მუდამ ტყუილს იგონებს მოსაბოდიშებლად, მაშინაც კი, როცა სიმართლე ბევრად უფრო უმტკივნეულოა. ერთხელ ჩემი მეგობარი საიმონი იძულებული გახდა, შეხვედრა გადაედო – პაემანი გოგოსთან, რომელზეც ჭკუას კარგავდა – მხოლოდ იმიტომ, რომ ცხვირზე უზარმაზარი მუწუკი გაუჩნდა, თანაც ფინანსური კრიზისის გამო სამსახურში ძველი, სამოცდაათიანი წლების ჟილეტით წავიდა (დანარჩენი ტანსაცმელი ქიმწმენდაში ჰქონდა ჩაბარებული. საიმონი ვარაუდობდა, რომ სადილამდე მათ წამოღებას მოახერხებდა, მაგრამ დათქმულ დროს ტანსაცმელი გაწმენდილი არ აღმოჩნდა).

ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ სიმართლე ელიარებინა, გოგონას უთხრა, ვერ გნახავ, რადგან მოულოდნელად ჩემი და მეწვია და სალამო მასთან ერთად უნდა გავატაროო. მერე რატომღაც ისიც დაამატა, ხვალ დილამდე რამდენიმე ვიდეოჩანაწერს უნდა ვუყუროო. გოგომ მშვიდად გაახსენა – ნათქვამი გაქვს, რომ დედისერთა ხარ, მოდი, სახლში მესტუმრე და მაგ ჩანაწერებს აქ უყურე, მე კი ვახშამს მოგიმზადებო. რასაკვირველია, არანაირი სამსახურებრივი ვიდეოჩანაწერები არ არსებობდა, ამიტომ საიმონს კიდევ მოუხდა ტყუილების შეთხზვა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ გოგონამ, რომელიც დაეჭვდა, ჩვენს მეორე პაემანზე უკვე ვიღაცასთან მღალატობსო, მიატოვა, და ცხვირზე მუწუკამოსული, სამოცდაათიანი წლების ჟილეტში გამოწყობილი საიმონი სიმწრისაგან მთელი სალამო კედელს ურტყამდა თავს.

ვცადე, დედასთვის ამეხსნა, რომ ეს ტყუილები დამაჯერებლად არ ჟღერდა, მაგრამ ახალ გატაცებას, როგორც ჩანს, თავგზა აერია მისთვის.

– ძალიან ცინიკოსი და ეჭვიანი გახდი, ძვირფასო, – მისაყვედურა, – „ჯულიო“ – როგორ არა! ჰა-ჰა-ჰააა! ის, უბრალოდ, მეგობარია. რატომ არ გესმის, პირადი სივრცე

მჭირდება. აღმოჩნდა, რომ მისთვის ამ „სივრცის“ მისაცემად მამა სახლიდან გადადიოდა და ალკონბერების გარდაცვლილი ბების ბინაში იცხოვრებდა, მათი ბაღის უკიდურეს ბოლოში.

სამშაბათი, 21 თებერვალი

ძალიან დავიღალე. მამამ ღამით რამდენჯერმე დამირეკა, უბრალოდ, სალაპარაკოდ.

ოთხშაბათი, 22 თებერვალი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 2, სიგარეტი – 9 ღერი, ქონის ერთეული – 8 (სრულიად მოულოდნელი აღმოჩენა: ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ გვერდებსა და უკანალზე ცხიმს ერთეულობით დავითვლიდი. ხვალიდან ისევ კალორიების თვლას დავუბრუნდები).

ტომი მართალი აღმოჩნდა. ისეთი გადართული ვიყავი მშობლების პრობლემებზე და ისეთი დაღლილ-გაუბედურებული მამის ღამეული სატელეფონო ზარებით, რომ დენიელი საერთოდ არ შემიმჩნევია. და ჰოი საოცრება! სულ კუდში დამდევეს. თუმცა, დღეს ცოტა თავი შევირცხვინე. სენდვიჩის საყიდლად გავდიოდი, როცა ლიფტში დენიელს და მარკეტინგელ საიმონს შევხვდი, თამაშების შედეგების გაყიდვის გამო დაკავებულ ფეხბურთელებზე ლაპარაკობდნენ.

– გსმენია რამე ამაზე, ბრიჯიტ? – მკითხა დენიელმა.

– რასაკვირველია, – ვიცრუე და ვცადე, ჭკვიანური მოსაზრება გამომეთქვა, – ჩემი აზრით, უმნიშვნელო ამბავია. ვიცი, რომ ეს თავზეხელაღებული საქციელია, მაგრამ ცეცხლი ხომ არავისთვის წაუკიდებიათ, რა საჭიროა ამდენი აურზაური?

საიმონმა ისე შემომხედა, ნამდვილად გიჟი ვეგონე. დენიელიც წუთით მომაჩერდა და მერე სიცილი აუტყდა. სანამ ის და საიმონი ლიფტიდან გავიდოდნენ, არ გაჩერებულა, გასვლისას კი მოტრიალდა და კარის დახურვამდე, მომამახა: – გადარეულო, ცოლად არ გამომყვები?

ჰმ!

ხუთშაბათი, 23 თებერვალი

8.13 სტ (რატომ ვერ ვახერხებ წონის შენარჩუნებას და რატომ ვტივტივებ ჩაძირული გვამივით – ჰო, ქონში ჩაძირულივით?), ალკოჰოლის ერთეული – 2, სიგარეტი – 17 ღერი (სექსისწინა ნერვულობის ბრალია – მომეტევება), კალორია – 775 (სასოწარკვეთილი მცდელობა ხვალამდე დაკლებისა).

20:00. აი, ეს მესმის! შეტყობინებებით ურთიერთობამ მწვერვალს მიაღწია. ექვს საათზე მტკიცედ ჩავიცვი პალტო და სამუშაო მაგიდა დავტოვე, მაგრამ ქვედა სართულზე ლიფტში დენიელი შემოვიდა. მხოლოდ ორნი ვიყავით, მე და ის, ჩვენ შორის რაღაც აუხსნელი ელექტრული ველი გაჩნდა, რომელიც ერთმანეთისკენ ორი მაგნიტით გვიზიდავდა. მოულოდნელად ლიფტი გაჩერდა და ერთმანეთს მაშინვე ქოშინით

მოვშორდით, რადგან კაბინაში მსუქანი სხეულის დასამალად ფართხუნა, კრემისფერ პალტოში გამოწყობილი მარკეტინგელი საიმონი შემოვიდა.

- ბრიჯიტ, - გამეკრიჭა, როცა უნებურად ქვედაბოლო გავისწორე, - ისეთი გამომეტყველება გაქვს, თითქოს მშობლებმა ასანთთან თამაშის დროს გამოგიჭირეს.

შენობიდან გამოსულს დენიელი დამეწია და მიხოვა, ხვალ ჩემთან ერთად ისადილეო. არიის!

შუადამე. უჰ! სრულიად გადავიქანცე. ნამდვილად არანორმალურია, ისე ემზადებოდე პაემნისთვის, თითქოს სამსახურში მოსაწყობ გასაუბრებაზე მიდიოდე. ვშიშობ, დენიელის მეტისმეტად განათლებული გონება ჩვენს ურთიერთობას საფრთხეს შეუქმნის, თუ, რასაკვირველია რამე გამოგვივიდა. იქნებ ვინმე უფრო ახალგაზრდა და უჭკუო უნდა შემეყვარებინა, ვინც სადილს მომიმზადებდა, ტანსაცმელს გამირეცხავდა და რაც უნდა მეთქვა, ყველაფერზე კვერს დამიკრავდა? სამსახურიდან დაბრუნებული რას აღარ მივედ-მოვედე: დაცემამდე ვივარჯიშე აერობიკაში, შვიდი წუთი უხეში ჯაგრისით ვიხეხე სხეული, ბინა დავალაგე, მაცივარი შევაკე, წარბები ამოვიპუტე, გაზეთები და „გზამკვლევი სექსის სამყაროში“ გადავათვალიერე, სარეცხი მანქანა ჩავრთე და თვითონ ვცადე ფეხებიდან ცვილით თმის მოშორება, რადგან სალონში ჩასაწერად უკვე გვიანი იყო. შედეგად, ბოლოს მუხლებზე მდგარი ვცდილობდი აქა-იქ მიწებებული ცვილი როგორმე მომეცილებინა და თან ტელევიზორში ღამის ახალ ამბებს ვუყურებდი, რომ ყოველი შემთხვევისთვის მოვლენებზე საკუთარი აზრი მქონოდა. ზურგი მტეხს, თავი მტკივა, ფეხები კი სულ დაწითლებული და ცვილის გუნდებით დაფარული მაქვს.

ჭკვიანი ხალხი მეტყოდა, დენიელს ისეთი უნდა მოეწონო, როგორც ხარო, მაგრამ მე „კოსმოპოლიტენის“ კულტურის შვილი ვარ - სუპერმოდელების გარეგნობითა და უამრავი ტესტით ტრავმირებული. თუ ამ ჟურნალს დავუჯერებთ, არც ჩემი პიროვნება აკმაყოფილებს მოთხოვნებს და არც ჩემი სხეული. ასეთ წნებს ვერ ვუძლებ. შეხვედრაზე უარს ვეტყვი და საღამოს დონატების ჭამაში გავატარებ, კვერცხით დალაქავებულ ჟაკეტში გამოწყობილი.

შაბათი, 25 თებერვალი

8.10 სტ (სასწაულია: სექსი, როგორც აღმოჩნდა, მართლა საუკეთესო ვარჯიშია), ალკოჰოლის ერთეული - **0**, სიგარეტი - **0** ღერი, კალორია - **200** (ბოლოს და ბოლოს აღმოვაჩინე, როგორ არ უნდა ჭამო - უბრალოდ, საჭმელი სექსით ჩაანაცვლეთ).

18:00. რა ბედნიერი ვარ. მთელი დღე სახლში დავბანცალე, ვილიმი, ნივთებს ვიღებ და ისევ საკუთარ ადგილზე ვდებ - ჩემს მდგომარეობას მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვუწოდო - სექსით სიმთვრალე. ისეთი კარგი იყო! თუმცა, მაინც ჰქონდა მინუსები: **1)** როგორც კი გავათავეთ, დენიელმა წამოიძახა: - ჯანდაბა, დამავიწყდა, მანქანა სადგომზე დამეტოვებინა. **2)** შხაპის მისაღებად რომ ავდექი, წინდები დუნდულაზე მქონდა მიკრული და მან ეს შეამჩნია.

მაგრამ როგორც კი ვარდისფერმა ღრუბლებმა გაფანტვა დაიწყო, მაშინვე განგაშმა შემიპყრო. ახლა რა მოხდება? არაფერი დაგვიგეგმავს. უცებ გავიაზრე, რომ ისევ მისი

ზარის მოლოდინში ვარ. როგორ მოხდა, რომ ერთად გატარებული დამის შემდეგ სიტუაცია ისევ გაურკვეველია? თავს ისე ვგრძნობ, თითქოს გამოცდა ჩავაბარე და ახლა ქულების გამოცხადებას ველოდები.

23:00. ღმერთო! რატომ არ დამირეკა დენიელმა? ახლა ერთმანეთს ვხვდებით, თუ არა? რა უსამართლობაა, დედაჩემი ერთი ურთიერთობიდან მეორეზე გადადის, მე კი ერთი ვერ გამიბამს. იქნებ მშობლების თაობას ურთიერთობის უკეთესი უნარი აქვს? იქნებ ისინი უბრალოდ თავს არ იტანჯავენ პარანოიდული შიშებით? იქნებ თუ ტვინი თვითმასწავლებელი წიგნებით არ გაქვს გამოტენილი, ცხოვრება უფრო იოლია?

კვირა, 26 თებერვალი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 5 (სევდა უნდა ჩავახრჩო), სიგარეტი – 23 ღერი (სევდა უნდა გავგუდო), კალორია – 3856 (სევდა ქონში უნდა გავაზავო).

მარტოდმარტო გავიღვიძე და რატომღაც ჯულის გვერდით მწოლიარე დედაჩემზე დავიწყე ფიქრი. მაშინვე ზიზღი ვიგრძენი მშობლების, უფრო სწორად, ნახევრად მშობლების სექსის მიმართ; გაცოფებაც – მამას გამო; წამიერი, ეგოისტური ოპტიმიზმი – იმის წარმოდგენისას, რომ აღვირახსნილი სექსისთვის წინ კიდევ ოცდაათი წელი მქონდა (კიდევ ერთხელ გავიხსენე გოლდი ჰოუნისა და სიუზენ სარანდონის მაგალითები); მაგრამ ყველაფერს მაინც უკიდურესი ექვიანობა, მარცხი და გასულელების შეგრძნება სჭარბობდა იმის გამო, რომ კვირა დილით ლოგინში მარტო ვიწექი, როცა დედაჩემი, შესაძლოა, ამ დროს უკვე მეორედ... ღმერთო ჩემო! არა, ამაზე ფიქრსაც კი ვერ ვუძლებ.

მარტი დაბადების დღის მოახლოებით გამოწვეული

პანიკა შაბათი, 4 მარტი

9 სტ (რა აზრი ჰქონდა მთელი თებერვალი დიეტით თავის მოკვლას, თუკი მარტის დასაწყისში იგივე წონა მექნებოდა, რაც თებერვლის დასაწყისში? ეჰ! გადავწყვიტე ყოველდღე აწონვასა და ყველაფრის თვლას თავი დავანებო, მაინც არაფერი გამომდის).

დედაჩემი ისე შეიცვალა, ვეღარ ვცნობ. ამ დილით, ჯერ კიდევ დივანზე ვიჯექი პიჟამაში გამოწყობილი, პედიკურს ვიკეთებდი და ტელევიზორში დოღს ვადევნებდი თვალს, როცა ბინაში შემომექრა.

– ძვირფასო, შეიძლება ესენი ერთი-ორი საათით შენთან დავტოვო? – მომამხა ალტაცებულმა, უამრავი პარკი ძირს დადო და პირდაპირ საძინებლისკენ გაემართა.

რამდენიმე წუთში ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი უკან მივყევი, რომ მენახა, რას აკეთებდა. ჩემი სარკის წინ იჯდა ძვირადღირებული კრემისფერი თეთრეულის ამარა და, ოდნავ პირდაღებული, წამწამებზე ტუშს ისვამდა (წამწამების შეღებვისას პირის დაღების აუცილებლობა ქალური ბუნების კიდევ ერთი ამოუხსნელი საიდუმლოა).

– ძვირფასო, მგონი დროა ჩაიცვა.

გლუვი, მოვლილი კანითა და მზინავი თმით თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა. სარკეში საკუთარი ანარეკლი დავინახე. აჯობებდა, გუშინ დამინებამდე მომეშორებინა მაკიაჟი. თმის ერთი ნაწილი თავზე მიტყეპებული მქონდა, მეორე კი – ალქაჯივით აწეწილი. ზოგჯერ მგონია, ჩემი თმის ღერები საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ – დღისით თვალის ასახვევად დამჯერედ იქცევიან, მაგრამ როგორც კი ვიძინებ, ბავშვურ ანცობას იწყებენ და ერთმანეთს აქეზებენ: „აბა, ამაღამ რა გავაფუჭოთ?“.

– იცი, – დედამ ყურს უკან „ჟივანშის“ სუნამო იპკურა, – მთელი ეს წლები მამაშენი ისეთ აურზაურს აწყობდა ხოლმე გადასახადებისა და კომუნალური ხარჯების გამო, თითქოს ამის გამო ეპატიებოდა, ოცდაათი წელი ჭურჭელს რომ მარეცხინებდა. ჰოდა, როცა გადახდის დრო მოახლოვდა, გადავწყვიტე, თვითონ მოვახერხებ-მეთქი. რასაკვირველია, თავბოლო ვერ გავუგე და ოფისში დავრეკე. მოხელემ, ვისაც ეს საკითხი ევალეობდა, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად მიპასუხა: „მისის ჯონს, მართლა არ მესმის, რა არის ამაში რთული?“ მე კი მაშინვე მივახალე: „კარგი, მაშინ მითხარით – თქვენ თუ გაგეგებათ რაიმე ბრიოშის გამოცხობისა?“ როგორც ჩანს, ამან გონს მოიყვანა და ყველაფერი თხუთმეტ წუთში მოვაგვარეთ. გარდა ამისა, დღეს ერთად ვსადილობთ. გადასახადების ამკრეფთან ვსადილობ, წარმოგიდგენია?

– რაო? – წავილულულე და, რომ არ წავკეციულიყავი, კარის ჩარჩოს ჩავეჭიდე, – კი მაგრამ, ჯულიო?

– ნუთუ უფლება არ მაქვს, სხვებსაც დავუმეგობრდე, რადგან მე და ჯულიო ვმეგობრობთ? – დამიყვავა და ყვითელი, ორნაწილიანი კოსტიუმი ჩაიცვა, – როგორ მოგწონს? ახლა ვიყიდე. შესანიშნავი ლიმონისფერია, არა? კარგი, უნდა გავიქცე. ერთმანეთს „დებენჰემსში“ ვხვდებით, ორის თხუთმეტ წუთზე.

გაოგნებულმა, მისი წასვლის შემდეგ მიუსლი გადმოვიღე და პირდაპირ კოლოფიდან დავიწყე ჭამა, მერე კი სახლში შემორჩენილი ღვინოც დავაყოლე. მივხვდი დედაჩემის საიდუმლოს – მან გავლენა მოიპოვა. მისი გავლენის ქვეშაა მამა – იმიტომ, რომ მისი დაბრუნება სურს; მისი გავლენის ქვეშ არიან ჯულიო და ის გადასახადების ამკრეფიც. მგონი ყველა ქვეცნობიერად გრძნობს ამ გავლენის ძალას და იხიბლება მისით, რის გამოც დედაჩემი თანდათან უფრო აუტანელი ხდება. ამიტომ, მეც უნდა ავდგე და ვიპოვო ისეთი ვინმე, ვინც ჩემი გავლენის ქვეშ მოექცევა და მერე... ოჰ, ღმერთო! საკუთარი თმაც ვერ დამიმორჩილებია.

ღრმა დეპრესიაში ვარ. დენიელი მთელი კვირის განმავლობაში ძალიან მხიარული, მეგობრული, მოარშიყევ კი იყო, მაგრამ მინიშნებითაც კი არაფერი უთქვამს იმაზე, რა ხდება ჩვენ შორის. თითქოს ჩვეულებრივი რამ იყოს კოლეგასთან სექსი და მერე, ვითომც აქ არაფერიაო, ყველაფრის უცვლელად დატოვება. სამსახური – ისედაც მოსაბეზრებელი და უხერხული – ახლა ტანჯვა-წამებად მექცა. ტრავმა მაშინ უფრო მიმდაფრდება, როდესაც ის შესვენებაზე გადის სასადილოდ, ან დღის ბოლოს პალტოს იცვამს და მიდის – სად? ვისთან ერთად? ვისთვის?

პერპეტუამ, როგორც ჩანს, საქმე მთლიანად მე გადმომბარა, თვითონ კი მთელი დღე ტელეფონზეა ჩამოკიდებული. ვიღაც არაბელასთან თუ პიგისტან განიხილავს ნახევარ მილიონიან ბინას ფულჰემში, რომლის ყიდვასაც ჰუგოსთან ერთად აპირებს.

– დიახ. არა. დიახ. არა. სრულიად გეთანხმები. უბრალოდ, კითხვა მიჩნდება – ღირს დამატებით ოცდაათი ათასის გადახდა მეოთხე საძინებლისათვის?

პარასკევ სადამოს, ხუთის თხუთმეტ წუთზე შერონმა სამსახურში დამირეკა.

– ხვალ ხომ მოდიხარ ჩემთან და ჯუდთან ერთად გასართობად?

– მე... – ხმა ჩამიწყდა და თავზარი დამეცა. „წესით, სახლში წასვლამდე დენიელი შეხვედრაზე უნდა შემითანხმდეს შაბათ-კვირისთვის, არა?“

– დამირეკე, თუ არაფერი გითხრა, – მშრალად მითხრა შერონმა პაუზის შემდეგ.

ექვსს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, დავინახე, დენიელს ხელში პალტო ეჭირა და კარისკენ მიემართებოდა. როგორც ჩანს, ისეთი უბედური სახე მქონდა, მასაც კი წაუხდა ხასიათი, თავით კომპიუტერზე მანიშნა და ოთახიდან გავარდა.

რასაკვირველია, ეკრანზე „ახალი შეტყობინება“ ეწერა. წაკითხვას დავაჭირე:

შეტყობინება ჯონსს

კარგად გაერთე უიქენდზე. პი-პი-იპ!

კლივი

გაუბედურებულმა, ტელეფონის ყურმილი ავიღე და შერონის ნომერი ავკრიფე.

– ხვალ რომელ საათზე ვხვდებით? – ძლივს ამოვიკნავლე.

– ცხრის ნახევარზე. ნუ ნერვიულობ. გახსოვდეს, რომ გვიყვარხარ. გადაეცი, ჯანდაბამდე გზა გქონია-თქო. ემოციურად მოუმწიფებელი!

2:00. სშნლ ნაბახუს შერონ და ჯუდთან ერთდ. სულ არ მნტრესბს დენიელი. სულელლი არმზადა. გული მერევა. ვააი!

კვირა, 5 მარტი

8:00. ვაი! ნეტა მოვკვდებოდე. ცხოვრებაში აღარასოდეს, აღარასოდეს დავლევ.

8:30. ოოჰ! ყველაფერს მივცემდი ახლა ჩიფსებისთვის.

11:30. საშინლად მწყურია, მაგრამ ვხვდები, რომ ჯობია თვალეზდახუჭული, თავაუღებლად ვიწვე ბალიშზე და ტვინში მობორიალე პაწაწინა მექანიზმებს ხელი არ შევუშალო.

შუადღე. მაგარი დრო ვატარეთ, მაგრამ ძალიან ამიზნია თავგზა დენიელის თაობაზე მიღებულმა რჩევებმა. ჯერ ჯუდის პრობლემები გავარჩიეთ – ასეა თუ ისე, ჩემზე სერიოზულად აქვს საქმე – უკვე მეთვრამეტე თვეა რიჩარდს ხვდება და ერთხელაც არ უჭიმავიათ. ამიტომ მორჩილად ვიცდიდი, როდის მოვიდოდა ჩემი ჯერი, რომ დენიელის მორიგ გამოხტომაზე მომეყოლა. ერთსულოვანი ვერდიქტი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ასე ჟღერს: მოუმწიფებელი ნაბიჭვარი!

საინტერესო ისაა, რომ მერე ჯუდმა გაგვაცნო ე.წ. „მამაკაცური დროის“ კონცეფცია – როგორც ეს წარმოდგენილია ფილმში „სულელი“ (**Clueless – 1995** წელს აშშ-ში გადაღებული ეიმი ჰეკერლინგის კომედიური მელოდრამა.): სექსის შემდეგ დაახლოებით ხუთი დღის (შვიდის – შევუსწორე მე) განმავლობაში ახლადდაწყებული ურთიერთობა ჰაერშია გამოკიდებული – ეს ვადა მამაკაცებისთვის სულაც არ ჩანს ხანგრძლივ განშორებად, მათთვის ეს ნორმალური პაუზაა „გასაგრილებლად“, რომლის

დროსაც ისინი ემოციებში ერკვევიან, შემდეგი ნაბიჯის გადადგამდე. ჯუდის ვარაუდით, არ არის გამორიცხული, დენიელი სამსახურშიც ძალიან გადატვირთული იყოს, ამიტომ მასზე ხელის ჩაქნევა ნაადრევია. შესაბამისად, მანსი უნდა მივცე, მეგობრულად და კეკლუცად ვექცეოდე – დავანახო, რომ მისი მჯერა და საკუთარი პიროვნებით დახრჩობას არ ვუპირებ.

ამის მოსმენით გაღიზიანებულმა შერონმა კინალამ პარმეზანის თევზს დააფურთხა და განაცხადა, რომ არაადამიანობაა სექსის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში, ქალი ჰაერში გამოკიდებული დატოვო და თავდაჯერება გაუნადგურო, ამიტომ ყველაფერი პირში უნდა მივახალო დენიელს, რასაც მასზე ვფიქრობ.

ჰიმ! რაც არის, არის. წავალ, ცოტას კიდევ წავუძინებ.

14:00. ცოტა ხნის წინ ტრიუმფით დავბრუნდი ქვედა სართულიდან გაზეთისა და ჭიქა წყლის ამოსატანად ჩატარებული გმირული ექსპედიციიდან. ვგრძნობდი, როგორ მიედინებოდა კრისტალურ ნაკადად წყალი ჩემი გონების იმ ნაწილში, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა. თუმცა, რომ დავფიქრდე, დარწმუნებული არ ვარ, მართლა შეუძლია თუ არა წყალს ტვინში შეღწევა. ალბათ, უფრო სისხლის მეშვეობით მიეწოდება. ან იქნებ, რადგან ნაბახუსევი გაუწყლოების შედეგია, ტვინი წყალს კაპილარების ამოქმედებით იღებს?

14:15. გაზეთში ამოკითხული სტატია, რომ ორი წლის ბავშვები საბავშვო ბაღში მისაღებად ტესტებს აბარებენ, მეხივით დამეცა. ჩემი ნათლულის, ჰარის დაბადების დღეზე ვარ წასასვლელი!

18:00. მაგდას სახლისაკენ ნაცრისფერი, წვიმისგან გალუმბული ლონდონის გზაზე კისრის მოსატეხი სიჩქარით მივაქროლებდი მანქანას, თითქოს ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე ამაზე იყო დამოკიდებული. უოთერსტოუნში საჩუქრების საყიდლად შევჩერდი. იმის გაფიქრებაზეც კი გული მიმდიოდა, რომ, დავგიანებულსა და ნაბახუსევზე მყოფს, იმ დედების გარემოცვაში მომიხდებოდა ყოფნა, რომლებმაც შვილებს შესწირეს კარიერა და მომიწევდა მოსმენა, როგორ უმტკიცებდნენ ერთმანეთს აღზრდის მათეული მეთოდების უპირატესობას. მაგდა, ყოფილი მაკლერი, გამუდმებით აკლებს ჰარის ასაკს, რათა ბიჭი შედარებით უფრო განვითარებულად წარმოაჩინოს. ეს ჩანაფიქრი ორსულობაშივე აიკვიატა, როცა ექიმის დანიშნულების მიუხედავად, საჭიროზე რვაჯერ მეტ ბ-ვიტამინსა და მინერალებს იღებდა. უნდოდა, მშობიარობასაც კი მის ჭკუაზე ჩაევლო. თვეების განმავლობაში ყველას ყურები გამოგვიჭედა, რომ ბავშვს აუცილებლად ბუნებრივი გზით გააჩენდა, მაგრამ სამშობიარო ბლოკში შეყვანიდან ათ წუთში აღრიალდა: „წამალი გამიკეთე, შე გასიებულო ძროხა!“

დაბადების დღე ჩემთვის ნამდვილი კომმარი აღმოჩნდა: წარმომიდგინეთ საკუთარ ძალებში დარწმუნებული დედებით გამოტენილ ოთახში, რომელთაგან ერთს ოთხი კვირის ჩვილი ჰყავდა მოყვანილი.

– ვაი, რა საყვარელია, – წამოიძახა სარა დე ლისლიმ და დედას მაშინვე მიახალა, – აპგარის შკალით (აპგარის შკალა – ამერიკელი პედიატრ-ანესთეზიოლოგის, ვირჯინია

აპგარის მიერ **1952** წელს შექმნილი შეფასების სისტემა, რომელიც განკუთვნილია ხუთი კრიტერიუმის საშუალებით სიცოცხლის პირველ წუთებში ახალშობილის მგომარეობის შესაფასებლად. ეს კრიტერიუმებია: **Appearance** (კანის ფერი) **Pulse** (პულსი ე.ი. გულისცემის სიხშირე) **Grimace** (რეფლექსური აქტივობა) **Activity** (მოძრაობა ე.ი. კუნთთა ტონუსი) **Respiration** (სუნთქვა.) რა შეფასება აქვს?

არ მესმის, რას გადაეკიდნენ ამ ტესტებს – აპგარს, მაგალითად, ბავშვებს დაბადებიდან ორ წუთში უტარებენ. ორი წლის წინ მაგდამ თავი შეირცხვინა ერთ-ერთ სადილზე, როცა თავი ვერ შეიკავა და წაიტრაბახა, ჩემი ჰარი ათი ქულით შეაფასესო. მისდა სამწუხაროდ, ერთი სტუმარი მედდა აღმოჩნდა და შეუსწორა, აპგარის ტესტში მაქსიმალური ქულა ცხრა არისო.

თუმცა, როგორც ჩანს, იმ შემთხვევამ მაგდას ჭკუა ვერ ასწავლა. ამ საღამოს, მაგალითად, იმით ამაყობდა, რომ თურმე მისი ვაჟი ვუნდერკინდია ჩასვრაში. ამასობაში, პატარები, რომელთა უმეტესობაც ჯობდა, მუშამბაში გახვეული, საწოლში წოლილიყო, აქეთ-იქით დაფოფხავდნენ საფენების ამარა. ათიოდე წუთით თვალი მოვაცილეთ თუ არა, ხალიჩაზე განავლის სამი გროვა გაჩნდა. სასაცილოა, მაგრამ ამანაც კამათი გამოიწვია, ვისი ბავშვი ჩაისვრიდა. დედები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო სწრაფად გახდიდა ბავშვებს საფენს და შეამოწმებდა, რამაც თავის მხრივ ახალი სასაუბრო თემა წამოჭრა – ბიჭუნების და, შესაბამისად, მათი მამების გენიტალიების ზომები.

– ამას ვერაფერს მოუხერხებ, მემკვიდრეობითია. მადლობა ღმერთს, კოსმო მცირე ზომას არ უჩივის!

სადაც იყო, თავი გამისკდებოდა. ბოლოს ბოდიში მოვიხადე და სახლში წამოვედი, თან გულში ვზეიმობდი, რომ მარტოხელა ვიყავი.

ორშაბათი, 6 მარტი

11:00. სამსახური. გამოფიტული ვარ. წუხელ ნემსიწვერას არომატული ზეთით გაჟღენთილ შესანიშნავ, ცხელ აბაზანაში ვიწექი, თან ტონიკიან არაყს ვწრუპავდი, როცა კარზე ზარი დარეკეს. ზღურბლზე დედაჩემი იდგა და ცრემლად იღვრებოდა. კარგა ხანი დამჭირდა იმის დასადგენად, რა მოხდა, რადგან ფეხების ტყაპუნით სამზარეულოსკენ მიმავალმა ცრემლების ღვარღვარში ძლივს ამოთქვა, ამ თემაზე საუბარი არ მსურსო. უკვე ვფიქრობდი, მისი გამოუღეველი სექსუალური ენერჯია ბანქოს ხუხულასავით ხომ არ დაინგრა და მამამ, ჯულიომ და იმ გადასახადების ამკრეფმა ერთდროულად ხომ არ დაკარგეს დედაჩემისადმი ინტერესი-მეთქი. მაგრამ არა. სრულიად ნათელი იყო, რომ „ყველაფერი ერთდროულად მიხდას“ სინდრომი აწუხებდა.

– თავი ჭრიჭინა მგონია, რომელმაც მთელი ზაფხული ჭრიჭინში გაატარა, – დაიწყო ბოლოს (როცა მიხვდა, რომ უკვე ინტერესს ვკარგავდი), – ჩემი ცხოვრების ზამთარი დადგა, მე კი მის გადასატანად არაფერი შემიგროვებია.

მინდოდა დამემშვიდებინა, პარტნიორობის მსურველი სამი მამაკაცი, სახლის ნახევარი და უზრუნველყოფილი პენსია „არაფერი“ ნამდვილად არ არის-მეთქი, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე.

- კარიერის შექმნა მინდა, - შემომჩვილა და ჩემი არსების ერთმა საშინელმა, ეგოისტმა ნაწილმა ბედნიერება და თვითკმაყოფილება იგრძნო - სხვა თუ არაფერი, კარიერა ხომ მქონდა. ყოველ შემთხვევაში - სამსახური მაინც. მე ის ჭრიჭინა ვიყავი, რომელიც ზამთრისთვის ბალახის დიდ კონებს, ან ბუზებს, ან არ ვიცი, რასაც ჭრიჭინები ჭამენ იმას ვიმარაგებდი, დიდი ამბავი, თუ მეგობარი მამაკაცი არ მყავდა.

ბოლოს დედას უფლება მივეცი ჩემი გარდერობი გადაექეცა და მთელი ტანსაცმელი გაეკრიტიკებინა, თან ლექცია წაეკითხა, რომელ მაღაზიებში ჯობდა საყიდლებზე სიარული. ამან ისე გაამხნევა, რომ გახალისებულმა ჯულიოსაც კი დაურეკა და „თითო ჭიქის დასალევად“ შეხვედრა დაუთქვა.

დაახლოებით ათი ხდებოდა, როცა მარტო დავრჩი. მაშინვე ტომს დავურეკე და მოვახსენე, რომ დენიელს უქმეებზე არ დაურეკავს და ვკითხე, რას ფიქრობდა შერონისა და ჯუდის ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევებზე. ტომმა მითხრა, არც ერთს დაუჯერო, არც ეფლირტაო და არც საყვედურებით აავსო, უბრალოდ თავი პროფესიული ღირსებით აღსავსე ყინულის დედოფალივით დაიჭირეო. მისი მტკიცებით, კაცებს საკუთარი თავი ერთგვარ სექსუალურ კიბეზე წარმოუდგენიათ, რომელზეც ქალები ან მათ ზედა საფეხურზე აღმოჩნდებიან ხოლმე, ან ქვედაზე. თუ ქალი „ქვედა საფეხურზეა“ (ე.ი. ერთი სული აქვს, მათთან დაწვეს, ან მათზე ყურებამდეა შეყვარებული), მაშინ მასთან ურთიერთობის სურვილს კარგავენ. ამ თეორიამ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო, მაგრამ ტომმა დამარიგა, არ ინერვიულო და თუ დენიელი მართლა გიყვარს და გინდა, მისი გული მოიგო, საერთოდ არ მიაქციო ყურადღება და რაც შეიძლება გულგრილად მოექეციო. ბოლოს ძალიან შეწუხებული დავწექი დასამინებლად, მაგრამ სამჯერ გამაღვიძა მამას დამეუღლა სატელეფონო ზარებმა.

- როცა ვიღაცას უყვარხარ, თითქოს გული ფუმფულა პლედით გაქვს ჩათბუნებული, - შემომჩვილა, - მერე კი მოულოდნელად მას გართმევენ... - მამა აქვითინდა.

ალკონბერების ბალის ბეზიასეული სახლიდან მირეკავდა, სადაც, როგორც ამას თვითონ ამბობდა ოპტიმისტურად, „დროებით ცხოვრობდა, სანამ ყველაფერი ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნდებოდა“.

უეცრად გავიაზრე, რომ ფეხქვეშ მიწა გამომეცალა და ახლა მე ვზრუნავდი მშობლებზე, იმის მაგივრად, რომ მათ ეზრუნათ ჩემზე. ეს ძალიან არაბუნებრივად და არასწორად მომეჩვენა. ჯერ ხომ ასე არ დავბერებულვარ?

ორშაბათი, 6 მარტი

8.12 სტ (ძ. ძ. კ. - დიეტის საიდუმლო აღმოვაჩინე - როგორც ჩანს, მთავარია, არ აიწონო ხოლმე).

შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ გზა მამაკაცის გულისაკენ გადის არა სილამაზეზე, საკვებზე, სექსზე ან მომაჯადოებელ ხასიათზე, არამედ უნარზე, ჩანდე მის მიმართ სრულიად გულგრილი.

რაც უნდა გაეკეთებინა დენიელს სამსახურში, ყურადღებას არაფერს ვაქცევდი, თავს ვიკატუნებდი, თითქოს ძალიან დაკავებული ვიყავი (მოდი და ნუ გაგეცინება!). „ახალი შეტყობინება“ განუწყვეტლივ ციმციმებდა ეკრანზე, მაგრამ სერიოზული სახით

ამოვიხრებდი და თმას შუბლზე გადავიწევდი ხოლმე, თითქოს უმნიშვნელოვანესი პიროვნება ვიყავი, რომელსაც უამრავი საქმე აწვა კისერზე. დღის ბოლოს აღმოვაჩინე, რომ სკოლაში ქიმიის გაკვეთილზე ნაჩვენები სამეცნიერო სასწაულისა არ იყოს (მაგალითად, ფოსფორი, ლაკმუსის ცდა ან რაიმე ასეთი), ეს ყველაფერი მოქმედებდა. დენიელმა ჩემთვის თვალის დევნება და მრავალმნიშვნელოვანი მზერის გამოყოლება დაიწყო. ბოლოს, როცა პერპეტუა წავიდა, ვეღარ მოითმინა, ჩემს მაგიდას მოუახლოვდა და ჩამჩურჩულა: – ჯონს, დიდებულო ქმნილება, ყურადღებას რატომ არ მაქცევ?

სიხარულის ტალღას აყოლილმა კინაღამ ყველაფერი გადმოვულაგე ტომის დარიგებაზე, ჯუდისა და შერონის ურთიერთსაპირისპირო რჩევებზე, მაგრამ ცით მოვლენილმა წყალობამ გადამარჩინა – ტელეფონმა დარეკა. მოზოდიშების ნიშნად თვალელები ავატრიალე და ყურმილი ავიღე, ამასობაში პერპეტუაც შემოიჭრა, მაგიდიდან ჩასწორებული ტექსტი აიღო და მიაყარა: – ოჰ, დენიელ, რა კარგია, აქ რომ ხარ... – და თან გაიყოლა, რაც ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან ტომი რეკავდა. მან გამაფრთხილა, გამეგრძელებინა ოპერაცია „ყინულის დედოფალი“ და გადმომცა მანტრა, რომელიც უნდა მემეორებინა საკუთარი თავისთვის, როგორც კი სისუსტეს ვიგრძნობდი: „გულგრილი, მიუწვდომელი ყინულის დედოფალი; გულგრილი, მიუწვდომელი ყინულის დედოფალი; გულგრილი, მიუწვდომელი ყინულის დედოფალი...“

სამშაბათი, 7 მარტი

9.4 თუ **2**, თუ **5???** ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – **20** ღერი, კალორია – **1500**, მომენტალური ლატარიის ბილეთი – **6** (უშედეგოდ).

9:00. ოოოჰ! როგორ მოვიმატე **3** სტოუნი შუაღამისას? **9.4** სტოუნი ვიყავი, როცა დასაძინებლად დავწექი, **9.2** სტოუნი – ღამის ოთხ საათზე და **9.5** სტოუნი – ადგომისას. მესმის, წონაში დამეკლო – მაშინ ვიფიქრებდი რომ ცხიმი დაიწვა, ან ტუალეტში მოიშორა სხეულმა – მაგრამ როგორ მოვიმატე? შეიძლებოდა, რომ ერთი საკვები მეორესთან ქიმიურ რეაქციაში შესულიყო, ხვედრითი წონა და მოცულობა გაეორმაგებინა და უფრო მძიმე და მჭიდრო ქონის მასად გამყარებულიყო? გუშინდელზე მსუქანი არ ვჩანვარ. იმ დაწყევლილ ჯინსზე, **89** წელს რომ ვატარებდი, ღილის შეკვრაც კი შემიძლია, მაგრამ სამწუხაროდ ელვისა არა. ასე რომ, იქნებ ჩემი სხეული უფრო პატარავდება და მჭიდროვდება? რაღაც ეს ყველაფერი ქალ ბოდიბილდერებს მაგონებს და თავს ცოტა უცნაურად ვგრძნობ. ჯუდს დავურეკე დიეტის ჩაფლავებაზე საწუწუნოდ და მირჩია, პატიოსნად ჩამომეწერა ყველაფერი, რაც შევჭამე, ასე გავარკვევდი, რაიმე ხომ არ დავარღვიე. აი, სიაც:

საუზმე: ცხელცხელი დაწნული ფუნთუშა (სკარსდეილური დიეტის მცირე ცვლილება – იქ ხორბლის მთლიანი მარცვლების პურის ერთ ნაჭერს გვთავაზობენ); ერთი შოკოლადი „მარსი“ (იმავე დიეტით განსაზღვრული ნახევარი გრეიპფრუტის ნაცვლად). წახემსება: ორი ბანანი, ორი მსხალი (გადავერთე გეგმა „ვზე“, რადგან შიმშილით კუჭი მიხმებოდა და სკარსდეილის შემოთავაზებული სტაფილო ვერ დამანაყრებდა); ფორთოხლის წვენი მუყაოს ყუთით (ანტიცელულიტური უმი პროდუქტების დიეტის

კომპონენტი). ლანჩი: კარტოფილი მუნდირში (სკარსდეილის ვეგეტარიანული დიეტიდან) და ჰუმუსი (მშრალი დიეტიდან – ძალიან უხდება მუნდირიან კარტოფილს, და საერთოდ, საუზმეც და წახემსებაც ტუტოვანი პროდუქტებისგან შედგებოდა, რასაკვირველია, ფუნთუშისა და „მარსის“ გარდა – ეს მცირე გამონაკლისი იყო).

სადილი: ოთხი ჭიქა ღვინო, თევზი და ჩიპსები (სკარსდეილისა და მშრალი დიეტები – პროტეინის გამომუშავებისთვის); ერთი ულუფა ტირამისუ; პიტნიანი შოკოლადი „აერო“ (გალიზიანებული ვიყავი).

მივხვდი, რომ ძალიან ადვილია სასურველი საჭმელი რომელიმე დიეტას შეუსაბამო და თავი ასე იმართლო; რომ დიეტები ერთმანეთში კი არ უნდა აურიო, არამედ ერთი ამოირჩიო და მხოლოდ მას მიჰყვე. სწორედ ამას ვაპირებ ამიერიდან, ოღონდ ჯერ ამ შოკოლადის კრუასანს შევჭამ.

სამშაბათი, 14 მარტი

კატასტროფაა. სრული კატასტროფა. ტომის ყინულის დედოფლის წარმატებით ფრთებშესხმული რატომღაც ჯუდის რჩევაზე გადავერთე და დენიელთან მიმოწერა განვაახლე, რომ მისთვის მეჩვენებინა, შენი მჯერა და არ ვაპირებ სერიოზული მიზეზის გარეშე თავიდან მოგიშორო-მეთქი.

ჯერ კიდევ დილით ამ „ყინულის დედოფლისა“ და „მამაკაცები მარსიდან არიან, ქალები კი – ვენერადან“ სისტემების ნარევეს შედეგი გამოიღო – დენიელი ყავის აპარატთან მომიახლოვდა და მკითხა: – მომავალ შაბათ-კვირას წამოხვალ პრალაში ჩემთან ერთად?

– რა? ანუ, ამ შაბათ-კვირის მომდევნო შაბათ-კვირას?

– ჰოო, შემდეგ შაბათ-კვირას, – მიპასუხა წამახალისებელი, ოდნავ მფარველური ტონით, თითქოს ინგლისურის მასწავლებელი გაკვეთილს მიხსნიდა.

– ოოჰ, დიახ, რასაკვირველია, – აღტაცებულს, სულ გადამავიწყდა „ყინულის დედოფლის“ მანტრა.

ცოტა ხანში მოვიდა და მკითხა, ლანჩზე ერთად ხომ არ გავიდეთ კუთხეში მდებარე პაბშიო. შევთანხმდით, ერთმანეთს შენობის გარეთ შევხვედროდით, რომ ვინმეს რამე არ ეეჭვა. ეს გასაიდუმლოება მომწონდა კიდევ, სანამ პაბისაკენ გზად დენიელმა არ მითხრა: – მისმინე, ბრიჯიტ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ისევ რაღაც ამერია.

– რატომ? რა? – და უნებურად გამახსენდა, როგორ მასწავლიდა დედა კითხვის დასმისას „რას“ მაგივრად „ბატონოს“ გამოყენებას.

– შემდეგ შაბათ-კვირას პრალაში გამგზავრება არ გამოვა. არც კი ვიცი, რაზე ვფიქრობდი. იქნებ სხვა დროს მოვახერხოთ.

გონებაში სირენის ხმა ჩამესმა და ნეონის სინათლეებმა შერონისგან აკვიატებული სიტყვა ააციმციმა: „მოუმწიფებელი! მოუმწიფებელი!“

ქვაფენილიან გზაზე შევდექი და მრისხანედ მივაჩერდი.

– რა მოხდა? – გაოცდა დენიელი.

– თავი მომაბეზრე, – მივახალე გაცოფებულმა, – ჩემი აზრით, გასაგებად გითხარი ჩემი ქვედაბოლოს გახდის პირველივე მცდელობისას, რომ ემოციურად მოუმწიფებელი ურთიერთობები არ მაინტერესებს. არამზადობაა, რომ არშიყი გააგრძელე, ჩემთან

დაწოლის შემდეგ კი ერთხელაც არ დაგირეკავს, თითქოს არაფერი მომხდარიყო. პრალაში გამგზავრებაზეც იმიტომ მკითხე, რომ გაგერკვია, ისევ შეძლებდი თუ არა ჩემთან დაწოლას და კიბის რომელ საფეხურზე ვიმყოფებოდი?

- რა კიბის, ბრიჯ? - გაიკვირვა დენიელმა, - რომელ კიბეზე მელაპარაკები?

- მოკეტე, - შევუღრინე, - კვირაში ცხრა პარასკევი გაქვს. ან ნორმალური ურთიერთობა დაიწყე ჩემთან და წესიერად მომექეცი, ან თავი დამანებე. კიდევ გიმეორებ - მოუმწიფებელი ურთიერთობები არ მაინტერესებს.

- რა გემართება ამ კვირაში? თავიდან ნაცისტი ქალწულივით გაყინული სახით დააბიჯებდი, მერე სექსუალურ ფისუნიად იქეცი და ისე მიყურებდი, პირდაპირ თვალებით მეპატიჟებოდი საწოლში, ახლა კი მოულოდნელად ოფიციალური განცხადებებით გამოდიხარ.

ერთმანეთის პირისპირ ორი აფრიკული ცხოველივით ვიდექით და თვალი თვალში გვექონდა გაყრილი, თითქოს სადაცაა ორთაბრძოლას წამოვიწყებდით. მერე უცებ დენიელი ქუსლებზე მიტრიალდა და მარტო წავიდა პაბისკენ, მე კი შეძრწუნებული ბარბაცით გავემართე ოფისისაკენ, საპირფარეოში შევვარდი, კარი ჩავკეტე და ჩამოვჯექი, თან ცალ თვალს კარს არ ვაშორებდი. ღმერთო ჩემო!

17:00. ჰა-ჰა! შეუდარებელი ვარ! ძალიან ვამაყობ საკუთარი თავით. სამსახურის შემდეგ კაფე „რუჟში“ სასწრაფოდ შეკრებილმა შერონმა, ჯუდმა და ტომმა დენიელის თავიდან მოშორება ძალიან მომიწონეს. თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ უკანასკნელ წამამდე მის რჩევას მივყვებოდი. თანაც, თურმე ჯუდს რადიოში უახლესი გამოკვლევა მოუსმენია, რომ ათასწლეულის დასასრულს ყოველი მესამე ოჯახი მარტოხელა ადამიანისა იქნება, რითაც მტკიცდება, რომ ყოველ შემთხვევაში, შერეკილებად მაინც აღარ ჩავითვლებით. შერონმა გადაიხარხარა და წამოიძახა: - ყოველი მესამე? რას ამბობ, ალბათ ყოველი ათიდან ცხრა! შერონის განცხადებით კაცები - რასაკვირველია, დამსწრეთა (ე.ი. ტომის) გამოკვლებით - ისე კატასტროფულად განუვითარებლები არიან, რომ მალე ქალები მათ შინაურ ცხოველებად იყოლიებენ სექსისტოვის, შესაბამისად, ოჯახები აღარ იარსებებს, რადგან კაცები სახლის გარეთ, ძაღლების ხუხულებში იცხოვრებენ. ასეა თუ ისე, განწყობა გამიუმჯობესდა. თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ალბათ სიუზენ ფალუდის „უკურეაქციას“ გადავიკითხავ.

5:00. ღმერთო, რა უბედური ვარ! როგორ მიყვარს დენიელი!

ოთხშაბათი, 15 მარტი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული - **5** (სირცხვილი! სატანის გამოგონება!), სიგარეტი - **14** ღერი (ესეც სატანის გამოგონებაა - დაბადების დღეზე დავანებებ თავს), კალორია - **1795**.

ეჰ! საშინლად თავმოებურებულმა გავიღვიძე. ყველაფერთან ერთად ორ კვირაში ჩემი დაბადების დღეა, მომიწევს თვალის გასწორება, რომ კიდევ ერთმა წელიწადმა ჩამიარა გვერდით, რომლის განმავლობაში ჩემ გარდა ყველამ მუტაცია განიცადა - თვითკმაყოფილ დაქორწინებულად იქცა და მიყოლებით აჩენენ ბავშვებს, აგროვებენ ასობით ფუნტს და საზოგადოების მაღალი ფენებისკენ მიიწევენ, მე კი კარიერულ

ხელმძღვანელობას მოკლებული, მეგობარი მამაკაცის გარეშე, უაზრო ურთიერთობებისა და პროფესიული სტაგნაციის ზღვაში დავცურავ.

თავი გამოვიჭირე, რომ გამუდმებით სარკეში ვიყურები და ნაოჭებს ვეძებ, ისტერიკულად ვკითხულობ „ჰელოუს“ და ცნობილი ქალების სოლიდურ ასაკში ვცდილობ ნუგეშის პოვნას (ჯეინ სეიმური ორმოცდაორი წლის ყოფილა!), ვებრძვი დიდი ხნის შიშს, რომ ერთხელაც, ოცდაათი წლის ზღვარს გადაბიჯების შემდეგ, გაუფრთხილებლად, მოულოდნელად აღმოვაჩენ, რომ კრიმპლენის (კრიმპლენი – მკვრივი, სინთეზური ქსოვილი, გამოიყენება ტანსაცმლის შესაკერად.) ტომარასავით ფართხუნა კაბა მაცვია, თმა ქიმიურად მაქვს დახვეული წვრილ კულულებად, სახე კი კინოფეფქტის შედეგით ჩამომწელივია, ეგ იქნება და ეგ. ვცდილობ ჯოანა ლამლისა და სიუზენ სარანდონზე ვკონცენტრირდე.

იმაზეც ვნერვიულობ, დაბადების დღე როგორ აღვნიშნო. დიდი წვეულების მოწყობას ბინისა და საბანკო ანგარიშის სიმცირე მიკრძალავს. იქნებ სადილი გამემართა? მაშინ მთელი საღამო ციბრუტივით ტრიალი და სხვების მომსახურება მომიწევს, თანაც ყველა სტუმარი სახლში შემოსვლისთანავე შემძულდება. რომელიმე რესტორანში შევკრიბო? ამ შემთხვევაში თავს დამნაშავედ ვიგრძნობ, ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავი მოსაწყენი საღამო მეგობრებს ძვირად დაუჯდათ-მეთქი, რადგან მომიწევს დანახარჯის ერთობლივად გადახდა ვთხოვო, სამწუხაროდ, ყველას ვერ გადავუხდი. ღმერთო, როგორ მოვიქცე? კარგი იქნებოდა ჩვეულებრივი ადამიანივით კი არ გავჩენილიყავი, არამედ ზებუნებრივად მოვვლენოდი ქვეყნიერებას, დაახლოებით იესო ქრისტესავით, მაშინ დაბადების დღის აღნიშვნა აღარ მომიწევდა. წარმოვიდგინე, ალბათ, როგორ აცბუნებს იესოს, რომ დაახლოებით ორი ათასწლეულია მის დაბადების დღეს მთელ მსოფლიოში დღესასწაულობენ.

შუალამე. წვეულებასთან დაკავშირებით შესანიშნავი აზრი მომივიდა. კოქტეილის საღამოს მოვაწყობ, შესაძლოა „მანჰეტენი“ მოვამზადო. ამ შემთხვევაში მაღალი საზოგადოების მასპინძელივით შემეძლება სტუმრებს მცირედი შევთავაზო და თუ მერე ერთად სადილობის სურვილს გამოთქვამენ, დაე, ასე იყოს. უნდა ვაღიარო, არ ვიცი, რა არის „მანჰეტენი“. არა უშავს, შემძლია კოქტეილების წიგნი ვიყიდო. თუმცა, ალბათ, დამეზარება.

სამშაბათი 16 მარტი

9.1 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **2**, სიგარეტი – **3** ღერი (მ.კ.), კალორია – **2140** (ძირითადად ხილი), წვეულებაზე დასაპატიჟებელი სტუმრების სიაზე დახარჯული წუთი – **237** (ცუდია).

მემერონი

ჯუდი-უნამუსო რიჩარდი

ტომი-ჯერომი (ფუ)

მაიკლი

მაგდა-ჯერემი

საიმონი

რებეკა–მომაკვდინებლად მოსაწყენი მარტინი
ვონი–კოსმო
ჯოანა
დენიელი? პერპეტუა? (ო, არა!), და ჰუგო?
არა, ღმერთო, არა. რა უნდა ვქნა?

პარასკევი, 17 მარტი

ახლახან დავურეკე ტომს, რომელმაც ბრძნულად მირჩია: „ეს შენი დაბადების დღეა. უნდა მოიწვიო მხოლოდ ის ადამიანები, ვინც შენ გესიამოვნება“. ამიტომ, გადავწყვიტე დავპატიჟო:

შერონი

ჯუდი

ტომი

მაგდა და ჯერემი

და ვახშამი თვითონ მოვამზადო.

ტომს დავურეკე და გეგმა გავაცანი, მან კი მკითხა: – ჯერომიც?

– რა?

– ჯერომსაც დაპატიჟებ?

– შენ არ მითხარი, რომ უნდა მეთქვა მხოლოდ იმათთვის, ვინც... – უცებ მივხვდი, რომ თუ ვიტყვოდი „მესიამოვნება“ ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ „არ მესიამოვნება“, ე.ი. „არ მომწონს“ ტომის აუტანელი, პრეტენზიული მეგობარი მამაკაცი.

– ოჰ! – მეტისმეტად მხურვალედ ვუპასუხე, რომ სიტუაცია გამომესწორებინა, – შენს ჯერომს გულისხმობ? რასაკვირველია, დაპატიჟებულა, სულელო. შენი აზრით, ნორმალური იქნება, ჯუდის უნამუსო რიჩარდს თუ არ მოვიწვევ? და აუტანელ ვონისაც – მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირას მის დაბადების დღეზე ვიყავი?

– საიდან უნდა გაიგოს?

როცა ჯუდს ვუთხარი, ვის დაპატიჟებას ვგეგმავდი, მაშინვე მხიარულად მითხრა: – ოჰ, ესე იგი, მეორე ნახევრებთან ერთად მოვდივართ? – თავის უნამუსო რიჩარდს გულისხმობდა. კარგი. ახლა, რადგან ოთხნი ვეღარ ვიქნებით, მაიკლის დაპატიჟებაც მომიწევს. შესანიშნავია. ცხრა შესანიშნავია. არა, ათი. ათი საკმარისი იქნება.

შემდეგ შერონმა დარეკა.

– იმედი მაქვს, არაფერი დავაშავე. რებეკას შევხვდი და ვკითხე, შენს დაბადების დღეზე მოდიოდა თუ არა. მგონი, ნაწყენი დარჩა.

ღმერთო, ახლა რებეკას და მომაკვდინებლად მოსაწყენი მარტინის მოწვევაც მომიხდება. ესე იგი, ჯოანასაც უნდა ვუთხრა. ჯანდაბა, ჯანდაბა! ახლა, როცა უკვე ყველას გამოვუცხადე, სადილს თვითონ მოვამზადებ-მეთქი, უკან ვეღარ დავიხევ და რესტორანში წასვლას ვეღარ შევთავაზებ, თორემ ზარმაცი და ძუნწი გამოვჩნდები.

ღმერთო ჩემო! ცოტა ხნის წინ სახლში დაბრუნებულმა ავტომობასუხეზე ცივი და განაწყენებული ტონით დატოვებული ვონის შეტყობინება მოვისმინე: „მე და კოსმოს გვინდოდა გაგვეგო, წელს რას ისურვებდი დაბადების დღის საჩუქრად. თუ შეიძლება, როცა მოახერხებ გადმოგვირეკე“.

როგორც ჩანს, საკუთარ დაბადების დღეზე თექვსმეტი ადამიანისთვის მომიწევს დიასახლისობა.

შაბათი, 18 მარტი

8.13 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **4** (საკმარისია!), სიგარეტი – **23** ღერი (d. d. ცუდი, განსაკუთრებით ორ საათში), კალორია – **3827** (გული მერევა საკუთარ თავზე!).

14:00. ეჰ! ესღა მაკლდა. დედაჩემი გრიგალივით შემომეჭრა სახლში, როგორც ჩანს, გასული კვირის „მთელი ზაფხულის ამაოდ გამლევნი ჭრიჭინას კრიზისი“ უკვალოდ გაქრა.

– ღვთის გულისათვის, ძვირფასო, ცუდი კვირა გქონდა, თუ რა გჭირს? – ქომინით დამტუქსა, მთელი სახლი გაირბინა და სამზარეულოში შევარდა, – შემზარავად გამოიყურები. ოთხმოცდაათი წლისას ჰგავხარ. თუმცა, აბა, გამოიცანი, რა მოხდა, ძვირფასო? – ჩაიდნით ხელში მომიბრუნდა, ჯერ მორცხვად დახარა მზერა, მერე კი წელში ისე გაიმართა, თითქოს, სადაც იყო, ცეკვას დაიწყებდა.

– რა? – ჩავიბუზღუნე პირქუშად.

– ტელეწამყვანად დავიწყე მუშაობა.

ჰო, აი, მე კი მაღაზიებში უნდა გავიარო.

კვირა, 19 მარტი

8.12 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **3**, სიგარეტი – **10** ღერი, კალორია – **2465** (უმეტესად შოკოლადი).

ვაშა! დაბადების დღესთან დაკავშირებით სრულიად ახალი, სასიამოვნო აზრი გამიჩნდა. ჯუდს ვესაუბრებოდი იმ წიგნზე, რომელსაც ახლა კითხულობს – პრიმიტიული კულტურის მქონე ერების ჩვეულებებისა და დღესასწაულების შესახებ, როცა ამ მოულოდნელმა აზრმა სიმშვიდე და ბედნიერება მომგვარა.

გავაცნობიერე, რომ ფუქსავატურად და მცდარად ვმსჯელობდი, ჩემი ბინა ცხრამეტი ადამიანის გასართობად მცირეა-მეთქი; არც საკუთარ იუბილეზე სამზარეულოში გამოკეტვა იქნებოდა სწორი, არც იმის წარმოდგენა, მერჩივნა გამოვპრანჭულიყავი და რომელიმე ფემინებელურ რესტორანში დაუმრეტელი ოქროს საკრედიტო ბარათის მფლობელ სექსის ღმერთკაცს დავეპატიჟებინემეთქი. ამის ნაცვლად, უბრალოდ, უნდა დავიჯერო, რომ ჩემი მეგობრები ერთი უზარმაზარი, თბილი, აფრიკული ან თურქული ოჯახია.

ჩვენი კულტურა შეპყრობილია ადამიანების გარეგნობაზე, ასაკსა და სტატუსზე ყურადღების გამახვილებით. სინამდვილეში კი მხოლოდ სიყვარულს აქვს მნიშვნელობა. ეს ცხრამეტი ადამიანი ჩემი მეგობრები არიან; მათ მხოლოდ ის უნდათ, გულთბილად მივიღო ჩემს სახლში, ერთად ვიზეიმოთ – დიდი სიყვარულით და მარტივად, ოჯახური საკვებით – ისინი ჩემს განსასჯელად არ მოდიან. „მწყემსის ღვეზელს“ მოვამზადებ – ტრადიციულ ბრიტანულ კერძს. ეს იქნება საოცარი, თბილი, მესამე სამყაროს სულით გაჟღენთილი ეთნიკური საოჯახო წვეულება.

ორშაბათი, 20 მარტი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **4** (განწყობის ასამაღლებლად), სიგარეტი – **27** ღერი (ბოლოს და ბოლოს, თავის დანებების წინა დღეა), კალორია – **2455**.

გადავწყვიტე, მწყემსის ღვეზელთან ერთად გრილზე შებრაწული ბელგიური ციკორის სალათი მოვამზადო, წვრილად დაქუცმაცებული ყველი როკფორითა და შემწვარი ჩორიზოთი კი მოდური შტრიხები შევმატო სუფრას (აქამდე არასოდეს მომიმზადებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გამომივა), დესერტად სუფლემოვიფიქრე, ლიქიორ „გრან მარნიეთი“. ერთი სული მაქვს, როდის მოვა ჩემი დაბადების დღე. იმედი მაქვს, დიდებული მზარეულისა და მასპინძლის სახელი გამივარდება.

სამშაბათი, 21 მარტი – დაბადების დღე

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **9***, სიგარეტი – **42** ღერი*, კალორია – **4294***.

* – თუ დაბადების დღეზეც არ მაქვს გადაჭარბების უფლება, მაშ როდისღა?

18:30. მეტი აღარ შემიძლია. ახლახან მაღალქუსლიანი, ხავერდის ძვირად ღირებული ფეხსაცმელი კარტოფილის პიურეთი სავსე ქვაბში ჩავდგი, სულ დამავიწყდა, რომ სამზარეულოს მთელი იატაკი დაკეპილი და აზელილი კარტოფილით სავსე ქვაბებითა და ტაფებითაა მოფენილი. უკვე შვიდის ნახევარია, უნდა წავიდე, რომ „გრან მარნიეიანი“ სუფლეს ინგრედიენტები და სხვა გამორჩენილი წვრილმანი ვიყიდო. ოჰ, ღმერთო! კიდევ კარგი, გამახსენდა, რომ ონკანის ნიჟარაზე კონტრაცეფციული კრემის ტუბი დევს. ასევე უნდა დავმალო სამარცხვინო, ციყვებით მოხატული მინის ქილები და მისალოცი ბარათი ჯეიმისგან, რომელსაც ბატკანი ახატია წარწერით: „დაბადების დღეს გილოცავ! აბა, გამოიცანი, შენ რომელი ხარ?“ მეორე მხარეს კი: „შენ ის ბატკანი ხარ, რომელიც გორაკის წვერზეა“. ოოჰ!

დღის გეგმა:

18:30. საყიდლებზე წასვლა.

18:45. გამორჩენილი საკვები პროდუქტით დაბრუნება

18:45-19:00. მწყემსის ღვეზელის აწყობა და ღუმელში შედგმა (ღმერთო, იმედი მაქვს, ყველაფერი გამომივა)

19:00-19:05. „გრან მარნიეიანი“ სუფლეს მომზადება (ამ გახსენებაზე, ცოტა „გრან მარნიეს“ გავსინჯავ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი დაბადების დღეა).

19:05-19:10. მმმ. „გრან მარნიე“ უგემრიელესია. თეფშებისა და დანაჩანგლის შემოწმება, სადმე ლაქები არ ჰქონდეს შერჩენილი გარეცხვის შემდეგ, და მაგიდაზე ლამაზად დაწყობა. ოჰ, ქალაღის ხელსახოცებიც უნდა ვიყიდო (თუ ნაჭრის ხელსახოცები? ვერ ვიმახსოვრებ, მაღალ საზოგადოებაში რომელი უფრო მიღებულია).

19:10-19:20. დალაგება და ავეჯის ოთახის კიდევბისკენ გაჩოჩება.

19:20-19:30. ყველიან-ბეკონიან-ჩორიზოიანი ლანგრის მომზადება.

ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ ნახევარი საათი დამრჩება გამოსაწყობად, ასე რომ, პანიკა საჭირო არ არის. ერთი უნდა გავაბოლოო. ააჰ! უკვე შვიდს თხუთმეტი წუთი აკლია. ასე როგორ გამეპარა დრო? ააჰ!

19:15. მაღაზიიდან დავბრუნდი და მერეღა გამახსენდა, რომ კარაქის ყიდვა დამავიწყდა.

19:35. ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა! ღვეზელი ჯერ კიდევ სამზარეულოს იატაკზე, უამრავ ქვაბშია გადანაწილებული, მე კი თავიც არ დამიბანია!

19:40. ღმერთო ჩემო! რძეს ვეძებდი და მივხვდი, რომ საყიდლების ჩანთა მაღაზიაში დამრჩა. კვერცხებიც იქ მელაგა. ეს იმას ნიშნავს, რომ... ო, ღმერთო, ზეითუნის ზეთიც... ესე იგი, ბელგიურ სალათს ვეღარ გავაკეთებ.

19:40. ჰმ! მე მგონი, ყველაფერს აჯობებს, ჭიქა შამპანურით სააბაზანოში შევიდე და მოვემზადო. ბოლოს და ბოლოს, თუ სასიამოვნო გარეგნობა მექნება, შემემძლება, საჭმლის მომზადება სტუმრების მოსვლის შემდეგაც გავაგრძელო და იქნებ ტომიც კი დავიყოლიო, მაღაზიაში გაიქცეს და იქ დარჩენილი პროდუქტი მომიტანოს.

19:55. ოოჰ! კარზე ზარია. მე კი ლიფისა და ტრუსის ამარა ვარ, სველი თმით. ღვეზელის ინგრედიენტები ისევ იატაკზეა მოფენილი. მოულოდნელად ყველა სტუმარი შემძულდა. ორი დღეა მონასავით ვშრომობ, ახლა კი ისინი გამომეცხადებიან და გუგულებივით მოითხოვენ საჭმელს. სურვილი მიპყრობს კარი გავაღო და ვუღრიალო: – წაეთრიეთ აქედან!

2:00. ემოციებით ვარ გადატვირთული. კართან მაგდა, ტომი, შერონი და ჯუდი აღმოჩნდნენ შამპანურის ბოთლით ხელში. დამაჩქარეს რომ მოვმზადებულიყავი და სანამ თმა გავიშრე და ჩავიცვი, მათ სამზარეულო მოასუფთავეს და ღვეზელს ნაგავში გადაუძახეს. როგორც აღმოჩნდა, მაგდას რესტორანში დიდი მაგიდა დაუჯავშნია და ყველასთვის უთქვამს, ჩემი სახლის მაგივრად იქ მისულიყვნენ. თურმე ყველანი იქ მელიოდნენ, საჩუქრებიც მოუმზადებიათ და საერთოდ, გადაუწყვეტიათ, სადილის საფასური თვითონ გადაეხადათ. მაგდამ გამიმხილა, წინათგრძნობამ მიკარნახა, შენი „გრან მარნიეს“ სუფლესა და შებრაწული ჩორიზოსგან არაფერი გამოვიდოდაო. მიყვარს ჩემი მეგობრები, ათასჯერ ჯობიან ნებისმიერი დიდი, თურქული ოჯახის წევრებს, მთელი დღე სულელურ შარფებში გახვეულები რომ დადიან.

გადავწყვიტე: მომდევნო წელს ახალი წლის გეგმას შემდეგ პუნქტებს დავუმატებ:

ამიერიდან:

შევწყვეტ ყველაფრის შიშს და ყველაფერზე ნერვიულობას.

აღარ:

დავწვები დენიელ კლივერთან, მეტიც, საერთოდ არ შევიძინებ მის არსებობას.

აპრილი შინაგანი ღირსება

კვირა, 2 აპრილი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 0, სიგარეტი – 0 ღერი, კალორია – 2250.

ერთ სტატიაში წავიკითხე, კეტლინ ტაინენს (კეტლინ ჟანეტ ჰელტონტაინენი – კანადაში დაბადებული ბრიტანელი ჟურნალისტი, ავტორი და სცენარისტი.), მოგვიანებით კენეთის (კენეთ ფიქოქ ტაინენი – ცნობილი ინგლისელი მწერალი და თეატრის კრიტიკოსი.) ცოლი რომ გახდა, „შინაგანი ღირსება“ ჰქონდა და, წერის პროცესში ყოველთვის უზადოდ გამოწყობილი, ოთახის შუაგულში, დაბალ მაგიდასთან, ჩაციებულ თეთრ ღვინოს წრუპავდაო. კეტლინ ტაინენი, პერპეტუასთვის პრესრელიზის დაგვიანების გამო საბნის ქვეშ ტანსაცმლიანად არ იკანკალებდა, ღერს ღერზე არ მოწევდა, თასიდან ცივ საკვს არ მოხრუპავდა და ისტერიკულად არ წაითხიპნიდა კოსმეტიკას. კეტლინ ტაინენი დენიელ კლივერს უფლებას არ მისცემდა, როცა მოეპრიანებოდა, მაშინ დაწოლილიყო მასთან და მეგობარი მამაკაცის მოვალეობებისთვის თავი აერიდებინა, გონების დაკარგვამდე არ დათვრებოდა, რის შედეგადაც ცუდად გახდებოდა. როგორ მინდა, კეტლინ ტაინენისნაირი ვიყო (ოღონდ, რასაკვირველია, მკვდარი არა).

თუმცა, მოგვიანებით, როცა კინალამ ისევ სისულელე ჩავიდინე, ჩემთვის გავიმეორე ჯადოსნური სიტყვები: „შინაგანი ღირსება“ და თავი ტილოს თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, ლარნაკში თაიგულიან პატარა მაგიდასთან წარმოვიდგინე. „შინაგ მედიდურად მიჭირავს, უკვე სამი კვირაა მისთვის არ მიმიწერია, არც მიფლირტავია და აღარც მასთან დაწვოლილვარ. გასულ კვირას მხოლოდ სამი ერთეული ალკოჰოლი მივიღე, ისიც ტომის ხათრით, რომელმაც დაიჩივლა, ამ ახალ, უცოდველ ბრიჯიტთან სადამოს გატარება რომელიმე მოლუსკთან, ნიჟარასთან ან სხვა სუსტ ზღვის არსებასთან პაემანს ჰგავსო.

ჩემი სხეული ტადარია. ნეტავ ძილის დრო არ მოვიდა? არა, ჯერ მხოლოდ ცხრის ნახევარია. შინაგანი ღირსება! ოჰ, ტელეფონი რეკავს.

21:00. მამაჩემი რეკავდა, უცნაური, დანაწევრებული ხმით, თითქოს უცხოპლანეტელი ყოფილიყო.

– ბრიჯიტ, ტელევიზორი **BBC1**-ზე გადართე.

არხებს ავუყევი და თავზარდაცემული გავშემდი. ანას და ნიკის გადაცემის პრომო რგოლი გადიოდა, და წამყვანებს შორის, მომცრო ფანჯარაში, ტელევარსკვლავივით გამოპრანჭული და გრიმწასმული დედა ციმციმებდა.

– ნიკ, – სასიამოვნო ხმით მიმართა ანამ.

– ახლა კი წარმოგიდგენთ ჩვენს ახალ საზაფხულო რუბრიკას, – სიტყვა ჩამოართვა ნიკმა, – „მოულოდნელად მარტოხელა“ – ეს ის დილემაა, რომელიც სულ უფრო ბევრ ქალს ეხება. ანა.

– ასევე შეუდარებელ ახალ წამყვანს, პემ ჯონსს, – განაგრძო ანამ, – რომელიც თვითონ აღმოჩნდა „მოულოდნელად მარტოხელა“. ის დებიუტანტია სატელევიზიო სამყაროში. მათი სიტყვების პარალელურად ფანჯარა, რომელშიც დედა ციმციმებდა, სულ უფრო იზრდებოდა ეკრანზე, ბოლოს ანა და ნიკი გადაფარა და ყველამ დავინახეთ, როგორ

ენერგიულად აჩეჩებდა დედაჩემი ცხვირში მიკროფონს ვიღაც თაგუნას გარეგნობის ქალს.

– სუიციდური აზრები ხომ არ გაგჩენიათ? – გრგვინავდა დედაჩემი.

– დიახ, – თქვა თაგუნასავით ქალმა და ცრემლი წასკდა. სწორედ ამ მომენტში კადრი გაჩერდა, ამოტრიალდა და ეკრანის კუთხისკენ უკან დაიხია. ანა და ნიკი ისევ გამოჩნდნენ.

მამა განადგურებული იყო. დედას მისთვის არც კი უთქვამს, ტელევიზიაში მუშაობას რომ აპირებდა. როგორც ჩანს, აქამდე თავს იტყუებდა და გულწრფელად სჯეროდა, ჩემს ცოლს ასაკობრივი კრიზისი აქვს და თვითონაც ხვდება, რომ შეცდომა დაუშვა, მაგრამ რცხვენია და უკან დასაბრუნებლად პატიების თხოვნას ვერ ახერხებს.

მართალი გითხრათ, ასეთ თავის მოტყუებას მივესალმები. შეგიძლიათ ნებისმიერი რამ ირწმუნოთ, აირჩიოთ მოვლენების განვითარების ნებისმიერი სცენარი, რომელიც უზომოდ გაბედნიერებთ – ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ ყოფილი პარტნიორი ტელეეკრანზე არ გამოჩნდება და თქვენთან დაშორების წყალობით ახალ კარიერას არ აიწყობს. ვცადე მამა გამემხნევებინა, ალბათ დედა გრანდიოზულ შერიგებას გეგმავს, როგორც ტელესერიალებში ხდება ხოლმე-მეთქი, მაგრამ არ გამომივიდა. საწყალი მამა. არა მგონია, ჯულიოს ან გადასახადების ამკრეფი კაცის შესახებ რაიმე იცოდეს. ვკითხე, ხომ არ გინდა, ხვალ შენთან ჩამოვიდე, სადმე ერთად გავისეირნოთ და შაბათი საღამოს აღსანიშნავად ვივახშმოთ, ან იქნებ სულაც კვირას გავისეირნოთ-მეთქი, მაგრამ მითხრა, თავს კარგად ვგრძნობ. ალკონბერები თურმე შაბათ საღამოს მაშველთა ჯგუფისთვის თემატურ ვახშამს აწყობენ ძველ ინგლისზე.

სამშაბათი, 4 აპრილი

მტკიცედ დავისახე მიზნად, სამსახურში გამუდმებულ დაგვიანებას ვებრძოლო; ასევე უნებისყოფობას, და ზოგჯერ მაინც შევიხედო საგადასახადო სამსახურის გაფრთხილებებით გატენილ ელექტრონულ ფოსტაში. გადავწყვიტე, წამოვიწყო თვითგანვითარების პროგრამა და გონივრულად გავთვალო ყოველი ნაბიჯი და წუთი.

7:00. ავიწონე

7:03. წონის გამო გუნებამოშხამული საწოლში დავბრუნდი. თავშიც ყველაფერი ამერია. ადგომაც გამორიცხულია და დაძინებაც. დენიელზე ვფიქრობ.

7:30. შიმშილის შემოტევამ ლოგინიდან წამომახტუნა. ყავას ვიმზადებ და გრეიპფრუტის წვენზე ვფიქრობ. შოკოლადის კრუასანს ვალობ.

7:35-7:50. ფანჯრიდან ვიყურები.

7:55. გარდერობს ვაღებ და ტანსაცმელს ვათვალირებ.

8:00. ბლუზა ავარჩიე. ვცდილობ ლიკრის შავი, მოკლე ქვედაბოლო ვიპოვო. მის ძებნაში ტანსაცმელს გარდერობის ძირიდან იატაკზე ვყრი. უჯრებს ვქექავ და სავარძლის უკანაც ვიხედები. დასაუთოებელი ტანსაცმლის კალათაშიც. ჭუჭყიანი საცვლების კალათაშიც. ქვედაბოლო გაუჩინარდა. თავის გასამხნეველად სიგარეტს ვუკიდებ.

8:20. კანს მშრალი ხერხით, ჯაგრისით ვიწმენდ (ცელულიტის საწინააღმდეგოდ), აბაზანას ვიღებ და თავს ვიბან.

8:35. საცვლების არჩევას ვიწყებ. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ უზარმაზარი, თეთრი ბამბის ტრუსი მაქვს სუფთა. ისეთი უშნოა, დანახვაც არ მოგიწდებათ, სამსახურში ჩასაცმელადაც კი არ ვარგა (ფსიქოლოგიურად მანადგურებს). ვუბრუნდები დასაუთოებელი ტანსაცმლის კალათას. მეტისმეტად პატარა, შავ, მაქმანიან ტრუსს ვპოულობ – ცოტა იკბინება, მაგრამ იმ ბებიაჩემის ნიფხავს მაინც ჯობია.

8:45. ვიწყებ შავი, გაუმჭვირვალე კოლჰოტის ჩაცმას. მგონი, დამიპატარავდა – უბის ნაკერი ლამის მუხლამდეა ჩამოსული. სხვა გამოვიღე და ქუსლზე გამოხეული აღმოჩნდა. მოვისროლე. უცებ გამახსენდა, რომ ის ლიკრის მოკლე ქვედაბოლო მაშინ მეცვა, როცა დენიელთან ერთად მოვედი ბოლოს სახლში. მისაღებ ოთახში გავდივარ და ზარზეიმით ვპოულობ დივნის ბალიშებს შორის ჩაკუჭულ ქვედაბოლოს.

8:55. ვუბრუნდები კოლჰოტს. მესამეს მხოლოდ ცერთან აქვს თვლები წასული. ვიცვამ. ნახვრეტი უზარმაზარი კიბესავით იწელება, რომელიც ფეხსაცმიდან აუცილებლად ამოყოფს თავს. ისევ დასაუთოებელი ტანსაცმლის კალათასთან მოვდივარ. უკანასკნელ შავ, გაუმჭვირვალე კოლგოტს ვპოულობ, რომელიც თოკივით დაგრეხილა და სხვა ქსოვილების ბუსუსებითაა დაწინწკლული. ხლართს ვასწორებ და წინწკლებს ვაშორებ.

9:05. კოლჰოტი უკვე მაცვია. ვიცვამ ქვედაბოლოს. ვიწყებ ბლუზის გაუთოებას.

9:10. უცბად მახსენდება, რომ თმა უფორმოდ მიშრება. ვემებ სავარცხელს. ჩანთაში ვპოულობ. ფენით ვიშრობ თმას. ვიპკურებ თმის მცენარეულ სპრეის და ფორმის მისაცემად კიდევ ერთხელ ვრთავ ფენს.

9:40. გაუთოებას ვუბრუნდები და ბლუზის წინა მხარეს მოზრდილ ლაქას ვპოულობ. ყველა სხვა ბლუზა ჭუჭყიანი მაქვს. დროის სიმცირე პანიკაში მაგდებს. ვცდილობ, ლაქა ამოვრეცხო. მთელი ბლუზა გაილუმპა. ვაშრობ უთოთი.

9:55. უკვე ძალიან ვაგვიანებ. სასოწარკვეთილი, დასამშვიდებლად ვაბოლებ და ხუთი წუთის განმავლობაში სადღესასწაულო ბროშურას ვკითხულობ.

10:00. ვცდილობ, ჩანთა ვიპოვო. ჩანთა გაუჩინარდა. გადავწყვიტე შევამოწმო, ელექტრონულ ფოსტაზე რამე სასიამოვნო ხომ არ მომსვლია.

10:07. ერთადერთი წერილია, საკრედიტო ბარათის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შესახებ. ვცდილობ გავიხსენო, რას ვეძებდი. ჩანთის ძებნას ვაგრძელებ.

10:15. მეტი დაგვიანება წარმოუდგენელია. მახსენდება, რომ როცა სავარცხელს ვეძებდი, ჩანთა საძინებელ ოთახში მქონდა, მაგრამ მაინც ვერ ვპოულობ. ბოლოს გარდერობიდან გადმოყრილი ტანსაცმლის ქვეშ აღმოჩნდა. ტანსაცმელს გარდერობში ვაბრუნებ. სახლიდან გასასვლელად ვემზადები. გასაღებს ვერ ვპოულობ. გამძვინვარებული, სახლის ჩხრეკას ვიწყებ.

10:25. გასაღები ჩანთაში ვიპოვე. მივხვდი, რომ სავარცხელი სამსახურში დამრჩა.

10:35. სახლიდან გავდივარ.

სამი საათი და ოცდათხუთმეტი წუთი გაღვიძებიდან სახლიდან გასვლამდე ძალიან დიდი დროა. შემდეგში მაშინვე უნდა ავდგე, როგორც კი გავიღვიძებ და ქვედა საცვლების მთელი სისტემა შევცვალო. გაზეთი გადავშალე და თვალი გადავაველე სტატიას, რომელშიც წერდნენ, ამერიკაში ერთი მკვლელისთვის მსჯავრდებული ირწმუნება, ჩემი ყოველი მოძრაობისა და სიტყვის გასაკონტროლებლად ციხის ადმინისტრაციამ დუნდულებში მიკროჩიპი ჩამინერგაო. თავზარი დამეცა, როცა საკუთარ დუნდულებში ასეთი მიკროჩიპი წარმოვიდგინე, განსაკუთრებით დილაობით.

ოთხშაბათი, 5 აპრილი

8.13 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **5** (ჯუდის ბრალია), სიგარეტი – **2** ღერი (ასეთი რამ ყველას მოსვლია, ეს ისევ მოწვევის დაწყებას არ ნიშნავს), კალორია – **1765**, მომენტალური ლატარეის ბილეთი – **2**.

ჯუდს გავუმხილე ჩემი გადაწყვეტილება შინაგანი ღირსების გამომუშავების შესახებ და მითხრა, საინტერესოა, თანაც სწორედ ახლა ძენის ფილოსოფიის თვითმასწავლებელ წიგნს ვკითხულობო. ამიხსნა, თუ დაუფიქრდები, ძენის ფილოსოფია ცხოვრებაში ყველაფერს შეიძლება მიუსადაგო – ძენი და საყიდლებზე სიარულის ხელოვნება, ძენი და სახლების შესყიდვის ხელოვნება, და ა.შ. მისი აზრით, სიცოცხლის არსი ისაა, რომ ცხოვრების დინებას კი არ ებრძოლო, არამედ მიჰყვე. და, მაგალითად, თუ რაიმე პრობლემა შეგექმნა, ან ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც გეგმავდი, კი არ უნდა დაიძაბო და გაბრაზდე, პირიქით – მოდუნებულმა, ცხოვრების დინებაში საკუთარი გზა უნდა იპოვო, მაშინ ყველაფერი დალაგდება. ეს იმას ჰგავსო, თქვა ჯუდმა, როცა სახლში მისული გასაღებით საკეტს ვერ აღებო; იმის ნაცვლად, რომ გაცოფებულმა საკეტის ჯანჯღარით მდგომარეობა გააუარესო, ჯობია გასაღები ჭრილიდან გამოაძრო, ცოტაოდენი ტუჩის ბალზამი გადაუსვა, შემდეგ მსუბუქი მოძრაობა და – ევრიკა! ოღონდ, ჯობია შერონს არაფერი ვუთხრაო, თორემ სისულელედ ჩათვლისო.

ხუთშაბათი, 6 აპრილი

ჯუდთან შესახვედრად მივდიოდი, რომ ცოტა სასმელის თანხლებით დინებაზე საუბარი გაგვეგრძელებინა, როცა მამაკაცის ნაცნობი ფიგურა შევნიშნე; პიჯაკი და ლამაზი, მუქსახეებიანი, ნაქსოვი ჯემპრი ეცვა, კუთხის კაფეში სადილობდა. ეს მაგდას ქმარი, ჯერემი იყო. მისალმების ნიშნად ხელი დავუქნიე თუ არა, თავზარდაცემული გამომეტყველება მიიღო, რამაც მაიძულა მაშინვე მისი კომპანიონისთვის შემეხედა, რომელიც: ა) მაგდა არ აღმოჩნდა, ბ) ოცდაათი წლისაც არ იქნებოდა, გ) ის მეტისმეტად ძვირად ღირებული კოსტიუმი ეცვა, რომელიც სავაჭრო ცენტრში ორჯერ გავისინჯე და ორივეჯერ დავაბრუნე. დამპალი ძუკნა!

უნდა გამოგიტყდეთ, ჯერემი აპირებდა თავიდან მოვეშორებინე და მზერით მანიშნა „გამარჯობა, ახლა არ მცალია“, რითიც აღიარა ჩვენი ძველი, ახლო და საიმედო მეგობრობა, და ამავე დროს გამაფრთხილა, ახლა კოცნითა და გულითადი საუბრებით ამ მეგობრობის უფრო გაღრმავების დრო არ მაქვსო. ის იყო, ვაპირებდი მის თამაშს ავყოლოდი, რომ უცებ თავში დამარტყა – ერთი წუთით! ჩვენ ხომ დებივით ვართ! ბავშვობიდან ვმეგობრობთ! მაგდა! თუკი მაგდას ქმარს ჩემს კოსტიუმში გამოწყობილ ამ იაფფასიან კახპასთან ერთად სადილობის არ რცხვენია, მოუწევს გამაცნოს კიდევ.

გეზი შევიცვალე და მათი მაგიდისკენ გავემართე, ამასობაში ჯერემიმ კახპასთან გაცხოველებული დიალოგი გამართა, თან მზერა მესროლა და მტკიცე, თავდაჯერებული ღიმილი შემომაგება, თითქოს მეუბნებოდა: „საქმიან შეხვედრაზე ვარ“. მე კი საპასუხო მზერა შევაგებე: „არ დამიწყო ახლა საქმიანი შეხვედრების ზღაპრები“ და მედიდურად გავაგრძელე გზა.

მაგრამ, მაინც რა უნდა მექნა ახლა? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. უნდა ვუთხრა მაგდას? არ უნდა ვუთხრა? დავურეკო და ვკითხო, აქვს თუ არა ყველაფერი წესრიგში? თუ ჯერემის დავურეკო და ვკითხო, ხომ ყველაფერი წესრიგშია? იქნებ ჯერემის დავურეკო და დავემუქრო, ყველაფერს მაგდას მოვახსენებ, თუ ჩემს კოსტიუმში გამოწყობილ იმ კახპას არ მიატოვებ-მეთქი? თუ ჩემს საქმეებს მივხედო?

ძენის, კეტლინ ტაინენისა და შინაგანი ღირსების გახსენების შემდეგ, „მზის მისალმების“ პოზა მივიღე, რომელიც იოგათი გატაცების დროიდან მახსოვდა და მთელი ყურადღება საკუთარ შინაგან ღერძზე გადავიტანე, სანამ დინებამ არ წამიღო. გადავწყვიტე, არავისთვის არაფერი მეთქვა, რადგან ჭორაობა სასიკვდილო შხამის გავრცელებაა.

სამაგიეროდ მაგდას ხშირად დავურეკავ და მის გვერდით ვიქნები, ისიც აუცილებლად გამიმხელს, თუკი რაიმე ცუდი ხდება (ქალური ინტუიციის წყალობით მაშინვე იგრძნობს). შემდეგ, თუკი დინება მიმითითებს, სწორი საქციელიაო, მაგდას ყველაფერს ვეტყვი, რაც ვნახე. ბრძოლას ღირებული არაფერი მოაქვს, სიცოცხლის არსი დინებაშია. ძენი და ცხოვრების ხელოვნება. ძენი. დინება. ჰმ, გამოდის, რომ დინების ნებით გადავეყარე ჯერემის და იმ იაფფასიან კახპას? თუ ასეა, ეს რას უნდა ნიშნავდეს?

სამშაბათი, 11 აპრილი

8 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 0, სიგარეტი – 0 ღერი, მომენტალური ლატარეის ბილეთი – 9 (ეს უნდა შევწყვიტო).

მაგდას და ჯერემის, მგონი, ყველაფერი რიგზე აქვთ, ასე რომ, შესაძლოა, ის მართლაც საქმიანი შეხვედრა იყო. იქნებ ძენი და დინებაც ჭეშმარიტებაა, რადგან ექვგარეშეა, მოდუნებულმა და ენერჯის ტალღებს მინდობილმა, სწორი ნაბიჯი გადავდგი. მომავალ კვირას „კაფკას მოტოციკლეტის“ პატივსაცემად „აივიში“ ბრწყინვალე ლიტერატურული სადილი იმართება და მეც ვარ მიწვეული. იმის ნაცვლად, რომ საშინელმა წვეულებამ თავზარი დამცეს, მთელი გზა გული მისკდებოდა, სახლში კი დათრგუნვილი და მთვრალი დავბრუნდე, გადავწყვიტე, საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარი და თავდაჯერებულობა ავიმალლო და, როგორც ეს ერთ-ერთ ჟურნალში ახლახან ამოვიკითხე, „წვეულება ვამუშავო ჩემს თავზე“.

როგორც ჩანს, „ნიუ იორკერის“ თანამშრომელი, ტინა ბრაუნი წვეულებებს ბრწყინვალედ ართმევს თავს, ის მსუბუქად ინაცვლებს ჯგუფიდან ჯგუფისკენ, სიტყვებით: „მარტინ ეიმს! ნელსონ მანდელა! რიჩარდ გირ!“ მისი ტონი კი თითქოს ამბობს: „ღმერთო ჩემო, ცხოვრებაში ასე არავის ნახვა გამხარებია! ოდესმე შეხვედრიხართ წვეულებაზე ყველაზე თვალისმომჭრელ პიროვნებას, რასაკვირველია, თუ თქვენ თავს არ ჩავთვლით? ისაუბრეთ, ისაუბრეთ! უნდა იურთიერთოთ. დროები იიიით!“ მინდა, ტინა ბრაუნის მსგავსი ვიყო, ოღონდ, ალბათ, ცოტა ნაკლებად შრომისმოყვარე. სტატია სავსე იყო სასარგებლო რჩევებით. თურმე, წვეულებაზე თითოეულ ადამიანს ორ წუთზე მეტხანს არ უნდა ესაუბრო. როცა დრო ამოიწურება, უბრალოდ თქვით: „ვგონებ, სხვებსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა“ და წადით.

თუ ვინმეს საქმიანობის შესახებ ჰკითხეთ და მისი პასუხის შემდეგ – „დამკრძალავი ბიუროს მფლობელი ვარ“, ან „ბავშვთა დაცვის სააგენტოში ვმუშაობ“ – საჭირო სიტყვებს ვერ პოულობთ, უბრალოდ, დაინტერესდით: „მოგწონთ თქვენი საქმე?“ ადამიანების გაცნობისას მიღებულია მათ შესახებ ერთიორი საინტერესო დეტალის თქმა, მაგალითად: „ეს ჯონია – ახალი ზელანდიიდან, იგი ვინდსერფინგითაა გატაცებული“, ან „ჯინა პარაშუტით ხტომაზე გიჟდება და კატერზე ცხოვრობს“.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არასოდეს უნდა წახვიდეთ წვეულებაზე უმიზნოდ. სულერთია, ეს იქნება „ქსელის“ ე.ი. თქვენი სანაცნობო წრის საჭირო კონტაქტებით გაფართოება და კარიერის გაუმჯობესება, რომელიმე გამორჩეულ ადამიანთან დამეგობრება, თუ უბრალოდ კარგი საქმიანი შემოთავაზების დათრევა. მივხვდი, აქამდე რა შეცდომას ვუშვებდი წვეულებებზე – ჩემი ერთადერთი მიზანი იყო არ გადავმთვრალიყავი.

ორშაბათი, 17 აპრილი

8.12 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **0** (მ.კ.), სიგარეტი – **0** ღერი (მ.კ.), მომენტალური ლატარიის ბილეთი – **5** (მაგრამ **2** ფუნტი მოვიგე, ასე რომ ხარჯი მხოლოდ **3** ფუნტს შეადგენს).

მაშ ასე. ხვალ „კაფკას მოტოციკლეტის“ წვეულებაა. ვაპირებ ჩამოვაცალიბო მიზნები, რომელთა მიღწევასაც ვაპირებ. ერთი წუთით. ჯერ განცხადებებს გადავხედავ და ჯუღს დავურეკავ.

მაშ ასე.

1) ძალიან არ დავთვრე.

2) ისეთ ადამიანებს შევხვდე, რომლებთან ურთიერთობაც სასარგებლოა.

ჰმმ. არა უშავს, დანარჩენს მერე მოვიფიქრებ.

23:00. მაშ ასე...

3) საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარები, რომლებიც სტატიიდან შევითვისე, ცხოვრებაში განვახორციელო.

4) დენიელს ვაფიქრებინო, რომ შინაგანი ღირსება მაქვს და მოვანდომო კიდევ ერთხელ სცადოს ჩემთან. არა, არა.

4) შევხვდე სექსის ღმერთკაცს და მასთან დავწვე.

4) შევიძინო ახალი ნაცნობები საგამომცემლო სფეროდან, ან, შესაძლოა, სხვა პროფესიებიდანაც, იქნებ ახალი კარიერაც კი წამოვიწყო.

ღმერთო. არ მინდა ამ საზარელ წვეულებაზე წასვლა. ერთ ბოთლ ღვინოსთან ერთად სახლში დარჩენა და სერიალის ყურება მინდა.

სამშაბათი, 18 აპრილი

9.7 სტ (ღმერთო!), სიგარეტი – 30 ღერი, კალორია (ამაზე ფიქრსაც ვერ ვბედავ), მომენტალური ლატარეის ბილეთი – 1 (ბრწყინვალეა).

წვეულება საშინლად დაიწყო – ერთმანეთისთვის გასაცნობი ვერავინ ვიპოვე. სასმელი ავიღე და პერპეტუა დავინახე – „ტელეგრაფელ“ ჯეიმსს ესაუბრებოდა. თავდაჯერებული, მოქმედებისთვის მზადმყოფი მივუახლოვდი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ეთქვა: „ჯეიმს, ეს ბრიჯიტია, ნორთჰემპტონშირიდან, სხვათა შორის, შესანიშნავი სპორტსმენია“ (მალე ისევ ვაპირებ ვარჯიშს დავუბრუნდე), მან უბრალოდ საუბარი განაგრძო, რომელიც უკვე კარგა ხანია ორწუთიან ქრონომეტრაჟს აჭარბებდა, და ყურადღებაც არ მომაქცია.

ცოტა ხანს აქეთ-იქით დავსეირნობდი და თავს სრულ იდიოტად ვგრძნობდი, შემდეგ საიმონი შევამჩნიე მარკეტინგიდან. ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს სულაც არ ვაპირებდი პერპეტუას და მის თანამოსაუბრეს შევერთებოდი და მიზანმიმართულად გავემართე საიმონისკენ; ვემზადებოდი, ტინა ბრაუნით დამეძახა: „საიმონ ბარნეტ!“ მაგრამ, სამწუხაროდ, როცა მივუახლოვდი, შევნიშნე, რომ საიმონი ჯულიან ბარნსს (ჯულიან ბარნსი – ცნობილი თანამედროვე ინგლისელი მწერალი და ესეისტი.) ესაუბრებოდა. დავეჭვდი, რომ ეტიკეტით გათვალისწინებული მხიარულებითა და საჭირო ტონით ერთდროულად ვერ შევძახებდი: „საიმონ ბარნეტ! ჯულიან ბარნს!“ ყოყმანით შემოვბრუნდი და წამოსვლას ვაპირებდი, როცა საიმონმა გაღიზიანებული, აწეული ხმით (რატომღაც ასე არასოდეს მელაპარაკებდა, როდესაც ქსეროქსის აპარატთან ჩემთან გაარშეყებას ცდილობს) მომმართა:

– ბრიჯიტ, რამე გინდოდა?

– ოჰ, დიახ! – უმაღ ვუპასუხე და შეშინებულმა ვერ მოვიფიქრე, რა შეიძლებოდა მდომებოდა, – ჰმ!

– გისმენთ, – საიმონი და ჯულიან ბარნსი მოლოდინით შემომცქეროდნენ.

- ხომ არ იცით, საით არის ტუალეტი? – წამოვროშე. ჯანდაბა, ჯანდაბა! რატომ? ეს რატომ წამომცდა? ჯულიან ბარნსის თხელ, მაგრამ მიმზიდველ ტუჩებს სუსტი ღიმილი გადაეფინა.

- ოჰ, მე მგონი, აი, იქით უნდა იყოს. არა უშავს. გმადლობთ, – უხერხულად ვუთხარი და გასასვლელისკენ დავიძარი. როგორც კი მოძრავ კარს მიღმა აღმოვჩნდი, კედელს მივეყრდენი და ვცადე, სუნთქვა დამემშვიდებინა, თან ფიქრში ვიმეორებდი: „შინაგანი ღირსება, შინაგანი ღირსება“. მართალია, ეს დიდად არ მშველოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა.

დადარდიანებული, კიბეს თვალს არ ვაცილებდი. სახლში წასვლის, პიჟამის ჩაცმისა და ტელევიზორის ყურების იდეა სულ უფრო მიმზიდველი მეჩვენებოდა. თუმცა დასახული მიზნები გავიხსენე, ცხვირით ღრმად ჩავისუნთქე, წავილულლულე „შინაგანი ღირსება“, კარს ვუბიძგე და წვეულების ოთახში დავბრუნდი. პერპეტუა ისევ კართან იდგა და თავის საშინელ დაქალებს, პიგის და არაბელას ესაუბრებოდა.

- ოჰ, ბრიჯიტ, – მომმართა მან, – სასმელის ასაღებად ხომ არ მიდიხარ? – და თავისი ცარიელი ჭიქა გამომიწოდა. როდესაც უკან სამი ჭიქა ღვინითა და მინერალური წყლით დავბრუნდი, საუბარი უკვე გახურებულიყო.

- მინდა გითხრათ, ჩემი აზრით ეს სამარცხვინოა. ჩვენს დროში, ადამიანების მთელი თაობა ლიტერატურის უდიდეს მოღვაწეებს – ოსტინს, ელიოტს, დიკენსს და ა.შ. – მხოლოდ ტელევიზორით ეცნობა!

- მართლაც თითქმის ასეა. ეს აბსურდია. დანაშაულია.

- გეთანხმებით. და მათ ჰგონიათ, რომ „წვეულება ნოელის სახლში“ და „ბრმა პაემანი“ („წვეულება ნოელის სახლში“ და „ბრმა პაემანი“ – ბრიტანული სატელევიზიო შოუები.), რომლებსაც ისინი არხიდან არხზე გადართვისას უყურებენ, სინამდვილეში ოსტინის ან ელიოტის დაწერილია.

- „ბრმა პაემანი“ შაბათობით გადის, – ჩავაკვებე.

- ბატონო? – შემომიტია პერპეტუამ.

- შაბათობით. „ბრმა პაემანი“ შაბათობით გადის, რვის თხუთმეტ წუთზე, „გლადიატორების“ შემდეგ.

- მერე ამით რა? – გესლიანად მკითხა პერპეტუამ და არაბელასა და პიგის გვერდულად გადახედა.

- გენიალური ლიტერატურული ნაწარმოებების ადაპტირებული ვერსიები კი შაბათობით არ გადის.

- ოჰ, შეხედეთ, იქ მარკია, – გამაწყვეტინა პიგიმ.

- ღმერთო, მართლაც, – დამარცვლით დაეთანხმა არაბელაც, – ცოლს გამორდა, არა?

- იმას ვგულისხმობდი, რომ როდესაც ეთერში „ბრმა პაემანია“, არც ერთ სხვა არხზე უკეთესი გადაცემა, თუნდაც ლიტერატურული შედეგრი, არ გადის, ასე რომ, არა მგონია ვინმემ სადმე გადართოს.

- ოჰ, ესე იგი, „ბრმა პაემანი“ კარგია, არა? – დაისისინა პერპეტუამ.

- დიახ, ძალიან კარგია.

- ხვდები მაინც, რომ „მიდლმარჩი“ („მიდლმარჩი“ – ჯორჯ ელიოტის ნაწარმოები, რომლის მიხედვითაც BBC-მ ტელეშოუ გადაიღო.) წიგნად დაიწერა, ბრიჯიტ, თუ საპნის ოპერა გეგონა?

იმუღს პერპეტუა, როცა ასეთი ხდება. სულელი, ბებერი ნეხვის გროვა.

- ჰო, საპნის ან შამპუნის ოპერა მეგონა, - შუბლშეკრულმა გამოვუცხადე, ლანგრიდან, რომელიც სწორედ იმ წამს ჩემ გვერდით ჩაატარეს, მთელი ბლუჯა სასუსნავი ავიღე და პირში ჩავიტენე. თავი ავწიე თუ არა, პირდაპირ ჩემ წინ შავთმიანი, კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი დავინახე.

- გამარჯობა, ბრიჯიტ, - მომესალმა ის. კინალამ პირი დავაღე და ახლახან ჩატენილი სასუსნავი გადმოვყარე. ეს მარკ დარსი იყო. ოღონდ რომბისორნამენტებიანი ჯემპრის გარეშე.

- გამარჯობა, - პირგამოტენილმა ვუპასუხე, თან ვცდილობდი, პანიკას არ ავყოლოდი. შემდეგ სტატია გამახსენდა და პერპეტუასკენ მივტრიალდი.

- მარკ, პერპეტუა... - დავიწყე და შიშით გავიყინე. რა უნდა მეთქვა? პერპეტუა ძალიან მსუქანია და მთელ დროს ჩემზე უფროსობაში ხარჯავს-მეთქი? თუ მარკი ძალიან მდიდარია და მისი ყოფილი ცოლი იაპონელი იყო-მეთქი?

- დიახ? - თავი შემახსენა მარკმა.

- ...ჩემი უფროსია და ფულჭემში ბინას ყიდულობს. მარკი კი, - სასოწარკვეთილი პერპეტუას მივუბრუნდი, - ადამიანის უფლებების დამცველი საუკეთესო ადვოკატია.

- ოჰ, მოგესალმებით, მარკ. თქვენ შესახებ, რასაკვირველია, მსმენია, - ისე წარმოთქვა პერპეტუამ, თითქოს თვითონ დედა-დედოფალი ყოფილიყო, ის კი ედინბურგის პრინცი.

- გამარჯობა, მარკ, - არაბელამ დაწყებული თვალები აახამხამა, თავი ასე უფრო მიმზიდველი ეგონა, - რამდენი ხანია არ შევხვედრივართ ერთმანეთს. როგორ მოგეწონა დიდი ვაშლი (დიდი ვაშლი - ნიუ იორკის მეტსახელი.)?

- იცით, ახლა კულტურის იერარქიაზე ვსაუბრობდით, - საუბარში ჩაეჭრა პერპეტუა, - ბრიჯიტი იმ ადამიანთაგან ერთ-ერთია, რომლებიც ფიქრობენ, რომ წამი, როდესაც სატელევიზიო ეთერში „ბრმა პაემანია“, არაფრით განსხვავდება ოტელოს მონოლოგის მოსმენის წამისაგან, - ხმამაღალი სიცილით დაასრულა მან.

- ოჰ, მაშინ ბრიჯიტი პოსტმოდერნიზმის მწვერვალზე ყოფილა, - უპასუხა მარკ დარსიმ, - ეს ნატაშაა, - ჟესტით მიგვანიშნა მაღალ, გამხდარ, მომაჯადოებელი გარეგნობის გოგონაზე, თან რომ ახლდა, - ნატაშა საოჯახო სამართლის საუკეთესო ადვოკატია.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მასხრად მიგდებდა. დამპალი ნაბიჭვარი.

- მინდა გითხრათ, - მცოდნე ღიმილით შენიშნა ნატაშამ, - ყოველთვის ვფიქრობდი, ჯობია კლასიკაზე მოსაუბრე ადამიანებმა ჯერ დაამტკიცონ, რომ ნამდვილად აქვთ წიგნი წაკითხული და მხოლოდ შემდეგ მივცეთ ტელევერსიის ყურების უფლება-მეთქი.

- სრულიად გეთანხმებით, - პერპეტუა ისევ ახარხარდა, - ბრწყინვალე აზრია!

ვხედავდი, როგორ ცდილობდა, მარკ დარსისა და ნატაშას აზრებს მიმხრობოდა.

- ყველას უნდა აეკრძალოს მსოფლიო თასის მელოდიის მოსმენა, - სიცილით იჭაჭებოდა არაბელა, - სანამ არ დაამტკიცებენ, რომ ტურანდოტი თავიდან ბოლომდე აქვთ მოსმენილი.

- თუმცა, რასაკვირველია, - მოულოდნელად სერიოზულად თქვა მარკის ნატაშამ, თითქოს დარწმუნდა, საუბარი მოულოდნელად მცდარი მიმართულებით

განვითარდაო, – მრავალ ასპექტში ჩვენი კულტურის დემოკრატიზაცია საკმაოდ კარგი რამაა.

– ოღონდ, მისტერ ბლობის (მისტერ ბლობი – ბრიტანული ტელევიზიის შაბათის შოუს პერსონაჟი, ყვითელი ლაქებით დაფარული ვარდისფერი, ბოლქვისებრი ფორმის ფიგურა, რომელიც ყურებამდეა გაკრეჭილი და თვალებს ატრიალებს. მისმა ტელევიზიაში გამოჩენამ საკმაოდ დიდი კრიტიკა გამოიწვია.) გარდა! ჩემი აზრით, დაიბადა თუ არა, მაშინვე უნდა გაეხეთქათ, – დაიყვირა პერპეტუამ.

უნებლიეთ მის საჯდომს შევხედე და გავიფიქრე: „შენგან, ცოტა არ იყოს, უხერხულია მის თქმა“ და შევამჩნიე, დარსიმაც იგივე გააკეთა.

– ყველაზე მეტად აღმაშფოთებს, – ნატაშა ადგილზე ტოკავდა და ისეთი დაძაბული იყო, თითქოს ოქსფორდის სადებატო საზოგადოებაში გამოდიოდა სიტყვით, – ეს უხეში, ქედმაღალი ინდივიდუალიზმი, რომელსაც წარმოუდგენია, რომ ყოველ ახალ თაობას მსოფლიოს ხელახლა შექმნა შეუძლია.

– მაგრამ ისინი სწორედ ამას აკეთებენ, – ზრდილობიანად შეეწინააღმდეგა მარკ დარსი.

– კარგი, თუ ყველაფერს ამ დონეზე განვიხილავთ... – უკან დაიხია ნატაშამ.

– რომელ დონეზე? – ჰკითხა მარკ დარსიმ, – არავითარი დონე, ეს უბრალოდ ბრწყინვალე მოსაზრებაა.

– არა, არა. ვწუხვარ, მაგრამ შეგნებულად იშტერებ თავს, – სიბრაზისგან გაწითლდა ნატაშა, – მე ხომ არ ვსაუბრობ ჩამორჩენილი ხედვების დეკონსტრუქციის გზით განახლებაზე. მე ვსაუბრობ კულტურული ჩარჩოების უზენაეს ვანდალიზაციაზე.

მარკ დარსის ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სადაცაა სიცილი წასკდებდაო.

– მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თუ პრანჭია, შერჩევითი მორალის მხარეზე ხართ, „ბრმა პაემანი“ ამის ეტალონია, – ბრაზიანად გამომხედა ქალმა.

– არა, უბრალოდ, მართლა მომწონს „ბრმა პაემანი“, – ვუპასუხე, – თუმცა, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, მონაწილეებისთვის ნება მიეცათ კითხვებზე საკუთარი მოსაზრებები ეპასუხათ ამ მზა პასუხების ნაცვლად, რომლებიც სავსეა კალამბურებითა და სექსუალური ქვეტექსტებით.

– მართალია, – ჩაერთო მარკი.

– სამაგიეროდ, „გლადიატორებს“ ვერ ვიტან. როცა ვუყურებ, თავი გასიებული მგონია,

– ვთქვი მე, – ასეა თუ ისე, სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა. ნახვამდის. დერეფანში პალტოს ველოდებოდი და ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ერთი რომბებიანი ჯემპრის ყოფნა-არყოფნამ მიმზიდველობა შეჰმატოს ვინმეს-მეთქი, როცა წელზე ხელების მსუბუქი შეხება ვიგრძენი.

მოვტრიალდი.

– დენიელ!

– ჯონს! რა მოხდა, ასე ადრე რატომ მიიპარები? – დაიხარა და მაკოცა, – მმმ! რა გემრიელი სუნი გაქვს, – და სიგარეტი შემომთავაზა.

– არა, გმადლობ, შინაგანი ღირსება მოვიპოვე და მოწევას თავი დავანებე, – დაპროგრამებულივით ვუპასუხე, თან ვნატრობდი, ნეტავ დენიელი ასეთი მიმზიდველი არ იყოს, როცა მასთან მარტო ვრჩები-მეთქი.

– გასაგებია, – გაიკრიჭა, – მაშ, შინაგანი ღირსება?

– დიახ, – ვუპასუხე მეტისმეტად თავდაჭერილად, – წვეულებაზე იყავი? ვერ დაგინახე.

- ვიცი, რომ ვერ დამინახე. სამაგიეროდ, მე დაგინახე. მარკ დარსის ესაუბრებოდი.
- საიდან იცნობ მარკ დარსის? – განცვიფრებულმა ვკითხე.
- კებრიჯიდან. მძულს ეგ სულელი ტვინიკოსი. დედაბერივით აუტანელია. შენ საიდან იცნობ?
- მალკოლმ და ელან დარსების ვაჟია, – დავიწყე და კინაღამ ინერციით მივაყოლე „იცნობ მალკოლმს და ელანს, ძვირფასო? ისინი სტუმრად ჩამოდიოდნენ, როცა ბუკინგემში ვცხოვრობდით...“
- ვინ ჯან...
- ჩემი მშობლების მეგობრები არიან. ბავშვობაში საცურაო აუზში ვეთამაშებოდი ხოლმე.
- დარწმუნებული ვარ, ასეც იქნებოდა, შე პატარა, ბინძურო კახპა, – ჩაიბუზღუნა, – არ გინდა, სადმე წავიდეთ და ერთად ვივახშმოთ?
- „შინაგანი ღირსება, – გავახსენე თავს, – შინაგანი ღირსება“.
- კარგი რა, ბრიჯიტ, – მაცდურად დაიხარა ჩემკენ, – შენი ბლუზა სერიოზულად უნდა განვიხილოთ. მეტისმეტად თხელია. თუ ძალიან დააკვირდები, ლამის გამჭვირვალეც. ოდესმე აზრად მოგსვლია, რომ შესაძლოა შენი ბლუზა... ბუღემიისგან იტანჯება?
- შეხვედრა მაქვს, – სასოწარკვეთილმა ჩავიჩურჩულე.
- მიდი, რა, ბრიჯიტ.
- არა! – ისეთი სიმტკიცით ვუთხარი, თვითონ გამიკვირდა.
- გრცხვენოდეს, – მითხრა რბილად, – ორშაბათამდე.
- და ისეთი გარყვნილი მზერა მესროლა, ლამის ყვირილით გავეკიდე: – გამჟიმე! გამჟიმე!

23:00. ახლახან ჯუდს დავურეკე და დენიელზე მოვუყევი, კიდევ მალკოლმ და ელან დარსების ვაჟზე, რომელსაც ახალ წელს დედა და უნა მირიგებდნენ და რომელიც ამ წვეულებაზე საკმაოდ მიმზიდველი მამაკაცი აღმოჩნდა.

- ერთი წუთით, – შემაჩერა ჯუდმა, – მარკ დარსიზე ამბობ? ადვოკატზე?
- დიახ. რა... შენ რა, კარგად იცნობ მას?
- ჰო. უფრო სწორად, ერთ საქმეზე ვიმუშავეთ მასთან ერთად. წარმოუდგენლად სასიამოვნო და მიმზიდველია. ის ტიპი ახალ წელს ისე დაახასიათე, მეგონა, ნამდვილი შერეკილი იყო.
- ჰმ. წყეული ჯუდი.

შაბათი, 22 აპრილი

8.7 სტ, სიგარეტი – **0** ღერი, ალკოჰოლის ერთეული – **0**, კალორია – **1800**. დღეს ისტორიული, ბედნიერი დღეა. თვრამეტწლიანი მცდელობის შემდეგ, როგორმე

8.7 სტოუნამდე დამეკლო, საბოლოოდ მივალწიე ამას. ეს რომ სასწორის ბოროტი ხუმრობა არ არის, ძველმა ჯინსმაც დაადასტურა. გავხდი.

ამის სარწმუნო მიზეზი ვერ ვიპოვე. სპორტდარბაზში გასულ კვირას სულ ორჯერ ვიყავი, მაგრამ ასეთი იშვიათი მისვლა ახირებად უფრო ჩაითვლება. ნორმალურად ვჭამდი. ნამდვილად სასწაული მოხდა. ტომს დავურეკე და ივარაუდა, შეიძლება ლენტისებრი ჭია გყავსო. მის მოსაშორებლად პირთან თბილი რძით სავსე ჯამი და

ფანქარი უნდა დაიჭიროო (ეტყობა, ლენტისებრ ჭიებს თბილი რძე უყვართ. ჰო, ალბათ უყვართ). თურმე პირი უნდა გავალო და როცა ჭიის თავი გამოჩნდება, ფრთხილად დავახვიო ფანქარზე.

- მისმინე, - ვუპასუხე, - ჩემი ლენტისებრი ჭია ჩემთან დარჩება. მიყვარს ჩემი ახალი ჭია. მარტო გამხდარი კი არ ვარ, აღარც მოწევა მინდება და აღარც ღვინის ყლურწვა.

- შეყვარებული ხარ? - დაეჭვებული ტონით მკითხა ტომმა. ყოველთვის ასე იცის. არ გეგონოთ, ჩემთან ყოფნა უნდოდეს, მისი ჰომოსექსუალობა სრულიად ნათელია. მაგრამ როდესაც მარტოხელა ხარ, ყველაზე ნაკლებად ის გინდა, შენმა საუკეთესო მეგობარმა სერიოზული ურთიერთობა გააბას ვინმე სხვასთან. გონება დავმაზე, შემდეგ კი, მოულოდნელი, განსაცვიფრებელი ამბის გაცნობიერებისგან ელდა მეცა. დენიელი აღარ მიყვარს. თავისუფალი ვარ!

სამშაბათი, 25 აპრილი

8.7 სტ, ალკოჰოლის ერთეული - 0 (ბრწყინვალეა), სიგარეტი - 0 ღერი (მ.დ. კ.), კალორია - 995 (საქმე კარგად მიდის).

ჰმ. წუხელ ჯუდის მიერ გამართულ წვეულებაზე წავედი ტანზე მომდგარი, მოკლე, შავი კაბით, რათა საკუთარი სხეული წარმომეჩინა. ძალიან შეამაყებოდა საკუთარი თავი.

- ღმერთო ჩემო, კარგად ხარ? - მკითხა ოთახში შესულს ჯუდმა, - ძალიან დაღლილი შესახედაობა გაქვს.

- მშვენივრად, - ვუპასუხე ხასიათგაფუჭებულმა, - შვიდი ფუნტი დავიკელი. რა მოხდა?

- არაფერი. უბრალოდ, მეგონა...

- რა? რა?

- მგონი, მეტისმეტად სწრაფად... სახე გაქვს ჩავარდნილი, - სიტყვა გაწელა მან, თან, სავარაუდოდ, ჩემს ჩაფუშულ რბილ ადგილებს შეავლო მზერა.

საიმონსაც იგივე რეაქცია ჰქონდა.

- ბრიჯიიიიიტ! სიგარეტი გაქვს?

- არა, თავი დავანებე.

- მიდი ერთი! რა გასაკვირია, რომ ასეთი...

- რა?

- არაფერი, არაფერი, უბრალოდ, ცოტათი... დაქანცულს ჰგავხარ.

მთელი საღამო ასე გაგრძელდა. იმაზე უარესი არაფერია, როცა ადამიანები გეუბნებიან, დაღლილი შესახედაობა გაქვსო. ხომ შეეძლოთ, ასეთივე წარმატებით ეთქვათ, რომ ხუთი ქულით მაფასებდნენ? ძალიან მომწონდა, რომ არ ვსვამდი, მაგრამ საღამო გრძელდებოდა, ყველა დათვრა და თანდათან ისეთი სიმშვიდე და თვითკმაყოფილება დამეუფლა, რომ უკვე საკუთარი თავი ძალიან იზიანებდა. სულ უფრო ხშირად ვამჩნევდი, რომ საუბრებში სიტყვის თქმაც მეზარებოდა, უბრალოდ თანამოსაუბრეებს თავს ჰკვიანი, დამოუკიდებელი ადამიანის მანერით ვუქნევდი.

- გვირილის ჩაი ხომ არ გაქვს? - ვკითხე ჯუდს, როცა ბედნიერი სლოკინით გვერდით ჩამიარა. მან გადაიხარხარა, ხელი მომხვია და ჩაიკეცა. გადავწყვიტე, რომ ჯობდა, სახლში წავსულიყავი.

მივედი თუ არა, საწოლისკენ გავემართე და თავი ბალიშზე დავდე, თუმცა არაფერი მომხდარა. ვწრიალებდი, მაგრამ ვერაფრით დავიძინე. ჩვეულებრივ, ახლა უკვე შუა ხვრინვაში ვიქნებოდი და რომელიმე ტრავმირებული, პარანოიდული სიზმარი დამესიზმრებოდა. შუქი ავანთე. ჯერ მხოლოდ თორმეტის ნახევარი იყო. რამე ხომ არ უნდა გავაკეთო? მაგალითად... ტანსაცმელი დავკემსო? შინაგანი ღირსება... ტელეფონმა დარეკა. ტომი იყო.

- კარგად ხარ?

- დიახ. თავს შესანიშნავად ვგრძნობ. რატომ მეკითხები?

- უბრალოდ, დღეს რაღაცნაირად მოდუნებული ჩანდი. ყველამ შეამჩნია, რომ საკუთარ თავს არ ჰგავდი.

- არა, მშვენივრად ვიყავი. ნახე, რა გამხდარი ვარ?

დუმილი ჩამოწვა.

- ტომ?

- ჩემი აზრით, ადრე უკეთესად გამოიყურებოდი, ძვირფასო.

ახლა სიცარიელეს ვგრძნობ და შეცბუნებული ვარ - თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. თვრამეტი წელი ამაოდ გავფლანგე. თვრამეტი წელი - კალორიებისა და ცხიმის არითმეტიკაზე. თვრამეტი წელი - გრძელი ქვედაბოლოებისა და ჯემპრების ყიდვაზე, ხოლო ინტიმურ მომენტებში ოთახიდან გავდიოდი იმის შიშით, რომ ჩემი უკანალი არ დაენახათ. მილიონობით ჩიოქეიქი და ტირამისუ, ათობით მილიონი ნაჭერი ყველი ემენტალი - შეუჭმელი დავტოვე. ბრძოლის, თავგანწირვისა და მცდელობის თვრამეტი წელი - და რისთვის? თვრამეტი წელი, რომ შედეგად „დაღლილი“ და „მოდუნებული“ მიმეღო? თავს იმ მეცნიერივით ვგრძნობდი, რომელიც აღმოაჩენს, რომ მთელი მისი ცხოვრების ნაშრომი შეცდომაზე ყოფილა აგებული.

ხუთშაბათი, 27 აპრილი

ალკოჰოლის ერთეული - 0, სიგარეტი - 0 ღერი, მომენტალური ლატარიის ბილეთი - 12 (d.d. ცუდი, მაგრამ სამაგიეროდ მთელი დღე არც ავწონილვარ და არც დიეტაზე მიფიქრია; d.კ.).

მომენტალური ლატარიის ბილეთების ყიდვა უნდა შევწყვიტო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ხშირად ვიგებ. ასეთი ბილეთები ჯობია ჩვეულებრივ ლატარიას, რადგან „ბრმა პაემანის“ ყურებისას რიცხვები თვალწინ არ გიტრიალებს და მათ შორის იმ ერთადერთს არ ეძებ, რომელიც გაქვს, მერე თავს უილაჯოდ და მოტყუებულად არ გრძნობ, როცა აღარაფერი გრჩება, გარდა ბილეთის დაკუწვისა და იატაკზე მოპნევისა.

სულ სხვა საქმეა მომენტალური გათამაშების ბილეთები - ექვსი ფიგურის გადაფხევისას პროცესის მონაწილე ხდები - ეს გადაფხევა ხშირად საკმაოდ რთულია და დახელოვნებას მოითხოვს - და არასოდეს გრჩება შეგრძნება, შანსი არ მქონიაო. სამი დამთხვევა და მოგებული ხარ, თანაც გამოცდილება მკარნახობს, რომ ხშირად ძალიან

უახლოვდები მოგებას, რადგან უმეტეს შემთხვევაში ორი რიცხვი მაინც ემთხვევა, თანაც ისეთ დიდ თანხებს, როგორცაა **50.000 ფუნტი**.

ასეა თუ ისე, საკუთარ თავს ყველა სიამოვნებას ვერ აუკრძალავ. დღეში მხოლოდ ოთხ ხუთ ბილეთს ვყიდულობ და ამასაც მალე თავს დავანებებ.

პარასკევი, 28 აპრილი

ალკოჰოლის ერთეული – **14**, სიგარეტი – **64** ლერი, კალორია – **8400** (ძ.კ. მაგრამ ცუდია, რომ დავითვალე. გახდომა აკვიატებულ აზრად მექცა. ძალიან ცუდი), მომენტალური ლატარიის ბილეთი – **0**.

გუშინ ცხრას რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მომადუნებელ არომათერაპიულ აბაზანას ვიღებდი და გვირილის ჩაის ვწრუპავდი, როცა ავტომანქანის სიგნალიზაციის ხმა მომესმა. ოდესღაც ჩვენს ქუჩაზე ავტომანქანების ამ სრულიად აუტანელი და უშედეგო სიგნალიზაციების საწინააღმდეგო კამპანიას ვატარებდი, რადგან ბევრად უფრო მოსალოდნელია, თქვენს მანქანაში სიგნალიზაციისგან შეწყუბებული მეზობელი ჩაძვრეს, ვიდრე გამტაცებელი.

ამჯერად, იმის ნაცვლად, რომ გაცოფებულს პოლიციისთვის დამერეკა, მხოლოდ მშვიდად ჩავისუნთქე და წავიბუტბუტე: „შინაგანი ღირსება“. კარზე ზარი დარეკეს. მე დომოფონის ყურმილი ავიღე. კრავივით ხმამ დაიკვირა: „მას ვიღაც ჰყავს“, რასაც ისტერიკული ქვითინი მოჰყვა. ქვედა სართულისკენ კისრისტეხით დავეშვი და გარეთ მაგდა აღმოვაჩინე. ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა და ჯერემის „სააბის“ კაბრიოლეტის საჭის ქვეშ რაღაცას ცოდვილობდა. მანქანა ბლუოდა, ღმუოდა, ფარები უციმციმებდა, ბავშვი კი ისე ჩხაოდა, თითქოს იმ მანქანის სავარძელში შინაური კატა ახრჩობდა.

– გამორთე! – დაიღრიალა ვიღაცამ ზედა სართულის ფანჯრიდან.

– ამის დედაც, არ შემიძლია, – გულის გამგმირავად დაიყვირა მაგდამ და კაპოტს უბიძგა.

– ჯერერერს! – ჩაჰყვირა მან მობილურ ტელეფონს, – ჯერერს, შე დედამოტყუნულო, მოღალატე ნაბიჭვარო! როგორ აღებ ამ დამპალი „სააბის“ კაპოტს?

მაგდა დიდებულისა. ჩვენი ქუჩა მას არ შეეფერება. ამ საცოდავი ქუჩის ზოგიერთი ფანჯრიდან ჯერ კიდევ გადმოკიდებულია პლაკატები: „თავისუფლება ნელსონ მანდელას!“

– არ ვაპირებ შენთან დაბრუნებას, ნაბიჭვარო! – აგრძელებდა მაგდა ყვირილს, – უბრალოდ მითხარი, როგორ ავხადო კაპოტი.

ცოტა ხანში ორივენი მანქანაში ვისხედით და ყველა ბერკეტს ვსინჯავდით, რომელთა პოვნასაც ვახერხებდით. მაგდა დროდადრო ბოთლიდან შამპანურს ყლურწავდა. ამასობაში ჩვენ გარშემო გაბრაზებული ბრბო იკრიბებოდა. შემდეგ „ჰარლი-დევიდსონის“ მოტოციკლით ჯერემი მოგრიალდა, მაგრამ სიგნალიზაციის გამორთვის ნაცვლად უკანა სავარძლიდან ბავშვის გადმოთრევა დაიწყო, მაგდა კი ხმამაღლა უყვიროდა. მერე ავსტრალიელმა ტიპმა, დენმა, რომელიც ჩემ ქვემოთ ცხოვრობს, ფანჯარა გამოაღო.

– ვაი, ბრიჯიდ! – დამიძახა მან, – წყალი ჩამომდის ჭერიდან!

– ჯანდაბა! აბაზანა!

კიბეზე ავირბინე, მაგრამ კართან გამახსენდა, რომ გამოსვლისას შიგნითა მხარეს გარჭობილი გასადებით გამოვიკეტე. თავის კედლზე რტყმას მოვეყვი და ვყვიროდი: – ფუ შენი, ფუ შენი!

შემდეგ ჰოლში დენი გამოჩნდა.

– უფალო იესო! – თქვა მან, – ჯობია ეს გამომართვა.

– მაღლობა, – ვუთხარი და გამოწვდილი სიგარეტის ღერი ლამის შევჭამე. რამდენიმე ღერი სიგარეტისა და საკრედიტო ბარათით საკეტის წვალეების შემდეგ, როგორც იქნა, შიგნით შევაღწიეთ და აღმოვაჩინეთ, რომ ყველაფერი წყალს დაეტბორა. ონკანები ვერ გადავკეტეთ. დენმა თავისთან ჩაირბინა და უკან ქანჩითა და შოტლანდიური ვისკის ბოთლით დაბრუნდა. როგორღაც ონკანების გადაკეტვა მოახერხა და მერე იატაკის მომშრალებაშიც დამეხმარა. სიგნალიზაციის ხმაც შეწყდა და მე და დენი ფანჯარაში სწორედ მაშინ გადავეყუდეთ, როცა „სააბი“ თვალს მიეფარა, „ჰარლიდევიდსონი“ კი კუდში მიჰყვა.

ორივეს სიცილი აგვიტყდა – უკვე საკმარისი ვისკი გვექონდა დალეული. მერე მოულოდნელად – არც კი ვიცო, როგორ მოხდა – დენმა მაკოცა. ეტიკეტის თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, რთული სიტუაცია იყო, რადგან ახლახან მისი ბინა ჩავრეცხე და საღამო ჩავუშხამე, ასე რომ, არ მინდოდა, უმადური ვგონებოდი. ვიცო, ეს ჩემი სექსუალური შევიწროების უფლებას არ აძლევდა, მაგრამ მთელი ამ დრამების, შინაგანი ღირსების და ასე შემდეგ, მდგომარეობის ასეთი განვითარება მართლაც სასიამოვნო იყო.

მოულოდნელად კარში მოტოციკლისტის ტყავის ქურთუკში გამოწყობილი კაცი გამოჩნდა ხელში პიცის ყუთით.

– ფუ შენი, – თქვა დენმა, – დამავიწყდა, რომ პიცა მქონდა შეკვეთილი.

ასე რომ, ერთ ბოთლ ღვინოსთან ერთად პიცაც მივირთვით, რამდენიმე ღერი სიგარეტი და ცოტაოდენი ვისკიც დავაყოლეთ, მერე ისევ ერთმანეთს დავუწყეთ კოცნა. მსუბუქად შევეწინააღმდეგე: – არა, არა, არ გვინდა, – რასაც მისი სასაცილო ბურტყუნით მოჰყვა: – ო, ღმერთო, ო, ღმერთო!

– რა მოხდა? – ვკითხე.

– დაქორწინებული ვარ, – მიპასუხა მან, – მაგრამ, ბრიჯიდ, მგონი მიყვარხარ.

ბოლოს და ბოლოს, როცა წავიდა, იატაკზე დავეხეთქე, აცახცახებული ზურგით კარს მივეყრდენი და სიგარეტის ნარჩენების ერთი მეორის მიყოლებით მოწევა დავიწყე. „შინაგანი ღირსება“ – გავიმეორე უგულოდ. კარზე ისევ დარეკა ზარმა. ყურადღება არ მიმიქცევია. კიდეც დარეკა. განუწყვეტლად რეკავდა. ყურმილი ავიღე.

– ძვირფასო, – წარმოთქვა სრულიად სხვა, მთვრალმა ხმამ, რომელიც მაშინვე ვიცანი.

– წადი აქედან, დენიელ, – წავისისინე.

– არა. ნბა მმცი აგიხსნა.

– არა.

– ბრიჯ... შემომიშვი, გთხოვ.

სიჩუმე. ღმერთო ჩემო. ისევ ასე ძალიან რატომ მიზიდავს დენიელი?

– მიყვარხარ, ბრიჯ.

– წადი აქედან. მთვრალი ხარ, – იმაზე დარწმუნებით ვთქვი, ვიდრე ვიყავი.

– ჯონს!

- რა?

- შეიძლება, შენი ტუალეტი გამოვიყენო?

შაბათი, 29 აპრილი

ალკოჰოლის ერთეული – 12, სიგარეტი – 57 ღერი, კალორია – 8489 (ბრწყინვალეა).
ოცდაოთხი საათი, ოთხი პიცა, ერთი ინდური კერძი გამოძახებით, სამი კოლოფი სიგარეტი და მოგვიანებით სამი ბოთლი შამპანური. დენიელი ისევ აქაა. მე შეყვარებული ვარ. ჩემი მდგომარეობა შემდეგნაირად შეიძლება აღიწეროს:

- ა) გავახალგაზრდავდი;
- ბ) დაკავებული ვარ/დანიშნული ვარ;
- გ) სულელი ვარ;
- დ) ორსულად ვარ.

23:45. ახლახან გული ამერია და უნიტაზს გადამხობილი ვცდილობდი, არ მეხმაურა, რათა დენიელს არ გაეგო, მაგრამ მოულოდნელად საძინებლიდან მისი ყვირილი გავიგონე: – ეგ შენი შინაგანი ღირსება გამოდის ორგანიზმიდან, ჩემო ფუმფულავ. ძალიანაც კარგი, მე თუ მკითხავ, ეგრეც მოუხდება.

მაისი მომავალი დედა

ორშაბათი, 1 მაისი

ალკოჰოლის ერთეული – 0, სიგარეტი – 0 ღერი, კალორია – 4200 (ორის ნაცვლად ვჭამ). სერიოზულად მგონია, რომ ორსულად ვარ. ასეთი სულელები როგორ ვართ? მე და დენიელი ისე გაგვიტაცა კვლავ ერთად ყოფნის ეიფორიამ, რომ რეალობის შეგრძნება სულ დავკარგეთ და მაშინვე... იცით რა, სულაც არ მინდა ამაზე ლაპარაკი. განთიადზე გულისრევას ნამდვილად ვგრძნობდი, მაგრამ შეიძლება ეს იმის ბრალიც ყოფილიყო, რომ გუშინ, როცა დენიელი წავიდა, ნაბახუსევი თავს ცუდად ვგრძნობდი და მოსამაგრებლად უამრავი რამ შევჭამე. მაგალითად:

2 პაკეტი დაჭრილი ყველი ემენტალი

1 ლიტრი ახალგამოწურული ფორთოხლის წვენი

1 მუნდირში მოხარშული კარტოფილი (გაციებული)

2 ნაჭერი გამოუმცხვარი ლიმონის ჩიზქეიქი (სულელურად მოვიქეცი; ან იქნებ მართლა ორის ნაცვლად ვჭამ).

1 „მილკი ვეი“ (მხოლოდ 125 კალორიაა. ორგანიზმმა დიდი მონდომებით მიპასუხა ჩიზქეიქზე და გამომიცხადა, ბავშვს შაქარი სჭირდება).

1 შოკოლადის ვენური დესერტი კრემით (ეს გაუმაძღარი ბავშვი ჯიუტად მოითხოვს ტკბილს).

ორთქლზე მომზადებული ბროკოლი (ვცდილობ ბავშვი კარგად გამოვკვებო და თავიდანვე აღვკვეთო მისი თვითნებობა).

4 ცივი სოსისი „ფრანკფურტერი“ (კარადაში მხოლოდ მისი შეკვრა ვიპოვე. ამ ფეხმძიმობამ ძალა გამომაცალა, საყიდლებზე ვერ წავიდოდი).

ღმერთო. უკვე უამრავჯერ წარმოვიდგინე, როგორი სანიმუშო დედა ვარ, „კელვინ კლანის“ რეკლამის გმირივით; ან, მოკლე მაისურში გამოწყობილი, როგორ ვისვრი ჩემს პატარას ჰაერში და წარმატებული ქალის ღიმილით შევყურებ კამერას, რომელიც თანამედროვე გაზის ღუმელის, ჯანსაღი ცხოვრების წესის ან რაიმე სხვა სარეკლამო რგოლში მიღებს.

სამსახურში პერპეტუა დღეს განსაკუთრებით აუტანელი იყო. მთელი ორმოცდახუთი წუთი ელაპარაკებოდა ტელეფონზე დეზდემონას და მასთან ერთად განიხილავდა, მოუხდებოდა თუ არა ყვითლად შეღებილ კედლებს ვარდისფერი და ნაცრისფერი ტონალობების ფურჩალებიანი ფარდები, თუ მაინც აჯობებდა მას და ჰუგოს სისხლივით წითელი შპალერი და ყვავილებიანი ფრიზები ეყიდათ. თხუთმეტწუთიანი შუალედებით მხოლოდ ამას ამბობდა: „სრულიად... არა, სრულიად... სრულიად“, შემდეგ შეაჯამა: „რასაკვირველია, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე არგუმენტები შეიძლება წითლის სასარგებლოდაც მეტყველებდეს“.

ჩვეულებრივ მისთვის რაიმეს სროლის სურვილი გამიჩნდებოდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ბედნიერი ღიმილით გავიღიმე და გავიფიქრე, მალე ეს ყველაფერი ჩემთვის მნიშვნელობას დაკარგავს და მხოლოდ ახალშობილ ნამცეცა ადამიანზე ზრუნვით ვიქნები დაკავებული-მეთქი. შემდეგ დენიელზე ფანტაზიების სრულიად ახალი სამყარო აღმოვაჩინე – დენიელი, რომელიც კენგურუთი დაასეირნებს ჩვილს, დენიელი, რომელიც სამსახურიდან სახლში მორბის, რომ ჩვენ ორს – ვარდისფერებს და გაბრწყინებულებს – აბაზანაში მოგვისწროს, დენიელი, რომელიც წლების შემდეგ სადამოშობით დამაჯერებლად ითავსებს მამისა და მასწავლებლის ფუნქციებს.

მაგრამ მერე ის მოვიდა. ასეთ ცუდ ფორმაში არასოდეს მინახავს. ერთადერთი ახსნა მოვუძებნე, ალბათ გუშინ ჩემგან წასვლის შემდეგ სმა გააგრძელამეთქი. ჯიქურ გამომხედა, ჯალათის მზერით. ფანტაზიები ოჯახური სიმყუდროვის შესახებ მაშინვე გაქრა და ადგილი ფილმ „სიმთვრალის“ (სიმთვრალე (**Barfly**) – რეჟისორ ბარბეტ შროდერის 1987 წელს გადაღებული დრამა. მთავარ როლს მიკი რურკი ასრულებს.) სცენებს დაუთმო, რომელშიც წყვილი მთელ დროს სმაში, ყვირილსა და ერთმანეთისთვის ბოთლების სროლაში ატარებს. წარმოვიდგინე, დენიელი მთავარი გმირივით როგორ მიღრიალებდა: „ბრიჯ! ბავშვი ღნავის! გააჩუმე, თორემ თავს წავაძრობ“. მე კი ვუპასუხებდი: „დენიელ, ვერ ხედავ, რომ ვეწევი?“

ოთხშაბათი, 3 მაისი

9.2 სტ* (ოჰო. პატარა არანორმალური, უზარმაზარი ტემპით იზრდება), ალკოჰოლის ერთეული – 0, სიგარეტი – 0 ღერი, კალორია – 3100 (თუმცა, უმეტესად კარტოფილი. ღმერთო!). *ახლა ისევ მომიწევს წონის კონტროლი, ბავშვის საკეთილდღეოდ. მიშველეთ. მთელი ორშაბათი და სამშაბათის უმეტესი ნაწილი ვფიქრობდი, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი, თუმცა გულის სიღრმეში ვიცოდი, ვცდებოდი – დაახლოებით ისე, შუალადისას ცარიელ ქუჩაში მარტო რომ მიაბიჯებ და გგონია, უკან ვიღაც მოგყვება, თუმცა სულ ტყუილად. მერე კი მოულოდნელად ვიღაც ყელში გწვდება – სწორედ ასე

გადამიცდა ორი დღე. დენიელი ორშაბათს მთელი დღე თვალს მარილებდა, საღამოს ექვსი საათისთვის კი გამომიჭირა და მითხრა:

- მისმინე, კვირის ბოლომდე მანჩესტერში მივემგზავრები. შაბათ საღამოს გნახავ, კარგი?

მაგრამ აღარ დაურეკავს. მარტოხელა დედა ვიქნები.

ხუთშაბათი, 4 მაისი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 0, სიგარეტი – 0 ღერი, კარტოფილი – 12 ცალი.

წინდახედულობა გამოვიჩინე და ორსულობის ტესტის შესამძენად აფთიაქში წავედი. მოლარე გოგონას პაკეტი თავდახრილმა ვუჩვენე, თან ვნანობდი, რომ არათითზე საქორწინო ბეჭდის გაკეთება ვერ მოვიფიქრე. სწორედ ამ დრო აფთიაქარმა დაიღრიალა:

- ორსულობის ტესტი გინდათ?

- ჩუუ! – დავისისინე და ზურგს უკან გავიხედე.

- რამდენი ხანია ციკლი დაგერღვათ? – განაგრძო კაცმა ღრიალი, – გირჩევთ ეს ლურჯი ტესტი აიღოთ. ის ციკლის დაგვიანების პირველივე დღიდან აჩვენებს შედეგს. გამოწვდილ ტესტს ხელი ვტაცე, რვა ფუნტი და ოთხმოცდათხუთმეტი პენი მივაწოდე და ჩქარი ნაბიჯით გამოვედი ქუჩაში.

ამ დილით დაახლოებით ორი საათი ისე ვუყურებდი ჩემს ხელჩანთას, თითქოს ასაფეთქებლად გამზადებული ბომბი იყო. თორმეტის ნახევარზე ვეღარ გავუძელი, ჩანთას ხელი დავავლე, ლიფტში შევვარდი და ორი სართულით ქვედა საპირფარეშოში ჩავედი, რომ ვინმე ნაცნობს საექვო შრიალი არ გაეგონა. ამ პროცესმა რატომღაც დენიელზე გამაცოფა. ეს მისი პასუხისმგებლობაც იყო, მაგრამ მას არ დაუხარჯავს **8.95** ფუნტი ტესტზე და ტუალეტში დამალული ის არ ცდილობდა, როგორმე ჩხირზე დაეფსა. გაცოფებულმა პაკეტი გავხიე, ყუთი ნაგვის ურნაში ჩავაგდე და ყველაფერი ინსტრუქციის თანახმად შევასრულე, შემდეგ ჩხირი ამოვატრიალე და უნიტაზის ბაკზე ზედ დაუხედავად დავდე. სამი წუთი. ისლა დამრჩენოდა, ბედისწერას დავმორჩილებოდი, რომელიც ნელნელა, ლურჯი ხაზის საშუალებით გამოვლინდებოდა. როგორღაც გავუძელი ამ ას ოთხმოც წამს – ჩემი თავისუფლების უკანასკნელ ას ოთხმოც წამს – შემდეგ ტესტი ავიღე და კინაღამ წამოვიყვირე. პატარა ფანჯარაში ნათლად ჩანდა წვრილი, ლურჯი, თავხედი ხაზი. ოჰ! ოჰ! ორმოცდახუთი წუთი მივშტერებოდი კომპიუტერს და ვცდილობდი წარმომედგინა, რომ პერპეტუა, რომელიც მეკითხებოდა, რა დაგემართაო, მონსტერას უზარმაზარი ბუჩქი იყო მერე კი წამოვხტი და შერონთან დასარეკად ტელეფონის ჯიხურში გავვარდი. წყეული პერპეტუა. ორსულობის გამო ასეთი შიში მას რომ ეჭამა, ათ წუთში უკვე საკურთხევლისკენ მიმავალ გზაზე იქნებოდა, ამანდა ვეიკლის (ამანდა ვეიკლი – ბრიტანელი დიზაინერი, ცნობილია სადღესასწაულო და საქორწინო კაბების ხაზით) საქორწინო კაბაში გამოწყობილი. ქუჩაში ისეთი ხმაური იდგა, შერონს ვერაფერი გავაგებინე.

- რა? ბრიჯიტ? არ მესმის. პოლიციასთან გაქვს პრობლემა?

- არა, – ამოვიქმინე, – ორსულობის ტესტში ლურჯი ხაზი ამომივიდა.

- უფალო იესო! თხუთმეტ წუთში კაფე „რუჟში“ შეგხვდები.

მართალია, ჯერ პირველს თხუთმეტი წუთი აკლდა, მაგრამ ვიფიქრე, ფორთოხლის წვენიტ გაზავებული არაყი ცუდი არ იქნება, რადგან მართლაც საგანგებო მდგომარეობაა-მეთქი, მაგრამ მაშინვე გამახსენდა, რომ ალკოჰოლი ბავშვს ავნებდა. შერონის ლოდინში თავს უცნაურად ვგრძნობდი, ალბათ, ჰერმაფროდიტივით – ჩემში ქალური და მამაკაცური გრძნობები ებრძოდა ერთმანეთს. ერთ მხარეს იყო მყუდრო და თბილი ოცნებები დენიელზე; თვითკმაყოფილება, რომ ნამდვილი ქალი აღმოვჩნდი – დაუოკებლად ნაყოფიერი! თვალწინ მედგა ვარდისფერი, ფუმფულა ბავშვის კანი, პაწაწინა, საყვარელი არსება, ასევე რაღფ ლორენის საბავშვო ხაზის ტანსაცმელი. მეორე მხრივ კი ვფიქრობდი, ღმერთო, ჩემი ცხოვრება დასრულებულია, დენიელი შეშლილი ალკოჰოლიკია და როცა ყველაფერს გაიგებს, ჯერ მომკლავს და მერე მიმატოვებს-მეთქი. ვგლოვობდი გოგოებთან ერთად საღამოობით გასართობად და საყიდლებზე სიარულს, ფლირტს, სექსს, ღვინის ბოთლებსა და გაბოლებას. ამ ყველაფრის ნაცლად მალე უსახურ, გასიებულ რძის მანქანად გადავიქცეოდი, რომელიც არავის მოეწონებოდა და რომელსაც არც ერთი ჩემი შარვალი არ ჩაეტეოდა, განსაკუთრებით – ახალნაყიდი, მწვანე ჯინსი. ბოლოს დავასკვენი, რომ ეს აურზაური ის საფასური იყო, რომელიც თანამედროვე ქალად ქცევისათვის უნდა გადამეხადა, რადგან ნაცვლად იმისა, ბუნების კანონს დავმორჩილებოდი, თვრამეტი წლის ასაკში ნორთჰემპტონის ავტობუსში გაცნობილ ებნორ რიმინგტონს ცოლობაზე უარი ვუთხარი.

როგორც კი შერონი მოვიდა, მოლუმულმა მაგიდის ქვეშ ორსულობის ტესტი მივაწოდე, ზედ იმ მრავლისმეტყველი ლურჯი ხაზით.

– ეს ის არის? – მკითხა მან.

– რასაკვირველია, ის არის, – წავიბურტყუნე, – აბა, შენი აზრით, რა უნდა იყოს? პორტატიული ტელეფონი?

– რა სასაცილო ვინმე ხარ, – დამიყვავა შერონმა, – ინსტრუქცია არ წავიკითხავს? ორი ლურჯი ხაზი უნდა იყოს. ეს ხაზი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ტესტი მოქმედებს. ერთი ხაზი ორსულობას არ ნიშნავს. ოჰ, შე ჩერჩეტო.

სახლში დაბრუნებულს ავტომოპასუხეზე დედაჩემის შეტყობინება დამხვდა: „ძვირფასო, სასწრაფოდ დამირეკე, ნერვები დაწყვეტაზე მაქვს“.

ჰო, მას აქვს ნერვები დაწყვეტაზე!

პარასკევი, 5 მაისი

9 სტ (ჯანდაბა ამის თავს, ვერ გადავჩვევივარ მთელი ცხოვრების ჩვევას, მით უმეტეს ორსულობის შემდგომი ტრავმა მაქვს – აუცილებლად ჩავიტარებ რაიმე სახის თერაპიას), ალკოჰოლის ერთეული – **6** (ვაშაა!), სიგარეტი – **25** ღერი, კალორია – **1895**, მომენტალური ლატარიის ბილეთი – **3**.

მთელი დილა სახლში დავბოდილობდი და დაკარგულ ბავშვზე ვდარდობდი. მერე, როცა ტომმა დამირეკა და ლანჩზე დამპატიჟა, რომელზეც შაბათკვირის ჯანსაღად დასაწყებად „სისხლიანი მერი“ იქნებოდა, ცოტა გავმხნევედი. სახლში მისულმა დედის გამაღიზიანებელი შეტყობინება მოვისმინე, რომ გამოსაჯანსაღებელ ფერმაში მიემგზავრებოდა და მოგვიანებით დამირეკავდა. ნეტავ რა მოხდა. ეტყობა, გულმხურვალე თაყვანისმცემლებისგან გამოგზავნილმა „ტიფანის“ უამრავმა კოლოფმა

და კონკურენტი ტელეკომპანიებისგან ტელეწამყვანის პოზიციის შეთავაზებებმა გადაღალა.

23:45. დენიელმა მანჩესტერიდან დამირეკა.

– კარგად გაატარე კვირა? – მკითხა მან.

– შესანიშნავად, გმადლობ, – ვუპასუხე მხიარულად. „შესანიშნავად, გმადლობ“. ჰმ!

სადაც წავიკითხე, რომ საუკეთესო საჩუქარი, რომლის მიძღვნაც ქალს მამაკაცისათვის შეუძლია, სიმშვიდეა. ამიტომ ახლა, როცა, როგორც იქნა, ერთმანეთს ვხვდებით, ვერ გამოვუტყდებოდი, რომ როგორც კი გავიგულე, მოლანდებულმა ორსულობამ ნერვული შეტევა დამმართა.

კარგი. რა მნიშვნელობა აქვს. ხვალ ერთმანეთს შევხვდებით. ვაშაა! ლა-ლა-ლა!

შაბათი, 6 მაისი, გამარჯვების დღე

9.1 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **6**, სიგარეტი – **25** ღერი, კალორია – **3800** (მაგრამ მე ხომ ნორმირების შეწყვეტის დღესასწაულს აღვნიშნავ), ლატარიის გათამაშებაში დამთხვეული რიცხვები – **0** (ცუდია).

გამარჯვების დღეს სეზონისთვის უჩვეულო სიციხემ გამაღვიძა და ვცადე, აღტაცება მეგრძნო ომის დასრულებისა და ევროპის გათავისუფლების გამო. ვიმეორებდი – ეს ხომ დიდებულია, არაჩვეულებრივია და ა.შ. და ა.შ. სიმართლე გითხრათ, დიდი არაფერი გამომივიდა. ცხოვრების ფერხულიდან ამოვარდნილი – სწორედ ეს გამოთქმა შემეფერება. ბაბუები არ მყავს. მამა იმ წვეულებისთვის ემზადება, რომელიც ალკონბერების ბაღში უნდა გაიმართოს და, რომელზეც, აუხსნელი მიზეზების გამო, ბლინების გამოცხობა მას მოუწევს. დედა ჩელტენჰემში მიდის, იმ ქუჩაზე, სადაც გაიზარდა, რომ ვეშაპის ხორცისღვეხელებიან წვეულებას დაესწროს, ალბათ, ჯულიოსთან ერთად (კიდევ კარგი, გერმანელთან ერთად არ გაიქცა).

არც ერთი ჩემი მეგობარი არ აწყობს წვეულებას. სირცხვილი იქნებოდა უადგილო ენთუზიაზმი გამოგვეჩინა და ცხოვრებისადმი დადებითი მიდგომის მაგალითი გვეჩვენებინა. ისე გამოგვივიდოდა, თითქოს ფარისევლურად ვცდილობდით, ისეთ რამეში ჩაგვეყო ცხვირი, რასთანაც საერთო არაფერი გვექონდა. იმას ვგულისხმობ, რომ ომის დამთავრებისას, ალბათ, კვერცხუჯრედიც არ ვიყავი. სრულიად არაფერს წარმოვადგენდი, ისინი კი ყველანი იბრძოდნენ და სტაფილოს მურაბებს ხარშავდნენ, თუ რა ვიცი, რას აღარ აკეთებდნენ.

ეს აზრი ძალიან არ მომწონს და უკვე ვფიქრობ, დედას ხომ არ დავურევო და ვკითხო, ომის დასასრულს მენსტრუაცია უკვე ჰქონდა თუ არა. საინტერესოა, თითო ჯერზე თითო კვერცხუჯრედი წარმოიქმნება თუ ერთად, და დაბადებიდან გააქტიურებამდე რაიმე სპეციალურ მიკროფორმაში ინახება? ნეტა, როგორმე ომის დასრულებას ვიგრძნობდი, თუკი კვერცხუჯრედის სახით ვიყავი შენახული? ბაბუა რომ მყოლოდა, მოვუვლიდი, მოვეფერებოდი და საერთო ზეიმში ასე მაინც მივიღებდი მონაწილეობას. ერთი მაგის დედაც, ავდგები და საყიდლებზე წავალ.

19:00. შემოდის დავიფიცო, რომ სიცხემ ჩემი სხეულის ზომა გააორმაგა. აღარასოდეს შევალ საერთო გასახდელში. სავაჭრო ცენტრში კაბის თავზემით გადახდას ვცდილობდი, როცა ილღობთან გამეჭედა და, თავზე ქსოვილის უკანა პირგადაფარებული, კარგა ხანს დავბარბაცებდი ყველას დასანახად, თან კაბას ვეჯაჯგურებოდი და ჰაერში ზემოთ ვექაჩებოდი, მუცელს და ბარძაყებს კი მთელი ძალით ვარხევდი ერთად შეკრებილი, მოხითხითე, თხუთმეტი წლის ბავშვების თვალწინ. როცა ამ სულელური კაბის ქვემოთ ჩამოწევა და ფეხებიდან გახდა ვცადე, ახლა თემოებზე გამეჭედა.

მძულს საერთო გასახდელები! ფარულად ყველა ერთმანეთის სხეულს ათვალიერებს და არასოდეს გისწორებენ თვალს. ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე იქ სიამოვნებისგან სახეგაცისკროვნებული რამდენიმე გოგონა, რომლებსაც შესანიშნავად მოეხსენებათ, როგორი მოხდენილებიც არიან. ასეთები სარკის წინ ცეკვავენ, თმას ჰაერში იქნევენ და მოდელეზით სხვადასხვა პოზაში დგებიან, თან საკუთარ აუცილებლად ჭარბწონიან მეგობრებს, რომლებსაც ისევე ერგებათ ტანსაცმელი, როგორც კამეჩს, ირონიულად ეკითხებიან: – ეს კაბა ხომ არ მასუქებს?

ერთი სიტყვით, ეს საყიდლები კი არა, სრული კატასტროფა იყო. ვიცი, პრობლემას მარტივად გადაჭრიდა რაიმეს „ნიკოლ ფარიში“, „ვისლსში“ ან „ჯოზეფში“ ყიდვა, მაგრამ მათი ფასები ისე მაფრთხობს, მაშინვე „ვეაჰაუსში“ და „მის სელფრიჯში“ გავრბივარ ხოლმე, სადაც **34.99** ფუნტიანი კაბების ლეგიონში ვიკარგები, შემდეგ რომელიმე კაბა თავზე მეჭედება და ბოლოს „მარკს ენდ სპენსერში“ ვყიდულობ აქსესუარებს – მოზომება მაინც არ სჭირდება, მე კი, ასეა თუ ისე, სახლში ნავაჭრით ვბრუნდები.

სახლში ოთხი ნივთი მივიტანე – ოთხივე შეუფერებელი და ულამაზო. ერთს, „მარკს ენდ სპენსერის“ ჩანთით, ალბათ საძინებლის სავარძლის უკან დავტოვებ და ორი წლით მაინც დავივიწყებ. დანარჩენ სამს „ბოულზის“, „ვეაჰაუსის“ და მათი მსგავსების დაგროვების ბარათებში გადავცვლი, რომლებსაც, რა თქმა უნდა, დავკარგავ.

ასე გავფლანგე **119** ფუნტი, თანხა, რომელიც სრულიად საკმარისი იქნებოდა „ნიკოლ ფარიში“ რაიმე ლამაზი, უბრალო მაისურის შესაძენად.

მივხვდი, რომ ეს ყველაფერი სასჯელად მომევლინა, რადგან იმის ნაცვლად, მთელი ზაფხული ვისკოზის კაბაში გამეტარებინა, ფუქსავატურად, მატერიალისტურად გამიტაცა საყიდლებმა; კიდევ იმის გამო, რომ გამარჯვების დღის აღნიშვნაში არ ვიღებდი მონაწილეობას. ტომს ხომ არ დავურეკო და ერთად მოვაწყოთ პატარა წვეულება ორშაბათს, საბანკო უქმეებზე? შესაძლებელია თუ არა კიჩური, ირონიული, სამეფო ქორწილის მსგავსი გამარჯვების დღის წვეულების მოწყობა? თუმცა არა, მიცვალებულების მიმართ ირონიული ვერ იქნები. თანაც, დროშებზე პრობლემაა. ტომის მეგობრები ანტინაცისტური ლიგის წევრები არიან და ისედაც ყველგან ნაციონალიზმი ელანდებათ, გაშლილი დროშები რომ დაინახონ, იფიქრებენ, სკინჰედებს ელოდებიანო. ნეტავ რა მოხდებოდა, ჩვენს თაობასაც რომ მოსწრებოდა ომი? ოჰ, დალევის დროა. მალე დენიელი მოვა. ჯობია, მომზადება დავიწყო.

23:59. ფუ შენი. გასაბოლებლად სამზარეულოში ვიმალები. დენიელს სძინავს. უფრო სწორად, ჩემი აზრით, თავს იკატუნებს, თითქოს სძინავს. უცნაური სადამო იყო. ერთ რამეს მივხვდი, მთელი ჩვენი ურთიერთობა დღემდე იმაზეა აგებული, რომ რომელიმე

ჩვენგანი აუცილებლად უნდა ეწინააღმდეგებოდეს სექსს. სადამოს ერთად გატარება, მაშინ, როდესაც სექსის პერსპექტივა თავისთავად იგულისხმებოდა, მეტად უცნაური იყო. ვისხედით და ტელევიზორში გამარჯვების დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს ვუყურებდით, დენიელს ხელი უხერხულად ჰქონდა მოხვეული ჩემთვის, თითქოს კინოში შეპარული თოთხმეტი წლის ბავშვები ვყოფილიყავით. მისი ხელი კისერს მტკენდა, მაგრამ რატომღაც ვერ ვახერხებდი მეთხოვა, რომ აელო. შემდეგ, როცა უკვე თავს ვეღარ ავარიდებდით დაწოლაზე საუბარს, ყველაფერი მეტისმეტად ოფიციალურად და ინგლისურად გამოგვივიდა. იმის ნაცვლად, ერთმანეთისთვის ველურად შემოგვეხია ტანსაცმელი, ვიდრეც და თავაზიანად ვსაუბრობდით:

- შეგიძლია, სააბაზანოში პირველი შეხვიდე.
- არა! ჯერ შენ.
- არა, არა, არა! მხოლოდ შენ შემდეგ.
- მართლა გეუბნები, მოვიტხოვ.
- არა, არა, ამის გაგონებაც არ მინდა. ნება მომეცი, სტუმრების პირსახოცი და პატარა ნიჟარის ფორმის საპონი მოგიძებნო.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გვერდიგვერდ ვიწეხით და ერთმანეთს არ ვეხებოდით, თითქოს რომელიღაც ფილმის გმირები ვყოფილიყავით. ღმერთო, თუკი არსებობ, რასაკვირველია, გულმხურვალედ გმადლობ, რომ მოულოდნელად, ჩემთვის აუხსნელი საბაბით დენიელი ემოციურად მოუძწიფებელი მამაკაციდან ჩემი სადამოების მუდმივ პერსონაჟად აქციე, მაგრამ უმორჩილესად გთხოვ - შეაწყვეტინე ღამით საწოლში პიჟამითა და საკითხავი სათვალთ დაწოლა, ოცდახუთი წუთის განმავლობაში წიგნს მიჩერება, შემდეგ შუქის გამორთვა და გადაბრუნება და ისევ დამიბრუნე ჩემი შიშველი, ვნებას აყოლილი, სექსუალური მხეცი, რომელსაც ვიცნობდი და ასე მიყვარდა. მადლობას გიხდის, რომ ჩემი ვედრება შეისმინე, უფალო.

შაბათი, 13 მაისი

9.1 სტ და 8 უნცია, სიგარეტი - 7 ღერი, კალორია - 1145, მომენტალური ლატარიის ბილეთი - 5 (2 ფუნტი მოვიგე, ასე რომ მხოლოდ 3 ფუნტი დავკარგე, მ.კ.), მოგება ლატარიიდან - 2 ფუნტი, დამთხვეული რიცხვების რაოდენობა - 1 (უკეთესია).

როგორ მოვიმატე მხოლოდ რვა უნცია გუშინდელი კვებითი ორგის შემდეგ? იქნებ საჭმელი და წონა ისევე მოქმედებენ, როგორც ნიორი და მისი სუნი: თუ რამდენიმე კბილს ერთბაშად შეჭამ, სუნს საერთოდ ვეღარ იგრძნობ, ალბათ, პიცის უზარმაზარი რაოდენობაც აღარ იწვევს წონის მატებას. უცნაურად გამამხნეველებელი თეორიაა, მაგრამ თავში აზრებს მირევს. სიამოვნებით წავშლიდი გონებიდან ყველაფერს. და მაინც, ჯუდსა და შერონთან ერთად გატარებული უგემრიელესი ღამე, ფემინისტური საუბრების თანხლებით, ამაღ ღირდა.

საჭმელსასამელის წარმოუდგენელი რაოდენობა მივირთვით, რადგანაც ჩემმა გულუხვმა გოგოებმა თითომ თითო ბოთლი ღვინო მოიტანეს და საჭმელიც მოაყოლეს **M&C**-დან. შესაბამისად, იმ ორი ბოთლი ღვინის (ერთი შუმხუნა იყო, ერთი - თეთრი) და სამი თავი კერძის გარდა, რომელიც მათ მოსვლამდე **M&C**ში შევიძინე (უფრო სწორად,

მთელი დღე ქურასთან წვლების შედეგად იქ შეძენილი პროდუქტებით მოვამზადე), გვქონდა:

1 ქილა ჰუმუსი და 1 პაკეტი მინიპიტები

12 შებოლილი ორაგულისა და მდნარი ყველის კანაპე

12 მინი პიცა

1 ბეზეიანი ჟოლოს ნამცხვარი

1 ტირამისუ (დიდი)

1 შვეიცარიული შოკოლადის ფილა

შერონი საუკეთესო ფორმაში იყო.

- ნაბიჭვრები, - აყვირდა, ცხრას რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, თან კოქტეილის ნახევარი პირდაპირ ჩაისხა ხახაში, - სულელი, თვითკმაყოფილი, ამპარტავანი, მანიპულატორი, საკუთარ კაპრიზებს გადაყოლილი ნაბიჭვრები. თავიანთი დადგენილი წესების ტოტალიტარულ სამყაროში ცხოვრობენ. შეგიძლია ერთი ეგ პიცა გადმომაწოდო?

ჯუდი დეპრესიაში იყო, რადგან უნამუსო რიჩარდი, რომელთანაც ახლა დაშორებულია, ურეკავს და ცდილობს, სიტყვიერ სატყუარას წამოაგოს, მინდა შევრიგდეთ და მეგობრებად დავრჩეთო (გაიძვერული, შხამიანი მიდგომა). წუხელ კი დაუჯერებლად ქედმაღლური, მფარველური ხმით დაურეკა და ჰკითხა, მათი საერთო მეგობრის წვეულებაზე წასვლას ხომ არ აპირებდა.

- კარგი, მაშინ არც მე წავალ, - თქვა მან, - არა. შენ მიმართ მართლა უსამართლო საქციელი იქნებოდა. იცი, ვაპირებდი, ერთი, ასე ვთქვათ, მეგობარი წამეყვანა. არა, მართლა არაფერია. უბრალოდ, ერთი გოგოა, იმდენად სულელი, რომ უფლებას მაძლევს, რამდენიმე კვირის განმავლობაში ვჭიმავდე.

- რა? - აფეთქდა შერონი, და გაცოფებისგან ალისფერი დაედო, - ეს ყველაზე გულისამრევი ნათქვამია ქალის შესახებ, რაც კი ოდესმე მომისმენია. პატარა, ამპარტავანი ტრაკი! როგორ ბედავს, ისე მოგექცეს, როგორც მოესურვება და ყველაფერი „მეგობრობის“ სახელით შენიღბოს?! თან თავი ძალიან ჭკვიანი ვინმე ჰგონია და ცდილობს, ამ თავისი ახალი ბოზით გაეჭვიანოს. მართლა შენს გრძნობებს რომ გაფრთხილებოდა, მოკეტავდა და იმ წვეულებაზე მარტო მოვიდოდა, ახალ ქალს დროშასავით ცხვირწინ კი არ აგიფრიალებდა.

- მეგობარი? ფიჰ! ეგ უფრო მტრობას ჰგავს, - მხიარულად დავიყვირე და პირში კიდევ ერთი ღერი სიგარეტი და კანაპე ჩავიტენე, - ნაბიჭვარი!

თორმეტის ნახევრისთვის შერონი ხანგრძლივი და საუცხოო მონოლოგისთვის მოემზადა:

- ათი წლის წინ გარემოზე მზრუნველ ადამიანებს დასცინოდნენ და სანდლებიან, წვერგაბურძენილ დოყლაპიებს ეძახდნენ, ახლა კი ნახეთ, რა ძლიერია მწვანეთა მოძრაობა, - შერონი ყვირლით იქნევდა ხელებს, თითებს ტირამისუში არჭობდა და მერე პირდაპირ ილოკავდა, - მომდევნო წლებში ფემინიზმსაც იგივე ბედი ეწევა. კაცები ოჯახებსა და მენოპაუზადაწყებულ ცოლებს ახალგაზრდა საყვარლებისთვის ვეღარ მიატოვებენ, ვერც თვითკმაყოფილ ზღაპრებს მოუყვებიან ქალებს, თითქოს ყველა სხვა ქალი მზადაა მათ მკლავებში ჩასავარდნად. აღარ ეცდებიან საპასუხო ყურადღებისა და ერთგულების გაცემის გარეშე სექსს, რადგან ახალგაზრდა საყვარლები და ქალები

უბრალოდ ზურგს შეაქცევინ და ეტყვიან, დაახვიეთო, კაცები კი ველარც სექსს მიიღებენ და ველარც ქალებს, სანამ ამ თავიანთი ნაგვური, თვითკმაყოფილი, კაპრიზული საქციელით ქალებისთვის თავგზის აბნევის ნაცვლად წესიერად მოქცევას არ ისწავლიან.

- ნაბიჭვრები, - დაიღრიალა ჯუღმა და კოქტეილი მოწრუპა.

- ნაბიჭვრები, - მხარი ავუბი ჟოლოიანი ბეზეს ნამცხვრითა და ტირამისუთი პირგამოტენილმა.

- დამპალი ნაბიჭვრები, - დაიყვირა ჯუღმა და სიგარეტს წინა ღერის ნარჩენიდან გადაუკიდა.

სწორედ ამ დროს კარზე ზარმა დარეკა.

- დაგენაძლევებით, დენიელია, ის დამპალი ნაბიჭვარი, - მივხვდი მე, - რა ხდება? - ჩავყვირე დომოფონს.

- გამარჯობა, ძვირფასო, - დენიელმა ყველაზე ნაზი, ზრდილობიანი ტონით დაიწყო, - მართლა ძალიან ვწუხვარ, რომ გაწუხებ. დილით დაგირეკე და ავტომოპასუხეზე შეტყობინება დაგიტოვე. ყველაზე მოსაწყენ საქმიან შეხვედრაზე გავიჩხირე მთელი საღამოთი, არადა ძალიან მინდა შენი ნახვა. უბრალოდ გაკოცებ და თუ გინდა მაშინვეწავალ. შეიძლება ამოვიდე?

- ბრრრ! კარგი, ჰო, - ბრაზიანად ჩავიბურტყუნე, ზუმერი გავთიშე და მაგიდასთან დავბრუნდი, - წყეული ნაბიჭვარი.

- საკუთარი უფლებების კულტურა, - დაიღმუვლა შერონმა, - ჭამა, ფეხბურთი, ახალგაზრდა ლამაზი გოგოების სხეულები, თვითონ კი გასიებული ბებრები არიან. მათი აზრით, ქალებმა უნდა მისცენ ის, რისი დამპალი უფლებაც აქვთ. ეი, ღვინო გაგვითავდა? ამასობაში კიბეზე საყვარლად მოღიმარი დენიელი გამოჩნდა. წმინდად გაპარსულს და კოსტიუმში აკურატულად გამოწყობილს დაღლილი, მაგრამ ხალისიანი გამომეტყველება ჰქონდა. ხელში რძიანი შოკოლადის სამი ნაკრები ეჭირა.

- თითოს თითო გიყიდეთ, - თქვა და წარბი სექსუალურად ასწია, - ყავაზე დასაყოლებლად. ხელს არ შეგიშლით. შაბათ-კვირისთვის ყველაფერი ვიყიდე.

საყიდლების რვა ჩანთა სამზარეულოში შეიტანა და ამოლაგება დაიწყო. სწორედ ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ტაქსების კომპანიიდან რეკავდნენ, სადაც ნახევარი საათით ადრე დავრეკეთ და გვატყობინებდნენ, ლენდბროუკ გროვზე უზარმაზარი საცობია, თანაც ყველა მანქანას მოულოდნელად ტექნიკური პრობლემა შეექმნა და ტაქსის სამ საათზე ადრე ვერ გამოგიგზავნითო.

- შორს მიდიხართ? - იკითხა დენიელმა, - მე წაგიყვანთ სახლებში. ამ შუაღამისას ქუჩაში ხომ არ იხეტიალებთ ტაქსის გასაჩერებლად.

სანამ გოგონები ჩანთების ძებნაში აქეთ-იქით დაბანცალებდნენ და დენიელს სულელებივით უღიმოდნენ, ჩემი შოკოლადის ნაკრებიდან თხილიანი, პრალინიანი, ნუგისანი და კარამელიანი შოკოლადების ამოჭმა დავიწყე. ჩემში ერთმანეთს ებრძოდა განსაცვიფრებელი ნარევი სიამაყისა და თვითკმაყოფილებისა ჩემი ახალი სრულყოფილი მეგობარი მამაკაცის გამო, რომელსაც გოგონები სიამოვნებით დაუწვებოდნენ, და გაცოფება ჩვეულებრივ გულის ამრევ, სექსისტ ლოთზე, რომელმაც ფემინისტური ჭუკჭუკი ჩაგვიშალა ახირებული თავის მოკატუნებით, თითქოს

სრულყოფილი მამაკაცი ყოფილიყო. „ჰეპ. ვნახოთ ერთი, რამდენ ხანს გაგრძელდება ასე“, – ვფიქრობდი, სანამ მის დაბრუნებას ველოდი.

დაბრუნებულმა კიბე ამოირბინა, მკლავებგაშლილმა ჩამიხუტა და საძინებელში გამიტაცა.

– შენ ბონუს-შოკოლადს მიიღებ იმისთვის, რომ სიმთვრალეშიც კი საყვარელი ხარ, – მითხრა და ფოლგაში გახვეული, გულის ფორმის შოკოლადი ამოიღო ჯიბიდან. და მერე...

მმმმ.

კვირა, 14 მაისი

19:00. მძულს კვირა ღამეები. საშინაო დავალება მაქვს შესასრულებელი – ხვალისათვის პერპეტუას კატალოგის ასლი უნდა დავუწერო. ალბათ ჯერ ჯუდს დავურეკავ.

19:05. არ მპასუხობს. ჰმმმ! არა უშავს, საქმეს გავაგრძელებ.

19:10. ალბათ შერონს დავურეკავ.

19:45. შერონი გაღიზიანებული მელაპარაკებოდა, რადგან სახლში ახალი დაბრუნებული იყო და **1471**-ზე აპირებდა დარეკვას, რომ გაეგო, სახლში არყოფნისას ხომ არ დაურეკა ბიჭმა, რომელსაც ახლა ხვდებოდა; ახლა კი იქ ჩემი ნომერი იქნებოდა დაფიქსირებული.

ჩემი აზრით ეს **1471** ბრწყინვალე გამოგონებაა, მაშინვე გეუბნება უკანასკნელი ადამიანის ნომერს, რომელმაც დარეკა. საკმაოდ ირონიულია, რადგან როცა ჩვენმა სამეულმა ეს პირველად აღმოაჩინა, შერონმა განაცხადა, ამის წინააღმდეგი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ბრიტანული ტელეკომი ბოროტად იყენებს შეყვარებულ ადამიანებს და ამ ბოლო დროს ბრიტანეთის მოსახლეობაში ეპიდემიასავით გავრცელებული დანგრეული ურთიერთობებით სარგებლობსო. მართლაც, ზოგიერთი ადამიანი აქ დღეში მილიონჯერ რეკავს. მეორე მხრივ, ჯუდი **1471**-ს აღმერთებს, მაგრამ ისიც აღიარებს, რომ თუ ვინმეს ახლახან დაშორდით ან პირიქით, ვინმესთან სექსი გქონდათ, სახლში დაბრუნებისას ამ ნომერზე დარეკვამ შესაძლოა თქვენი პოტენციური უბედურება გააორმაგოს: უბედურებას

„**1471**-ზე არც ერთი ნომერი არ არის შენახული“ დაემატოს „არც შეტყობინებაა და არც ავტომოპასუხეზე ჩანაწერი“, ან დაფიქსირებული ნომერი დედისა აღმოჩნდეს. ამერიკაში, ჩვენგან განსხვავებით, **1471**-ის ანალოგიური სერვისი ყველა ნომერს გეუბნება, რომელმაც უკანასკნელად შემოწმების შემდეგ დარეკა და იმასაც, რამდენჯერ დარეკეს. ჟრუანტელმა დამიარა იმის წარმოდგენაზე, რა მოხდებოდა, დენიელს ამ გზით პირველ დღეებში ჩემი განუწყვეტელი ზარების რაოდენობა რომ აღმოეჩინა. ერთი საიდუმლო არსებობს – თუ ჯერ **141**-ს აკრეფ და მერე ნომერს, შენი ნომერი ადრესატის ტელეფონზე არ შეინახება. ჯუდი ამბობს, სიფრთხილე მაინც საჭიროაო, თუ ვინმეს აკვიატებულად ურეკავ, ის კი სახლში აღმოჩნდება და ყურმილს დაუკიდებ იმ იმედით,

რომ შენი ნომერი არ დაფიქსირდება, შესაძლოა მიხვდეს, რომ შენ იყავიო. უნდა დავრწმუნდე, რომ დენიელს ამ დეტალებზე წარმოდგენა არა აქვს.

21:30. გადავწყვიტე, კუთხის მაღაზიაში გადამერბინა სიგარეტზე. კიბეზე ჩასვლისას ტელეფონის ხმა მომესმა. უცებ გამახსენდა, რომ ტომის დარეკვის შემდეგ ავტომობილის ჩართვა დამავიწყდა. გიჟვით მოვწყდი ადგილს და კიბე ავირბინე, გასაღების ძეხნაში ჩანთის შიგთავსი იატაკზე ამოვაბრუნე და ტელეფონს ვეცი, მაგრამ სწორედ ამ დროს გაჩუმდა. ის იყო, ტუალეტში შევედი, რომ ისევ დარეკა. ყურმილი ავიღე და დადუმდა. როგორც კი ტელეფონს მოვშორდი, ისევ რეკვა დაიწყო. როგორც იქნა, მოვახერხე მეპასუხა.

– გამარჯობა, ძვირფასო, აბა, გამოიცანი, რა უნდა გითხრა? – დედა იყო.

– რა? – საცოდავად ამოვიკნავლე.

– გადავწყვიტე, შენი ფერების ასარჩევად სალონში წაგიყვანო, და, თუ შეიძლება, ნუ ამბობ „რას“, ძვირფასო. სალონი „შენი საუკეთესო ფერი“. მომბეზრდა იმის ყურება, გამუდმებით ეს უღიმღამო, მუქნაცრისფერი ტანსაცმელი რომ გაცვია, მაო ძე დუნის კიტელივით.

– დედა, ახლა ვერ დაგელაპარაკები, ველოდები...

– წამომყვები, ბრიჯიტ. სისულელეს ნუ ამბობ, – განრისხებული ჩინგიზ ყაენის ხმით გამომიცხადა, – მევის ენდერბიც საცოდავად გამოიყურებოდა თავის საყვარელ ღია ყვითელსა და ხაკისფერ ტანსაცმელში, ახლა კი სტილისტმა ვარდისფერი და მუქმწვანე ტონალობების შეხამება ასწავლა და ოცი წლით ახალგაზრდას ჰკავს.

– მაგრამ მე არ მინდა ვარდისფერი და მწვანე ტონების შეხამება, – კბილებში გამოვცერი.

– არა, ძვირფასო, მომისმინე. მევისი ზამთრის ტიპია. მეც ზამთარი ვარ, მაგრამ შენ ალბათ უნასავით ზაფხული იქნები და პასტელის ფერებს შეგიჩვენებ. წინასწარ ვერაფერს გეტყვი, სანამ თმაზე პირსახოცს არ შემოგახვევენ.

– დედა, არ მოგყვები „შენს საუკეთესო ფერში“, – სასოწარკვეთილმა წავისისინე.

– ბრიჯიტ, ამის მოსმენაც კი არ მინდა. ამას წინათ დეიდა უნა ამბობდა: რამე უფრო ნათელი და მხიარული რომ ცმოდა ახალი წლის წვეულებაზე, მარკ დარსი ცოტა მეტად დაინტერესდებოდაო. არავის უნდა ისეთი ქალი ჰყავდეს გვერდით, რომელიც ოსვენციმის პატიმარივით გამოიყურება, ძვირფასო.

კინალამ სულმა წამძლია, რომ წამეტრაბახა, მიუხედავად უფერულ ნაცრისფერში თავით ფეხებამდე გამოწყობისა, მეგობარი მამაკაცი უკვე მყავს-მეთქი, მაგრამ მივხვდი, დენიელის ხსენება ახალ განსახილველ თემად იქცეოდა და დედაჩემი ხალხური სიბრძნის მარგალიტებით გამომიჭედავდა ყურებს, ამიტომ გაჭირვებით შევიკავე თავი. ბოლოს, „შენი საუკეთესო ფერის“ შესახებ საუბარი იმით გავაწყვეტინე, რომ დავპირდი, მოვიფიქრებ-მეთქი.

სამშაბათი, 17 მაისი

9.2 სტ (ვაშა!), ალკოჰოლის ერთეული – 6 (ძალიან კარგი – ძალიან სპეტაკი), სიგარეტი – 7 ღერი (ძ.კ.).

დენიელი ისევ დიდებულია. ნუთუ ყველანი ვცდებოდით მის თაობაზე? გონებაში უამრავი თავბრუდამხვევი ფანტაზია მიტრიალებს მასთან ცხოვრებისა და ჩვენს შთამომავლებთან ერთად არდადეგების გატარებაზე, როგორც კელვინ კლაინის სარეკლამო რგოლშია, წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ ვიქცევით დარცხვენილი მარტოხელების ნაცვლად მოდურ თვითკმაყოფილ დაქორწინებულებად. მაგდას სანახავად გავდივარ.

23:00. ჰმ! მაგდასთან ვახშობამ დამაფიქრა. ის ჯერ კიდევ დეპრესიაშია ჯერემის საქციელის გამო. სიგნალიზაციისა და წივილკივილის დამეს ჩემს ქუჩაზე განვითარებული მოვლენები აუტანელ ვონის გამოუწვევია, რომელმაც განაცხადა, რომ ჯერემი „ჰარბორ კლუბში“ ქალთან ერთად შენიშნა და მისი აღწერილობა საექვოდ ემთხვეოდა იმ კახპისას, რომელთანაც მეც გადავაწყდი რამდენიმე კვირის წინ. შემდეგ მაგდამ მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მკითხა, მეც ხომ არ მენახა ან გამეგო მსგავსი რამ და იძულებული გავხდი ჩემს საოცნებო კოსტიუმში გამოწყობილ კახპაზე მომეყოლა.

როგორც აღმოჩნდა, ჯერემიმ აღიარა, რომ ამ გოგოს ეფლირტავებოდა და ძალიანაც მოხიბლული იყო მისით. ამტკიცებდა, ერთად არ ვწოლილვართო, მაგრამ მაგდასთვის ესეც საკმარისი იყო.

– სანამ შეგიძლია, მარტოხელას ცხოვრების მთელი უპირატესობით დატკბი, ბრიჯიტ, – მითხრა მან, – როგორც კი შვილები გაგიჩნდება და მათ გამო სამსახურს მიატოვებ, დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდები. ვიცი, ჯერემის აზრით ჩემი ცხოვრება ერთი დიდი არდადეგებია, მაგრამ სინამდვილეში ძალიან რთული საქმეა მთელი დღე ახალფეხადგმული პატარისა და სხვა ბავშვების მოვლა, და ეს გამუდმებით გრძელდება. საღამოს სახლში დაბრუნებულ ჯერემის ფეხის ფეხზე გადადება და მზრუნველობა უნდა, თვითონ კი, როგორც ვხვდები, დივანზე გაჭიმული „ჰარბორ კლუბის“ ლეოტარდებიან(ლეოტარდი – აკრობატის ან მოცეკვავის ტრიკო) ქალებზე ფანტაზიორობს. წინათ ნორმალური სამსახური მქონდა. გამოცდილებით ვიცი, რომ ბევრად უფრო სახალისოა სამსახურში წასვლა, გამოწყობა, თანამშრომლებთან ფლირტი და სასიამოვნო ერთობლივი სადილები, ვიდრე წყეულ სუპერმარკეტში სიარული და საბავშვო ბაღიდან ჰარის გამოყვანა. ჩვენ შორის დამაბულობა მატულობს. თავს ისე მაგრძნობინებს, თითქოს რომელიღაც საზარელი, ბრენდებზე გაგიჟებული ქალი ვიყო, რომელიც მის გამომუშავებულ ფულს ფლანგავს.

მაგდა ისეთი ლამაზია! ვუყურებდი, მექანიკურად რომ ათამაშებდა ხელში შამპანურის ჭიქას და ვფიქრობდი, ნეტავ რა გამოსავალი გვაქვს ჩვენ, ქალებს-მეთქი. სხვისი ცხოვრება ყოველთვის უკეთესი გვეჩვენება. რამდენჯერ ყოფილა, რომ მე, ღონეგამოლეულს, დეპრესიაში ჩავარდნილს, მიფიქრია, რა უსარგებლო ვინმე ვარ, უმიზნოდ ვატარებ ცხოვრებას, ყოველ შაბათ დამეს ვთვრები და ჯუდსა და შერონს, ან ტომს ვეწუწუნები, რომ მეგობარი მამაკაცი არ მყავს-მეთქი; ორი საწყისის შეერთებას ამოდ ვცდილობ და ზურგს უკან ყოველთვის დამცინიან, როგორც გაუთხოვარ შერეკილს, მაშინ, როცა მაგდა დიდ სახლში ცხოვრობს, რვა სხვადასხვა სახეობის მაკარონი ქილებში კობტად აქვს განაწილებული და მთელი დღე საყიდლებზე დადის-მეთქი. და აი, ის აქ არის, ასეთი განადგურებული, საბრალო, დაეჭვებული და მეუბნება, რომ იღბლიანი ვარ...

- უი, სხვათა შორის, - ბრენდების ხსენებაზე სახე გაუბრწყინდა მას, - დღეს შესანიშნავი კაბა ვიყიდე - წითელია, ცალ მხარეს კისერზე ორი დიდი აქვს, ძალიან ლამაზად არის გამოჭრილი, **280** ფუნტი მივეცი. ღმერთო, როგორ მინდა შენნაირი ვიყო, ბრიჯიტ, და სასიყვარულო ურთიერთობის გაბმა შემემძლოს. ან კვირა დილით ორი საათი ქაფიან აბაზანაში ნებივრობა. ან მთელი ღამის გარეთ გატარება შეკითხვების გარეშე. ხომ არ გინდა ხვალ ჩემთან ერთად საყიდლებზე წამოსვლა?

- ვერ წამოვალ, სამსახურში ვარ წასასვლელი, - ვუპასუხე.

- ოჰ, - მაგდა გაოცებული ჩანდა. მერე ხელში ისევ შამპანურის ჭიქის ტრიალით განაგრძო, - იცი, როცა გრძნობ, რომ ქმარს სხვა ქალი ურჩევნია, ბევრად უფრო საცოდავად გრძნობ თავს სახლში დარჩენისას. ამ დროს იმ უამრავ ქალს წარმოიდგენ, რომლებიც შეიძლება მას შეხვდნენ და შეუყვარდნენ. თავს უსუსურად გრძნობ. დედაჩემის მაგალითზე დავფიქრდი.

- შეგიძლია დაიბრუნო ძალა, - ვუთხარი მაგდას, - თანაც, სრულიად უსისხლოდ. სამსახურს დაუბრუნდი. საყვარელი გაიჩინე. ჯერემი სახტად დატოვე.

- ძნელია ორი სამ წლამდე ასაკის ბავშვით, - მიპასუხა ბედს დამორჩილებული ხმით, - ჩემი არჩევანი დიდი ხნის წინ გავაკეთე, ახლა დროა, შედეგებს შევეგუო.

ღმერთო ჩემო. ტომს უყვარს ერთი უცნაური ხუმრობა - ხელზე ხელს დამადებს ხოლმე, თვალს თვალში გამიყრის და სამარიდან ამოსული ხმით მიმეორებს: „სისხლს მხოლოდ ქალები ღვრიან, ძვირფასო!“.

პარასკევი, 19 მაისი

8.12 სტ (ერთ ღამეში დავკარგე წონა - ეტყობა, ისეთი საკვები ვჭამე, რომელიც უფრო მეტ კალორიას წვავს, ვიდრე გამოიმუშავებს, ე.ი. რთულად დასადეჭი ბოსტნეულის სალათა), ალკოჰოლის ერთეული - **4** (ზომიერია), სიგარეტი - **21** ღერი (ცუდია), მომენტალური ლატარიის ბილეთი - **4** ცალი (არც ისე კარგი).

16:30. სწორედ მაშინ, როცა ზურგს უკან პერპეტუა მედგა და მაჩქარებდა, რათა შაბათ-კვირას გლოჩესტერშირში დასასვენებლად წასვლა არ დაეგვიანა, ტელეფონმა დარეკა.

- გამარჯობა ძვირფასო, - დედაჩემი აღმოჩნდა, - იცი, რა? შესანიშნავი შესადლებლობა გამოვინახე შენთვის.

- რა? - დამჟავებულმა წავიბუტბუტე.

- ტელევიზორში უნდა გამოჩნდე! - მომახალა, მე კი სიმწრისგან თავი მაგიდას დავცხე,

- ხვალ შემოგივლი გადამღები ჯგუფით, ათ საათზე. ძვირფასო, ნუთუ აღფრთოვანებული არ ხარ?

- დედა, თუ შენ ათ საათზე გადამღები ჯგუფით სახლში მომადგები, მე იქ არ დაგხვდები!

- მაგრამ ვალდებული ხარ, - ხმაში სუსხი შეერია.

- არა, - ვუპასუხე, მაგრამ შემდეგ ამპარტავნებამ მძლია, - რატომ? რა ხდება?

- ოჰ, ძვირფასო, - დაილულუნა მან, - დამავალეს „მოულოდნელად მარტოხელასთვის“ ვინმე ახალგაზრდასთან ჩავწერო ინტერვიუ, ვინც მენოპაუზის დაწყებამდე

მოულოდნელად მარტო დარჩა, თანაც შეუძლია ისაუბროს, მაგალითად, უშვილოდ დარჩენის შიშებზე და ა.შ.

- რა დროს ჩემი მენოპაუზაა, დედა! - ავფეთქდი, - და არც მოულოდნელად მარტოხელა ვარ. პირიქით, მოულოდნელად დავწყვილდი.

- ოჰ, ნუ სულელობ, ძვირფასო, - დაისისინა მან.

ზურგს უკან ხმაური მომესმა, მაგრამ არ შევიმჩნიე:

- მეგობარი მამაკაცი მყავს.

- ვინ?

- რა მნიშვნელობა აქვს? - ჩემს მხარს უკან პერპეტუასკენ გავაპარე თვალი, რომელიც დამცინავად იღიმებოდა.

- ძალიან გთხოვ, ძვირფასო. უკვე ვუთხარი, რომ რესპონდენტი მყავს.

- არა.

- ოჰ, გთხოვოვ. მთელი ცხოვრების განმავლობაში არასოდეს მქონია კარიერის შექმნის საშუალება და ახლა, ცხოვრების შემოდგომაზე მჭირდება, რაღაც ჩემი მქონდეს, - სხაპასხუპით მომყარა, თითქოს ტექსტს სუფლიორზე კითხულობდა.

- ვინმე ნაცნობმა რომ მიყუროს? ან შეამჩნიონ, შენი ქალიშვილი რომ ვარ?

ყურმილში დუმილი ჩამოწვა. მესმოდა, როგორ უთანხმდებოდა ვიღაცას. შემდეგ დაბრუნდა და მიპასუხა: - შეგვიძლია, სახე დაგიფაროთ.

- რა? ტომარას ჩამომაცვამთ? არა, დიდად გმადლობთ.

- სილუეტი გამოჩნდება, ძვირფასო, სილუეტი. ოჰ, გთხოვ, ბრიჯიტ. გახსოვდეს, მე გაჩუქე სიცოცხლე. უჩემოდ სად იქნებოდი? არსად. არაფერი. მკვდარი კვერცხი. სამყაროს ნაგლეჯი, ძვირფასო.

საქმე ისაა, რომ გულის სიღრმეში ყოველთვის ვოცნებობდი ტელევიზიაში მოხვედრაზე.

შაბათი, 20 მაისი

9.3 სტ (რატომ? რატომ? საიდან?), ალკოჰოლის ერთეული - 7 (შაბათია), სიგარეტი - 17 ღერი (თავშეკავების მიუხედავად), ლატარიის ბილეთს დამთხვეული რიცხვების რაოდენობა - 0 (მაგრამ გადაღებებმა დამაბნია).

სახლში შემოვიდნენ თუ არა, გადამღები ჯგუფის წევრებმა ჩემი რამდენიმე ღვინის ჭიქა ხალიჩას მიაფშვნეს, თუმცა მე დიდად არ მაწუხებს ასეთი ამბები. მაგრამ მერე ერთ-ერთმა მათგანმა ყვირილით: „ფრთხილად“ უზარმაზარი, დასაკეცკიდეებიანი სანათი შემოიტანა, შემდეგ კი დაიღრიალა: „ტრევორ, ეს უაზრობა სად ჯანდაბაში დავდო?“, წონასწორობადაკარგულმა ნათურა სამზარეულოს კარადის შუშის კარს მიაჯახა და არარაფინირებული ზეთის ზეთის გახსნილი ბოთლი ჩემს საყვარელ სამზარეულოს წიგნზე გადმოაგდო. მაშინ მივხვდი, რაც ჩავიდინე.

გადაღება მათი მოსვლიდან სამი საათის შემდეგაც არ იყო დაწყებული და ისევ აქეთ-იქით დაქაქანებდნენ: „შეიძლება ცოტათი აქეთ მოიწიო, საყვარელო?“ ორის ნახევარი იყო, როცა ერთმანეთის პირისპირ მსხდარმა მე და დედამ დავიწყეთ:

- მითხარით, - დაიწყო მან მზუნველი, გამგები ხმით, რომელიც არასოდეს მომესმინა, - როცა ქმარმა მიგატოვათ, ხომ არ გქონიათ, - ახლა ხმას ჩურჩულამდე დაუწია, - სუიციდური აზრები?

სკეპტიკურად შევხედე.

- კარგად მესმის, ეს თქვენთვის მტკივნეულია. თუ ფიქრობთ, რომ სუსტად ხართ, ცოტა ხნით გადალებას შევწყვეტ, - მითხრა იმედიანად.

გააფთრებული ლაპარაკს ვერ ვახერხებდი. რა ქმარი?

- იმის თქმა მინდა, რომ ალბათ საშინელი პერიოდი გაქვთ, ჰორიზონტზე პარტნიორი არ ჩანს, ბიოლოგიური საათი კი წიკწიკებს, - თქვა მან და მაგიდის ქვეშ მიბიძგა. მე ვუბიძგე და, წონასწორობადაკარგული, ხმადაბალი ყვირილით წამოხტა.

- არ გინდათ, შვილი გყავდეთ? - პათეტიკურად მკითხა და ქალაღდის ხელსახოცი გამომიწოდა.

სწორედ ამ დროს ოთახის ბოლოში ხმამაღალი სიცილი და ფრუტუნი გაისმა. დილით ვიფიქრე, ჯობია, დენიელი საძინებელში დავტოვო-მეთქი, რადგან შაბათობით ლანჩამდე მაინც არ იღვიძებს, თანაც, სიგარეტი ბალიშთან დავუტოვე.

- ბრიჯიტს რომ ბავშვი ჰყავდეს, სულ ერთია, მაინც დაკარგავდა, - უხეში სიცილით თქვა დენიელმა, - სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მისის ჯონს. ბრიჯიტ, რატომ არ შეგიძლია, შაბათობით ყველაფერი ზედმეტი მოაშორო სახლიდან - მაგალითად, საყვარელი დედიკო?

კვირა, 21 მაისი

დედა არც ერთს არ გველაპარაკება, რადგან „დამამცირებელ მდგომარეობაში ჩავაგდეთ და გადამღები ჯგუფის წინაშე თაღლითად გამოვიყვანეთ“. ყოველ შემთხვევაში, ახლა, ალბათ, ცოტა ხნით მაინც დაგვანებებს თავს. მოუთმენლად ველოდები ზაფხულს. ძალიან სასიამოვნო იქნება მეგობარი მამაკაცის ყოლა, როცა თბილ დღეებში პატარა რომანტიკულ პიკნიკებზე შევძლებთ წასვლას. ძალიან ბედნიერი ვარ.

ივნისი 3მ! მეგობარი მამაკაცი

შაბათი, 3 ივნისი

8.13 სტ, ალკოჰოლის ერთეული - **5**, სიგარეტი - **25** ღერი, კალორია - **600**, ტურისტული ბროშურების კითხვაში გატარებული წუთი: ხანგრძლივ ტურებზე - **45**, მცირე ექსკურსიებზე - **87**, ზარები **1471**ზე - **7** (კარგია).

აღმოვაჩინე, რომ ამ სიცხეში დენიელთან ერთად მცირე ექსკურსიებზე სიარულის წარმოდგენების გარდა, სხვა რამეზე კონცენტრირებას ვერ ვახერხებ. გონება გადაჭედილი მაქვს სურათებით: აი, მე და დენიელი მინდორზე გვერდიგვერდ ვწევართ, მდინარის მახლობლად; მე გრძელი, ფარფატა, თეთრი კაბა მაცვია, რომელსაც ქარი მიფრიალებს; მე და დენიელი სანაპიროზე ძველი კორნუოლური პაბის წინ ვსხედვართ და ლუდს ვწრუპავთ, ორივეს ერთნაირი, ზოლებიანი მისურები გვაცვია და ზღვაში ჩამავალ მზეს გავცქერით; მე და დენიელი ისტორიულ, სოფლის ტიპის

სასტუმროში სანთლის შუქზე ვსადილობთ, შემდეგ კი ნომერში ავდივართ, რომ მთელი ზაფხულის დამე ჟიმაობაში გავატაროთ.

კარგი, საკმარისია. მე და დენიელი ამაღამ წვეულებაზე მივდივართ მის მეგობარ ვიკსისთან, ხვალ კი, იმედი მაქვს, პარკში წავალთ, ან ქალაქგარეთ რომელიმე საყვარელ პაბში ვისადილებთ. შესანიშნავია მეგობარი მამაკაცის ყოლა.

კვირა, 4 ივნისი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **3** (კარგია), სიგარეტი – **13** ღერი (კარგია), ტურისტული ბროშურების კითხვაში გატარებული წუთი: ხანგრძლივ ტურებზე – **30** (კარგია), მცირე ექსკურსიებზე – **52**, ზარები **1471**ზე – **3** (კ.).

21:00. ჰმ. დენიელი სახლში წავიდა. სიმართლე რომ ვთქვა, ცოტა თავი მომაბეზრა კიდეც. მშვენიერი თბილი კვირა დღე იყო, მაგრამ დენიელს არ უნდოდა სადმე გასეირნება ან მცირე ექსკურსიის განხილვა და დაიჟინა, ოთახში ფარდები ჩამოვაფაროთ და მთელი შუადღე კრიკეტს ვუყუროთ. გუშინდელი წვეულება საკმაოდ სასიამოვნო აღმოჩნდა, ერთი მომენტის გარდა, როცა ლამაზ გოგონასთან მოსაუბრე ვიკსის მივუახლოვდით. შევამჩნიე, ჩვენი მისვლისას ქალს გამომეტყველება შეეცვალა, თითქოს თავდაცვისთვის მოემზადა.

– დენიელ, – თქვა ვიკსიმ, – ვანესას იცნობ?

– არა, – უპასუხა დენიელმა და თავისი ყველაზე მომხიბლავი და მაცდური ღიმილით ხელი გაიწოდა, – სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

– დენიელ, – გულხელი დაიკრიფა გაცოფებულმა ვანესამ, – ჩვენ ერთად გვეძინა!

ღმერთო, როგორ ცხელა. ფანჯრიდან გადაყუდება მინდება. ვიღაც საქსაფონზე უკრავს და ცდილობს თავი მოგვაჩვენოს, თითქოს ყველანი რომელიღაც ფილმის გმირები ვართ, რომლის მოქმედებაც ნიუ იორკში ხდება; ყოველი მხრიდან ხმები ისმის, რადგან ყველას ფანჯრები ღიაა და რესტორნებიდან საჭმლის სუნი აღწევს. ჰმ. მგონი ნიუ იორკში გადასვლა მომეწონებოდა: თუმცა, რომ დაფიქრდე, ალბათ, არც ისე კარგი ადგილია პიკნიკებისთვის. რასაკვირველია, ნიუ იორკის დათვალიერება ცუდი არ არის, მაგრამ ყოველგვარ აზრს ჰკარგავს, თუკი ერთხელ მაინც უკვე ნამყოფი ხარ. ტომს დავურეკავ და მერე სამუშაოს ჩავუჯდება.

22:00. ტომთან შევირბენ და თითო ჭიქას დავლევთ. სულ ნახევარი საათით ვესტუმრები.

სამშაბათი, 6 ივნისი

9.2 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **4**, სიგარეტი – **3** ღერი (ძ.კ.), კალორია – **1326**, მომენტალური გათამაშების ბილეთი – **0** (ბრწყინვალეა), ზარები **1471**ზე – **12** (ცუდია), ძილში გატარებული საათები – **15** (ცუდია, მაგრამ ჩემი კი არა, სიცხის ბრალია). პერპეტუა დავარწმუნე, უფლება მოეცა, სახლში მემუშავა. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ იმიტომ დამთანხმდა, რომ თვითონაც გარუჯვას აპირებს. მმმ. მშვენიერი

მცირე ექსკურსიების ბროშურა ვნახე: „ბრიტანეთის სიამაყე: ბრიტანეთის კუნძულების წამყვანი სოფლის სტილის სასტუმროები“. დიდებულია. სიამოვნებით ვფურცლავ და ჩემს თავსა და დენიელს სხვადასხვა რომანტიკულ და სექსუალურ მდგომარეობაში წარმოვიდგენ ყველა ამ საძინებელსა და სასადილო ოთახში.

11:00. კარგი, ახლა ყურადღება უნდა მოვიკრიბო.

11:25. ჰმ, ფრჩხილი ამფცქვნია.

11:35. ღმერთო. სრულიად უმიზეზოდ პარანოიდული ფანტაზია მეწვია, თითქოს დენიელს სხვა ქალთან ჰქონდა რომანი გაბმული და მაშინვე ფიქრი დავიწყე დარბაისლურ, მაგრამ მძაფრ შენიშვნებზე, რომ საკუთარი საქციელი ენანა. მაგრამ ეს რატომ უნდა მოხდეს? ქალური ინტუიციით ხომ არ ვიგრძენი, რომ ვინმე გამოუჩნდა? გარკვეულ ასაკში ვინმესთან ურთიერთობის აწყობა სულ უფრო რთულდება, რადგან ყველაფერი ტვირთად გაწვება. როცა ოცდაათს გადაცილებული ხარ და პარტნიორი არ გყავს, მარტოობით გამოწვეულ მსუბუქ უსიამოვნებებს – უსექსობას, კვირა დილის გასატარებლად არავის ყოლას, წვეულებებიდან სახლში გამუდმებით მარტო დაბრუნებას – ემატება პარანოიდული აზრები, რომ შენი მარტოობის მიზეზი შენივე ასაკია, რომ ეს უვარგისი ურთიერთობა ბოლოა და უკანასკნელი სექსუალური გამოცდილებაა, და რომ ყველაფერი შენი ბრალია, რადგან ოჯახის შექმნისთვის მეტისმეტად ველური და თავნება ხარ.

სრულიად გავიწყდება, რომ ოცდაორი წლის ასაკში, როცა მეგობარი მამაკაცი არ გყავდა და საბოლოოდ პაემანზე წახვედი კაცთან, რომელზეც მთელი ოცდასამი თვის განმავლობაში ჩუმად ოცნებობდი, იფიქრე, რა მოსაწყენი ვინმეაო. სერიოზულად განწყობილი ადამიანის პოვნა თითქმის გადაუღახავ ამოცანად გვეჩვენება, რადგან ურთიერთობები დათმობებზე იგება, ვინმესთან შეხვედრების დაწყების შემდეგ კი საკუთარ პრინციპებსა და მოლოდინებს ძველებურად ვეღარ შევინარჩუნებთ.

ნუთუ ასეა? იქნებ დენიელთან ჩემი ურთიერთობა არასწორია? ვინმე ხომ არ ჰყავს დენიელს?

11:50. ჰმ. არა, ფრჩხილი მართლა ძალიან ამფცქვნია. თუ ახლავე არ მოვუხერხებ რამეს, მერე კვნეტას დავუწყებ და მალე ფრჩხილები საერთოდ აღარ დამრჩება. მაშასადამე, ჯობია ახლავე ქლიბი ვიპოვო. ლაქიც სულ ამქერცლია, ჯობია მოვიშორო და ახალი ფენა წავისვა. მოდი, სანამ მახსოვს, ახლავე გავაკეთებ.

შუადღე. რა მოსაწყენია, როცა ასეთი თბილი ამინდია, შენი ე.წ. მეგობარი მამაკაცი კი გასეირნებაზე უარს ამბობს. მგონი ფიქრობს, რომ რომელიმე ექსკურსიით მის ხაფანგში გაბმას ცვდილობ; თითქოს ეს ექსკურსიები ქორწინება, სამი ბავშვი და სტოუკ ნევიგტონში ხის სახლის წიწვებით გამოტენილი ტუალეტის გაწმენდა იყოს. მგონი, ჩვენს ურთიერთობაში ფსიქოლოგიური კრიზისი ჩნდება. ტომს დავურეკავ (პერპეტუასთვის კატალოგის მოწესრიგებას სადამოსაც მოვასწრებ).

12:30. ჰმ. ტომის აზრით, ექსკურსიაზე პარტნიორთან ერთად წასვლისას მთელი დროის ერთად გატარება და ურთიერთობის განვითარებაზე ნერვიულობა მომიწევს, ასე რომ, ჯობია, მეგობართან ერთად ვიმოგზაურო.

– და არავითარი სექსი? – ვკითხე მე.

– და არავითარი სექსი, – დამიდასტურა მან.

ამაღამ ტომს შევხვდები ბროშურებიანად და წარმოსახვით ექსკურსიაზე გავემართებით. ასე რომ, ამ ნაშუადღევს მართლა გულდასმით უნდა ვიმუშაო.

12:40. ეს შორტი და მაისური რა მოუხერხებელია ასეთ სიცხეში. წავალ, გამოვიცვლი და გრძელ, ფარფატა კაბას ჩავიცვამ.

ღმერთო ჩემო, ეს კაბა ტრუსს მილანდავს. ჯობია ხორცისფერი ჩავიცვა, ვინმე არ მოვიდეს. ჩემი ახალი ტრუსი საუკეთესო იქნება. ნეტავ სად არის?

12:45. შეხამებისთვის ასეთივე ფერის ლიფი უნდა ჩავიცვა, თუ, რასაკვირველია, ვიპოვი.

12:55. ასე ჯობია.

13:00. ლანჩის დროა! როგორც იქნა, ცოტა დრო გავიდა.

14:00. კარგი, დღის განმავლობაში მართლა სერიოზულად ვიმუშავე და სადამომდე ყველაფერს მოვასწრებ, რომ მერე გავერთო. ოღონდ ძალიან მეძინება. ძალიან ცხელია. ხუთი წუთით თვალი ხომ არ მიმელულა? ამბობენ, წათვლელმა გამოცოცხლების შესანიშნავი საშუალებააო. მარგარეტ ტეტჩერი და უინსტონ ჩერჩილი თურმე ამ ხერხს მიმართავენ.

კარგი აზრია. ცოტა ხნით წამოვწვები.

19:30. ჯანდაბა!

პარასკევი, 9 ივნისი

9.2 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 7, სიგარეტი – 22 ღერი, კალორია – 2145, სახეზე ნაოჭების ძებნაში დახარჯული წუთები – 230.

9:00. ვაშა. ამაღამ მე და გოგოები გასართობად მივდივართ.

19:00. ოღონდ ეს არა. აღმოჩნდა, რომ რებეკაც მოდის. რებეკასთან ერთად სადამოს გატარება ზღვაში მედუზასთან ერთად ცურვას ჰგავს – ყველაფერი შესანიშნავად დაიწყება და მოულოდნელად მტკივნეულად დაისუსხები, მთელი თავდაჯერებულობა გაგინადგურდება. პრობლემა ისაა, რომ რებეკას ნესტარი, როგორც წესი, ადამიანის აქილევსის ქუსლისკენაა მიმართული, თანაც, სპარსეთის ყურეში ომისას გასროლილი ჭურვებივით – „ფზზზზზ – ბუჰ“ – და ისე ხვდება მიზანს დანახვასაც ვერ მოასწრებ.

შერონი ამბობს, ოცდაოთხი წლის აღარ ხარ და როგორმე უნდა მოახერხო რებეკასთან გამკლავებაო. მართალია.

შუალამე. ეს სშნლებაა. ვრ გვძლებ ამს. სხე მძვრბა.

შაბათი, 10 ივნისი

უკ. ამ დილით ბედნიერმა გავიღვიძე (გუშინდელის შემდეგ ისევ ნაბახუსევ-გამოყოლილმა), შემდეგ მოულოდნელად გამახსენდა ის საშინელება, რადაც გოგოების გუშინდელი წვეულება იქცა. შარდონეს პირველი ბოთლის შემდეგ, ის იყო, ვაპირებდი საუბარი წამომეწყო ექსკურსიებთან დაკავშირებული ჩემი იმედგაცრუების შესახებ, რომ რებეკამ დამასწრო:

- მაგდა როგორაა?
- მშვენივრად, - ვუპასუხე.
- საოცრად მიმზიდველია, არა?
- მმმ...

- და ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურება - ოცდაოთხიოცდახუთი წლის გოგოს ჰგავს. სკოლაში ერთად სწავლობდით, არა, ბრიჯიტ? ალბათ შენზე სამი-ოთხი კლასით ქვემოთ იყო?

- ჩემზე ექვსი თვით უფროსია, - ვუპასუხე და შიშის პირველი ჟრუანტელი ვიგრძენი.
- მართლა? - გაიკვირვა რებეკამ და მერე ხანგრძლივად, უხერხულად დადუმდა, - კარგია, მაგდა საოცრად იღბლიანი ყოფილა. შესანიშნავი კანი აქვს.

მისი გადაკრული სიტყვების მნიშვნელობა გავიაზრე და ვიგრძენი, როგორ ამასხა ტვინში სისხლმა.

- იმას ვგულისხმობ, რომ ის შენზე იშვიათად იღიმის. ალბათ, ამიტომაც აქვს ნაკლები მიმიკური ნაოჭები.

მხარდაჭერის იმედად მაგიდის კუთხეს ჩავაფრინდი და ვცადე, მშვიდად მესუნთქა. მივხვდი, რომ ნაადრევად ვბერდები. თითქოს ქლიავის ჩირად ქცევის დაჩქარებულმა კადრებმა ჩამირბინეს თვალწინ.

- შენი დიეტის საქმე როგორ მიდის, რებეკა? - ჰკითხა შერონმა.

ოოჰ! უარყოფის ნაცვლად, როგორც ჩანს, ჯუდმა და შერონმა აღიარეს ჩემი ნაადრევი დაბერება და ცდილობენ, ტაქტიანად გადაიტანონ საუბრის თემა, რომ გული არ მატკინონ. შიშით ატანილი ვიჯექი და ჩემს ჩამოწეულილ სახეს ხელებში ვმაღავდი.

- საპირფარეოში გავალ, - კბილებში გამოვცარი, თან ვცდილობდი, სახე მუცლით მეზღაპრესავით უძრავი მქონოდა, რათა ახალი ნაოჭების გაჩენისთვის ხელი შემემშალა.

- ბრიჯიტ, კარგად ხარ? - შემეკითხა ჯუდი.

- მშვენივრად, - ვუპასუხე ცივად.

სარკის წინ აღმოვჩნდი თუ არა, შევბარბაცდი, როდესაც ზემოდან ჩამომავალმა მკვეთრმა სინათლემ ჩემი სქელი, ასაკისგან გაუხეშებული, ჩამოწეულილი ხორცი გაანათა. წარმოვიდგინე, როგორ ტუქსავდნენ მაგიდასთან დარჩენილი მეგობრები რებეკას ჩემი აფორიაქებისთვის, ეუბნებოდნენ, რომ მართალია, ამაზე დიდი ხანია ზურგს უკან საუბრობდნენ, მაგრამ აუცილებელი არ იყო მე გამეგო.

მოულოდნელად ავივსე სურვილით, საპირფარეშოდან გამოვვარდნილიყავი და ყოველი შემხვედრისთვის მეკითხა, რამდენი წლის ადამიანივით გამოვიყურებოდი; სწორედ ასე დამემართა ერთხელ სკოლაში, როცა ეჭვი შემეპარა, ხომ არ ვაფრენმეთქი და მთელი დერეფნები შემოვირბინე. ყველას ვეკითხებოდი: – არანორმალური ვარ? მაშინ ოცდარვა ადამიანმა დადებითად მიპასუხა.

თუ ასაკის მატებაზე ფიქრები აგეკვიატა, მორჩა, შანსი აღარ გაქვს. ცხოვრება სანახევროდ გალუული არდადეგებით მოგეჩვენება, როცა ყველაფერი უკვე დასასრულისკენ მიიჩქარის. ვგრძნობ, რომ დაბერების შესაჩერებლად რაღაც უნდა მოვიმოქმედო, მაგრამ რა? სახის აჭიმვის საშუალება არ მაქვს. ჩიხში მოვექეცი, რადგან სიმსუქნეც დაბერების ნიშანია და დიეტაც. რატომ გამოვიყურები ასაკოვნად? რატომ? ვუყურებ ქუჩაში მიმავალ ასაკოვან ქალბატონებს და ვცდილობ, ყველა ის უმცირესი პროცესი შევამჩნიო, რის შედეგადაც სახე ახალგაზრდობას კარგავს. გაზეთებს ვფურცლავ და ყველას სახეზე ვაკვირდები, ვცდილობ, გადავწყვიტო, თავიანთ ასაკთან შედარებით უფროსებად გამოვიყურებიან თუ უმცროსებად.

11:00. ახლახან ტელეფონმა დარეკა. საიმონი იყო, იმ გოგოზე მომიყვა, ვისაც თვალი დაადგა.

– რამდენი წლისაა? – ეჭვიანად ვკითხე.

– ოცდაოთხის.

ოჰ, ოჰ! უკვე იმ ასაკში ვარ, როცა ჩემხელა მამაკაცებს თანატოლები მიმზიდველად აღარ ეჩვენებათ.

14:00. ტომთან ერთად ჩაის დასალევად მივდივარ. გადავწყვიტე, რომ გარეგნობისთვის მეტი დრო უნდა დამეთმო, ამიტომ სარკესთან დიდხანს ვიცოდვილე – ჩაშავებული თვალეხი კორექტორით დავფარე, ლოყებზე პუდრი გადავისვი და ჩამოწეილი ნაკვთები ჩრდილებით გამოვყავი.

– დმერთო დიდებულო, – თავი ვერ შეიკავა ტომმა ჩემი დანახვისას.

– რა მოხდა? – ვკითხე, – რა?

– შენი სახე. ბარბარა კარტლენდს ჰგავხარ.

თვალეხი ავახამხამე, ვცდილობდი გადამეხარშა ის აზრი, რომ დროის ვერაგმა ბომბმა, რომელიც ჩემს კანში იყო ჩამალული, მოულოდნელად საბოლოოდ დამანაოჭა.

– ასაკთან შედარებით მართლა მოხუცებულად გამოვიყურები? – საცოდავად ვთქვი.

– არა, ხუთი წლის გოგოს ჰგავხარ, რომელმაც დედის კოსმეტიკა მოიპარა, – მიპასუხა მან, – შეხედე.

ვიქტორიანული სტილის ბარის სარკეში ჩავიხედე. ცირკის მასხარასავით გამოვიყურებოდი ავარდისფრებული ლოყებით, ხელოვნური წამწამებით, გათხაპნილი ფანქრით... უცებ მივხვდი, როგორ დღეში არიან ხოლმე მოხუცები, რომლებზეც გადაჭარბებული მაკიაჟის გამო ყველა ქირქილებს და გადავწყვიტე, აღარასოდეს მექირქილა.

– რა დაგემართა? – მზრუნველად მკითხა ტომმა.

– ნაადრევად ვბერდები, – ჩავიბურტყუნე.

- კარგი რა, ღვთის გულისათვის. იმ წყეული რებეკას ბრალთა, არა? შერონმა მითხრა, მაგდაზე რასაც ამბობდა. ეს სასაცილოა. თექვსმეტი წლის გოგოსავით გამოიყურები. ვგიჟდები ტომზე. მართალია, ეჭვი მაქვს, რომ ჩემს გასამხნეებლად მეგობრულად ცოტა გადააჭარბა, მაგრამ მაინც გამომისწორდა ხასიათი - ბოლოს და ბოლოს, ორმოცდახუთი წლისას რომ ვგავდე, ხომარ მეტყოდა, თექვსმეტი წლის გოგოსავით გამოიყურებიო?

კვირა, 11 ივნისი

8.13 სტ (მ.კ. მეტისმეტად ცხელა ჭამისთვის), ალკოჰოლის ერთეული - 3, სიგარეტი - 0
ღერი (მ.კ. მეტისმეტად ცხელა მოწვევისთვის), კალორია - 759 (ძირითადად ნაყინი).

კიდევ ერთი გაფლანგული კვირადღე. როგორც ჩანს, განწირული ვარ, მთელი ზაფხული ფარდებჩამოშვებულ ოთახში კრიკეტის ყურებაში გავატარე. ამ ზაფხულით უკმაყოფილო ვარ და არა მარტო ამ ფარდებისა და ექსკურსიების აკრძალვის გამო. ვაცნობიერებ, რომ ცხელი დღეები ერთიმეორის მიყოლებით მადნება ხელში, და ვერაფრით ვიშორებ შეგრძნებას, რომ ვერ მოვახერხე ეს იშვიათი ბედნიერება სრულად შემერგო. ეს შეგრძნება ისეთივე უსიამოვნოა, როგორც ოჯახის წევრების პერიოდული ზეწოლა, რადგან ლონდონის ცენტრში ცხოვრობ, სამეფო მეჯლისებზე, ან ალბერტ ჰოლში, ან ლონდონის ტაუერში, ან სამეფო აკადემიაში, ან მაღამ ტიუსოს მუზეუმში უნდა დადიოდე და არა სხვადასხვა ბარში საკუთარი სიამოვნებისამებრო.

რაც უფრო მეტად ანათებს მზე, მით უფრო ნათლად ჩანს, რომ სხვები ამ ამინდს უფრო სრულყოფილად, უფრო უკეთესად იყენებენ: შესაძლოა, სოფტბოლის გიგანტურ თამაშზე, სადაც ყველა დაპატიჟებულია ჩემ გარდა; შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან განმარტოებით მინდორზე, ჩანჩქერთან, სადაც შვლის ნუკრები ბალახობენ, ან დიდ საჯარო დღესასწაულზე, რომელშიც დედა დედოფალი და ტენორთა ტრიოდან ერთი, ან სამივე მონაწილეობს და აღნიშნავენ კოხტა ზაფხულს, რომელსაც მე ვერ ვიყენებ. იქნებ ყველაფერში ჩვენი კლიმატური სარტყელია დამნაშავე. იქნებ მორალურად არ ვართ მზად ბრდღვიალა მზისა და უღრუბლო ცისთვის, რაც სხვა არაფერია, თუ არა ახირებული შემთხვევითობა. ინსტინქტი გვიბიძგებს, პანიკურად გამოვცვივდე სამსახურებიდან, გზადაგზა ტანსაცმელი გავიძროთ და სირბილით ავვარდეთ რომელიმე სახურავზე გასარუჯად. ამის სურვილი მეტისმეტად ძლიერია.

მაგრამ არც ასე იოლია ყველაფერი. ვეღარსად გაექცევი მაგნე გამონაბოლქვით მოწამლულ ჰაერს, და რა უნდა ქნა? იქნებ ხეების ჩრდილში ბარბექიუ უნდა მოაწყო? დაამშოო მეგობრები, ვიდრე რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლთან ხლაფორთობ, შემდეგ კი ყველა დამწვარი, მაგრამ მაინც ნახევრად უმი და ცხიმისგან მოთიმთიმე გოჭის ხორცის ნაჭრებით მოწამლო? თუ პიკნიკი მოაწყო პარკში, რაც იმით დასრულდება, რომ ქალები ძლივს მოაშორებენ ფოლგას მოცარელას დაჭყლეტილ ნაჭრებს და თან ჭარბი ოზონისგან ასთმაგამწვავებულ ბავშვებს დაუწყებენ ყვირილს, კაცები კი შუადღის მზის ქვეშ გამთბარი თეთრი ღვინის სმისას დარცხვენილები ახლომახლო გამართული სოფტბოლის თამაშისაკენ გააპარებენ თვალს.

მშურს კონტინენტური საზაფხულო ცხოვრებისა, სადაც ადამიანები, მსუბუქ ტანსაცმელსა და მოდურ მზის სათვალეებში გამოწყობილები, მშვიდად დააბიჯებენ ან კონდიციონერული მანქანებით დაჰქრიან, ხანდახან უძველეს მოედნებზე, ჩრდილიან

კაფეებთან ჩერდებიან ციტრუსის წვენის დასალევად, მზისადმი სრულიად გულგრილები არიან და მის ნათებას ყურადღებას არ აქცევენ, რადგან იციან, რომ ის კვირის ბოლოსაც იბრდღვიალებს, როცა მათ საშუალება ექნებათ, მშვიდად დაისვენონ და იახტებზე გაწვინენ. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი ნაციონალური თავდაჯერების შესუსტება მას შემდეგ, რაც მოგზაურობა და მსოფლიოს გაცნობა დავიწყეთ. ჩემი ვარაუდით, ყველაფერი შეიძლება სხვანაირად ყოფილიყო. სულ უფრო მეტი მაგიდა გამოაქვთ ქვაფენილზე, კაფეების წინ. ისინი, ვინც სადილობენ, როგორღაც ახერხებენ, მშვიდად ისხდნენ ამ მაგიდებთან, მხოლოდ ხანდახან გაიხსენონ მზე, თვალდახუჭულებმა სახეები მისკენ მიაბრუნონ და ყურებამდე გაკრეჭილი ღიმილით გამვლელებს მიანიშნონ: „მემოგვხედეთ, მემოგვხედეთ, ჩვენ გამაგრილებელი სასმელით ვტკბებით ღია კაფეში, ეს ჩვენც შეგვიძლია“ და მერე მხოლოდ წამიერად მოედრუბლოთ სახე გამომეტყველებით, რომელშიც იკითხება „ნუთუ აუცილებელია „ზაფხულის ღამის სიზმრის“ („ზაფხულის ღამის სიზმარი“ – უილიამ შექსპირის პიესა.) ღია ცისქვეშ წარმოდგენას დავესწროთ?“.

სადღაც, ჩემი გონების ყველაზე მივარდნილ კუნჭულში ახალი აზრი კრთება იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, დენიელი მართალია: როცა გარეთ მზეა, ხის ჩრდილში დაძინება ჯობია ან ფარდებჩამოფარებულ ოთახში კრიკეტის ყურება. მაგრამ, მაინც მგონია, რომ მხოლოდ მაშინ დაგეძინება მშვიდად, როცა იცი, რომ მომდევნო დღეც ასეთივე მზიანი იქნება, და შემდეგიც, და საერთოდ, შენი ცხოვრების მარაგში საკმარისი მზიანი დღეებია, რათა ყველა საზაფხულო გასართობი მშვიდად და გააზრებულად მოასწრო, არაფერია საჩქარო. ყველაფერი შესაძლებელია.

ორშაბათი, 12 ივნისი

9.1 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **3** (მ.კ.), სიგარეტი – **13** ღერი (კ.), ვიდეოს ჩაწერის მცდელობაზე დახარჯული წუთები – **210** (ცუდია).

19:00. მმმ. ახლახან დედამ დარეკა.

- გამარჯობა, ძვირფასო. იცი რა? პენი ჰაზბენდსბოსვორთს ახალ ამბებში აჩვენებენ.
- ვისა?
- იცნობ ჰაზბენდსბოსვორთებს, ძვირფასო. ურსულა შენზე ერთი კლასით მაღლა სწავლობდა. ჰერბერტი ლეიკემიით გარდაიცვალა...
- რა?
- ნუ ამბობ ამ „რას“ ბრიჯიტ, თქვი: „ბატონო“. საქმე ისაა, რომ მე სახლში არ ვიქნები – უნას უნდა, ნილოსის სლაიდების სანახავად წავიდეთ და მე და პენიმ გადავწყვიტეთ გვეთხოვა, რომ ჩაგეწერა... ოჰ, უნდა გავიქცე – ყასაბი მოვიდა.

20:00. მაშ ასე. სასაცილოა – ორი წელია, ვიდეომაგნიტოფონი მაქვს და არაფერი ჩამიწერია. არადა, მშვენიერი ვიდეომაგნიტოფონი მაქვს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მარტივად იქნება – უბრალოდ, ინსტრუქციას უნდა მივყვე, ღილაკებს თანმიმდევრულად დავაჭირო და ა.შ.

20:15. ჰმ. ინსტრუქცია ვერ ვიპოვე.

20:25. ჰეჰ! ინსტრუქცია ჟურნალ „ჰელოუს“ ქვეშ ვიპოვე. მაშ ასე. „ვიდეოს ჩაწერა ისეთივე იოლია, როგორც ტელეფონზე დარეკვა“ – ბრწყინვალეა.

20:40. „მიუშვირეთ პულტი ვიდეოჩამწერს“. ძალიან ადვილია. „დააჭირეთ ღილაკს ინდექსი“. ოჰ! თავზარს მცემს ფრაზები: „ჰიფი ხმის ჩაწერა ტაიმერის გამოყენებით“, „პროგრამების ამოცნობისათვის აუცილებელია დეკოდერი“, და ა.შ. მე მხოლოდ პენი ჰაზბენდსბოსვორთის გამოსვლის ჩაწერა მინდა, მთელი სადამოს ჯამუშური ტექნოლოგიების შესახებ ტრაქტატის კითხვაში გატარება კი არა.

20:50. ოჰ. დიაგრამა. „IMC ფუნქციის ღილაკები“. მაგრამ რა ჯანდაბაა ეს IMC ფუნქცია?

20:55. გადავწყვიტე, პირველი ფურცელი გამომეტოვებინა. გადავშალე „ვიდეო პლუსის ტაიმერის გამოყენებით ჩაწერაზე“: „1. შეამოწმეთ ვიდეო პლუსის მოთხოვნები“ – რა მოთხოვნები? მძულს ეს სულელური ვიდეო. ზუსტად ასეთი გრძნობა მიჩნდება ხოლმე, როცა ვცდილობ, ავტომაგისტრალზე საგზაო ნიშნებს დავემორჩილო. გულის სიღრმეში ვხვდები, საზგაო ნიშნებიც და ვიდეოს ინსტრუქციაც უაზრობაა, მაგრამ მაინც ვერაფრით ვიჯერებ, რომ ხელმძღვანელი პირები იმდენად სასტიკები არიან, ყველას უმოწყალოდ გვასულელებენ. არაკომპეტენტურ სულელად ვგრძნობ თავს, თითქოს მთელი მსოფლიო რაღაცას ხვდება, რასაც მე მიმაღავენ.

21:16. „წამშობის გამოყენებით ზუსტი ჩაწერისათვის გაასწორეთ საათი და კალენდარი (არ დაგავიწყდეთ, გამოიყენოთ სწრაფი რეგულირების რეჟიმი ზამთრისა და ზაფხულის დროებს შორის გადასართავად). საათის გასწორების რეჟიმის გამოსაძახებლად დააჭირეთ წითელ ღილაკს და ღილაკს ნომერი 6“. ვაჰერ წითელს და არაფერი ხდება. ვაჰერ ციფრებს და არაფერი ხდება. ნეტავ ეს სულელური ვიდეო არასოდეს გამოეგონებინათ.

21:25. აჰ. მოულოდნელად ტელეეკრანზე მთავარი მენიუ გამოვიდა და დაეწერა „დააჭირეთ 6ს“. ღმერთო ჩემო. ახლა მივხვდი, რომ შეცდომით ტელევიზორის პულტს ვიყენებდი. უკვე ახალი ამბები იწყება.

ტომს დავურეკე და ვთხოვე, იქნებ შენ ჩაიწერო პენი ჰაზბენდსბოსვორთის ტელეგამოსვლა-მეთქი, მაგრამ მითხრა, არც მე ვიცი ვიდეოს ჩაწერაო. მოულოდნელად ვიდეომაგნიტოფონმა გაიწკაპუნა და გაურკვეველი მიზეზის გამო ახალი ამბები „ბრმა პაემანმა“ ჩაანაცვლა. ჯუდს დავურეკე, მაგრამ მანაც არ იცის ვიდეოს გამოყენება. აჰ. აჰ. უკვე თერთმეტის თხუთმეტი წუთია. უკანასკნელი ახალი ამბები 15 წუთში დაიწყება.

22:17. კასეტა არ შედის.

22:18. უი, ჰო, შიგნით „ტელმა და ლუიზა“.

22:19. „ტელმა და ლუიზა“ არ გამოდის.

22:21. გიჟივით ვაჭერ ყველა ღილაკს. კასეტა გამოდის და ისევ უკან ბრუნდება.

22:25. როგორც იქნა, ახალი კასეტა ჩავდე. ასე. ახლა უნდა გადავრთო „ჩაწერაზე“. „ჩაწერა დაიწყება შესაბამის რეჟიმში ნებისმიერ ღილაკზე დაწოლით (მეხსიერების გარდა)“. – რა ჯანდაბაა ეს შესაბამისი რეჟიმი? „კამერიდან ან სხვა მსგავსი მოწყობილობიდან ჩაწერისას 3-ჯერ დააჭირეთ AV პროგრამულ წყაროს, ორენოვანი ტრანსმისიის დროს დააჭირეთ 1/2-ს და სასურველი ენის შესარჩევად სამი წუთით გაჩერდით“.

ღმერთო. ამ სულელურმა ინსტრუქციამ ჩემი ლინგვისტიკის პროფესორი მომაგონა, რომელიც ენობრივი ნიუანსებით ისე იყო გატაცებული, რომ არ შეემძლო საუბრისას თითოეულ სიტყვაზე არ შეჩერებულიყო და ანალიზი არ გაეკეთებინა: „ამ დილით მე ვაპირებ... იცით, სიტყვა „ვაპირებ“ 1570 წელს...“

ოჰ, ამის დედაც! უკანასკნელი ახალი ამბები იწყება!

22:31. კარგი, კარგი, უნდა დავმშვიდდე. პენი ჰაზბენდსბოსვორთის ლეიკემიის ამბავი ჯერ მაინც არ დაწყებულია.

22:33. არის, არის! მიმდინარე პროგრამის ჩაწერა! მივაღწიე!

აჰჰ. ყველაფერი აირია. კასეტამ გადახვევა დაიწყო, შემდეგ გაჩერდა და ამოვარდა. რატომ? ჯანდაბა. ჯანდაბა, როგორც ჩანს, აღტაცებისგან პულტს დავაჯექი.

22:35. გაცოფებული ვარ. დავურეკე შერონს, რებეკას, საიმონს, მაგდას. არავინ იცის ამ წყეული ვიდეოს ჩაწერა. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ეცოდინება, დენიელია.

22:45. ღმერთო. დენიელი სიცილით ჩაბჟირდა, როცა ვუთხარი, რომ ვიდეოს ჩაწერა არ ვიცი. მითხრა, არა უშავს, მე ჩაგიწერო. მორჩა, რაც შემემძლო გავაკეთე დედაჩემისთვის. ამაღელვებელი და ისტორიული მომენტი, როცა ვინმე საკუთარ მეგობარს ტელეეკრანზე ხედავს.

23:15. ჰმ. დედამ დამირეკა.

– საყვარელო, მაპატიე. უკანასკნელ ახალ ამბებში კი არა, ხვალ, „ბრექფასტ ნიუსში“ იქნება. ხომ შეგიძლია, დილის შვიდ საათზე ბზჩ1-დან ჩაიწერო?

23:30. დენიელმა დამირეკა.

– მისმინე, ბრიჯიტ. ძალიან ვწუხვარ, არ ვიცი ეს როგორ მოხდა. შეცდომით ბარი ნორმანი ჩამიწერია.

კვირა, 8 ივნისი

8.12 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **3**, სიგარეტი – **17** ღერი.

მესამე შაბათ-კვირას, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში დენიელთან ერთად ჯდომისას, როცა ხელი ჩემს ლიფში ჰქონდა შეცურებული და კერტზე მეთამაშებოდა, თითქოს კრიალოსანი ყოფილიყო, მე კი დროგამოშვებით ძლივს გასაგონად ვეკითხებოდი: „ეს გარბენი იყო?“, მოულოდნელად ავფეთქდი: – რატომ არ შეგვიძლია, სადმე ექსკურსია მოვიწყოთ? რატომ? რატომ, რატომ, რატომ?

– შესანიშნავი აზრია, – რბილად დამეთანხმა დენიელი და ჩემი მკერდიდან ხელი ამოიღო, – არ გინდა, მომავალ შაბათკვირას სადმე ადგილი დაჯავშნო? ქალაქგარეთ, რომელიმე მყუდრო სასტუმროში. მე გადავიხდი.

ოთხშაბათი, 21 ივნისი

8.11 სტ (მ.ძ.კ.), ალკოჰოლის ერთეული – **1**, სიგარეტი – **2** ღერი, მომენტალური ლატარიის ბილეთები – **2** (მ.კ.), მცირე ტურების ბროშურების კითხვაზე დახარჯული წუთები – **237** (ცუდია).

დენიელმა უარი მითხრა ჩვენი დასვენების განხილვაზე, არც ბროშურების გადახედვას აპირებს და საერთოდ, გამგზავრებამდე ამაზე საუბარიც ამიკრძალა. რატომ ჰგონია, რომ აღფრთოვანებას მოვერევი, მე ხომ ამდენი ხანი ვოცნებობდი ამაზე? რატომ ხდება, რომ კაცებმა ჯერაც ვერ ისწავლეს არდადეგების დაგეგმვა, ბროშურებიდან დასასვენებელი ადგილების ამორჩევა და ფანტაზიორობა ისევე, როგორც მოახერხეს (ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთმა მათგანმა მაინც) მზარეულობისა და კერვის შესწავლა? პასუხისმგებლობა, რომელიც მხოლოდ მე დამაწვა, მაშფოთებს. უოვინგჰემ ჰოლი იდეალური მეჩვენება – მადისაღმძვრელად გამოიყურება არაფორმალური გარემოთი, ბალდახინიანი საწოლებით, ტბით და ფიტნეს ცენტრითაც კი (მისი გამოყენება აუცილებელი არ არის), მაგრამ ვაითუ დენიელს არ მოეწონოს?

კვირა, 25 ივნისი

8.11 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **7**, სიგარეტი – **2** ღერი, კალორია – **4587** (ვაააი!).

ღმერთო ჩემო. დენიელმა გადაწყვიტა, რომ სასტუმრო თანამედროვე იყო, რადგან მის წინ სამი „როლს როისი“ ეყენა, მათ შორის ერთი – ყვითელი. ვცდილობდი არ მეფიქრა იმაზე, რომ მოულოდნელად აცივდა, მე კი **900** გრადუსიანი სიცხისთვის ჩავალაგე ჩემოდანი. აი, რა წამოვიღე:

2 მთლიანი საცურაო კოსტიუმი

1 ბიკინი

1 გრძელი, ფარფატა თეთრი კაბა

1 თხელი კაბა

1 წყვილი ვარდისფერი, მსუბუქი, უქუსლო ფეხსაცმელი

1 ჩაის ვარდისფერი ხავერდის მინი ქვედაბოლო

1 აბრეშუმის, შავი ღამის პერანგი ლიფები, კოლპოტები, წინდები, წვივსაკრავები (სხვადასხვანაირი).

ცამ დაიჭეპა და მეც შიშით შეტორტმანებული, სიცივისგან აკანკალებული დენიელის კვალდაკვალ შევედი ფოიეში, რომელიც გადაჭედული აღმოჩნდა პატარძლის მეჯვარეებითა და კრემისფერ კოსტიუმებში გამოწყობილი კაცებით. აღმოჩნდა, რომ სასტუმროში ჩვენ ერთადერთი სტუმრები ვიყავით, რომლებიც ქორწილისთვის არ იყვნენ ჩამოსულები.

- აჰ! რაც სრებრენიცაში ხდება საშინელებაა, არა? - ავლაქალაქდი ისტერიკულად, რომ როგორმე ყურადღება სხვა პრობლემაზე გადამეტანა, - გულახდილად რომ გითხრა, არასოდეს მესმოდა, რა ხდება ბოსნიაში. მეგონა, რომ ბოსნიელები სარაევოში ცხოვრობდნენ და სერბები ესხმოდნენ თავს მათ, მაგრამ მაშინ ბოსნიელი სერბები ვილა არიან?

- იცი რა, უფრო ნაკლებ დროს რომ ატარებდე ტურისტული ბროშურების თვალყურებაში და ხანდახან მაინც კითხულობდე გაზეთებს, გეცოდინებოდა, - დამცინავად გაიღიმა დენიელმა.

- ჰო, მაგრამ მაინც რა ხდება იქ?

- ღმერთო, შეხედე, რა ძუძუები აქვს პატარძლის მეჯვარეს!

- და ბოსნიელი მუსლიმები ვილა არიან?

- სასიძოს კი სრულიად წარმოუდგენელი სიდიდის ლაცკანები აქვს.

მოულოდნელად მივხვდი, რომ დენიელი საუბრის სხვა თემაზე გადატანას ცდილობდა.

- ბოსნიელი სერბები ის ხალხია, ვინც სარაევოს ესხმოდა თავს? - დავიჟინე. სიჩუმე ჩამოწვა.

- ვისი ტერიტორიაა სრებრენიცა მაშინ?

- სრებრენიცა უსაფრთხო ზონაა, - მფარველური ტონით მიპასუხა დენიელმა.

- მაშ როგორ მოხდა, რომ უსაფრთხო ზონაში მცხოვრებ ადამიანებს თავს დაესხნენ?

- მუსლიმები, - საზეიმოდ განაცხადა დენიელმა.

- სერბები თუ ბოსნიელები?

- გეყოფა, აღარ მოკეტავ?

- არც შენ იცი, რა ხდება ბოსნიაში.

- ვიცი.

- არა, არ იცი.

- ვიცი.

- არ იცი-მეთქი.

სწორედ ამ დროს ბრიჯებში, თეთრ წინდებში, ნამდვილი ტყავის, ბალთებიან ფეხსაცმელში, სერთუკსა და დაპუდრულ პარიკში გამოწყობილი შვეიცარი ჩვენკენ დაიხარა:

- ჩემი აზრით დაგაინტერესებთ, რომ სრებრენიცასა და სარაევოს ყოფილი მოსახლეები ბოსნიელი მუსლიმები გახლავან, სერ, - და შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად დაამატა, - ნომერში დილის გაზეთებს შეუკვებთავთ, სერ?

მეგონა, დენიელი დაარტყამდა. ხელზე ხელი ვტაცე და ჩურჩულით მივეფერე: „არაფერია, წყნარად, წყნარად“, თითქოს სატვირთო ავტომანქანისგან დამფრთხალი დოდის ცხენი ყოფილიყოს.

17:30. დენიელის გვერდით ტბის პირას მზის გულზე თეთრ ფარფატა კაბაში გამოწყობილი წოლის ნაცვლად, საბოლოოდ ნიჩბებიან ნავში აღმოვჩნდი სიცივისგან გალურჯებული, ტანზე სასტუმროს პირსახოცშემოხვეული. ბოლოს დავნებდით და ჩვენს ნომერში ავბრუნით ცხელი აბაზანისა და ასპირინის მისაღებად, თანაც გზად აღმოვაჩინეთ, რომ სხვა წყვილთან ერთად ვისადილებდით, რომელიც, ჩვენი არ იყოს, ქორწილზე არ იყო მიწვეული. ამ წყვილიდან ქალი, სახელად ეილინი, როგორც აღმოჩნდა, ორჯერ იწვა დენიელთან, რომელმაც ერთხელ სექსის დროს ძალები ვერ მოზომა და მუძუზე ისე უკბინა, რომ მას შემდეგ ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაუციათ. აბაზანიდან რომ გამოვედი, დენიელი საწოლზე იწვა და ხითხითებდა:

- ახალი დიეტა აღმოვაჩინე შენთვის.

- ესე იგი, შენი აზრით მსუქანი ვარ?

- არა, აი მისმინე. ყველაფერი ძალიან მარტივია. უბრალოდ, არ უნდა შეჭამო ის საჭმელი, რომლისთვისაც უნდა გადაიხადო. დიეტის დასაწყისში ცოტა მოსუქებული იქნები, ამიტომ სადილად არავინ დაგპატიჟებს. შემდეგ წონაში დაიკლებ, გრძელფეხება და მომხიბლავი, სექსუალური ფორმების მქონე გახდები, ამიტომ მამაკაცები შენს სადილზე დაპატიჟებას დაიწყებენ. ასევე როგორც კი ცოტას მოიმატებ, დაპატიჟებები შეწყდება და ისევ წონაში კლებას დაიწყებ.

- დენიელ, - ავფეთქდი მე, - ეს ყველაზე უფრო შემადრწუნებელი, სექსისტური, მსუქანი ადამიანების შეურაცხმყოფელი, ცინიკური სიტყვებია, რაც კი ოდესმე მომისმენია.

- კარგი რა, ასე ნუ ბრაზობ, ბრიჯიტ, - თქვა მან, - ეს შენი აზრების ლოგიკური გამოხატვაა. ყოველთვის გიმეორებდი, არავის სჭირდება მწერივით გაჩხიკული ფეხები-მეთქი. მამაკაცებს ისეთი ტრაკი მოსწონთ, რომელზეც მოტოციკლს დააყენებ და ლუდის კათხას თავისუფლად შემოდებ.

მე შუაზე ვიხლიჩებოდი - ერთი მხრივ, თვალწინ მედგა ჩემს სხეულზე დაყენებული მოტოციკლისა და ლუდის კათხის ვულგარული ხატება და მაცოფებდა დენიელის უტიფარი, პროვოკატორული სექსიზმი, მეორე მხრივ კი, მოულოდნელად დავფიქრდი, ვაითუ მამაკაცების გადმოსახედიდან ჩემი სხეულის შესახებ მისი მოსაზრება სრული სიმართლეა-მეთქი? და, თუ ასეა, ახლა რა უნდა ვქნა, რაიმე გემრიელი ხომ არ შევჭამო, და თუ უნდა შევჭამო - მაინც რა-მეთქი?

- ტელევიზორს ჩავრთავ, - გაახალისა დენიელი ჩემმა დროებითმა მეტყველების უნარის დაკარგვამ, პულტი აიღო და ფარდები ჩამოაფარა. ფარდები სქელი იყო და რამდენიმე წამში ოთახი სრულიად დაბნელდა, მხოლოდ ტელევიზორის ეკრანზე ციმციმებდა კრიკეტის თამაში. დენიელმა სიგარეტს მოუკიდა და ქვედა სართულზე ექვსი ქილა ლუდის შესაკვეთად დარეკა.

- რამე ხომ არ გინდა, ბრიჯიტ? - მკითხა დამცინავი ღიმილით, - მაგალითად, ჩაი ნალებით? მე გადავიხდი.

ივლისი 3მ!

კვირა, 2 ივლისი

8.10 სტ (ვაგრძელებ მცდელობას), ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – **0** ღერი, კალორია – **995**, მომენტალური ლატარიის ბილეთი – **0** (ბრწყინვალეა).

7:45. ახლახან დედამ დამირეკა:

– გამარჯობა, ძვირფასო, იცი რა?

– ერთი წუთით დამელოდე, ყურმილს სხვა ოთახში ავიღებ, – ვუპასუხე და ნერვიულად გადავხედე დენიელს, ტელეფონი გამოვაერთე, თითის წვერებზე გავიპარე მეორე ოთახში, იქ შევაერთე და აღმოვაჩინე, რომ დედაჩემს საუბრიდან ჩემი გამოთიშვა არც კი შეუმჩნევია, ისე განაგრძობდა დაახლოებით ორწუთნახევრის წინ დაწყებულ ლაპარაკს.

– ... ასე რომ, შენ რას ფიქრობ, ძვირფასო?

– მმ. არ ვიცი. ტელეფონი სხვა ოთახში გავიტანე, როგორც გითხარი, – ვუპასუხე მე.

– ოჰ. ესე იგი, არაფერი მოგისმენია?

– არა, – ყურმილში მცირე ხანს დუმილი ჩამოვარდა.

– გამარჯობა, ძვირფასო, იცი რა?

ზოგჯერ დედაჩემი ულტრათანამედროვე ვინმე მგონია, ზოგჯერ კი უცხოპლანეტელად მეჩვენება. მაგალითად, მაშინ, როცა ჩემს ავტომობასუხეზე შეტყობინების დატოვებისას გარკვევით და ხმამაღლა მხოლოდ ამას ამბობს – „ბრიჯიტ ჯონსის დედა“.

– ალო? გამარჯობა, ძვირფასო, იცი რა? – კიდევ ერთხელ გაიმეორა.

– რა? – მორჩილად ვუპასუხე.

– ოცდაცხრა ივლისს უნა და ჯოფრი ბაღში კოსტიუმირებულ წვეულებას აწყობენ. თემა იქნება „მეძავეები და მღვდლები“. რა მაგარია, არა? მეძავეები და მღვდლები! წარმოიდგინე!

ძალიან ვცადე ამისთვის თავი ამერიდებინა, მაგრამ გონებიდან ვერაფრით მოვიშორე თეძობამდე ჩექმაში, ბადეკოლჰოტსა და ნახვრეტებიან ლიფში გამოწყობილი უნა ალკონზერის სურათი. სამოცდარაღაცა წლის ხალხისათვის ასეთი თემატური ღონისძიებების მოწყობა შეუფერებელი და არასწორი მგონია.

– ერთი სიტყვით, ვიფიქრეთ, კარგი იქნებოდა, თუ შენ და... – მოკრძალებული, გაწელილი პაუზა, – დენიელიც ჩამოხვიდოდით. ყველას ერთი სული გვაქვს გავიცნოთ. გული დამიმძიმდა აზრმა, რომ ჩემი და დენიელის ურთიერთობა დაწვრილებით, ყოველი ინტიმური დეტალის გათვალისწინებით ექნებოდათ განხილული ნორთჰემპტონშირის მაშველთა ჯგუფის წევრებს თავიანთ შეხვედრებზე. ორგანიზაციულ სადილებზე.

– არა მგონია, დენიელისთვის ეს... – სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ რატომღაც სკამი, რომელზეც მაგიდისკენ გადახრილი მუხლებით ვიმაგრებდი თავს, ხმაურით წაიქცა. როცა წამოვდექი და ყურმილი ისევ ავიღე, დედაჩემი კვლავ ლაპარაკობდა.

– დიახ, შესანიშნავია. მარკ დარსიც იქნება, როგორც ჩანს, ვილაცასთან ერთად, ასე რომ...

- რა ხდება? - ზღურბლზე სრულიად შიშველი დენიელი გამოჩნდა, - ვის ელაპარაკები?

- დედაჩემს, - სასოწარკვეთილმა ცალყბად ვუპასუხე.

- მომეცი ყურმილი, - მითხრა და ტელეფონი ხელიდან გამომტაცა. მისი გადამჭრელი მოქმედებები მომწონს ხოლმე, მაგრამ ასეთი უხეშობაც მეტისმეტია.

- მისის ჯონს, - დაიწყო მომხიბლავი ხმით, - დენიელი გესაუბრებათ. ლამის გავიგონე, როგორ აცახცახდა დედაჩემი ხაზს იქით.

- სატელეფონო ზარისათვის ძალიან ადრეა, თანაც კვირა დღეა. დიახ, გეთანხმებით, შესანიშნავი დღეა. რით შეგვიძლია გემსახუროთ?

რამდენიმე წუთის განმავლობაში, სანამ დედაჩემის პასუხს ისმენდა, დენიელი თვალს არ მაშორებდა, მერე კი აპარატს ჩასძახა:

- კარგი, სასიამოვნო იქნება. ოცდაცხრა ივლისს საქმიან დღიურში ჩავინიშნავ და ჩემი ცუგას ძველ საბელს მოვძებნი. ახლა კი, თქვენი ნებართვით, საწოლში დავბრუნდებით და ვეცდებით, ძილი შევიბრუნოთ. თავს გაუფრთხილდით. ნახვამდის. დიახ, ნახვამდის, - მტკიცედ დაამთავრა და ყურმილი დადო.

- ხედავ? - მომიბრუნდა კმაყოფილი, - მტკიცე ხელი - სულ ესაა საჭირო.

შაბათი, 22 ივლისი

8.11 სტ (ჰმ, 11 ფუნტი უნდა მოვიშორო), ალკოჰოლის ერთეული - 2, სიგარეტი - 7 ღერი, კალორია - 1562.

სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან გახარებული ვარ, დენიელი მომავალ შაბათს „მეძავეებისა და მღვდლების“ წვეულებაზე რომ მომყვება. სასიამოვნო იქნება, ერთხელ მაინც მარტო არ გავემგზავრო, მარტო არ ჩავიდე და მარტომ არ ვისმინო მთელი ეს მტანჯველი საყვედურები იმის თაობაზე, რომ მეგობარი მამაკაცი არ მყავს. ეს დიდებული, მგზნებარე დღე იქნება. იქნებ მოგვიანებით ექსკურსიაც მოვიწყოთ და ღამე პაბში გავათენოთ (ან რომელიმე სასტუმროში, სადაც საძინებელში ტელევიზორი არ იქნება). ერთი სული მაქვს, როდის გაიცნობს დენიელი მამაჩემს. იმედი მაქვს, ერთმანეთი მოეწონებათ.

2:00. ცრემლებმა გამაღვიძა, დიდი ხნის განმავლობაში აკვიატებული კომშარი მესიზმრებოდა: თითქოს საკლასო ოთახში ვზივარ, დაწყებითი ფრანგულის გაკვეთილზე, და როცა რვეულს ვშლი, ვაცნობიერებ, რომ საშინაო დავალების შესრულება დამავიწყდა, თანაც, წინსაფრის მეტი არაფერი მაცვია, და სასოწარკვეთილი ვცდილობ, როგორმე მთელ სხეულზე შემოვიხვიო, რომ მის შინაილმა არ დაინახოს, უტრუსოდ რომ ვარ. იმედი მქონდა, დენიელი თანაგრძნობას მაინც გამოხატავდა. ვიცი, ყველაფერი ჩემი შინაგანი შფოთვის ბრალია იმაზე, რომ ჩემი კარიერა არასწორად ვითარდება, მაგრამ დენიელმა თანაგრძნობის ნაცვლად მხოლოდ სიგარეტს მოუკიდა და მთხოვა, კიდევ ერთხელ მომეყოლა წინსაფრის ნაწილი.

- შენ რა გენაღვლება, იმ შენი დამპალი კემბრიჯის შემდეგ, - დავიქსუტუნე, - მე კი არასოდეს დამავიწყდება წამი, როცა ნიშნების დაფაზე გამოკრულ ცხრილში

ფრანგულის გრაფაში ყველაზე დაბალი შეფასება ამოვიკითხე და მივხვდი, რომ მანჩესტერში ვერ გავემგზავრებოდი. ამან მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა.

- ამისთვის ბედის მადლობელი უნდა იყო, ბრიჯიტ, - ზურგზე მწოლიარემ ჭერში გააბოლა, - ალბათ რომელიმე ჯიუტ კრიკეტის მოთამაშეს გაჰყვებოდი და მთელ ცხოვრებას მწვევრების ხუხულის გასუფთავებაში გაატარებდი. ასეა თუ ისე, - გაიცინა მან, - არაფერი დაეწუნება ხარისხს, რომელიც... რომელიც მიღებულა... - ისე გაერთო საკუთარი ხუმრობით, ლაპარაკიც აღარ შეეძლო, - ბანგორში.(ბანგორი - პატარა საუნივერსიტეტო ქალაქი უელსში.)

- კარგი, გასაგებია. მე დივანზე დავიძინებ, - ვულრიალე და საწოლიდან წამოვხტი.

- კარგი რა, გეყოფა, ბრიჯიტ, - მითხრა და უკან მიმიზიდა, - ხომ იცი, რომ ჩემი აზრით შენ... შენ ინტელექტის გიგანტი ხარ. უბრალოდ, სიზმრების სწორად ახსნა უნდა ისწავლო.

- მაშინ, რას მეუბნება სიზმარი, შენი აზრით? - მჟავედ ვკითხე, - რომ საკუთარი ინტელექტუალური უნარის სრულყოფა ვერ მოვახერხებ?

- მთლად მაგას არა.

- მაშინ რას?

- იცი, ჩემი აზრით, შიშველ სხეულზე მოხვეული წინსაფარი საკმაოდ გასაგები სიმბოლოა, არ მეთანხმები?

- რისი?

- ეს იმას ნიშნავს, რომ ინტელექტუალური ცხოვრებისაკენ ამაო ლტოლვა შენს რეალურ დანიშნულებას აგაცდენს.

- და რა დანიშნულებაა ეს?

- რასაკვირველია, ჩემთვის საჭმლის მომზადება, ძვირფასო, - ხელახლა გამხიარულებულმა ძლივს შეიკავა სიცილი, - და ჩემს სახლში შიშველი სიარული.

პარასკევი, 28 ივლისი

8.12 სტ (ხვალამდე უნდა გავაგრძელო დიეტაზე ყოფნა), ალკოჰოლის ერთეული - **1** (მ.კ.), სიგარეტი - **8** ღერი, კალორია - **345**.

მმმ. დენიელი ამაღამ ძალიან საყვარელი იყო. დიდი დრო დახარჯა, რომ მეძავებისა და მღვდლების წვეულებისთვის შესაფერისი კოსტიუმის შერჩევაში დამხმარებოდა. უამრავი სხვადასხვა ვარიანტის მორგებას მთავაზობდა, თვითონ კი გულდასმით აფასებდა ყოველ მათგანს. გაგიჟდა, ისე მოეწონა საბელი, შავი მაისური და მაქმანებიანი შავი კოლჰოტი - ამტკიცებდა, ამ ორ პერსონაჟს შორის გარდამავალი კოსტიუმი იქნებოდა, მაგრამ ბოლოს, მას შემდეგ, რაც კარგა ხანს ვიარე მის წინ სხვადასხვა კომბინაციებში, გადაწყვიტა, რომ უფრო მეტად მიხდებოდა შავი მაქმანის კოსტიუმი წინდებითა და წვივსაკრავებით, ფრანგი მოახლის სტილის წინსაფრით (რომელსაც ორი ცხვირსახოცი და ლენტის დაფუმატეთ), ყელსახვევითა და ბამბისგან დამზადებული კურდღლის კუდით. მართლაც სასიამოვნო ჟესტი იყო მისგან, რომ დრო გამონახა. ზოგჯერ მართლა ძალიან მზრუნველი მეჩვენება. გარდა ამისა, ღამით სექსშიც თავი ისახელა.

ერთი სული მაქვს, როდის გათენდება.

შაბათი, 29 ივლისი

8.119 სტ (მ.კ.), ალკოჰოლის ერთეული – 7, სიგარეტი – 8 ღერი, კალორია – 6245 (წყეული უნა ალკონბერი, მარკ დარსი, დენიელი, დედაჩემი, ყველა).

14:00. არც კი მჯერა, რომ ასე მოხდა. პირველი საათისთვის დენიელს ისევ ეძინა და, ცოტა არ იყოს, ავნერვიულდი, რადგან წვეულება სამის ნახევარზე იწყებოდა. ბოლოს ჭიქა ყავით გავაღვიძე:

– ვიფიქრე, რომ უნდა გამეღვიძებინე, რადგან სამის ნახევარზე გველოდებიან.

– სად? – მკითხა მან.

– მეძავეები და მღვდლები.

– ვაიმე, ძვირფასო. მისმინე, ახლა გამახსენდა, ამ შაბათკვირას უამრავი საქმე მაქვს მოსასწრები. მართლა სახლში უნდა წავიდე და ვიმუშაო.

ვერ ვიჯერებდი. დამპირდა, რომ წამომყვებოდა. ცნობილი ამბავია – როცა ვილაცას ხვდები, საზიზღარ საოჯახო წვეულებებზე მხარში უნდა გედგას, დენიელს კი ჰგონია, თუ ამდენჯერ ახსენებს სიტყვა „საქმეს“, ყველაფრისგან დაიძვრენს თავს. ახლა ალკონბერების უზარმაზარი სამეგობრო სათითაოდ მომიწყობს დაკითხვას, რატომ არ მყავს მეგობარი მამაკაცი და არავინ დამიჯერებს, რომ მყავს.

22:00. ვერ დამიჯერებია, რომ ეს ყველაფერი მე შემემთხვა. ორი საათი მივაქროლებდი მანქანას, რომელიც ალკონბერების სახლთან გავაჩერე და, დარწმუნებული, რომ ბაჭია-გოგოს კოსტიუმში შესანიშნავად გამოვიყურებოდი, ბალის იმ კუთხისკენ გავემართე, საიდანაც მხიარული ხმები ისმოდა. როცა გაზონი გადავიარე, ყველა გაჩუმდა და თავზარდაცემულმა შევნიშნე, რომ მეძავეებისა და მღვდლების კოსტიუმების ნაცვლად ქალბატონები ყოველდღიურ, სოფლური სტილის ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილები – კოჭებამდე, ყვავილებიან ორნაწილიან კაბებში, კაცებს კი შლაქსები და ყელიანი სვიტერები ეცვათ. ადგილზე გავშეშდი, როგორც, ჰო, ალბათ, როგორც დამფრთხალი კურდღელი. სანამ სტუმრები მათვალისწინებდნენ, ფუქსიისფერ, გოფირებულ კაბაში გამოწყობილი უნა ალკონბერი მომიახლოვდა, ტაში შემოჰკრა და ფოთლებითა და ვაშლებით სავსე პლასტმასის ჯამი გამომიწოდა:

– ბრიჯიტ! როგორ მიხარია შენი ნახვა! მიირთვი.

– მეგონა, აქ მეძავეებისა და მღვდლების წვეულება უნდა ყოფილიყო, – დავისისინე.

– ოჰ, ძვირფასო, ჯოფრიმ არ დაგირეკა? – შეიცხადა მან. ყურებს ვერ ვუჯერებდი. ნუთუ ეგონა, რომ ყოველდღე ბაჭიის კოსტიუმში გამოწყობილი დავდივარ?

– ჯოფ! – დაიძახა უნამ, – ბრიჯიტს არ დაურეკე? ჰო, მართლა, ყველას ერთი სული გვაქვს, შენი მეგობარი მამაკაცი გავიცნოთ, – თქვა და მიმოიხედა, – სად არის?

– საქმე გამოუჩნდა, – წავიბურტყუნე.

– როგორ არის ჩემი პატარა ბრიჯიტი? – გაღეშილი ბიძია ჯოფრი უკვე ირწეოდა.

– ჯოფრი! – ცივად მიმართა უნამ.

– დდღიახ, ყველა ადგილზეა, ყველაფერი კარგადაა, ბრძანებები შესრულებულია, ლეიტენანტო, – სამხედრო სალამი მისცა ცოლს და მხარზე მიეყრდნო, – უბრალოდ, იქ რაღაც წყეული მანქანა ჩაირთო... რა ქვია? ავტომობასსსსუხე.

- ჯოფრი! - დაისისინა უნამ, - წადი და ბარბექიუს მიხედე. ვწუხვარ, ძვირფასო, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს მხარეში მღვდელმსახურებთან დაკავშირებული უამრავი სკანდალის გამო გონივრული არ იქნებოდა მეძავებისა და მღვდლების წვეულების მოწყობა, რადგან... - უნა გულიანად ახარხარდა, - რადგან ყველა იფიქრებდა, მღვდელმსახურები თვითონაც მეძავები არიანო. ოჰ, ძვირფასო, - სიცილისგან ცრემლი სდიოდა, - კარგი, მაშ როგორაა შენი ყმაწვილი? რას აკეთებს ასეთს, შაბათსაც რომ მუშაობს? ბრრრ! არც ისე კარგი მიზეზია, არა? ამ პირობებში როგორ უნდა გაგათხოვოთ!

- ამ პირობებში, როგორც ჩანს, კარიერის დასრულების შემდეგ გოგონა გამოძახებით გავხდები, - ჩავიბურტყუნე და ვცადე, ტრაკიდან ბაჭის კუდი მომეძრო. ვიღაცის მზერა ვიგრძენი, ავიხედე და მარკ დარსი დავინახე, ჩემს კუდს თვალს არ აშორებდა. გვერდით მაღალი, გამხდარი, გლამურული, საოჯახო სამართლის საუკეთესო ადვოკატი ედგა მოკრძალებულ იასამნისფერ კაბასა და ჟაკლინ კენედის სტილის პალტოში. თმა სათვალთ გადაეწია.

ამ თვითკმაყოფილმა კახპამ მარკს გაუღიმა და ყველაზე უზრდელო მანერით უტიფრად შემათვალაირა.

- სხვა წვეულებიდან მოდიხართ? - სიცილი ძლივს შეიკავა მან.

- პირიქით, სამსახურისკენ გზად შემოვიარე, - ჩემს პასუხზე მარკ დარსის სანახევროდ გაეღიმა და თვალი ამარიდა.

- გამარჯობა, ძვირფასო. გადაღებაა და ვერ მოვწყდი, - ალტაცებული დედაჩემი ჩემკენ მოიჩქაროდა, ღია ფირუზისფერი, გოფირებული კაბა ეცვა, დუბლების განმაცალკევებელ დაფას დააფრიალებდა, - ღვთის გულისათვის, ეს რა ჯანდაბა გაცვია? ნამდვილი ბოზივით გამოიყურები. სრული სიჩუმე, გთხოვთ, ყველანი გაჩუმდით, დააა... - ჯულისოს მიმართულებით დაიღრიალა, რომელიც კამერით ტრიალებდა, - წავიდა!

შემფოთებულმა მამას ძეგნაში მიმოვიხედე, მაგრამ ის არსად ჩანდა. დავინახე, მარკ დარსი უნას ესაუბრებოდა და ჩემზე ანიშნებდა, შემდეგ კი უნა, მიზანმიმართული გამომეტყველებით, ჩემკენ გამოემართა.

- ბრიჯიტ, ძალიან ვწუხვარ კოსტიუმების თაობაზე ამ გაუგებრობის გამო. მარკ დარსიმ მითხრა, ალბათ, საშინლად უხერხულად გრძნობს თავს ასეთ კოსტიუმში ამდენი ხანდაზმულის გარემოცვაშიო. გინდა, რამე გათხოვო?

დარჩენილი დრო ჩემს კოსტიუმზე ზემოდან ჯენინის მეჯვარის დაბერილსახელოებიანი ლაურა ეშლის "ფირმის კაბა მეცვა. ჩემს დანახვაზე მარკ დარსის ნატაშა მედიდურად იღიმებოდა, დედაჩემი კი გვერდით ჩარბენისას პერიოდულად მომადახებდა ხოლმე:

- შესანიშნავი კაბაა, ძვირფასო. გადაღებულია!

- დიდად არ მომწონს ეს მისი მეგობარი, შენ რას ფიქრობ? - როგორც კი მარტო გამომიჭირა, ხმამაღლა მომმართა უნა ალკონბერიმ და ნატაშასკენ გაიქნია თავი, - გამომივიდა აქ ქალბატონი! ელანის აზრით, მიზნის მისაღწევად ყველაფერზე წავა. ოჰ, გამარჯობა, მარკ! ხომ არაფერს დალევი? რა სამწუხაროა, რომ ბრიჯიტმა მეგობარი მამაკაცი ვერ გაგვაცნო. იღბლიანი ყმაწვილი ყოფილა, არა? - უნამ ეს ყველაფერი ისე აგრესიულად მიაყარა, თითქოს პირად შეურაცხყოფად იღებდა, რომ მარკმა მეგობარ გოგონად აირჩია ქალი, რომელიც: ა) მე არ ვიყავი და ბ) მისთვის უნას არ გაუცნია

სახალწლო წვეულებაზე, – რა ჰქვია მას, ბრიჯიტ? დენიელი, არა? პემი ამბობს, ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა გამომცემელიაო.

– დენიელ კლივერი? – იკითხა მარკ დარსიმ.

– დიახ, მართლაც ასეა, – დავუდასტურე და ამაყად ავწიე თავი.

– თქვენი მეგობარია, მარკ? – იკითხა უნამ.

– არავითარ შემთხვევაში, – მკვახედ თქვა მან.

– ოოჰ! იმედი მაქვს, ჩვენს პატარა ბრიჯიტს შეეფერება, – დაჟინებით განაგრძობდა უნა და თან თვალს მიკრავდა, თითქოს ამ საზარელი საუბრით კარგად ვერთობოდით.

– კიდევ ერთხელ შემიძლია დაბეჯითებით გავიმეორო, რომ არავითარ შემთხვევაში, – თქვა მარკმა.

– ერთი წუთით! ეს ხომ ოდრია. ოდრი! – შესძახა უნამ, ისე, რომ პასუხი არ მოუსმენია და, მადლობა ღმერთს, მოგვშორდა.

– თქვენი აზრით, ეს ჰქვიანურია? – მაშინვე შევუტიე დარსის გაცოფებულმა.

– რა? – მარკი გაოცებული ჩანდა.

– ნუ ამბობთ ამ „რას“, დარსი, – წავიბურტყუნე.

– დედაჩემივით ლაპარაკობთ, – მითხრა მან.

– როგორც ჩანს, თქვენ ფიქრობთ, რომ ნორმალურია, ქალის მშობლების მეგობრებთან გამოლანძლოთ მისი მეგობარი მამაკაცი, როცა თქვენი სიტყვების ადრესატი იქ არაა და პასუხს ვერ გაგცემთ, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ ეჭვიანობთ, – მივახალე.

შემფოთებულმა შემომხედა.

– უკაცრავად, – თქვა მან, – უბრალოდ, ვცდილობ გავარკვიო, რას გულისხმობთ. მე...? თქვენი ვარაუდით დენიელ კლივერზე ვეჭვიანობ? თქვენ გამო?

– არა, ჩემ გამო არა, – ვუპასუხე გაცოფებულმა, რადგან მივხვდი, რომ ჩემი სიტყვები მართლა შეიძლებოდა ასე გაეგო, – უბრალოდ, ვვარაუდობ, რომ სერიოზული მიზეზი გაქვთ, საშინლად ვერ იტანდეთ ჩემს მეგობარ მამაკაცს, და ეს მიზეზი უბრალოდ ვარძლიანობაზე მეტია.

– მარკ, ძვირფასო, – წაიღულუნა ნატამამ, რომელიც გრაციოზულად მოაბიჯებდა მოლზე და ჩვენკენ მოდიოდა. ისეთი მაღალი და გამხდარი იყო, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა არც სჭირდებოდა, ამიტომ შეედლო მსუბუქად ევლო, მიწაში ქუსლების ჩასობის გარეშე, თითქოს ამისთვის იყო გაჩენილი, როგორც აქლემი – უდაბნოსათვის, – წამოდი, დედაშენს მოუყევი იმ სასადილო გარნიტურის შესახებ, კონრანში რომ ვნახეთ.

– უბრალოდ თავს გაუფრთხილდით, ესაა და ეს, – ხმადაბლა მითხრა დარსიმ, – დედათქვენსაც ამასვე გავუმეორებდი, – და თავით ჯულიოს მიმართულებით მიმანიშნა, სანამ ნატამა წაათრევდა.

ეს საშინელება კიდევ დაახლოებით ორმოცდახუთი წუთი ვითმინე, მერე კი გადავწყვიტე, უკვე შემიძლია სამსახურს დავაბრალო წასვლის აუცილებლობა-მეთქი და უნას დავემშვიდობე.

– ოჰ, ეს კარიერისტი გოგონები! მაგრამ ხომ იცი, სამუდამოდ ვერ გადადებ: ტიკ-ტიკ-ტიკ-ტიკ, – შემახსენა მან.

ნერვების დასაწყნარებლად მანქანაში მოვწიე, დამშვიდება მინდოდა, რომ ტარება შემძლებოდა. როგორც კი მთავარ გზაზე გავედი, მამაჩემის მანქანამ ჩამიქროლა.

გვერდით პენი ჰაზბენდსბოსვორთი ეჯდა, წითელი მაქმანის პენუართა და ბაჭიის ყურებით დამშვენებული. ლონდონში რომ ჩავალწიე და მაგისტრალიდან გადმოვუხვიე, თავი სუსტად ვიგრძენი, თანაც უფრო ადრე ჩამოვედი, ვიდრე ველოდი, ამიტომ ვიფიქრე, პირდაპირ სახლში წასვლის ნაცვლად ჯერ დენიელს გავუვლი, ცოტა დამამშვიდებს-მეთქი.

ავტომანქანა დენიელის მანქანის ცხვირწინ გავაჩერე. პირველ ზარს არავინ გამოეპასუხა. ცოტა ხანს დავიცადე და ხელმეორედ დავრეკე, იქნებ ისეთ დროს მოვედი, როცა ტელევიზიით საინტერესო გარბენი გადმოიცემა-მეთქი. ისევ არავის უპასუხებია. ვიცოდი, სახლში იყო, რადგან მისი მანქანა ავტოსადგომზე ეყენა, თანაც თვითონ მითხრა, სახლში ვიმუშავებ და კრიკეტს ვუყურებო. ფანჯარას ავხედე და დენიელი დავინახე. მხიარულად გავუღიმე, ხელი დავუქნიე და კარზე ვანიშნე. ის გაუჩინარდა. ალბათ დომოფონით მიპასუხებს-მეთქი, ვიფიქრე და ისევ დავრეკე ზარი. ცოტა ხანში მისი ხმა მომესმა:

- გამარჯობა, ბრიჯ, ახლა სატელეფონო საუბარი მაქვს ამერიკაში, მოდი, ათ წუთში პაბში შეგხვდები, კარგი?

- კარგი, - მაშინვე მხიარულად ვუპასუხე და კუთხისკენ გავემართე, მაგრამ როცა მოვიხედე, ისევ ფანჯარაში შევნიშნე, ტელეფონზე კი არ ლაპარაკობდა, მე მიმაცილებდა მზერით.

მელიას ეშმაკობით თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერ ვხედავდი დასიარული არ შემიწყვეტია, მაგრამ შინაგანად ავლელი. რატომ მითვალთვალებდა? რატომ არ მიპასუხა პირველ ზარზე? რატომ უბრალოდ დომოფონს არ დააჭირა და სახლში მაშინვე არ შემიშვა? უეცრად თითქოს მეხი დამეცა - ქალთან ერთად იყო!

გული გამალეებით ამიბგერდა, კუთხეში შემოვბრუნდი, კედელს მიყრდნობილმა გავიჭყიტე, რომ შემემოწმებინა, მოშორდა თუ არა ფანჯარას. მისი კვალიც კი არ ჩანდა. სწრაფად დავბრუნდი უკან და მისი სადარბაზოს გვერდით ისე მოვიკუნტე, რომ გზას მის კარამდე სვეტებს შორის ვხედავდი. თუკი ქალი გამოვიდოდა, დავინახავდი. ასე მოკუნტული ვიცდიდი გარკვეულ ხანს. მერე დავფიქრდი: სადარბაზოდან მართლაც რომ გამოსულიყო ვინმე ქალი, როგორ გავიგებდი, დენიელის ბინიდან გამოვიდა თუ ამ სახლის სხვა რომელიმე ბინიდან? რა უნდა მექნა? დუელში გამომეწვია? თუ დამეპატიმრებინა? თანაც ხომ შეეძლო, ქალი სულაც ბინაში დაეტოვებინა და დაერიგებინა, სანამ დენიელი პაბში მოვიდოდა სახლიდან ფეხი არ გამოედგა?

საათს დავხედე. შვიდის ნახევარი იყო. ჰეჰ! პაბი ჯერ არ იქნებოდა ღია. შესანიშნავი საბაბია. გამხნევებული ისევ კარისკენ გავემართე და ზარი დავრეკე.

- ბრიჯიტ, ისევ შენ ხარ? - მაშინვე მიპასუხა მან.

- პაბი ჯერ არ გაუღიათ.

სიჩუმე ჩამოვარდა. მართლა მომესმა იქიდან რაღაც ხმა? სიმართლისთვის თვალი რომ არ გამესწორებინა, თავს ვირწმუნებდი, უბრალოდ, ბინძურ ფულს ათეთრებს, ან სულაც ნარკოტიკებით ვაჭრობს-მეთქი. ალბათ, ცდილობდა, კოკაინით სავსე პოლიეთილენის პაკეტები იატაკის ფიცრებქვეშ დაემალა და რომელიმე სამხრეთამერიკელი, ცხენის კუდად თმაშეკრული მამაკაცი ეხმარებოდა.

- შემომიშვი, - ვუთხარი.

- ხომ გითხარი, ტელეფონზე ვსაუბრობ.

- შემომიშვი.
- რა? - ვხვდებოდი, დროის მოგებას ცდილობდა.

- დენიელ, დომოფონის ღილაკს თითი დააჭირე, - გავუმეორე.

რა სასაცილოა, ზოგჯერ ვიღაცის არსებობას მაშინაც კი ამჩნევ, როცა ვერ ხედავ, არ გესმის და არც ეხები. ოჰ, რასაკვირველია, კიბეზე ასვლამდე გზად კარადები შევამოწმე. მათში არავინ იმალებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დენიელის სახლში ქალი იყო. იქნებ მსუბუქ სურნელს ვგრძნობდი... ან დენიელი იქცეოდა ცოტა უჩვეულოდ. უბრალოდ, ვიცოდი.

მისაღებში ერთმანეთის პირისპირ აღელვებულები ვიდექით. სასოწარკვეთილს ერთი სული მქონდა, ოთახებში სირბილი დამეწყო, დედაჩემივით ყველა უჯრა და კარი გამომეღო და გამექექა, ან 1471-ზე დამერეკა და შემემოწმებინა, ბოლო ზარი ამერიკიდან იყო თუ არა.

- რა გაცვია? - თქვა მან. აღელვებისგან სულ დამავიწყდა ჯენინის კაბა.

- პატარძლის მეჯვარის სამოსი, - ვუპასუხე გულზვიადად.

- ხომ არაფერს დაღევ? - მკითხა დენიელმა. ვცდილობდი, სწრაფად მეაზროვნა. სამზარეულოში უნდა გამეტყუებინა, რომ ყველაფრის გაჩხრეკა შემძლებოდა.

- ჩაის.

- ხომ კარგად ხარ? - მკითხა მან.

- დიახ, შესანიშნავად! - წამოვიძახე, - წვეულებაზე დიდებული დრო გავატარე. ოღონდ, როგორც ერთადერთ მეძავს, პატარძლის მეჯვარის კაბის გადაცმა მომიხდა. მარკ დარსი ნატამასთან ერთად იყო, რა ლამაზი პერანგი გაცვია... - სუნთქვაშეკრული გავჩერდი, უცებ მივხვდი, რომ კი არ ვგავდი, უკვე ნამდვილი დედაჩემი ვიყავი.

წუთით თვალი არ მოუშორებია, მერე სამზარეულოში გავიდა და მეც მაშინვე ოთახის ბოლოსკენ ვისკუპე, რათა დივნიისა და ფარდების უკან შემეხედა.

- რას აკეთებ?

დენიელი ზღურბლზე იდგა.

- არაფერს, არაფერს. უბრალოდ შევამოწმე, ჩემი ქვედაბოლო დივნიის უკან ხომ არ დამრჩა, - ვუპასუხე და ფრანგული ფარსის პერსონაჟივით ველურად გავიქნიე ფარდა. დენიელმა ეჭვით შემათვალისწინა და ისევ სამზარეულოში გაბრუნდა. 1471-ზე დასარეკად დრო აღარ მრჩებოდა, ამიტომ სწრაფად შევამოწმე კარადები, რომლებშიც საწოლის თეთრეულს ინახავს - იქ ადამიანი არ აღმოჩნდა - შემდეგ სამზარეულოსკენ გავემართე და გზად ჰოლის კარადის კარი გამოვალე, საიდანაც საუთოებელი ფიცარი გადმოვარდა, მას კი ძველი ჟურნალებით სავსე მუყაოს ყუთი მოჰყვა, ჟურნალები იატაკზე გაიფანტა.

- რას აკეთებ? - ისევ რბილად მკითხა სამზარეულოდან გამოსულმა დენიელმა.

- მაპატიე, უბრალოდ, სახელოთი კარს გამოვდე, - ვუთხარი მე, - საპირფარეოში მივდიოდი.

დენიელი ისე მიყურებდა, თითქოს გიჟი ვიყავი, ამიტომ საძინებლის შესამოწმებლად ველარ წავედი. სამაგიეროდ საპირფარეოში ჩავიკეტე და ციებცხელებიანივით დავიწყე უცხო ნივთების ძებნა. თვითონაც არ ვიცოდი, რას ვეძებდი, ალბათ, გრძელ, ქერა თმის ღერებს, პომადის ანაბეჭდებიან ქალაღდის ხელსახოცებს, უცხო სავარცხლებს - ნებისმიერი მათგანი სამხილად გამოდგებოდა. არაფერი აღმოჩნდა. ბოლოს კარი

უხმაუროდ გავაღე, ორივე მხარეს გავიხედე, დერეფანში გავსრიალდი, დენიელის საძინებლის კარს ვუბიძგე და კინაღამ გული გამისკდა – ოთახში ვიღაც იყო.

– ბრიჯ, – დენიელმა ინსტინქტურად აიფარა ჯინსი, – აქ რას აკეთებ?

– მომესმა, რომ აქ შემოხვედი და... ვიფიქრე... მინიშნება მეგონა, – ვუთხარი და ისეთი ნაბიჯებით მივუახლოვდი, შეიძლებოდა, სექსუალურად გგონებოდათ, ამ ყვავილებით მოჩითულ, ტომარასავით კაბაში რომ არ ვყოფილიყავი გამოხვეული. თავი მკერდზე მივაღე და ხელები მოვხვიე, ვცდილობდი, მის სურნელში სხვა სუნამოს კვალი აღმომიჩინა და საწოლიც კარგად შემეთვალაიერებინა, რომელიც, როგორც ყოველთვის, არეული იყო.

– მმმ, ამის ქვეშ ისევ ბაჭია-გოგოს კოსტიუმი გაცვია, არა? – თქვა მან, მეჯვარის კაბის გახსნა დამიწყო და ისე მომეწება, მისი ზრახვები სრულიად ნათელი გახდა. მოულოდნელად გავიფიქრე, ეს ალბათ რამე ხრიკია, აპირებს მაცდუნოს, სანამ ქალი შეუმჩნევლად გაიპარება-მეთქი.

– ოჰ, მგონი ჩაიდანა ადულდა, – თქვა მოულოდნელად დენიელმა, კაბა ისევ შემიკრა და მისთვის უჩვეულო რამ ჩაიდანა – დამამშვიდებლად მომითათუნა ხელი. ჩვეულებრივ, ეს საქმე ყოველთვის ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავს ხოლმე, თუნდაც მიწა იძრას, ტორნადო გამოჩნდეს ან ტელევიზორში ვირჯინია ბოტომლის (ვირჯინია ჰილდა ბრუნეტ მაქსველ ბოტომლი – ნეტლსტოუნის ბარონესა, ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის წევრი, სხვადასხვა დროს იყო პარლამენტის წევრი, ჯანდაცვის მინისტრი, ჩრდილოვანი კაბინეტის წევრი კულტურის საკითხებში. დაიბადა 1948 წლის 12 მარტს, შოტლანდიაში.) შიშველი სურათები აჩვენონ.

– ოჰ, მართლაც, ჯობია დამისხა, – ვუპასუხე, თან ვიფიქრე, საშუალება მექნება საძინებელი კარგად დავზვერო და შევისწავლო-მეთქი.

– მხოლოდ თქვენ შემდეგ, – მიბიძგა დენიელმა და კარი ზურგს უკან მოხურა, ასე რომ, იძულებული გავხდი, სამზარეულოსკენ გავძლოლოდი. ამასობაში მოულოდნელად თვალი მოვკარი სახურავის ტერასაზე გამავალ კარს.

– ხომ არ ჩამოვსხდით? – მკითხა დენიელმა.

აი, სად იმალება ის, იმ დამპალ სახურავზე.

– რა დაგემართა? – მკითხა მან, როცა კარს დაეჭვებული მივაჩერდი.

– არაფერი, – მხიარულად წავიღიღინე და საერთო ოთახში შევფრატუნდი, – უბრალოდ წვეულებამ ცოტათი დამღალა.

უდარდელად დავეხეთქე დივანზე, თან გულში ვმსჯელობდი, რა უფრო უკეთესი იქნებოდა, სინათლის სისწრაფით შევვარდნილიყავი კაბინეტში, რადგან ეს უკანასკნელი ადგილი იყო, სადაც ქალი შეიძლება დამალულიყო, თუ ცეცხლშენთებულებით გაქცეულიყავი სახურავისკენ? გამოვთვალე, რომ თუ სახურავზე არ იმყოფებოდა, შესაძლო სამალავებად კაბინეტი, საძინებელი ოთახის კარადა და საწოლის ქვეშ ადგილი რჩებოდა. ამ შემთხვევაში თუ მაღლა, სახურავისკენ წავიდოდით, ქალი გაქცევას მოახერხებდა. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, დენიელი უკვე კარგა ხანია ტერასაზე გასვლას შემომთავაზებდა.

მან ჩაი მომიტანა და თავის ლეპტოპს მიუჯდა, რომელიც გახსნილი და ჩართული იდო. პირველად მაშინ დავფიქრდი, იქნებ მართლაც არაა აქ ქალი-მეთქი. ეკრანზე დოკუმენტი ციმციმებდა – იქნებ მართლაც მუშაობდა და ამერიკელ კოლეგებს

ესაუბრებოდა ტელეფონზე. ასეთ შემთხვევაში სრული იდიოტი გამოვდიოდი, რადგან შეშლილივით ვიქცეოდი.

- დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი კარგადაა, ბრიჯიტ?

- ჰო, მშვენივრად. რატომ მეკითხები?

- რატომ და, ჯერ იყო და გაუფრთხილებლად გამომეცხადე ასეთ კოსტიუმსა და კაბაში გამოწყობილი, შემდეგ რატომღაც ყველა ოთახი შემოიარე. მეტისმეტ ცნობისმოყვარეობად ნუ ჩამომართმევ, მაგრამ ამ ყველაფერს რაიმე ახსნა ხომ უნდა ჰქონდეს?

თავი იდიოტად ვიგრძენი. ეს სულ წყეული მარკ დარსის ბრალი იყო, რომელიც ცდილობდა, ჩემს გონებაში ეჭვის მარცვალი დაეთესა და ჩემი ურთიერთობა გაენადგურებინა. საბრალო დენიელი, რა უსამართლოდ ვექცეოდი ვიღაც ამპარტავანი, უქმური, ადამიანის უფლებების დამცველი საუკეთესო ადვოკატის სიტყვების გამო. და მერე სახურავიდან ხმაური მომესმა.

- მგონი, ცოტა არ იყოს, დამცხა, - ამ სიტყვებით ფრთხილად შევხედე დენიელს, - ჯობია ცოტა ხნით ზემოთ ავიდე და სახურავზე გავნიავდე.

- ღვთის გულისათვის, არ შეგიძლია, ორი წუთი წყნარად იჯდე? - დაიღრიალა მან და ჩემთვის გზის გადასაკეტად წამოხტა, მაგრამ მე უფრო სწრაფი აღმოვჩნდი. მოქნილი მოძრაობით გვერდი ავუქციე, კარი გავაღე, კიბე ავირბინე და მზის სინათლისკენ დავიძარი...

იქ, შეზღონგზე, გარუჯული, გრძელკიდურებიანი, ქერათმიანი, სრულიად შიშველი ქალი იწვა. ადგილს მივეყინე, მასთან შედარებით თავი მეჯვარის კაბაში გამოწყობილ უზარმაზარ პუდინგად ვიგრძენი. ქალმა თავი წამოსწია, სათვალე მოიხსნა და ცალთვალდახუჭულმა შემომხედა. გავიგონე, როგორ ამოვიდა დენიელი ჩემ უკან, კიბეზე.

- ძვირფასო, - წარმოთქვა ქალმა ამერიკული აქცენტით და ჩემს მხარზემოდ დენიელს გახედა, - შენ კი მეუბნებოდი, გამხდარიაო.

ავვისტო განშორება

სამშაბათი, 1 ავვისტო

8.12 სტ, ალკოჰოლის ერთეული - **3**, სიგარეტი - **40** დერი (მაგრამ ნაფაზს აღარ ვართყამ, რომ მეტი მოვწიო), კალორია - **450** (საჭმელი გამითავდა), ზარები **1471**ზე - **14**, მომენტალური ლატარიის ბილეთი - **7**.

5:00. ნაწილებად ვიშლები. ჩემს მეგობარ მამაკაცს გარუჯულ გოლიათ ქალთან სძინავს. დედაჩემი პორტუგალიელთან წევს. ჯერემის სექსი აქვს ბინძურ კახპასთან, პრინც ჩარლზს სექსი აქვს კამილა პარკერ ბოულზთან. აღარ ვიცი, ამიერიდან რისი მწამდეს და რას ჩავებლაუჭო. დენიელთან დარეკვა მინდა - იქნებ მოახერხოს ყველაფრის უარყოფა, დამაჯერებელი ახსნა მოიფიქროს, როგორ აღმოჩნდა მის სახურავზე შიშველი ვალკირია - უმცროსი და იყო, მეზობელი, რომელიც წყალდიდობას გადაურჩა, ან რაიმე ასეთი -

რაც ყველაფერს დააღაგებდა. მაგრამ ტომმა ტელეფონს წებოვანი ლენტით წარწერა მიაკრო: „დენიელს არ დაურეკო, თორემ ინანებ“.

უნდა წავსულიყავი და ტომთან დავრჩენილიყავი, როგორც შემომთავაზა. მძულს შუაღამისას მარტო ყოფნა, მოწვევა და შერეკილივით ზღუქუნი. მეშინია, ქვედა სართულელმა დენმა არ გაიგონოს და ფსიქიატრიულში არ დარეკოს. ო, ღმერთო, ასეთი რა მჭირს? რატომ არასოდეს არაფერი გამომდის? იმიტომ, რომ ძალიან მსუქანი ვარ. ტომთან დარეკვა მინდა, მაგრამ სულ რაღაც ორმოცდახუთი წუთის წინ დავურეკე. სამსახურში წასვლას ვერ გავუძლებ.

სახურავის ინციდენტის შემდეგ დენიელისთვის სიტყვაც არ მითქვამს: უბრალოდ, თავი ამაყად ავწიე, გვერდით გავუსრიალდი, კიბეზე დავეშვი, ქუჩაში გავედი, ტაქსიში ჩავჯექი და წავედი. პირდაპირ ტომთან მივედი, რომელმაც პირში არაყი ბოთლით ჩამასხა, შემდეგ კი ტომატის წვენი და ვორჩესტერის სოუსი დამიმატა. წამოსვლის შემდეგ დენიელმა სამი შეტყობინება გამომიგზავნა, მთხოვდა, მისთვის დამერეკა. ტომის რჩევას დავუჯერე და არ დამირეკავს; ის მახსენებდა, რომ კაცებთან წარმატების მიღწევის ერთადერთი გზა მათთან საშინლად მოპყრობაა. ადრე ვფიქრობდი, რა ცინიკოსია და როგორ ცდება-მეთქი, მაგრამ დენიელს კარგად ვეპყრობოდი და აი, რა მოხდა.

ღმერთო ჩემო, ჩიტები აჭიკჭიკდნენ. სამნახევარ საათში სამსახურში უნდა წავიდე. არ შემეძლია. დამეხმარეთ, დამეხმარეთ! მოულოდნელად გადასარევი აზრი მეწვია: დედას დაურეკე!

10:00. დედა ბრწყინვალე იყო.

– ძვირფასო, – მითხრა მან, – რასაკვირველია, არ გაგიღვიძებია. სადაცაა სტუდიაში უნდა წავიდე. ვერ დამიჯერებია, რომ ასეთ მდგომარეობაში სულელი კაცების გამო ხარ ყველანი ეგოისტები, გარყვნილები არიან, მათგან არანაირი ხეირი არ არის. დიახ, მათ შორის არც შენგან, ჯულიო. აბა, გონს მოდი, საყვარელო. გამხნევდი. დაიძინე. სამსახურში დაცემამდე მაგარ ფორმაში წადი. ყველა, მათ შორის დენიელიც, უნდა დარწმუნდეს, რომ ის საბოლოოდ მიატოვე, თანაც მოულოდნელად აღმოაჩინე, რა მომხიბლავია ცხოვრება იმ პრეტენზიული, გარყვნილი ბებერი ტრაკის გარეშე, რომელიც სულ გეუფროსებოდა. მაშინვე უკეთესად იგრძნობ თავს.

– შენ როგორ ხარ დედა? – ვკითხე მე, რადგან გამახსენდა, რომ უნას წვეულებაზე მამას კაჟივით ჯანმრთელი ქვრივი, პენი ჰაზბენდსბოსვორთი ახლდა.

– ძვირფასო, რა საყვარელი ხარ. საშინელ ზეწოლას განვიცდი.

– შემეძლია რამით დაგეხმარო?

– მართლაც არის ერთი რამ, – გახარებულმა მიპასუხა, – შენს რომელიმე მეგობარს ლისა ლისონის ნომერი ხომ არ აქვს? ხომ იცი, ნიკ ლისონის ცოლი? გამწარებული ვეძებ უკვე რამდენიმე დღეა. იდეალური კანდიდატია „მოულოდნელად მარტოხელასთვის“.

– მამაზე გკითხე, „მოულოდნელად მარტოხელაზე“ კი არა, – დავისისინე.

– მამაზე? მამაშენისგან არავითარ ზეწოლას არ განვიცდი. რა სისულელეა, ძვირფასო.

– მაგრამ, წვეულებაზე... მისის ჰასბენდსბოსვორთი...

– ჰო, ვიცი, სასაცილოა. ცდილობდა, ჩემი ყურადღება მიეპყრო და ყველას თვალში იდიოტი გამოჩნდა. ნეტავ პენის რა ეგონა, ვის ვგავარო? კარგი, ახლა უნდა გავიქცე,

საშინლად დაკავებული ვარ, მაგრამ ხომ დაფიქრდები, ვის შეიძლება ლისას ნომერი ჰქონდეს? მოდი, ჩემი ოთახის ნომერი ჩაიწერე, ძვირფასო. და შეწყვიტე ეს სულელური სლუკუნნი.

– მაგრამ დედა, მე ხომ დენიელთან მომიწევს მუშაობა და მე...

– ძვირფასო, საკითხს არასწორად უყურებ. ეს მას მოუწევს შენთან მუშაობა. ნამდვილი ჯოჯოხეთი უნდა მოუწყოს, პატარავ (ღმერთო, სად ისწავლა ეს გამოთქმები?). თანაც, იცი, რა ვიფიქრე? უკვე კარგა ხანია დროა, ეგ ჩამკვდარი სამსახური დატოვო, მაინც არავინ გაფასებს. მოემზადე საფოსტო ყუთის შესამოწმებლად, გოგონი. ჰო, ძვირფასო, ვაპირებ, ტელევიზიაში გიშოვო სამსახური.

უკვე სამსახურში მივდივარ. კოსტიუმში და პომადით დამპალ ივანა ტრამპს ვგავარ.

ოთხშაბათი, 2 აგვისტო

8.12 სტ, თემოების გარშემოწერილობა – **18** ინჩი, ალკოჰოლის ერთეული – **3** (მაგრამ ძალიან სუფთა ღვინო), სიგარეტი – **7** ღერი (მაგრამ ნაფაზი არ დამირტყამს), კალორია – **1500** (ბრწყინვალეა), ჩაი – **0**, ყავა – **3** (მაგრამ ნამდვილი მარცვლებისგან მოვიდუღე, შესაბამისად, ნაკლებად გამოიწვევს ცელულიტს), კოფეინის ერთეულის საერთო რაოდენობა – **4**.

ყველაფერი შესანიშნავადაა. ვაპირებ, ისევ **8.7** სტოუნამდე დავიკლო და თემოებიდან სრულიად მოვიშორო ცელულიტი. აი, მაშინ კი ნამდვილად ყველაფერი ბრწყინვალედ იქნება. ინტენსიური დეტოქსიკაციის პროგრამა წამოვიწყე: არანაირი ჩაი, ყავა, ალკოჰოლი, თეთრი ფქვილი, რძე და კიდევ რა იყო? ოჰ, არ მახსოვს. შეიძლება თევზი. ყოველ დილით მშრალი წესით ჯაგრისით უნდა გავიხეხო კანი, შემდეგ თხუთმეტი წუთის განმავლობაში აბაზანა მივიღო ცელულიტის საწინააღმდეგო ზეთებთან ერთად, თან საკუთარი ცელულიტი ცომივით ვზილო, შემდეგ კი მასაჟი ჩავიტარო და სპეციალური ზეთი შევიზილო.

ეს უკანასკნელი ეტაპი, ცოტა არ იყოს, მაფიქრებს – ვითომ ანტიცელულიტური ზეთი ცელულიტში კანიდან შეიწოვება? ასეთ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ავტოგასარუჯ საშუალებებს ვიყენებ, გამოდის, რომ გარუჯული ცელულიტი მაქვს შიგნით? ან გარუჯული სისხლი? ან გარუჯული ლიმფურსადრენაჟო სისტემა? უჰ! როგორცაა... (სიგარეტი. ეს იყო ის ბოლო აკრძალვა. არავითარი სიგარეტი. ოჰ, კარგი. ახლა უკვე გვიანია. ხვალ შევასრულებ ამ პუნქტსაც.).

ხუთშაბათი, 3 აგვისტო

8.11 სტ, თემოების გარშემოწერილობა – **18** ინჩი (გულწრფელად რომ ვთქვა, ეს ჩემი მტკივნეული ადგილია), ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – **25** ღერი (ბრწყინვალეა, თუ გარემოებებს გავითვალისწინებთ), ნეგატიური აზრები – საათში დაახლ. **445**, დადებითი აზრები – **0**.

თავში ისევ ყველაფერი ამერია. ვერ ვუძლებ დენიელის სხვა ვინმესთან წარმოდგენას. ტვინი გამოჭედული მაქვს უამრავი საზარელი ფანტაზიით, რას შეიძლება ერთად აკეთებდნენ. ამ ორ დღეს წონის დაკლებისა და პიროვნული ზრდის გეგმები

მადლებინებდა, მაგრამ მერე ყველაფერი თავზე დამენგრა. ვხვდები, რომ ეს რთული თავდაცვითი უკურეაქცია იყო. მჯეროდა, რომ ცოტა ხანში შევძლებდი, საკუთარი თავი ხელახლა გამომეძერწა და ახალი სამყარო შემექმნა, ეს რწმენა მეხმარებოდა, არ მეღიარებინა დენიელის მტკივნეული და დამამცირებელი ღალატი, თავს ვიტყუებდი, თითქოს ეს წინა ცხოვრებაში გადამხდა და ჩემი ახალი, გაუმჯობესებული ვერსიისათვის აღარასოდეს განმეორდებოდა. საწუხაროდ, მივხვდი, რომ ამ ამაღლებული, ანტიცელულიტური დიეტის საშუალებით ხელახლაშობილი ყინულის დედოფლის მიზანი ის იყო, რომ დენიელს გაეცნობიერებინა, რა ცუდად მომექცა. ტომმა გამაფრთხილა, რომ ასე იქნებოდა, მითხრა, პლასტიკური ქირურგიის 90%-ს ის ქალები მიმართავენ, რომელთა ქმრებიც მათზე ახალგაზრდა ქალებთან გაიქცნენო. დავაზუსტე, ის გოლიათი ქალი სახურავიდან ახალგაზრდა კი არა, მაღალი იყო-მეთქი, მაგრამ ტომმა მითხრა, მთავარი ეგ არ არისო. ჰმ.

დენიელი ისევ მიგზავნიდა ელექტრონულ შეტყობინებებს სამსახურში. „უნდა ვილაპარაკოთ“ და ა.შ. მე კი გულმოდგინედ ვარიდებდი თვალს. მაგრამ რაც უფრო მეტს მწერდა, მით უფრო მიტაცებდა ოცნება, რომ თვითგანვითარების პროგრამა მაინც მოქმედებდა, რომ ის მიხვდა, რა საშინელი, უსაშინლესი შეცდომა დაუშვა, მხოლოდ ახლადა გააცნობიერა, სინამდვილეში რა ძლიერ ვუყვარდი და რომ გოლიათი ქალი სახურავიდან ისტორიას ჩაბარდა. საღამოს სამსახურიდან გასვლისას დამეწია.

– ძვირფასო, გთხოვ, მართლა სალაპარაკო გვაქვს.

სავლის ამერიკულ ბარში დასალევად სულელივით გავყევი, ნება მივეცი, რომ შამპანურით და „თავს საშინლად ვგრძნობ, ძალიან მენატრები, ბლა-ბლა-ბლათი“ გული მოეღბო ჩემთვის. შემდეგ, სწორედ იმავე წამს, როცა დავაპირე, გამოვტყდომოდი: „დენიელ, მეც ძალიან მენატრები“, მოულოდნელად მფარველური, საქმიანი ტონით ალაპარაკდა:

– საქმე ისაა, რომ მე და სუკი...

– სუკი? ალბათ, უფრო ზმუკი, – შევნიშნე მე, მეგონა სადაცაა მეტყვის: „და-ძმანი ვართ“, „ბიძაშვილები ვართ“, „მოსისხლე მტრები ვართ“ ან „ყველაფერი დავასრულეთო“. ამის ნაცვლად ირიბად გადმომხედა.

– ოჰ, ამის ახსნა არ შემიძლია, – თქვა გაღიზიანებულმა, – განსაკუთრებული შემთხვევაა.

მისი ტონის მოულოდნელი ცვლილებით გაცეცხლებული მივაჩერდი.

– ვწუხვარ, საყვარელო, – დენიელმა საკრედიტო ბარათი ამოიღო და ხელი ასწია, რომ ოფიციალტის ყურადღება მიეპყრო, – მაგრამ ჩვენ ვქორწინდებით.

პარასკევი, 4 აგვისტო

თედოების გარშემოწერილობა – 18 ინჩი, ნეგატიური ფიქრები – წუთში 600, პანიკის შემოტევა – 4, ქვითინის შემოტევა – 12 (მაგრამ ორივე შემთხვევაში მხოლოდ საპირფარეოში, თანაც ტუშის წაღება არ დამვიწყებია), მომენტალური ლატარიის ბილეთი – 7.

სამსახური. მესამე სართულის საპირფარეო. ეს უბრალოდ... უბრალოდ... აუტანელია. რა ჯანდაბამ მაფიქრებინა, რომ კარგი აზრი იყო საკუთარ ბოსთან რომანის გაბმა?

უბრალოდ არ შემოდგოა აქედან გასვლა. დენიელმა თავისი და იმ გოლიათის ნიშნობა გამოაცხადა. გაყიდვების განყოფილების თანამშრომლები, რომლებსაც, ჩემი აზრით, ჩვენი ურთიერთობის შესახებ არც კი უნდა სცოდნოდათ, განუწყვეტლივ მირეკავენ მოსალოცად და მიწევს ახსნა, სინამდვილეში სხვაზე დაინიშნამეთქი. სულ მახსენდება, რა რომანტიკულად დაიწყო ყველაფერი – საიდუმლო ელექტრონული მიმოწერა, პაემნები ლიფტში... შემთხვევით მოვისმინე, დენიელი როგორ უთანხმდებოდა ამაღამ შეხვედრაზე იმ ზმუკის და რა უდარდელად თქვა:

– არც ისე ცუდად... ჯერჯერობით, – და მივხვდი, რომ ჩემს რეაქციაზე ეუბნებოდა, თითქოს ემოციურად გაუწონასწორებელი ყოფილი ცოლი, ან ვინმე ასეთი ვყოფილიყავი. სერიოზულად ვფიქრობ სახის გადაჭიმვაზე.

სამშაბათი, 8 აგვისტო

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **7** (ჰაჰა), სიგარეტი – **29** ღერი (ჰეჰე), კალორია – **5** მილიონი, უარყოფითი ფიქრები – **0**, საერთოდ, ფიქრები – **0**.

ახლახან ჯუდს დავურეკე. მოკლედ ვუამბე ჩემი ტრაგედია. მას თავზარი დაეცა, მაშინვე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და დამპირდა, რომ შერონს დაურეკავდა და ყველას ცხრა საათზე შეგვკრებდა. უფრო ადრე ვერც თვითონ მოვიდოდა, რადგან უნამუსო რიჩარდს ხვდებოდა, რომელიც როგორც იქნა დათანხმდა მასთან ერთად ვიზიტს ურთიერთობების ფსიქოლოგთან.

2:00. გაორებული ვხდავ, ძაან ვხლისეთ. ვაააი! გადავყრავდი.

ოთხშაბათი, 9 აგვისტო

9.2 სტ (მაგრამ კარგი მიზეზი მქონდა), თემოების გარშემოწერილობა – **16** ინჩი (ან სასწაული მოხდა, ან ნაბახუსევზე კარგად ვერ გავზომე), ალკოჰოლის ერთეული – **0** (მაგრამ სხეული ჯერ კიდევ იწოვს გუშინ დალეულ ერთეულებს), სიგარეტი – **0** ღერი (უჰ!).

8:00. უჰ! ფიზიკურად კატასტროფულ მდგომარეობაში ვარ, მაგრამ ემოციურად ძალიან გამამხნევა გუშინდელმა შეხვედრამ. ჯუდი ჯოჯოხეთის მაშხალასავით გაცოფებული მოქანდა, რადგან უნამუსო რიჩარდი ურთიერთობების ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე არ გამოცხადდა.

– თერაპევტს ალბათ ჰგონია, რომ მართლა კი არ მყავს მეგობარი მამაკაცი, ისეთი საცოდავი პიროვნება ვარ, თვითონ გამოვიგონე.

– მერე, რა გააკეთე? – ვკითხე თანაგრძნობით, თან ვცდილობდი სატანის შთაგონებული ავი, მოღალატე ფიქრი მომემორებინა: „სწორადაც ჰგონია“.

– ასე მითხრა, იმ პრობლემებზე მესაუბრე, რომლებსაც რიჩარდთან არ აქვთ საერთო.

– მაგრამ შენ არ გაქვს ისეთი პრობლემები, რომლებსაც რიჩარდთან არ აქვთ საერთო, – თქვა შერონმა.

- ვიცი. ასეც ვუთხარი და მიპასუხა, რომ ჩემთვის რთულია პრობლემების განსაზღვრა, თანაც ორმოცდათხუთმეტი გირვანქა სტერლინგი გამომართვა.

- რატომ არ წამოგყვა რიჩარდი? იმედი მაქვს, მაგ სადისტ ჭიაყელას გონივრული მიზეზი მაინც ჰქონდა, - თქვა შერონმა.

- ასე თქვა, სამსახურიდან ვერ გამოვალწიეო, - უპასუხა ჯუდმა, - მე კი ვუთხარი: „მისმინე, მარტო შენ კი არ გაქვს ურთიერთობების შიში, მეც მაქვს. და თუ შენ ოდესმე გადალახავ მას, შეიძლება ჩემი შიში გართულდეს, და უკვე ძალიან გვიან აღმოჩნდეს“.

- შენც გაქვს ურთიერთობის შიში? - ვკითხე დაინტრიგებულმა, მაშინვე დავფიქრდი, იქნებ მეც მაქვს ურთიერთობის შიში-მეთქი.

- რასაკვირველია, მაქვს, - შემომიღრინა ჯუდმა, - უბრალოდ, ამას ვერავინ ხვდება, რადგან რიჩარდის შიში ჩრდილავს. სინამდვილეში, მე უფრო ღრმა კომპლექსები მაწუხებს, ვიდრე მას.

- ჰო, სწორედ ასეა, - დაეთანხმა შერონი, - მაგრამ შენ ეს შიში შუბლზე არ გაწერია, როგორც ოც წელს გადაცილებული ახლანდელი კაცების უმეტესობას.

- მეც ასე მგონია, - მოჭრა ჯუდმა, თან ცდილობდა, ახალი ღერისთვის მოეკიდებინა, მაგრამ სანთებელა არ ემორჩილებოდა.

- მთელ ამ დამპალ მსოფლიოს ურთიერთობის შიში აქვს, - დაიგრგვინა შერონმა ხორხისმიერი, ლამის კლინტ ისტვუდის ხმით, - და მთელი ეს სამწუთიანი კულტურა! ყურადღების გლობალური დეფიციტია. ტიპური მამაკაცური საქციელია: გლობალური ტენდენციის გამოყენება ქალების ფეხებზე დასაკიდებლად, რომ თვითონ თავი ჭკვიანებად იგრძნონ, ჩვენ კი სულელები გამოგვიყვანონ. სხვა კი არაფერია ემოციური მოუმწიფებლობა.

- ნაბიჭვრები! - დავიყვირე მხიარულად, - კიდევ ერთი ბოთლი ღვინო ხომ არ შევუკვებით?

9:00. მიწა გამისკდეს და პირი მიყოს! დედამ დამირეკა.

- ძვირფასო, - მითხრა მან, - იცი რა? „დილა მშვიდობისა“ რეპორტიორს ეძებს. მიმდინარე მოვლენებისთვის, ეს ხომ გადასარევია! რიჩარდ ფინჩს ველაპარაკე, რედაქტორს, და შენზე ვუამბე. ვუთხარი, რომ პოლიტიკური მეცნიერების ხარისხი გაქვს, ძვირფასო. ნუ ღელავ, მეტისმეტად დაკავებულია, ვერ შეამოწმებს. ორშაბათს გასაუბრებაზე დაგიბარა.

ორშაბათი! ღმერთო ჩემო. ე.ი. მხოლოდ ხუთი დღე მრჩება მიმდინარე მოვლენების შესასწავლად.

შაბათი, 12 აგვისტო

9.3 სტ (ისევ ძალიან კარგი მიზეზით), ალკოჰოლის ერთეული - **3** (მ.კ.), სიგარეტი - **32** ღერი (მ.მ. ცუდი, განსაკუთრებით თავის დანებებიდან ერთი დღის შემდეგ), კალორია - **1800** (კ.), ლატარიის ბილეთები - **4** (საშუალო), მიმდინარე მოვლენების შესახებ წაკითხული სერიოზული სტატიების რაოდენობა - **1.5**, ზარები **1471**ზე - **22** (არა უმავს), დენიელთან მკაცრ, წარმოსახვით დიალოგებზე დახარჯული წუთების რაოდენობა - **120**

(მ.კ), იმის წარმოდგენაზე დახარჯული წუთების რაოდენობა, როგორ მევედრება დენიელი დავუბრუნდე – 90 (ბრწყინვალეა).

მაშ ასე. მიზნად დავისახე, ყველაფრის მიმართ დადებითად განვეწყო. ვაპირებ, ცხოვრება შევიცვალო: კარგად გავერკვე მიმდინარე მოვლენებში, სამუდამოდ დავანებო თავი მოწევას და დავიწყო ურთიერთობა ზრდასრულ მამაკაცთან.

8:30. ჯერ კიდევ არ გამიბოლებია. მ.კ.

8:35. მთელი დღეა არ გამიბოლებია. ბრწყინვალეა.

8:40. ნეტავ ფოსტით რამე სასიამოვნო ამბავი ხომ არ მოსულა?

8:45. უჰ! საძულველი დოკუმენტი მომსვლია სოციალური დაზღვევის სააგენტოსგან, 1452 ფუნტს ითხოვენ. რაო? ასე როგორ შეიძლება? არ მაქვს 1452 ფუნტი. ღმერთო, უნდა გავაბოლო, რომ ნერვები დავიწყნარო. არ შეიძლება, არ შეიძლება!

8:47. ახლახან გავაბოლე. მაგრამ მოწევასთან ბრძოლის დღე ოფიციალურად ვერ დაიწყება, სანამ არ ჩავიცვამ. მოულოდნელად ფიქრებში ყოფილი მეგობარი მამაკაცი, პიტერი ამომიტივდივდა, რომელთანაც შვიდი წლის განმავლობაში სერიოზული ურთიერთობა მქონდა, რომელიც რაღაც მტანჯველი მიზეზით დასრულდა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, აღარ მახსოვს. მას შემდეგ ხშირად – ჩვეულებრივ მაშინ, როცა არავინ ჰყავს, ვისთან ერთადაც დღესასწაულებს გაატარებს – ცდილობს ხოლმე დამიბრუნოს და მეუბნება, შენზე დაქორწინება მინდაო. ვერც კი მივხვდი, როგორ შემომეპარა აზრი, პიტერს დავთანხმებოდი. რატომ უნდა ვიყო უბედური და მარტოსული, როცა პიტერს ჩემთან ყოფნა უნდა? სწრაფად ვიპოვე ტელეფონი, პიტერს დავურეკე და ავტომოპასუხეზე შეტყობინება დავუტოვე – უბრალოდ ვთხოვე, გადმოერეკა როცა შეძლებდა, არ გამიმხელია მთელი გეგმა დარჩენილი ცხოვრების ერთად გატარების და ა.შ. შესახებ.

13:45. პიტერს არ დაურეკავს. ახლა უკვე ყველა კაცზე გული მერევა, მათ შორის პიტერზეც.

16:45. მოწევის საწინააღმდეგო კამპანია გაცამტვერებულია. ბოლოს და ბოლოს, პიტერმა დამირეკა.

– გამარჯობა, ბზიკო (ერთმანეთს ბზიკს და ბაზს ვეძახდით), ისედაც ვაპირებდი შენთან დარეკვას. კარგი ახალი ამბავი მაქვს. ვქორწინდები.

უჰ! კუჭქვეშა ჯირკვალში ტკივილმა გამკრა. ყოფილები არასოდეს, არასოდეს უნდა შეხვდნენ სხვებს ან დაქორწინდნენ, ისინი სიცოცხლის ბოლომდე დაუქორწინებლობის აღთქმას უნდა იცავდნენ, რათა უკან დასაბრუნებელი ადგილი ყოველთვის გვექონდეს.

– ბზიკო? – მითხრა ბაზმა, – ბზზზზ?

– ბოდიში, – ვუთხარი და თავბრუდახვეული კედელთან ჩავიკეცე, – ამწუთას, ისა... ფანჯრიდან ავტოავარია დავინახე.

ამკარა იყო, საუბრისთვის უკვე ზედმეტი ვიყავი, თუმცა, ბაზი ემოციურად მიყვებოდა საქორწინო ტორტების ფასებზე დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში, ბოლოს კი მითხრა:

– მაპატიე, გავრბივარ. ამ საღამოს ირმის ხორცის სოსისებს ვხარშავთ ღვიის სოუსთან ერთად და ტელევიზორს ვუყურებთ.

უპ. ახლახან მთელი კოლოფი სიგარეტი მოვწიე – ეს თვითგამანადგურებელი, ეგზისტენციალური სასოწარკვეთილების აქტი იყო. იმედი მაქვს, ორივენი გასივდებიან და იძულებული გახდებიან, თავი ამწეს ფანჯრიდან გააყვანინონ.

17:45. ვცდილობ მთელი ყურადღება ჩრდილოვანი კაბინეტის(ჩრდილოვანი კაბინეტი – ოპოზიციური ძალების მინისტრთა კაბინეტი, ალტერნატიული მთავრობა, რომელიც ოპოზიციის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში შეუდგება მუშაობას.) წევრების სახელების დამახსოვრებაზე გადავიტანო, რომ არასრულფასოვნების კომპლექსი არ გამიმწვავდეს. ბაზის საბედოს, რასაკვირველია, არასოდეს შევხვედრივარ, მაგრამ წარმოვიდგინე სახურავზე აღმოჩენილი გიგანტური, გამხდარი, ქერა ქალი, რომელიც ყოველ დილით ხუთ საათზე დგება, სპორტდარბაზში მიდის, მთელ სხეულს მარილით იხელს და შემდეგ მთელი დღე საერთაშორისო სავაჭრო ბანკს ხელმძღვანელობს, თანაც მაკიაჟიც კი არ ეთხაპნება.

შერცხვენილი ვხვდები, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში პიტერს ცოტა ზემოდან ვუყურებდი, რადგან მე მივატოვე, და ახლა მისი გიგანტური ვალკირიის ტრაკზე დაქორწინებით შესანიშნავად იძია შური. ავადმყოფურ, ცინიკურ წარმოდგენებში ვიძირები – აი, თურმე სასიყვარულო საქმეებში გულის გატეხვა უფრო მეტად მოქმედებს ეგოსა და სიამაყეზე, ვიდრე ნამდვილი დანაკარგი. თავის მხრივ ამ აზრმა გამოიწვია დამატებითი ფიქრი, რომ ქალის გიჟური თავდაჯერებულობა შეიძლება იმას ემყარებოდეს, რომ კაცს ჯერ კიდევ უყვარს და მისი დაბრუნება სურს (სანამ ეს უკანასკნელი ვინმე სხვაზე დაქორწინებას არ გადაწყვეტს, ჰაჰა).

18:45. ის იყო ბლოკნოტმომარჯვებული ექვსსაათიანი ახალი ამბების ყურებას ვაპირებდი, რომ უამრავი ჩანთით დახუნძლული დედაჩემი შემოიჭრა.

– აბა, ძვირფასო, – გვერდით ჩამირბინა და სამზარეულოში შევიდა, – გემრიელი წვნიანი და ორშაბათისთვის რამდენიმე საქმიანი კოსტიუმი მოგიტანე ჩემი გარდერობიდან.

მას ლაიმისფერი მწვანე კოსტიუმი ეცვა, შავი კოლჰოტი და მაღალქუსლიანი გამოსასვლელი ფეხსაცმელი. ცილა ბლექს ჰგავდა, გადაცემიდან „ბრმა პაემანი“.

– სად ინახავ ჩამჩებს? –გამომძახა სამზარეულოს კარადის კარის ჯახუნით, – ძვირფასო, გულწრფელად გითხრა, დიდი არეულობა გაქვს! აბა, სანამ მე წვნიანს გავაცხელებ, ამ ჩანთებს გადახედე.

გადავწყვიტე ყურადღება არ მიმექცია იმისთვის, რომ: ა) აგვისტოა ბ) სიცხისგან ვიხარებდი გ) შვილის თხუთმეტი წუთია და დ) არანაირი წვნიანი არ მინდა. ფრთხილად ჩავიჭყიტე პირველ ჩანთაში, სადაც რაღაც გოფრირებული, სინთეტიკური, ბდღვიალა ყვითელი, ჟანგისფერი ფოთლებით მოჩითული სამოსი იყო.

– ისა, დე... – დავიწყე, მაგრამ ამ დროს მისი ხელჩანთიდან ზარის ხმა გაისმა.

- ოჰ, ეს ალბათ ჯულია. დიახ, დიახ, - მობილური ტელეფონი მხართან ნიკაპით შეიმაგრა და ფურცელზე რაღაც დაჯღაბნა, - დიახ, დიახ. ძვირფასო, ქვაბი დადგი - დამისისინა მან, - დიახ, დიახ. დიახ, დიახ.

ასე რომ, მე ახალი ამბები გამოვტოვე, ის კი ღვინისა და ყველის წვეულებაზე წასასვლელად მოემზადა და კოსმეტიკის კარდაკარ გამყიდველი ქალივით ნათელ, ლურჯ კოსტიუმსა და სრიალა მწვანე კოფთაში გამოწყობილი, ლურჯი თვალის ჩრდილებით წარბებამდე გათხიპნილი დამტოვა.

- ნუ სულელობ, ძვირფასო, - მომამახა დამშვიდობებისას, - თუ არაფერს მოიმოქმედებ გარეგნობის შესაცვლელად, ვერასოდეს ეღირსები ახალ სამსახურს, აღარაფერს ვამბობ ახალ მეგობარ მამაკაცზე.

შუალამე. დედას წასვლის შემდეგ ტომს დავურეკე. მან დასამშვიდებლად „სააჩი გალერიში“ წამიყვანა გამოფენაზე, რომელსაც მისი ხელოვანი მეგობარი აწყობდა.

- ბრიჯიტ, - ჩაიბურტყუნა ნერვიულად, როცა თეთრ ჰოლში შევედით და ახალგაზრდების ჯგუფს შევერეთ, - ხომ იცი, რომ ინსტალაციის დაცინვა მიღებული არ არის?

- კარგი, კარგი, - მჟავედ დავეთანხმე, - სულელურ ხუმრობებს არ წამოვაყრანტალებ. ვიღაცა, სახელად გევი მოგვესალმა - ოცდაორი წლის იქნებოდა, სექსუალური, მისი დაქმუნილი მაისური ხორცის საჭრელი დაფასავით მკვრივ მუცელს წარმოუჩინდა.

- ეს მართლაც, მართლაც, მართლაც შესანიშნავია, - ამბობდა გევი, - ეს ჰგავს დალაქავებულ უტოპიას, რომელიც რეალურად, რეალურად, რეალურად ეხმაურება, სავარაუდოდ, დაკარგულ ნაციონალურ იდენტობას.

ის დიდ, თეთრ სივრცეში აღტაცებით გაგვიძღვა ამობრუნებული ტუალეტის ქალაღდის ხვეულისაკენ, რომლის მუყაოც გარეთ იყო მოქცეული, ქალაღდი კი შიგნით.

ორივენი მოლოდინით შემომცქეროდნენ. მოულოდნელად ვიგრძენი, რომ სადაცაა ავქვითინდებოდი. ტომი უკვე უზარმაზარ საპნის ნაჭერს გაჰყურებდა ცელქად, რომელიც ძალიან მაგონებდა პენისს. გევი ისევ მე მომჩერებოდა.

- ვაჰ, ეს ნამდვილად, ნამდვილად, ნამდვილად ველური... - ჩაიჩურჩულა მოკრძალებით, სანამ მე თვალეხს ვახამხამებდი ცრემლის შესაკავებლად, - ... პასუხია.

- უკაცრავად, საპირფარეშოში მივდივარ, - იმპულსურად წამოვიძახე, და სანიტარული ხელსახოცების შეკვრის ქანდაკებას ჩავუქროლე. საპირფარეშოს კართან რიგი იდგა და მეც, აცახცახებული, მას შევუერთდი. მოულოდნელად, სწორედ მაშინ, როცა ჩემი ჯერი მოვიდა, ვიგრძენი, ვიღაცამ მკლავში ხელი წამავლო. დენიელი იყო.

- ბრიჯ, აქ რას აკეთებ?

- შენი აზრით? - გავაწყვეტინე, - უკაცრავად, მეჩქარება. კაბინაში შევვარდი და ის იყო, ვაპირებდი საქმეს შევდგომოდი, რომ მივხვდი, ეს ტუალეტი კი არა, უბრალოდ პლასტიკატისგან დამზადებული ტუალეტის მაკეტი იყო.

ამასობაში დენიელმა თავი შემოყო.

- ბრიჯ, ინსტალაციას ნუ დააფსამ, კარგი? - და ისევ მომიხურა კარი.

გარეთ რომ გამოვედი, ის უკვე გამქრალიყო. ვერც გევის, ტომს ან ვინმე ნაცნობს ვხედავდი. ბოლოს, როგორც იქნა ნამდვილი ტუალეტი ვიპოვე. დავჯექი და ცრემლი წამსკდა, ვფიქრობდი, ამიერიდან საზოგადოებაში ჩემი ადგილი აღარ არის და სანამ

თავს ასე საშინლად ვგრძნობ, სასწრაფოდ უნდა წავიდე აქედან-მეთქი. ტომი გარეთ მელოდა.

– გამოდი, გევეს დაელაპარაკე, – მითხრა მან, – მგონი, ძალიან მოეწონე. შემდეგ სახეზე შემომხედა და დააყოლა: – ჯანდაბა, ახლავე სახლში წაგიყვან.

ეს საშინელებაა. როცა ვიღაც მიგატოვებს, გარდა უმისოდ დარჩენისა, გარდა იმისა, რომ თქვენი ერთად აშენებული პატარა სამყარო ჩამოინგრა და ყველაფერი, რასაც აკეთებ და ხედავ მის თავს გახსენებს, ყველაზე უარესი მაინც იმაზე ფიქრია, რომ გამოგცადეს და საბოლოოდ ადამიანმა, რომელიც გიყვარდა, ბეჭედი დაგარტყა: „უარყოფილია“. როგორ შეიძლება არ მიგატოვონ, თუკი ისეთივე თავდაჯერებული ხარ, როგორიც ბრიტანულ რკინიგზის სადგურზე დამზადებული ვადაგასული სენდვიჩი?

– გევეს მოსწონხარ, – მითხრა ტომმა.

– გევი ათი წლისაა. თანაც, იმიტომ მოვეწონე, რომ ეგონა, ტუალეტის ქალაღზე ავტირდი.

– დაახლოებით ასეც იყო, – აღიარა ტომმა, – დამძალი დენიელი. სრულებით არ გამიკვირდება, თუ ერთხელაც აღმოჩნდება, რომ ბოსნიაში მიმდინარე მოვლენებშიც მისი ხელი ურევია.

კვირა, 13 აგვისტო

ძალიან ცუდი ღამე მქონდა. ყველაფერთან ერთად, ვცადე ძილის წინ „ტატლერის“ ახალი ნომერი წამეკითხა და ლონდონის ორმოცდაათი საუკეთესო ადვოკატის სიაში მარკ დამძალი დარსის სახე აღმოვაჩინე, სტატია მოგვითხრობდა, როგორი მდიდარი და შესანიშნავი გახლდათ იგი. უკ. ამან კიდევ უფრო დამასევდიანა, თუმცა ვერ ვხვდები, რატომ. როგორც არის. კარგი, შევწყვეტ ახლა საკუთარი თავის სიბრაღულს და დილით გაზეთებს დავიხეპირებ.

შუადღე. ახლახან რებეკამ დამირეკა და მკითხა „კარგად თუ ხარო“. მეგონა, დენიელს გულისხმობდა და ვუპასუხე: – ეს ძალიან მძიმე გადასატანია-მეთქი.

– ოჰ, შე საბრალოვ. მართლა, წუხელ ღამით პიტერი ვნახე... (სად? რა? მე რატომ არ დამპატიჟეს?)... ყველას უამბობდა, როგორ გეწყინა მისი დაქორწინების ამბავი. მისი თქმით, მარტოხელა ქალებს ასაკის მატებასთან ერთად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა სჩვევიათ.

სადილობამდე უკვე ვეღარ ვიტანდი ამ კვირა დღეს და ვცდილობდი თავი მომეჩვენებინა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. ჯუდს დავურეკე და მოვუყევი ბაზზე, რებეკაზე, გასაუბრებაზე ახალ სამსახურში, დედაზე, დენიელზე და ერთი სიტყვით, ჩემს საბრალო მდგომარეობაზე. შევთანხმდით, რომ „სისხლიანი მერის“ დასალევად ორი საათისთვის შევხვდებოდით ერთმანეთს.

18:00. ალბათ, იღბალმა გამიღიმა, რომ ჯუდი სწორედ ახლა კითხულობს ბრწყინვალე წიგნს – „ქალღმერთი თითოეულ ქალში“. როგორც ჩანს, წიგნი გვკარნახობს, რომ ზოგჯერ ცხოვრებაში ყველაფერი უარესობისკენ მიდის და ადამიანმა აღარ იცის, საით გააგრძელოს გზა; ეჩვენება, თითქოს გარშემო ყველგან ფოლადის უქანგავი კარია, რომლებიც მის ცხვირწინ იკეტება, როგორც „ვარსკვლავურ გზაშია“. ერთადერთი, რაც

ასეთ დროს შეგიძლია, ის არის, რომ გმირულად გაუძლო და სიმამაცე შეინარჩუნო, არ ჩაიძირო სასმელში ან საკუთარი თავის სიბრალულში და ყველაფერი გამოსწორდება.

ყველა ბერძნული მითი და ბევრი წარმატებული ფილმი იმის შესახებ მოგვითხრობს, როგორ შეხვდა ამა თუ იმ ადამიანს უამრავი სიძნელე და ცხოვრებისეული გამოცდა, მათ კი სისუსტე და უნებისყოფობა არ გამოუჩენიათ, პირიქით, მტკიცედ დადგნენ და მწვერვალამდე ააღწიეს.

წიგნი ასევე ამბობს, სიძნელეებთან გამკლავებისას თითქოს კონუსისებურ, ნიჟარის ფორმის სპირალში ხვდები, სადაც ყოველ ხვეულას თითო ძალიან მტკივნეული და რთული წერტილი აქვსო. სწორედ ეს წერტილებია ადამიანის კონკრეტული პრობლემა ან სისუსტე. სპირალის ვიწრო, წვეტიან კიდესთან მიახლოებისას ამ წერტილებთან ხშირად ბრუნდები, რადგან წრეები უფრო პატარაა. ხოლო თუ პირდაპირ წახვალ, ამ პრობლემურ ადგილას შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დაბრუნდები, და როცა ეს მოხდება, უკვე გამძლეობა უნდა გქონდეს გამომუშავებული.

ახლა, გამოფხიზლებულს ერთი რამ მაწუხებს – ასი პროცენტით დარწმუნებული არ ვარ, რომ სწორად გავიგე, რას მეუბნებოდა.

დედამ დამირეკა და ვცადე მისთვის შემეჩვილა, რა რთულია ქალობა და, კაცებისგან განსხვავებით, კაცობრიობის გამრავლებაზე პასუხისმგებლობის ტვირთის ქონა, მაგრამ მან უბრალოდ მითხრა:

– სიმართლე გითხრა, ძვირფასო, ახლანდელი გოგონები ძალიან მომთხოვნები და რომანტიკულები ხართ – ჩემი აზრით, მეტისმეტად დიდი არჩევანი გაქვთ. იმას არ ვამბობ, რომ მამაშენი არ მიყვარდა, მაგრამ ჩვენ დროს გვასწავლიდნენ, იმის მაგივრად, დააკვირდეთ, როდის წაიბორძიკებენ, „ცოტას ელოდეთ და ბევრი მიუტევეთო“. და, გულწრფელად გითხრა, ძვირფასო, ბავშვები ყველაფერი არ არის. იმას ვგულისხმობ, რომ არ გეწყინოს, ამას შენ გამო არ ვამბობ, მაგრამ მე რომ ყველაფრის თავიდან დაწყების შანსი მქონდეს, არა მგონია, მყოლოდა...

ღმერთო ჩემო! ჩემს საკუთარ დედასაც ერჩივნა, არასოდეს დავბადებულიყავი.

ორშაბათი, 14 აგვისტო

9.5 სტ (მშვენიერია – გასაუბრების წინ ქონის მთად ვიქეცი, თან მუწუკი გამომივიდა), ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – ბევრი, კალორია – **1575** (მაგრამ გული ამერია, ასე რომ, დაახლოებით **400**ით ნაკლები).

ღმერთო. გასაუბრება მაშინებს. პერპეტუას ვუთხარი, გინეკოლოგთან მივდივარ-მეთქი – ვიცი, ჯობდა სტომატოლოგი მომემიზეუბინა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე მსოფლიოში ყველაზე ჭორიკანა ქალის წამებისგან. თითქმის მზად ვარ, უბრალოდ, სრულყოფილებისთვის მაკიაჟის შესწორება მჭირდება და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება ტონი ბლერის ლიდერობასთან დაკავშირებით. ღმერთო, ვინ არის ჩრდილოვანი კაბინეტის თავდაცვის მინისტრი? ამის დედაც, ფუ შენი. ვინმე წვეროსანი ხომ არა? ჯანდაბა – ტელეფონი. არც კი მჯერა – შემზარავად ბავშვურმა, სამხრეთლონდონურაქცენტისანმა ხმამ, მფარველური ტონით წაიღიღინა:

– დილა მშვიდობისა, ბრიჯიტ, რიჩარდ ფლინჩის ოფისიდან გირეკავთ. რიჩარდი დღეს დილით ბლექპულში გაემგზავრა და, სამწუხაროდ, ვერ მიგიღებთ.

შეხვედრა ოთხშაბათისთვის გადამიდეს. მომიწევს მოვიტყუო, გინეკოლოგიური პრობლემა განმიმეორდა-მეთქი. თანაც, დარჩენილი დღის შესავსებად რაღაც უნდა მოვიფიქრო.

ოთხშაბათი, 16 აგვისტო

საშინელი ღამე მქონდა. მთელი ღამე ოფლში გაწურული ბოლთას ვცემდი, თავზარდაცემული ვიხსენებდი განსხვავებებს ულსტერის პროფკავშირის წევრებსა და სოციალდემოკრატიულ და ლეიბორისტულ პარტიებს შორის, ასევე, რომელი მათგანის წევრი იყო იან პაისლი.

იმის ნაცვლად, დიადი რიჩარდ ფინჩის კაბინეტისაკენ მაშინვე გამძლოლოდნენ, მისაღებში ორმოცი წუთი მაყურყუტეს. ოფლად ვიღვრებოდი და ვფიქრობდი: „ღმერთო, ვინ არის ჯანდაცვის მინისტრი?“. შემდეგ ის ღიღინახმიანი თანაშემწე – პაჩული – მომიახლოვდა, ველოსიპედისტის ლიკრის შორტი ეცვა და ცხვირზე პირსინგი ეკეთა; ისეთი ამრეხით უყურებდა ჩემს კოსტიუმს, თითქოს საქმიანი იმიჯის შექმნის მცდელობაში რაღაც ავურიე და კოჭებამდე სამეჯლისო კაბით გამოვცხადდი.

- რიჩარდმა გთხოვათ, საკონფერენციო დარბაზში შეხვიდეთ, გესმით ჩემი? – წაიბურტყუნა მან და დერეფანში გავარდა, მე კი ფაცაფუცით მივყევი უკან. უზარმაზარი, გამჭვირვალე კაბინეტის ვარდისფერ კარში შევარდა. ოთახი სცენარებითა და ტიტრებით იყო გამოტენილი, ტელეეკრანები ჭერიდან ეშვებოდა, კედლებზე ყველგან ცხრილები გაეკრათ, მაგიდებთან კი სამთო ველოსიპედები ეყენა. ოთახის შორეულ კუთხეში მოგრძო მაგიდასთან თათბირი ტარდებოდა. როცა მივუახლოვდი, ყველა შემობრუნდა და მომაჩერდა.

პუტკუნა, შუახნის, ჭადარათმიანი, ხუჭუჭა მამაკაცი, რომელსაც ჯინსის პერანგი ეცვა და უზარმაზარი წითელი სათვალე ეკეთა, მაგიდის ბოლოში მოუთმენლად ცმუკავდა.

- იფიქრეთ, იფიქრეთ! – გაიძახოდა ბოქსიორივით შეკრული მუშტების ქნევით, – დაფიქრდით, ჰიუ გრანტია. დაფიქრდით, ელიზაბეტ ჰარლია. ვერაფრით გამიგია, ორი თვე როგორ ვერ გაძლეს ერთად? მაინტერესებს, როგორ გაართმევს ის ამას თავს. სულ ესაა! როგორ უნდა მოუნდეს კაცს, რომლის მეგობარი ქალიც ელიზაბეტ ჰარლია, მინეტი პანელზე მდგარი ბოზისგან, და როგორ გამოძვრება ამ სკანდალიდან? რა ხდება, რატომ არ გაცოფდა ჰარლი?

ყურებს არ ვუჯერებდი. აბა, ჩრდილოვანი კაბინეტიო? სამშვიდობო პროცესიო? კაცს ეტყობოდა, ტვინს იმტვრევდა, თვითონ როგორ შეძლებდა მეძავის თაობაზე აგორებული ამ სკანდალიდან თავის დაღწევას. მოულოდნელად პირდაპირ მე შემომხედა.

- თქვენ რას ფიქრობთ? – მაგიდის გარშემო შეკრებილი ყველა ახალგაზრდა მე მომაშტერდა, – თქვენ... თქვენ ალბათ ბრიჯიტი ხართ, – დაიყვირა მოუთმენლად, – როგორ უნდა მოახერხოს კაცმა, რომელსაც შესანიშნავი მეგობარი ქალი ჰყავს, ბოზთან დაწოლა, პაპარაცების ხელში ჩავარდნა და მერე ამ მდგომარეობიდან გამოძრომა?

თავზარი დამეცა. ერთი აზრიც კი არ მომდიოდა.

- აბა? – აგრძელებდა ის, – აბა? მიდი, თქვი რამე!

- იცით, შეიძლება, - დავიწყე თავში გაელვებული ერთადერთი აზრის ჩამოყალიბება, - იქნებ იმიტომ, რომ ვიღაცამ გადაყლაპა... სამხილი?

ცოტა ხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ რიჩარდ ფლინჩი ახარხარდა. ეს ყველაზე გულისამრევი სიცილი იყო, რომელიც ცხოვრებაში მომისმენია. მერე ახალგაზრდებიც აჰყვნენ.

- ბრიჯიტ ჯონს, - თქვა ბოლოს რიჩარდ ფლინჩმა და ცრემლები მოიწმინდა, - კეთილი იყოს შენი ფეხი „დილა მშვიდობისაში“. დაჯექი, ძვირფასო, - და თვალი ჩამიკრა.

სამშაბათი, 22 აგვისტო

9.2 სტ, ალკოჰოლის ერთეული - **4**, სიგარეტი - **25** ღერი, ლატარიის ბილეთები - **5**.

გასაუბრების შედეგი ისევ არ ვიცი. არ ვიცი, რა ვაკეთო საბანკო არდადეგებზე, რადგან ლონდონში მარტო დარჩენას ვერ გავუძლებ. შერონი ედინბურგის ფესტივალზე მიდის, ტომიც, ჩემი აზრით, უამრავი თანამშრომელიც სამსახურიდან. სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ფული მეყოფა, თანაც დენიელის იქ ყოფნის საშიშროებაც არსებობს. რა აზრი აქვს, მაინც ყველა ჩემზე კარგად იმხიარულებს და უკეთეს დროს გაატარებს.

ოთხშაბათი, 23 აგვისტო

უსათუოდ წავალ ედინბურგში. დენიელს ლონდონში ექნება სამუშაო, ასე რომ როიალ მაილზე მასთან შეჯახების საფრთხე არ არსებობს. ჩემთვის უკეთესი იქნება თუ გარემოს შევიცვლი, შეწყვეტ წუწუნს და „დილა მშვიდობისას“ წერილის ლოდინის.

ხუთშაბათი, 24 აგვისტო

ლონდონში ვრჩები. თავიდან ყოველთვის მგონია ხოლმე, რომ ედინბურგში კარგად გავერთობი და საბოლოოდ მხოლოდ პანტომიმის წარმოდგენაში „ვმონაწილეობ“. თანაც, ზაფხულისთვის რომ გამოეწყობი ადამიანი, ყინვა დაჰკრავს და აკანკალებულმა უნდა იბარბაცო რიყის ქვის ხიდებზე რამდენიმე მილი, თანაც იფიქრო, რომ შენ გარდა ყველა დიდ წვეულებაზე ერთობა.

პარასკევი, 25 აგვისტო

19:00. ედინბურგში მივდივარ. დღეს პერპეტუამ მითხრა:

- ბრიჯიტ, ვიცი, რომ ძალიან გვიან გეუბნები, მაგრამ ახლადა გამახსენდა. ედინბურგში ბინა დავიქირავე და ძალიან მესიამოვნება, ჩემთან ერთად თუ წამოხვალ.

რა გულუხვი სტუმართმოყვარეობაა მისი მხრიდან!

22:00. ახლახან პერპეტუას დავურეკე და ვუთხარი, რომ არ წავალ. სისულელეა. ამის საშუალება არ მაქვს.

შაბათი, 26 აგვისტო

8:30. მაშ ასე. წყნარად, ჯანმრთელად გავატარებ დროს სახლში. მშვენიერია. იქნებ „შიმშილის გზა“ (ბენ ოკრი, **The famished road.**) დავასრულო.

9:00. ღმერთო, ისეთი მოწყენილი ვარ. ჩემ გარდა ყველა ედინბურგშია.

9:15. ნეტავ პერპეტუა უკვე გაემგზავრა?

შუადღე. ედინბურგი. ღმერთო. ხვალ უნდა წავიდე და რამე ვნახო. პერპეტუას შეშლილი ვგონივარ. მთელი მგზავრობის განმავლობაში მობილური ტელეფონი ჰქონდა ყურზე მიდებული და ყველას დაგვყვიროდა:

- არტურ სმიტის „ჰამლეტზე“ ყველა ბილეთი დაჯავშნილია, ასე რომ, მის ნაცვლად შეგვიძლია ხუთ საათზე ძმებ კოენებზე წავიდე, მაგრამ ამ შემთხვევაში რიჩარდ ჰერინგზე დაგვაგვიანდება. ამიტომ, მოდი, ნუ წავალთ ჯენი ეკლერზე - ფუ! მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, რატომ ეჩრება - შემდეგ ვცადოთ ჰარი ჰილსა და ჯულიან კლერზე მოხვედრა? მოიცათ. „მოოქრულ ბურთში“ („მოოქრული ბურთი“ (**Gilded Balloon**) - შოტლანდიაში, ედინბურგში არსებული გასართობი ღონისძიებების საპროდიუსერო და საპრომოუტერო ცენტრი. განსაკუთრებით ცნობილია როგორც ედინბურგის ფესტივალის ღონისძიებების მასპინძელი; ფესტივალი ყოველ წელს, აგვისტოში ტარდება.) დავრეკავ. არა, ჰარი ჰილზე ყველა ბილეთი დაჯავშნილია. აბა, რა ვქნათ, გამოვტოვოთ ძმები კოენები?

ვუთხარი, ექვს საათზე პლესანსში შემოგიერთდებით-მეთქი, რადგან „ჯორჯ ჰოტელში“ მინდოდა მისვლა და ტომისთვის შეტყობინების დატოვება. ბარში ტინას გადავაწყდი. წარმოდგენა არ მქონდა, რა შორი იყო პლესანსი, და როცა ბოლოს და ბოლოს იქამდე მივაღწიე, წარმოდგენა დაწყებული იყო, ადგილები აღარ დარჩენილიყო. გულის სიღრმეში შვება ვიგრძენი, ფეხით გავისეირნე, უფრო სწორად, მთამსვლელებით წვალეებით ავედი ბინაში, თან გზად ნაყიდი გემრიელი, გამომცხვარი კარტოფილი და ქათმის კარი გავაყოლე ხელს, მერე სერიალს ვუყურე. პერპეტუას ცხრაზე უნდაშევხვედროდი „ესემბლი რუმში“. ცხრას რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, უკვე მზად ვიყავი, მაგრამ არ გამახსენდა, რომ ტელეფონზე ვერ დავრეკავდი და ტაქსის ვერ გამოვიძახებდი, ამიტომ, როცა დანიშნულების ადგილას მივედი, უკვე ძალიან გვიან იყო. ისევ „ჯორჯ ჰოტელის“ ბარში წავედი, რომ ტინა მენახა და გამერკვია, სად იყო შერონი. სისხლიანი მერი შევუკვეთე და ვცდილობდი თავი მომეკატუნებინა, თითქოს ჩემთვის სულერთი იყო, მეგობრები გვერდით რომ არ მყავდა, როცა ერთ კუთხეში სინათლეების კაშკაში და კამერები შევნიშნე და კინალამ წამოვიყვირე. მარიანა ფეიტფულივით(მარიანა ეველინ ფეიტფული - ინგლისელი მომღერალი, კომპოზიტორი და მსახიობი.) გამოწყობილი დედაჩემი იყო, ალენ იენტობთან(ალენ იენტობი - ბრიტანელი ტელეპროდიუსერი და ტელეწამყვანი.) ინტერვიუს იწყებდა.

- სრული სიწყნარე! - აღელვებული ტონით თქვა დედაჩემმა (ასეთი ხმა უნა ალკონზერის აქვს ხოლმე, როცა ყვავილებს უვლის).

- დააააააა წავიდაა! მითხარით, ალენ, - თქვა მან ტანჯული გამომეტყველებით, - ოდესმე გქონიათ... სუიციდური ფიქრები?

ჰო, დღეს ნამდვილად საინტერესო პროგრამები იქნება ტელევიზორში.

კვირა, 27 აგვისტო, ედინბურგი

არაფერი. ნანახი სპექტაკლების რაოდენობა – 0.

2:00. ვერ ვიძინებ. დაგენაძლევებით, ყველანი მშვენიერ წვეულებაზე არიან

3:00. ახლახან პერპეტუას დაბრუნების ხმა გავიგე, ხმამაღლა გამოუტანა ვერდიქტი ალტერნატიულ კომიკოსებს:

– უსუსური... ინფანტილური... უბრალოდ, სასაცილო იყო.
ჩემი აზრით, წარმოდგენაში რაღაცას არასწორად გაიგებდა.

5:00. სახლში მამაკაცია. ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ.

6:00. ის დების ოთახშია, რომელიც მარკეტინგის განყოფილებაში მუშაობს. ფუ ამის.

9:30. პერპეტუას ღრიალმა გამაღვიძა:

– ვინმე მოდიხართ პოეზიის საღამოზე?

შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა. მესმოდა, როგორ ეჩურჩულებოდნენ დები და მისი კაცი ერთმანეთს, მერე როგორ გავიდა კაცი სამზარეულოში. შემდეგ ისევ პერპეტუას ხმამ დაიგრგვინა:

– აქ რა ხდება? ხომ გითხარით, ღამით არავითარი სტუმრები-მეთქი!

14:00. ღმერთო ჩემო. ჩამეძინა.

19:00. კინგს კროსის მატარებელი. ღმერთო ჩემო. სამ საათზე „ჯორჯ ჰოტელში“ ჯუდს შევხვდი. ვაპირებდით კითხვაპასუხის სეანსზე წავსულიყავით, მაგრამ რამდენიმე „სისხლიანი მერის“ შემდეგ გაგვახსენდა, რომ კითხვაპასუხის სეანსები ჩვენზე ცუდად მოქმედებდა. ნამდვილი ჰიპერტონია დაგემართება, სანამ კითხვის მოფიქრებაზე თავს იმტვრევ და ხელს ხან აწევ, ხან ჩაწევ. ბოლოს, ნახევრად მოკუნტული, სასაცილოდ ამაღლებული ხმით როგორღაც დასვამ კითხვას, შემდეგ სირცხვილისგან გაყინული დაჯდები და უკანა სავარძელზე მჯდარი ძაღლივით უქნევ თავს, სანამ ოცდახუთი წუთი საუბრობს იმაზე, რაც არც კი გაინტერესებს. ასეა თუ ისე, სანამ გავერკვეოდით, სად ვიყავით, უკვე ექვსის ნახევარი იყო. შემდეგ პერპეტუა გამოჩნდა თანამშრომლების ჯგუფთან ერთად.

– ოჰ, ბრიჯიტ, – დაიგრგვინა მან, – რომელ ღონისძიებაზე იყავი?

ღუმილი ჩამოწვა.

– მართალი გითხრა, ახლა ვაპირებდი წასვლას, – დავიწყე მტკიცედ, – სადგურზე.

– საერთოდ არაფერი გინახავს, არა? – დაიკვილა ბუსავით, – სულ ერთია, ჩემი სამოცდათხუთმეტი ფუნტი გმართებს, ოთახისთვის.

– რა? – ენა დამება.

- დიახ! - დაიღმუვლა მან, - ორმოცდაათ ფუნტს გადაიხდიდი, მაგრამ როცა ოთახში ორი ადამიანია, ორმოცდაათი პროცენტი ემატება.

- მაგრამ... მაგრამ მე არავინ...

- გეყოფა, რა, ბრიჯიტ. ყველამ ვიცით, რომ კაცი გყავდა, - დაიღრიალა მან, - ნუ ნერვიულობ. ეს სიყვარული არაა, უბრალოდ ედინბურგში ხარ. ყველაფერს ვიზამ, რომ ამ ამბავმა დენიელის ყურამდე მიაღწიოს, ჭკუას ისწავლის.

ორშაბათი, 28 აგვისტო

9.6 სტ (ლუდით და გამომცხვარი კარტოფილით ვარ სავსე), ალკოჰოლის ერთეული - **6**, სიგარეტი - **20** ღერი, კალორია - **2846**.

შინ დაბრუნებულს დედასგან შეტყობინება დამხვდა. მეკითხებოდა, შობას ელექტრომიქსერი ხომ არ მინდოდა და მახსენებდა, რომ წელს შობა ორშაბათს ემთხვეოდა, ამიტომ აინტერესებდა, პარასკევ საღამოს ჩავიდოდი თუ შაბათს?

უფრო ნაკლებად გამაღიზიანა „დილა მშვიდობისას“ რედაქტორის, რიჩარდ ფლინჩის წერილმა, რომელიც, როგორც მივხვდი, სამსახურს მთავაზობდა. აი, რა ეწერა წერილში: „კარგი, ძვირფასო. საქმეში ხარ“.

სამშაბათი, 29 აგვისტო

9.2 სტ, ალკოჰოლის ერთეული - **0** (ძ.კ.), სიგარეტი - **3** ღერი (კ), კალორია - **1456** (ჯანსაღი კვება ახალი სამსახურის დაწყებამდე).

10:30. სამსახური. ახლახან რიჩარდ ფინჩის თანაშემწეს, პაჩულის დავურეკე. სამსახური მართლაც შემოუთავაზებიათ, ოღონდ ერთ კვირაში ვიწყებ. ტელევიზიისა არაფერი გამეგება, მაგრამ მაგის დედაც, აქ ჩიხში ვარ მოქცეული, თანაც ძალიან დამამცირებელია ახლა აქ დენიელთან ერთად მუშაობა. ჯობია წავიდე და გავაფრთხილო.

11:15. ვერ ვიჯერებ. დენიელს ნაცრისფერი დაედო და მომაჩერდა.

- ამას ვერ იზამ, - თქვა მან, - წარმოგიდგენია მაინც, როგორ მიჭირს ეს ბოლო კვირები? ამ დროს კაბინეტში პერპეტუა შემოიჭრა - როგორც ჩანს, კარს უკან ყურს გვიგდებდა.

- დენიელ, - აფეთქდა ის, - შე ეგოისტო, კაპრიზულო, მანიპულატორო, ემოციებით მოშანტაჟევ. ღვთის გულისათვის, სწორედ შენ მიაგდე. ასე რომ, კეთილი ინებე და თვითონ გაუმკლავდი შედეგებს.

მოულოდნელად ვიფიქრე, პერპეტუა მიყვარს-მეთქი. რასაკვირველია, ლესბოსურად არა.

სექტემბერი მეხანძრეთა ბოძზე

ორშაბათი, 4 სექტემბერი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 0, სიგარეტი – 27 ღერი, კალორია – 15, დენიელთან წარმოსახვით დიალოგზე დახარჯული წუთები, როცა პირში ვეუბნები, რასაც მის შესახებ ვფიქრობ – 145 (კარგია, უკეთესია).

8:00. პირველი დღე ახალ სამსახურში. მინდა, გაწონასწორებული, მშვიდი, კომპეტენტური იმიჯი შევიქმნა. და აღარ მოვწიო. მოწევა სისუსტის ნიშანია და პიროვნების ავტორიტეტს ძირს უთხრის.

8:30. ახლახან დედამ დამირეკა. ვიფიქრე, ალბათ, ახალ სამსახურში წარმატება უნდა მისურვოს-მეთქი.

– იცი რა, ძვირფასო? – დაიწყო მან.

– რა?

– ელაინმა თავის ლალის ქორწილში (ლალის ქორწილი – ქორწინების 40 წლის იუბილე. ლალი განასახიერებს სიმბოლოს იმისა, რომ ამდენი წლის თანაცხოვრების შემდეგ ცოლ-ქმარი უკვე სისხლით არის ერთმანეთთან დაკავშირებული.) დაგპატიჟა! – მითხრა და, სუნთქვაშეკრული, მომლოდინედ გაჩუმდა.

გონება უარს ამბობდა ინფორმაციის მოწოდებაზე. ელაინი? ბრაიანი და ელაინი? კოლინი და ელაინი? ელაინი გორდონისა, რომელიც ანგარის ხელმძღვანელად მუშაობდა კეტერინგში? რომელი ელაინი?

– მისი აზრით, კარგი იქნება, ერთიორი ახალგაზრდაც დაესწროს წვეულებას, რომ მარკმა თავი მარტო არ იგრძნოს.

აჰ! მალკოლმი და ელაინი! ზესრულყოფილი მარკ დარსის წარმომშობნი!

– მგონი, ელაინს შენზე უთხრა, ძალიან მიმზიდველიაო.

– ბრრ! ნუ მატყუებ, – წავიბურტუნე, თუმცა, გულის სიღრმეში მესიამოვნა.

– ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ამას გულისხმობდა, ძვირფასო.

– რა უთხრა? – წავისისინე მოულოდნელად დაეჭვებულმა.

– თქვა, რომ შენ ძალიან...

– დედა!

– კარგი, სინამდვილეში, მან სიტყვა „ექსტრავაგანტული“ თქვა. მაგრამ ეს ხომ შესანიშნავია? „ექსტრავაგანტული“. ასეა თუ ისე, ლალის ქორწილზე თავად შეგიძლია ჰკითხო, რას გულისხმობდა.

– არ ვაპირებ ჰანტიგდონამდე უზარმაზარი გზის გავლას იმ ორი ადამიანის ლალის ქორწილის აღსანიშნავად, რომლებსაც ერთადერთხელ, რვა წამით ვესაუბრე, ისიც სამი წლის ასაკში, მხოლოდ იმიტომ, რომ მდიდარ, განქორწინებულ მამაკაცს, რომელიც ექსტრავაგანტულს მიწოდებს, თვალში მოვხვდე.

– ნუ სულელობ, რა, ძვირფასო.

– კარგი, მეჩქარება, – სულელურად გამომივიდა, რადგან ის, როგორც ყოველთვის, უთავბოლოდ ალულლულდა, თითქოს სიკვდილმისჯილთა საკანში ვმჯდარვითყავი და ეს ჩვენი უკანასკნელი სატელეფონო საუბარი ყოფილიყო, სანამ სასიკვდილო ინიექციას გამიკეთებდნენ.

- ის საათში ასობით ფუნტს გამოიმუშავებდა. დრო უქმად არ დაუკარგავს - ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ. გითხარი, ფოსტაში მევის ენდერბის რომ შევხვდი?

- დედა! დღეს ახალ სამსახურში ჩემი პირველი სამუშაო დღეა. ისედაც ძალიან ვნერვიულობ. მევის ენდერბიზე საუბარი არ მინდა.

- ღმერთო ჩემო, ძვირფასო! რის ჩაცმას აპირებ?

- მოკლე შავი ქვედაბოლოსი და მაისურის.

- კარგი, რა, ფეთხუმი მაწანწალასავით ხომ არ წახვალ, ჩაჯამებულ ფერებში. რაიმე ნათელი და ელეგანტური ჩაიცვი. მაგალითად, ის შენი ღია ალუბლისფერი კოსტიუმი. უი, მართლა, გითხარი, რომ უნა ნილოსზე სამოგზაუროდ გაემგზავრა?

ბრრრ! როცა, როგორც იქნა, ყურმილი დაკიდა, ისეთი გაბრაზებული ვიყავი, ზედიზედ ხუთი ღერი სიგარეტი მოვწიე. დღე არც ისე კარგად დაიწყო.

21:00. ლოგინში ვწევარ, სრულიად ქანცაწყვეტილი. დამვიწყებია, რა საშინელებაა ახალი სამსახური, სადაც არავინ გიცნობს, ამიტომ შენი შემთხვევითი რეპლიკებისა და მეტ-ნაკლებად უჩვეულო მოსაზრებების საფუძველზე მსჯელობენ, როგორი ხასიათი გექნება; შენ კი დამოუკიდებლად ისეთი წვრილმანიც კი არ შეგიძლია, როგორიცაა მაკიაჟის შესწორება, თუ არ იკითხე, სად მდებარეობს ქალთა საპირფარეო.

დამაგვიანდა, თუმცა მთლად ჩემი ბრალიც არ ყოფილა. სატელევიზიო სტუდიაში შესვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან საშვი არ მქონდა, კარს კი დაცვის ხისთავიანი თანამშრომლები იცავენ, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათი საქმე შენობაში პერსონალის არდაშვებაა. როცა, როგორც იქნა, მისაღებში შევადწიე, ნება არ დამრთეს, მაღლა ავსულიყავი, სანამ ჩემს წასაყვანად ვინმე არ ჩამოვიდოდა. ამასობაში ათის ოცდახუთი წუთი გახდა, თათბირი კი ათის ნახევარზე იწყებოდა. ბოლოს პაჩული გამოჩნდა ორ უზარმაზარ, აყეფებულ ძაღლთან ერთად, რომელთაგან ერთმა მაშინვე უკანა ფეხებზე ხტომა და ჩემი სახის ლოკვა დაიწყო, მეორემ კი თავი პირდაპირ ქვედაბოლოზე მომაღო.

- რიჩარდის ძაღლებია. უსაყვარლესები არიან, არა? - თქვა მან, - დამაცადე, მანქანამდე მივიყვან და დავბრუნდები.

- მერე თათბირზე არ დამაგვიანდება? - ვკითხე სასოწარკვეთილმა, თან ძაღლის თავს გაჭირვებით ვაჩერებდი მუხლებს შორის და ვცდილობდი, როგორმე მომეშორებინა. პაჩულიმ ისეთი გამომეტყველებით ამხედჩამხედა, თითქოს მეკითხებოდა „და მერე რა?“

და ძაღლების თრევით გაუჩინარდა.

იმ დროისთვის, როცა კაბინეტში შევადწიე, თათბირი უკვე დაწყებული იყო და, უცნაურ, მწვანე შალის სამუშაო კომბინეზონში გამოწყობილი რიჩარდის გარდა, ყველა მომაჩერდა.

- იფიქრეთ, იფიქრეთ, - ამბობდა ის, ცმუკავდა და მაგიდას ორივე ხელით თავისკენ ექაჩებოდა, - ჩემი აზრით, ეს ცხრა საათიანი წირვაა. ვფიქრობ, გარყვნილი მღვდლები არიან. ჩემი აზრით, ეკლესიაში სექსი აქვთ. მაინტერესებს, რატომ გიჟდებიან ქალები მღვდლებზე? იფიქრეთ. უსაქმურობაში არ გიხდით. იდეები მჭირდება.

- მგონი, კარგი იქნებოდა, ჯოანა ტროლეპთან(ჯოანა ტროლეპი (დაიბადა 1943 წლის 9 დეკემბერს) – ბრიტანელი მწერალი. წერდა ასევე კაროლინ ჰარვის ფსევდონიმით.) ჩაგვეწერა ინტერვიუ, – შევთავაზე მე.

- ჯოანა მეძავთან?(სიტყვათა თამაშია, გვარი **trollop** ემთხვევა ინგლისურ სიტყვას „მეძავი“) – პირქუშად შემომხედა მან, – რომელ მეძავთან?

- ჯოანა ტროლეპთან. იმ ქალთან, რომელმაც „მღვდლის ცოლი“ დაწერა, ტელეეთერში გადიოდა. „მღვდლის ცოლი“. მას ეცოდინება.

რიჩარდს ეშმაკურად გაეღიმა.

- ბრწყინვალეა! – თქვა ჩემს მკერდს მიმტერებულმა, – შესანიშნავია, მაგის დედაც! ვინმეს გაქვთ ჯოანა ტროლეპის ნომერი?

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

- ისა... მე უნდა მქონდეს, – ვთქვი ბოლოს და ვიგრძენი, სიძულვილის ენერგია ახალგაზრდა თანამშრომლების მხრიდან ტალღებივით როგორ მეხლებოდა.

თათბირი დამთავრდა თუ არა, საპირფარეოში შევვარდი, რომ როგორმე დავმშვიდებულიყავი, იქ კი პაჩული დამხვდა მეგობართან ერთად, მაკიაჟს იახლებდნენ. მის მეგობარს ისეთი გამჭვირვალე კაბა ეცვა, რომ მკერდიც და ტრუსიც ნათლად უჩანდა.

- არც ისეთი გადამლაშებულია, არა? – ეკითხებოდა გოგონა პაჩულის, – უნდა გენახა ერთი იმ ოცდაათსადაცილებული ძუკნების სახეები, როცა შევედი... ვაი!

ორივენი თავზარდაცემული გამომეტყველებით მომაჩერდნენ და პირზე ხელი აიფარეს.

- თქვენ არ გგულისხმობდით, – მომიბოდიშეს ერთხმად.

არა მგონია, ამ ყველაფერს დიდხანს გავუძლო.

შაბათი, 9 სექტემბერი

8.12 სტ (მ.კ. ახალი სამსახურისა და მისი თანმხლები ნერვული დაძაბულობის წყალობით), ალკოჰოლის ერთეული – **4**, სიგარეტი – **10** ღერი, კალორია – **1876**, დენიელთან წარმოსახვით საუბრებზე დახარჯული წუთების რაოდენობა – **24** (ბრწყინვალეა), დედაჩემთან წარმოსახვით განმეორებით დიალოგებზე დახარჯული წუთები, რომლებშიც მე ვიმარჯვებ – **94**.

11:30. რატომ, რისთვის მივეცი დედაჩემს ჩემი ბინის გასაღები? ხუთი კვირის განმავლობაში პირველად იყო, რომ აღარ მინდოდა, კედელს მიჩერებულს, ქვითინში გამეტარებინა შაბათ-კვირა. ურთულესი სამუშაო კვირა მქონდა. უკვე ვიწყებდი ფიქრს, ყველაფერი კარგად იქნება და შესაძლოა, სულაც არ აღმოჩნდეს აუცილებელი, ცხოვრება გერმანული ნაგაზისგან შეჭმულმა დავასრულომეთქი, როცა დედაჩემი შემოიჭრა ხელში საკერავი მანქანით.

- რას აკეთებ, ჩემო შტერუკა? – წაიღიღინა მან.

რას ვაკეთებდი და, ვცდილობდი, **100** გრამი ბურღული შოკოლადის ფილის საშუალებით ამეწონა (ჩვენთან ხომ სასწორები უნციებზეა გათვლილი, რაც ძალიან მოუხერხებელია, რადგან კალორიების ცხრილი გრამებშია შედგენილი).

- იცი, რა, ძვირფასო? – დაიწყო მან, თან კარადის ყველა კარს აღებდა და ხურავდა.
- რა? – ვუპასუხე მე, წინდებსა და პიჟამაში მდგარმა, თან ვცდილობდი, ტუმის ნარჩენები თვალებიდან მომეშორებინა.
- მალკოლმი და ელანინი ლალის ქორწილს ლონდონში გადაიხდიან, ოცდასამში, ასე რომ, შეძლებ მისვლას და მარკისთვის კომპანიონობის გაწევას.
- არ მინდა მარკისთვის კომპანიონობის გაწევა! – კბილებში გამოვცერი.
- მაგრამ ის ისეთი ჭკვიანია! კემბრიჯი დაამთავრა, ბოლოს კი კარიერა ამერიკაში განაგრძო...
- არ წამოვალ.
- გეყოფა ახლა, ძვირფასო, მოდი, ნუ ვიჩხუბებთ, – ენა მომიჩლიქა, თითქოს ცამეტი წლის ბავშვი ვყოფილიყავი, – იცი, მარკმა ჰოლანდ პარკში სახლის გარემონტება დაასრულა და მშობლებს იქ უმართავს წვეულებას. ექვსი სართული, სანოვაგის მომწოდებლები და ა.შ... რას ჩაიცვამ?
- ჯულიოსთან ერთად აპირებ წასვლას თუ მამასთან? – ვკითხე, რომ მოეკეტა.
- ძვირფასო, არც კი ვიცი. ალბათ, ორივესთან ერთად, – მიპასუხა იმ საფირმო, ფშვინვიერი ხმით, რომელსაც მაშინ გამოსცემს, როცა თავი დაიანა როსად წარმოუდგენია.
- ასე ვერ მოიქცევი.
- მაგრამ მე და მამაშენი ისევ ვმეგობრობთ, ძვირფასო. ჯულიოც მხოლოდ მეგობარია. ბრრრ. ბრრრ. ბრრრ! ვერ ვიტან, როცა ასეთია.
- ყოველ შემთხვევაში, შემძლია, ელანინს ვუთხრა, რომ სიამოვნებით ესტუმრები, ხომ ასეა? – მითხრა მან, ეს იდუმალი საკერავი მანქანა აიღო და კარისკენ გაემართა, – უნდა გავფრინდე. ნახვამდიიის!
- არ ვაპირებ, კიდევ ერთხელ მივცე უფლება, ისე მატრიალონ მარკ დარსის ცხვირწინ, როგორც ჭარხლის პიურეთი სავსე კოვზი ჩვილის პირთან. მგონი, ქვეყნიდან გადახვეწა მომიწევს, ან რაღაც ასეთი.

20:00. სადილზე მივდივარ. მას შემდეგ, რაც ისევ მარტო დავრჩი, ეს თვითკმაყოფილი დაქორწინებულები ისევ მეპატიჟებიან შაბათ საღამოობით და ისეთ ადგილს მირჩევენ მაგიდასთან, რომ ჩემ პირდაპირ ერთმანეთზე უარესი ბერბიჭები ხვდებოდნენ. ასეთი მზრუნველობა ძალიან კეთილშობილურია მათი მხრიდან და დიდად ვაფასებ, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ჩემს დეპრესიასა და იზოლაციას აღრმავებს, თუმცა, მაგდა მამშვიდებს, გახსოვდეს, მარტოხელობა ჯობია მოლალატე, გარყვნილი ქმრის ყოლასო.

შუალამე. ღმერთო! ყველა ცდილობდა, ის თავისუფალი კაცი წაეჭებებინა (ოცდაჩვიდმეტი წლის, ახალგანქორწინებული, ნათელი აზროვნების მაგალითი: „მინდა გითხრათ, ჩემი აზრით, მაიკლ ჰოვარდს (სერ მაიკლ ელიოტ ჰოვარდი, ბრიტანელი სამხედრო ისტორიკოსი. ხშირად აკრიტიკებენ რასისტული რემარკების გამო.) უსამართლოდ ექცევიან“).

- რა გაქვს საწუწუნო? – მიმართა მას ჯერემიმ, – ასაკში შესვლისას კაცებს მიმზიდველობა ემატებათ, ქალებს კი – პირიქით, ამიტომ ის ქალები, რომლებიც შენ,

ოცი წლისას, ზედაც არ გიყურებდნენ, რადგან თვითონ ოცდაორი წლისანი იყვნენ, ახლა აქეთ შეგებვებთან.

თავჩაღუნული ვიჯექი და ვცახცახებდი – მაცოფებდა მათი უსაფუძვლო დასკვნები ქალებსა და მათ ასაკზე; ისინი ცხოვრებას ისე აღიქვამდნენ, როგორც თამაშს, რომელში მუსიკის შეწყვეტისას უსკამოდ (უმამაკაცოდ) დარჩენილი გოგონები „თამაშიდან ვარდებიან“. ოჰ, გეგონოთ.

– დიახ, გეთანხმებით, ნამდვილად უმცროსი პარტნიორის პოვნა ჯობია, – უდარდელად ჩავერთე, – ოცდაათს გადაცილებული კაცები ისეთი მოსაწყენები არიან ამ თავიანთი ემოციური პრობლემებით! თანაც ყველას ერთი ილუზია აქვს აკვიატებული, რომ ნებისმიერი ქალი მათ უღელში შეტყუებაზე ოცნებობს. ბოლო დროს მხოლოდ ახალგაზრდები მაინტერესებს – ოცი წლიდან... მათ ბევრად უკეთესად შეუძლიათ... ოჰ, თვითონაც ხვდებით, რაც...

– მართლმან? – მგონი ზომამზე მეტად დაინტერესდა მაგდა, – როგორ...?

– ჰო, შენ კი გაინტერესებს, – ჩაერთო ჯერემი და მაგდას თვალი თვალში გაუყარა, – მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ არ აინტერესებთ თქვენ.

– ჰმ. უკაცრავად, მაგრამ ჩემი ახლანდელი მეგობარი მამაკაცი ოცდასამი წლისაა, – ტკბილად გამოვუცხადე.

მოულოდნელობისგან ყველა გაჩუმდა.

– კარგი, თუ ასეა, – მედიდურად გაიღიმა ალექსმა, – შეგიძლია, მომავალ შაბათს სადილად დაპატიჟო ჩვენთან. მოიყვან?

პიდარასტი! სად ვიპოვო ოცდასამი წლის ბიჭი, რომელიც შაბათს საღამოს ამ თვითკმაყოფილ დაქორწინებულებთან სადილზე გამომყვება, იმის მაგივრად, რომ თავი ექსტაზის აბებით მოიწამლოს?

პარასკევი, 15 სექტემბერი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – **4** ღერი (ძ.კ.), კალორია – **3222** (საზიზღარსატენიანი ბრიტანული რკინიგზის სენდვიჩები), წუთები, რომლებიც ახალი სამსახურის მიტოვებისას წარმოსათქმელი სიტყვის მოფიქრებაზე დავხარჯე – **210**.

უჰ! სამულველი თათბირები! მტარვალის უფროსი, რიჩარდ ფინჩი გაჰკვიოდა:

– მაშ ასე, „პაროდსის“ ერთფუნტიანი, ერთჯერადი საპირფარეშოები. ჩემი აზრით, ფანტასტიკური ტუალეტებია. ვფიქრობ, სტუდია ასე უნდა მოვაწყოთ: ფრენკ სკინერი და სერ რიჩარდ როჯერსი ბეწვმთვლებულ სავარძლებზე დავსვათ, სახელურებში მონიტორები ჩავამონტაჟოთ და ტუალეტის ქალაღლით შევფუთოთ. ბრიჯიტ, შენ უმუშევარი ახალგაზრდების მოთხოვნებს მიხედავ. ჩემი აზრით, ჩრდილოეთით. მგონი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი უმუშევარი ახალგაზრდობა უაზროდ დაეხეტება.

– მაგრამ... მაგრამ... – ენა დამება.

პაჩული! – დაიყვირა მან. მის ხმაზე მაგიდის ქვეშ ძაღლებს გამოეღვიძათ და ხტომა და ყეფა დაიწყეს.

– რააა? – საერთო ხმაურში ძლივს გაისმა პაჩულის ღრიალი. გოგონას ყაისნაღით ნაქსოვი სამუალო სიგრძის ქვედაბოლო და ნარინჯისფერი ნეილონის დალიანდაგებული ბლუზა ეცვა, თავზე რბილი, კიდებჩამოღუნული ჩალის ქუდი

ეხურა. მის ჩაცმულობასთან შედარებით ტანსაცმელი, რომელიც თინეიჯერობისას მეცვა, უწყინარი გართობა იყო.

- სად გვაქვს მოძრავი სატელევიზიო სადგური უმუშევარი ახალგაზრდობის გადასაღებად?

- ლივერპულში.

- ლივერპულში. შესანიშნავია, ბრიჯიტ. ჩვენი ჯგუფი სავაჭრო ცენტრის წინ იცდის, პირდაპირი ჩართვა ექვსის ნახევარზეა. ექვსი უმუშევარი ახალგაზრდა ჩამიწერე.

მოგვიანებით, როცა უკვე სადგურში ვაპირებდი წასვლას, პაჩულიმ დაუდევრად მომამახა:

- ჰო, მართლა, ბრიჯიტ, ლივერპულში კი არა, მგონი, მანჩესტერში არიან.

16:15. მანჩესტერი

აღმოჩენილი უმუშევარი ახალგაზრდების რაოდენობა - **44**, ინტერვიუზე დათანხმებული უმუშევარი ახალგაზრდების რაოდენობა - **0**.

მანჩესტერი-ლონდონის მატარებელი, **19:00**. უჰ! ხუთს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, უკვე ისტერიკულად დავრბოდი ბეტონის საყვავილე ლარნაკებს შორის და ვლულლულეობდი:

- ცრავდ, დასქმებული ხართ? არა უშავს. მდლობთ!

- რას ვაკეთებთ? - მკითხა ოპერატორმა და თავი არც კი შეუწუხებია, ინტერესი გამოეჩინა.

- უმუშევარი ახალგაზრდები, - ვუპასუხე მხიარულად, - ახლავე მოვალ!

შემდეგ კუთხისკენ გავქანდი და შუბლზე ხელი ვიტკიცე. ყურებში უკვე რიჩარდის ხმა ჩამესმოდა: „ბრიჯიტ! დასწყევლოს ეშმაკმა! სად ჯანდაბამია უმუშევარი ახალგაზრდობა?“ უცებ კედელზე ბანკომატი შევნიშნე.

ექვსის ოც წუთზე ექვსი ახალგაზრდა, რომლებიც თავს უმუშევრად აცხადებდნენ, აკურატულად, ერთ რიგად იდგა კამერის წინ, ჯიბეში ტკიცინა ოცფუნტიანები ედოთ, მე კი მათ გარშემო დავხტოდი და ვცდილობდი, ისინი გარეგნულად დაბალი ფენის წარმომადგენლებისთვის დამემსგავსებინა. ექვსის ნახევარზე ყურსასმენებში ქუდის მუსიკა და რიჩარდის ღრიალი ჩამესმა:

- მანჩესტერი, უკაცრავად, მაგრამ ველარ ჩაგრთავთ.

- ისა... - მივმართე მომლოდინე სახეებს. ახალგაზრდებს ნამდვილად ეგონათ, რომ ვიღაც ავადმყოფი ვიყავი და ვიგონებდი, ვითომ ტელევიზიაში ვმუშაობდი. რაც ყველაზე უარესია, მთელი კვირა გიჟვით ვმუშაობდი, მერე ეს მანჩესტერი გამომიხტა და საშუალება არ მქონია მომეფიქრებინა, რა უნდა ვქნა ხვალ, საიდან გავაჩინო ის მოგონილი მეგობარი მამაკაცი. თვალი მოვავლე ბანკომატთან უცოდველი სახით ჩამწკრივებულ ამ ძუძუმწოვრებს და გონებაში მაშინვე დაიწყე ჩამოყალიბება მორალური თვალსაზრისით არც თუ ისე გამართლებულმა, მაგრამ გენიალურმა აზრმა.

ჰმ. მგონი მართებული გადაწყვეტილება მივიღე. გადავწყვიტე, რომელიმე ბიჭუნა კოსმოს სახლში დაგეგმილ სადილზე არ გამეტყუებინა. მათი ექსპლუატაცია არასწორი იქნებოდა. თუმცა პასუხი კითხვაზე, რა ვქნა ხვალ, ისევ არ მაქვს. წავალ, მწეველთა ვაგონში გავაბოლებ.

19:30. უკ. მწველთა ვაგონი საზარელი საღორე აღმოჩნდა, სადაც საცოდავი თუ უტიფარი მწველები მიჭყლეტილიყვნენ ერთმანეთზე. ვხვდები, რომ მწველებს ღირსეულად ცხოვრების შესაძლებლობა აღარ ეძლევათ, მათ აიძულებენ, ცხოვრების ფსკერზე, კუთხეში მიიკუჭონ. არ გამიკვირდებოდა, თუ ეს ვაგონი სათადარიგო ლიანდაგზე გადაყვანილი აღმოჩნდებოდა და სამუდამოდ გაუჩინარდებოდა. შეიძლება, კერძო სარკინიგზო კომპანიებმა მალე მწველთა რეისები წამოიწყონ, ლიანდაგების მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ კი მატარებლებს გვერდით ჩავლისას სულ მუშტები უქნიოს და ქვები ესროლოს, თან ბავშვები დააშინონ მასში მსხდომი, ცეცხლის მსუნთქავი ადამიანების შესახებ მოყოლილი ზღაპრებით.

ტომს დავურეკე მატარებლის სასწაულებრივი ტელეფონიდან (როგორ მუშაობს? როგორ? ხაზები ხომ არ აქვს. უცნაურია. იქნებ რაიმე სახის ელექტრული მუხტით, რომელიც ბორბლებისა და რელსების შეხებისას წარმოიქმნება?), რომ ოცდასამი წლის მეგობარი მამაკაცის პოვნის პრობლემაზე შემეჩვილა.

- გევზე რას იტყვი? - მკითხა მან.

- გევზე?

- ხომ იცნობ. ის ბიჭია, „სააჩი გალერიში“ რომ შეხვდი.

- შენი აზრით, წინააღმდეგი არ იქნება?

- არა. ძალიან მოეწონე.

- არაფერიც. გეყოლოს!

- არა, მართლა. ნუ დარდობ. მე მომანდე.

ზოგჯერ მგონია, ტომი რომ არ მყავდეს, უკვალოდ გავუჩინარდებოდი.

სამშაბათი, 19 სექტემბერი

8.12 სტ (მ.კ), ალკოჰოლის ერთეული - **3** (მ.კ.), სიგარეტი - **0** ღერი (ძალიან სამარცხვინო იქნებოდა ჯანმრთელი ძუძუმწოვრების თანდასწრებით მოწევა).

ჯანდაბა, უნდა ვიჩქარო. პაემანი მაქვს „კოკაკოლის“ თაობის ძუძუმწოვართან. გევი ალექსის წვეულებაზე ღვთაებრივი იყო, დახვეწილად იქცეოდა, ცოლებს ეფლირტავებოდა, მე მელაქუცებოდა და ჩვენი „ურთიერთობის“ შესახებ ყველა ეშმაკურ კითხვას ინტელექტუალური ოსტატობით იგერიებდა, ეტყობოდა, რომ ახალგაზრდული კამპანიების სული და გული იყო. სამწუხაროდ, ისე ამავესო მადლიერებამ (ლტოლვამ) რომ უკანა გზაზე, ტაქსიში, უძღური აღმოვჩნდი, წინ აღვდგომოდი მის შემოტევას (მუხლზე ხელი დამადო!).

თუმცა, მიუხედავად ამისა, მოვახერხე, თავი (უფრო სწორად, პანიკა) შემეკავებინა და უარი მეთქვა მის წინადადებაზე, ყავის დასალევად წავსულიყავით. შესაბამისად, თავი დამნაშავედ ვიგრძენი მისი ტყუილუბრალოდ გამოწვევის გამო (თან გულში ვიმეორებდი: ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა!), ამიტომ, როცა გევმა დამირეკა და მის სახლში სავახშმოდ დამპატიჟა, ღმობიერად დავთანხმდი (თან კინალამ გავამჟღავნე აღტაცება).

შუადამე. თავი დედაბერი მგონია. იმდენი ხანია პაემანზე აღარ ვყოფილვარ, რომ ემოციებით სავსემ თავი ვეღარ შევიკავე და ტაქსისტს წავეტრაბახე ჩემს „მეგობარ

მამაკაცზე“, რომელიც ვახშამს მიმზადებდა. სამწუხაროდ, ადგილზე მისულს მალდენ როუდის ოთხ ნომერში ხილბოსტნეულის მაღაზია დამხვდა.

რასაკვირველია, გვეის ტელეფონის ნომერი არ ვიცოდი, ამიტომ თავის მოჩვენება მომიხდა, თითქოს დავურეკე და ხაზი დაკავებული დამხვდა, შემდეგ ტომს დავურეკე და ვკითხე გვეის მისამართი ისე, რომ ტაქსის მძღოლს არ ეფიქრა, მეგობარი მამაკაცის თაობაზე მომატყუაო. აღმოჩნდა, რომ გვეი მალდენვილასის 44 ნომერში ცხოვრობდა და მისამართის ჩაწერისას ყურადღებით არ მოვუსმინე. სანამ ახალ მისამართზე მივიდოდით, ჩემი და ტაქსის მძღოლის საუბარი ბევრად უფრო გაოფიციალურდა. დარწმუნებული ვარ, იფიქრა, რომ ქალი გამოძახებით ან რაღაც მსგავსი ვიყავი. ადგილზე რომ მივედი, უკვე ეჭვები მხრავდა. თავიდან ყველაფერი ძალიან ტკბილად და მორცხვად დაიწყო – თითქოს დაწყებით სკოლაში საუკეთესო მეგობრის სახლში ვიყავი სტუმრად ჩაიხე. გვეი სპაგეტის ამზადებდა. სიტუაცია მაშინ გართულდა, როცა კერძის მომზადება დასრულდა, მივირთვით და საუბრის დრო დადგა. კაცმა არ იცის, პრინცესა დაიანაზე რატომ დავიწყეთ საუბარი.

– ყველაფერი ახდენილ ზღაპარს ჰგავდა. მახსოვს, როგორ ვიჯექი წმინდა პავლეს ეკლესიის ღობეზე საქორწინო ცერემონიის მიმდინარეობისას, – მოგონებებში ჩავიძირე, – შენ სად იყავი?

გვეი შეცბა.

– მართალი გითხრა, მაშინ მე ექვსი წლისა ვიყავი.

ბოლოს საუბარი შევწყვიტეთ და გვემა უზარმაზარი აღტაცებით (თუ სწორად მახსოვს, სწორედ ესაა ოცდაორი წლის ბიჭების ლეგენდარული პლუსი) დამიწყო კოცნა და ტანსაცმლის ქვეშ შესადრომების ძებნა. საბოლოოდ მოახერხა, ხელი შეეცურებინა და მუცელზე მომფერებოდა, თან – ღმერთო, რა სამარცხვინო იყო – თქვა:

– მმმ, რა ხორციანი ხარ.

ამის შემდეგ გაგრძელებას ვეღარ შევძლებდი. ღმერთო ჩემო. ეს ცუდია. მეტისმეტად ბებერი ვარ, დროა ყველაფერი მივატოვო და ქალთა პანსიონში რელიგიის მასწავლებლობა დავიწყო, თანაც იმავე სკოლის ჰოკეის მწვრთნელთან გადავიდე საცხოვრებლად.

შაბათი, 23 სექტემბერი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 0, სიგარეტი – 0 ღერი (მ.ძ.კ), მარკ დარსის მოსაწვევზე პასუხის მონახაზების რაოდენობა – 14 (მაგრამ, სამაგიეროდ, ამან დენიელთან წარმოსახვითი საუბრები ჩაანაცვლა).

10:00. მაშ ასე. მარკ დარსის მიწვევას ვუპასუხებ და სრულიად ნათლად და მტკიცედ გამოვუცხადებ, რომ მისვლას ვერ შევძლებ. წასვლის არავითარი მიზეზი არ მაქვს. არც ახლო მეგობარი ვარ და არც ნათესავი, თანაც „ბრმა პაემანსაც“ გამოვტოვებ და „შემთხვევითობასაც“.

მაგრამ, ღმერთო, რა რთულია. ერთ-ერთი ის გიჟური მოსაწვევი მივიღე, რომლებიც მესამე პირში იწერება, თითქოს ყველა ისეთი მაღალი საზოგადოების წევრია, რომ პირდაპირ თუ დაწერენ, წვეულებას ვმართავთ და ხომ არ შემოგვიერთდებოდითო,

ისევე უხერხული იქნებოდა, როგორც ქალთა საპირფარეშოსთვის ტუალეტის წოდება. ბუნდოვნად მახსოვს ბავშვობიდან, რომ მეც იმავე სტილში უნდა ვუპასუხო – თითქოს წარმოსახვითი პიროვნება ვიყო, რომელიც დავიქირავე, რათა სხვა წარმოსახვითი ადამიანებისგან გამოგზავნილ მოსაწვევებს უპასუხოს, რომლებიც ჩემმა მეგობრებმა დაიქირავეს მოსაწვევების დასაგზავნად.

რა დავწერო?

ბრიჯიტ ჯონსი დიდი სინანულით გაუწყებთ, რომ ვერ შეძლებს...

მის ბრიჯიტ ჯონსი შემფოთებულა, რომ ვერ შეძლებს...

სიტყვა „განადგურებული“ სრულად ვერ გადმოსცემს მის ბრიჯიტ ჯონსის გრძნობებს...

უდიდესი მწუხარებით გაუწყებთ, რომ ისე დიდი გახლდათ მის ბრიჯიტ ჯონსის სინანული იმაზე, რომ მას არ შეეძლო მისტერ მარკ დარსის თავაზიანი მიწვევის მიღება, რომ ლოგინად ჩავარდა და ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, კიდევ უფრო დარწმუნებით, ვიდრე ოდესმე, ვეღარ შეძლებს მიიღოს მისტერ მარკ დარსის თავაზიანი...

ოჰ, ტელეფონი რეკავს.

მამაა.

– ბრიჯიტ, ძვირფასო, მომავალ შაბათს ხომ მოდიხარ იმ საშინელ ღონისძიებაზე?

– დარსების ლალის ქორწილს გულისხმობ?

– აბა სხვა რას? მას შემდეგ, რაც ლისა ლისონთან ინტერვიუ ჩაწერა აგვისტოს დასაწყისში, ეს ერთადერთი მოვლენაა, რომელმაც დედაშენს დაავიწყა საკამათო თემა, ვის დარჩება წითელი ხის მოჩუქურთმებული ავეჯი და ბადისებრი ყავის მაგიდა.

– იმედი მაქვს, როგორმე გამოვძვრები.

მეორე მხარეს სიჩუმე ჩამოვარდა.

– მამა?

ყრუ სლუკუნნი მომესმა. მამა ტიროდა. ჩემი აზრით, ნერვები აღარ უვარგა. არც მიკვირს, მე რომ ვყოფილიყავი დედაჩემზე ოცდაათი წელი დაქორწინებული, ნერვები უფრო ადრე მიმტყუნებდა, თუნდაც სულ არ გაქცეულიყო ჩემგან პორტუგალიელ ტურ-ოპერატორთან.

– რა დაგემართა, მამა?

– ოჰ, უბრალოდ... მაპატიე. უბრალოდ... მეც იმედი მქონდა, რომ გამოვძვრებოდი.

– ჰოდა, რატომაც არა? ვაჰა! ერთად წავიდეთ და კინოს ვუყუროთ.

– იცი... – ისევ ხმა ჩაუწყდა, – ის აზრი, რომ დედაშენი იმ პარფიუმერიაშეზელილ, გამოწკეპილ მაიმუნთან ერთად წავა და ჩემი ორმოცი წლის მეგობრები და კოლეგები მათ, როგორც წყვილს, ისე მიესალმებიან, მე კი მეხსიერებიდან ამომშლიან...

– ასე არ მოიქცევიან...

– ოჰ, კი, მოიქცევიან. მტკიცედ გადავწყვიტე წასვლა, ბრიჯიტ. საუკეთესოდ გამოვეწყობი და ამაყად თავაწეული ვივლი... მაგრამ... – ისევ ასლუკუნდა.

– რა?

– მორალური მხარდაჭერა მჭირდება.

11:30.

მის ბრიჯიტ ჯონსს პატივი აქვს...

მის ბრიჯიტ ჯონსი მადლობას უთვლის მისტერ მარკ დარსის მისი...

მის ბრიჯიტ ჯონსი უდიდესი სიამოვნებით იღებს...

ოჰ, ღვთის გულისათვის!

ბვირფასო მარკ,

მადლობელი ვარ ელანის და მალკოლმის ლალის ქორწილის აღსანიშნავ წვეულებაზე მოწვევისთვის. დიდი სიამოვნებით მოვალ.

თქვენი,

ბრიჯიტ ჯონსი.

ჰმ!

თქვენი,

ბრიჯიტი

ან იქნებ უბრალოდ

ბრიჯიტი

ბრიჯიტ (ჯონსი)

მამ ასე, უბრალოდ აკურატულად გადავწერ და გაგზავნამდე ორთოგრაფიულ შეცდომებს შევამოწმებ.

სამშაბათი, 26 სექტემბერი

8.13 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – **0** ღერი, კალორია – **1256**, ლატარიის ბილეთები – **0**, აკვიატებული ფიქრები დენიელზე – **0**, უარყოფითი ფიქრები – **0**. თვით სრულყოფილება ვარ, წმინდანით ადამიანი ვარ.

დიდებულია, როცა კარიერაზე იწყებ ფიქრს, ისეთი უმნიშვნელო ამბების ნაცვლად, როგორცაა კაცები და ურთიერთობები. „დილა მშვიდობისაში“ ყველაფერი კარგად მიდის. მგონი, პოპულარულ ტელევიზიაში მუშაობის ნიჭი მაქვს. ყველაზე ამაღელვებელი ახალი ამბავი კი ის არის, რომ კამერის წინ მუშაობის საშუალება მექნება. გასული კვირის ბოლოს რიჩარდ ფინჩს იდეა გაუჩნდა, რომ ახალი ამბების სპეციალური გამოშვება გაეკეთებინა პირდაპირი ჩართვებითა და მთელ დედაქალაქში სასწრაფო ბრიგადებს მიმაგრებული რეპორტიორებით. თავიდან არაფერი გამოუვიდა. სამსახურში ხმები დადიოდა, რომ ქვეყნის მასშტაბით ყველა საგანგებო შემთხვევებისა და გადაუდებელი დახმარების ბრიგადამ, პოლიციამ და სასწრაფომ უარი უთხრა. მაგრამ დღეს დილით, როგორც კი სამსახურში მივედი, რიჩარდმა მხრებში ჩამავლო და მიღრიალა:

– ბრიჯიტ! გამოგვივიდა! მეხანძრეები! მინდა, შენ იყო კადრში. ჩემი აზრით, მინი ქვედაბოლო უნდა ჩაიცვა. კიდევ, მეხანძრის ჩაფხუტი. ჩემი აზრით, შლანგი უნდა გეჭიროს.

შემდეგ ყველაფერი ქაოსმა შთანთქა, ყოველდღიური საქმეები ყველამ დაივიწყა და ტელეფონებს ჩამოეკიდნენ კავშირების, კომპებისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურების თემაზე. ერთი სიტყვით, ხვალ ლევიშემის სახანძრო სადგურიდან

ჩავერთვები პირდაპირ ეთერში, **11** საათზე. ამაღამ ყველას დავურეკავ და ვეტყვი, მიყურონ. ერთი სული მაქვს, დედას ვუთხრა.

ოთხშაბათი, 27 სექტემბერი

8.11 სტ (სირცხვილისგან დავპატარავდი), ალკოჰოლის ერთეული – **3**, სიგარეტი – **0** ღერი (სახანძრო სადგურზე არ ეწევიან), შემდეგ კი **12** ღერი ერთ საათში, კალორია – **1584** (მ.კ.).

21:00. ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ასეთი დამცირებული. მთელი დღე რეპეტიციებსა და ყველაფრის ორგანიზებაში გავატარე. ჩანაფიქრის თანახმად, როცა ლევიშემს ჩართავდნენ, მეხანძრეთა ბოძზე უნდა ჩამოვსრიალებულიყავი და კადრში აღმოვჩენილიყავი, შემდეგ კი ერთერთ მეხანძრეს გავსაუბრებოდი. ხუთ საათზე, როცა ეთერში გაგვიშვეს, ბოძის თავზე შემომხტარი და ჩამოსასრიალებლად მომზადებული ვიყავი. მოულოდნელად ყურსასმენებში რიჩარდის ყვირილი გავიგე: „მიდი, მიდი, მიდი, მიდი!“ ამიტომ ბოძზე ჩასრიალება დავიწყე. ამასობაში რიჩარდმა გააგრძელა: „მიდი, მიდი, მიდი ნიუკასლო! ბრიჯიტ, მოემზადე ლევიშემში! ოცდაათ წამში თქვენზე გადმოვალთ“. თავიდან ვიფიქრე ჩავმხტარიყავი და კიბით ისევ ზემოთ ამერბინა, მაგრამ რადგან სულ ოდნავ ვიყავი ჩასრიალებული, გადავწყვიტე ისევ ზემოთ ავცოცებულიყავი. მოულოდნელად ყურში მიღრიალეს:

– ბრიჯიტ! ეთერში ხარ. რა ჯანდაბას აკეთებ? დაბლა უნდა მისრიალებდე, ბოძზე კი არ უნდა მიცოცავდე. მიდი, მიდი, მიდი!

კამერას ისტერიკულად გავეკრიჭე, მთელი ძალით დავეშვი ქვემოთ და პირდაპირ იმ მეხანძრის ცხვირწინ დავხტი მიწაზე, რომლისგანაც, გეგმის თანახმად, ინტერვიუ უნდა ამეღო.

– ლევიშემში, დრო აღარ გვაქვს. დაამთავრე, დაამთავრე, ბრიჯიტ! – ყურში ჩამყვირა რიჩარდმა.

– ახლა კი ისევ სტუდიაში გადავინაცვლოთ, – ვთქვი მე. სულ ეს იყო.

ხუთშაბათი, 28 სექტემბერი

8.12 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **2** (მ.კ.), სიგარეტი – **11** ღერი (კ), კალორია – **1850**, კონკურენტი ტელევიზიებისგან ან მეხანძრეთა სადგურებისგან შემოთავაზებული სამსახურების რაოდენობა – **0** (ისე, არცაა გასაკვირი).

11:00. თავი მომეჭრა და ყველას დასაციინი გავხდი. რიჩარდ ფლინჩმა თათბირზე ყველას თვალწინ დამამცირა და სულ „ძროხა“, „სამარცხვინო“ და „დამპალი იდიოტი“ მიძახა.

„ახლა კი სტუდიაში გადავინაცვლოთ“ სამსახურში ფრთიან ფრაზად იქცა. ყოველთვის, როცა ვინმეს ისეთ კითხვას უსვამდნენ, რომელზეც პასუხი არ იცოდა, იტყოდა – „მმმ... ახლა კი სტუდიაში გადავინაცვლოთ“ და ატყდებოდა სიცილხარხარი.

სასაცილოა, მაგრამ ახალგაზრდები ახლა უფრო მეგობრულად მექცევიან. პაჩული (ისიც კი!) მოვიდა და მითხრა:

– შენ... ისა... რიჩარდს ყურადღებას ნუ მიაქცევ, გაიგე? მან, იცი რა, ხომ იცი, ყველა უნდა აკონტროლოს. ხვდები, რას გეუბნები? ის ამბავი, მეხანძრეების ბოძზე, მართლაც ისა... შესანიშნავი იყო, ჰო. ერთი სიტყვით... ახლა კი სტუდიაში გადავინაცვლოთ, კარგი?

დღეს რიჩარდ ფინჩი ან საერთოდ არ მაქცევს ყურადღებას, ან როგორც კი მის სიახლოვეს აღმოვჩნდები, გაღიზიანებით აქნევს თავს, ასე რომ, მთელი დღეა, საქმე არაფერი მაქვს.

დმერთო, ისეთი უბედური ვარ. ის იყო, ვიფიქრე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვიპოვე საქმე, რომელიც კარგად გამომდის-მეთქი და ყველაფერი გავაფუჭე. თანაც, ამ ყველაფერთან ერთად შაბათს ის საზარელი ლალის ქორწილია და ჩასაცმელიც არ მაქვს. არაფერში მე არ ვვარგვივარ. არც კაცებში. არც საზოგადოებრივ უნარებში. არც სამსახურში. არაფერში.

ოქტომბერი პაემანი დარსისთან

კვირა, 1 ოქტომბერი

8.11 სტ, სიგარეტი – 17 ღერი, ალკოჰოლის ერთეული – 0 (მ.კ. განსაკუთრებით – წვეულების გათვალისწინებით).

16:00. გასაოცარია. ჩემს ცხოვრებაში ერთერთი ყველაზე შესანიშნავი საღამო იყო.

პარასკევს დეპრესიაში ჩავვარდი. მერე ჯუდმა შემომიარა და დამარიგა, მოვლენებს უფრო იმედიანად უყურეო, თან თავისი გარდერობიდან ფანტასტიკური შავი კაბა მომიტანა ხვალინდელი წვეულებისთვის. ვშიშობდი, არსად გამერღვევს ან რამე არ გადავისხა ზედ-მეთქი, მაგრამ დამამშვიდა, საკმარისი ფული და უამრავი კაბა მაქვს პრესტიჟული სამსახურის გამო, ამიტომ ამას მნიშვნელობა არ ექნება, არ ინერვიულოო. მიყვარს ჯუდი.

გოგონები კაცებზე საყვარლები არიან (ტომის გარდა, მაგრამ ის ხომ ჰომოსექსუალია). გადავწყვიტე, ამ ფანტასტიკური კაბისთვის ლიკრის შავი, ოდნავ მბზინავი კოლჰოტი შემეხამებინა (**6.95** ფუნტი) და ბრენდული, შავი, ხავერდის საშუალოქუსლიანი ფეხსაცმელი (რომლიდანაც კარტოფილის პიურე ამოვფხიკე).

წვეულებაზე მისულს თავზარი დამეცა, რადგან მარკ დარსის საკუთრება პორტლენდ როუდზე მდებარე კოხტა, თეთრი, ტერასიანი სახლი კი არ აღმოჩნდა, როგორც წარმომედგინა, არამედ უზარმაზარი, განცალკევებული, მწვანეში ჩაფლული, საქორწინო ტორტივით ბრწყინვალე სასახლე ჰოლანდ პარკ ავენიუს მეორე მხარეს (სადაც, როგორც ამბობენ, ჰაროლდ პინტერი ცხოვრობს).

ქალაქში, ალბათ, მშობლების გამო გადმოვიდა საცხოვრებლად. ხეები ძალიან გულისამაჩუყებლად მოერთოთ – მთლიანად დაწინწკლული იყო წითელი ფარნებით და ბრწყინვალე წითელი გულების ასხმულებით, სახლის წინკარისკენ მიმავალი ბილიკი კი თეთრწითელი ტენტით გადაეხურათ.

კართან მისვლისას მაშინვე მიხვდებოდით, რომ სადამო კიდევ მრავალ სიამეს გპირდებოდათ. ყველა მიმსვლელს მომსახურე პერსონალი ეგებებოდა, შამპანურის ჭიქებს ურიგებდა და საჩუქრებს ართმევდა (მაღკოლმს და ელაინს მათი ქორწინების წელს გამოსული პერი კომოს სასიყვარულო სიმღერების ალბომი ვუყიდე, და კიდევ ჟანგისფერი, არომატული ზეთის საკმეველი, როგორც დამატებითი საჩუქარი ელაინისთვის, რომელიც ახალ წელს ინდაურის წვეულებაზე არომატული ზეთების შესახებ მეკითხებოდა). შემდეგ მიგვიძღვებოდნენ უზარმაზარი მოჩუქურთმებული კიბისკენ, რომლის ყოველ საფეხურზეც მომცრო, გულის ფორმის სანთლები ენთო. ქვემოთ აღმოჩნდა ერთი უკიდევანო ოთახი, მუქი ხის იატაკითა და ბაღში გამავალი ორანჟერეით. მთელი ოთახი სანთლებით იყო გაჩახჩახებული. მე და მამა უბრალოდ ვიდექით და მეტყველების უნარდაკარგულები ვათვალთვლებდით.

მშობლების თაობისგან გამართული წვეულებებისთვის დამახასიათებელი, კოქტილის თანმხლები სასუსნაების ნაცვლად (როგორც წესი, რამდენიმეგანყოფილებიანი ბროლის ლანგრები კიტრის მარინადით არის ხოლმე სავსე, თეფშებზე დაფენილ ხელსახოცებზე ათასგვარსანელებლიანი წასახემსებლები და შუაზე გაჭრილი გრეიპფრუტები დევს, მათში ჩარჭობილ კბილის ჩხირებზე აცმული ყველითა და ანანასის ნაჭრებით) უზარმაზარ ვერცხლის ლანგრებს გვთავაზობდნენ კრევეტებით, პომიდვრიანი და მოცარელაიანი ტარტალებითა და ქათმის მწვადით. სტუმრებს გამომეტყველებაზე ეტყობოდათ, რომ ასეთ გამართლებას ვერ იჯერებდნენ და თავებგადაგდებულები გულიანად იცინოდნენ. მხოლოდ უნა ალკონბერის ჰქონდა მჟავე სახე, თითქოს ლიმონი ჩაკბიჩაო.

- ძვირფასო, - მითხრა ჩემად მამამ, როცა ჩემს მზერას თვალი გააყოლა და ჩვენკენ მომავალი უნა დაინახა, - მგონი სწყინს, რომ აქ დედასა და უნას ჩაის წვეულებებზე უფრო კარგი ღონისძიება მოაწყვეს.

- ცოტა გადაპრანჭულია, არა? - მოგვახალა უნამ, როგორც კი ისე ახლოს მოვიდა, რომ მის სიტყვებს გავიგონებდით და გაღიზიანებულმა ბოა მოიხვია მხრებზე, - ჩემი აზრით, თუ ძალიან გაგიტაცებს წვრილმანები, შეიძლება, ცოტა ვულგარულობაც შემოგეპაროს.

- ოჰ, ნუ სულელობ, უნა. საუცხოო წვეულებაა, - უთხრა მამაჩემმა და მეცხრამეტე კანაპე აიღო.

- მმმ. გეთანხმები, - ვთქვი ტარტალებით პირგამოტენილმა, სანამ ჩემი ჭიქა, თითქოს თავისით, შამპანურით შეივსებოდა, - არანორმალურად ფანტასტიკურია. ამდენი ხნის განმავლობაში ამ წვეულებით საკუთარი თავის დაშინების შემდეგ ახლა ეიფორიაში ვიყავი. ერთ ადამიანსაც არ უკითხავს, ჯერ კიდევ რატომ არ ვიყავი გათხოვილი.

- ჰმ! - ჩაიბურტყუნა უნამ. ჩვენკენ დედა მოემართებოდა.

- ბრიჯიტ, - შორიდანვე მომამახა, - მარკს მიესალმე?

მოულოდნელად შიშით მოვიკუნტე, როცა გავაცნობიერე, რომ ორივეს - უნასაც და დედასაც მალე საკუთარი ლალის ქორწილები უახლოვდებოდათ. რამდენადაც დედას ვიცნობ, მოსალოდნელია, მამასთან დაშორებისა და ტუროპერატორთან გაქცევის შემდეგაც უკან არ დაიხიოს და ეს მრგვალი თარიღი აღნიშნოს. ახლა, ალბათ, გადაწყვეტილი აქვს, რადაც უნდა დაუჯდეს, ელაინ დარსის არ ჩამორჩეს, თუნდაც უმწეო ქალიშვილის მსხვერპლად გაღებისა და გარიგებით გათხოვების ფასად.

- გამაგრდი, გოგონი, - მკლავზე ხელი მომიჭირა მამამ.

- რა მშვენიერი სახლია! ბრიჯიტ, არაფერი წამოგიღია, რომ მხრებზე მოიხვიო? ქერტლი, - წაიღილინა დედამ და მამას ზურგი გაუბერტყა, - აბა, ძვირფასო, რა ჯანდაბად არ ელაპარაკები მარკს?

- ისა, საქმე ისაა, რომ... - ავბურტყუნდი.

- შენ რას ფიქრობ, პემ? - დამაბულად დაისისინა უნამ და თავით ოთახზე ანიშნა.

- გადაპრანჭულია, - წაიჩურჩულა დედამ და ტუჩი აიბზუა.

- სწორედ ამას ვამბობდი, - საზეიმოდ განაცხადა უნამ, - ასე არ ვთქვი, კოლინ? გადაპრანჭულია.

ნერვიულად მიმოვიხედე და შიშით შევხტი. ჩვენგან სულ რაღაც სამი ფუტის დაშორებით მარკ დარსი იდგა და ჩვენკენ იყურებოდა. ალბათ, ყველაფერი გაიგონა. პირი დავადე, რომ რაღაც მეთქვა - არც კი ვიცი, რის თქმას ვაპირებდი - იქნებ როგორმე სიტუაცია გამომესწორებინა, მაგრამ ის მოგვეშორდა.

სადილი სასტუმრო ოთახში გაიმართა, ქვედა სართულზე და აღმოვაჩინე, რომ კიბისკენ მიმავალმა ხალხმა ზუსტად მარკ დარსის უკან მომახვედრა.

- გამარჯობა, - მივესალმე, იმედი მქონდა, როგორმე დედაჩემის უხეშობას გამოვასწორებდი. მან მიმოიხედა, ყურადღება არ მომაქცია და ისევ წინ გაიხედა.

- გამარჯობა, - გავიმეორე და ზურგში თითი ვატაკე.

- ოჰ, გამარჯობა. მაპატიეთ, არ შემიმჩნევია, - მითხრა მან.

- დიდებული წვეულებაა, - ვუთხარი, - დიდი მადლობა, რომ დამპატიეთ.

ერთი წუთით თვალი თვალში გამიყარა.

- ოჰ, მე არა, - თქვა ბოლოს, - დედაჩემმა გამოგიგზავნათ მოსაწვევი. რა მნიშვნელობა აქვს. უნდა წავიდე, ისა... სტუმრების განთავსებას მივაქციო ყურადღება. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა თქვენი რეპორტაჟი ლევიშემის სადგურიდან, - ამ სიტყვებით შეტრიალდა და კიბეს აუყვა, გზადაგზა სადილზე მიწვეულებს გვერდს უქცევდა და ბოდიშს უხდიდა. თავბრუ დამეხვა. ჰმ!

როცა კიბის თავს მიაღწია, ნატამა გამოჩნდა, თვალისმომჭრელ, ოქროსფერი სატინის ტანზე მომდგარ კაბაში, მკლავში ხელი მესაკუთრესავით ჩაავლო და სიჩქარეში ერთერთ სანთელს წამოედო. წითელი ცვილი კაბის კალთაზე გადაექცა.

- ჯანდაბა, - თავი ვერ შეიკავა ნატამამ, - ჯანდაბა!

როგორც კი თავს ზემოთ თვალს მიეფარნენ, მომესმა, როგორ საყვედურობდა დარსის:

- ხომ გითხარი, სასაცილოა მთელი შუადღის სანთლების ჩარიგებაზე დახარჯვა, ისეთი ადგილებია, შეიძლება ხალხი წამოედოს-მეთქი. დროს უფრო უკეთესად გამოიყენებდი, რომ შეგემოწმებინა, სად არიან სტუმრები განთავსებულები... სასაცილოა, მაგრამ განაწილება სრულიად შესანიშნავი აღმოჩნდა. დედა არც მამას გვერდით იჯდა და არც ჯულიოსი, ბრაიან ენდერბის გვერდით მოხვდა, რომელთან ფლირტიც ყოველთვის მოსწონდა. ჯულიო მარკ დარსის მიმზიდველ, ორმოცდათხუთმეტი წლის დეიდასთან მოხვდა და არც მას დაუჩივლია საკუთარი ადგილის გამო. მამას სიამოვნებისგან ვარდისფერმა გადაჰკრა, როცა ფეი დანაუეის მსგავსი ლამაზი არსების გვერდით დასვეს. ძალიან ავლელი. ხომ შეიძლებოდა, მარკ დარსის ორი სიმპათიური მეგობრის შუაში მოვხვედრილიყავი, საუკეთესო ადვოკატების, ან თუნდაც ბოსტონელი პარტნიორების. მაგრამ როცა ცხრილში საკუთარ სახელს ვეძებდი, ნაცნობი ხმა მომესმა:

- აბა, როგორ არის ჩემი პატარა ბრიჯიტი? ხედავ, რა იღბლიანი ვარ? ნახე, სწორედ ჩემ გვერდით ზიხარ. უნამ მითხრა, რომ შენს ყმაწვილს დაშორდი. არც კი ვიცი, როგორ უნდა გაგათხოვოთ?

- იმედი მაქვს, როცა საბოლოოდ ეს მოხერხდება, მსახურებას მე ჩავატარებ, - გაისმა ხმა ჩემი მეორე მხრიდან, - შემძლია, ახალი ოლარი ჩავიცვა. მმმ. ატმისფერი აბრეშუმისაა. ან იქნებ ის ლამაზი ოცდაცხრამეტლილიანი სუტანა.

მარკმა წინდახედულად ჩამაკვება ჯოფრი ალკონბერისა და გეი მღვდელს შორის. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, რამდენიმე ჭიქის შემდეგ საუბარი ბევრად გამარტივდა. მღვდელს ვეკითხებოდი, რას ფიქრობდა ინდური ღვთაება განემას ქანდაკების მიერ მოხდენილ სასწაულზე - სპილოთა ღმერთის მიერ რძის „დაღევაზე“. მღვდელმა მიპასუხა, საეკლესიო წრეებში ჭორები დადის, რომ ეს სასწაული სინამდვილეში თიხაზე ცხელი ზაფხულის შემდეგ ცივი ზამთრის გავლენამ მოახდინაო.

კერძების მოტანა რომ დასრულდა და სტუმრებმა საცეკვაოდ ქვედა სართულს მიაშურეს, მე ისევ მის სიტყვებზე ვფიქრობდი. ცნობისმოყვარეობით ატანილმა და ჯოფრი ალკონბერისთან ტვისტის თავიდან არიდების დიდად მსურველმა, ბოდიში მოვიხადე, მაგიდიდან ჩუმიად ავიღე ჩაის კოვზი და რძის ტოლჩა და თითის წვერებზე შევიპარე იმ ოთახში, სადაც უკვე გახსნილი საჩუქრები ყველას დასანახად ელაგა - რაც, ცოტა არ იყოს, ადასტურებდა უნას მოსაზრებას გადაპრანჭულობის შესახებ. თიხის საკმევლის ძებნას კარგა ხანი მოვუნდი, რადგან სულ ბოლოსკენ იყო მოქცეული; როცა მოვძებნე, ცოტა რძე ჩაის კოვზზე გადმოვასხი, შემდეგ კოვზი დავხარე და იმ ჩაღრმავების ზედა კიდეს შევახე, რომელშიც სანთელი მაგრდება. თვალებს არ ვუჯერებდი. საკმეველი რძეს შთანთქავდა. ნათლად შეგეძლოთ დანახვა, როგორ უჩინარდებოდა რძე ჩაის კოვზიდან.

- ღმერთო ჩემო, ეს სასწაულია! - წამოვიძახე. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ სწორედ ამ დროს ოთახთან მარკ დარსი ჩაივლიდა?

- რას აკეთებთ? - მკითხა მან ზღურბლიდან.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ნამდვილად ეგონა, რომ საჩუქრების მოპარვას ვაპირებდი.

- მმმ? - მანიშნა კიდევ ერთხელ.

- არომატული ზეთების თიხის საკმეველი, რომელიც დედათქვენს ვაჩუქე, რძეს სვამს, - წავიბურტყუნე მოლუშულმა.

- ნუ მაცინებთ, გეთაყვა, - ახარხარდა მარკი.

- ნამდვილად სვამს, - დავიჟინე, - შეხედეთ.

ცოტაოდენი რძე ისევ დავასხი ჩაის კოვზზე, ავწიე და საკმეველმა ისევ დაიწყო რძის გაქრობა.

- ხედავთ?- ვუთხარი ამაყად, - სასწაულია!

შემძლია დავიფიცო, რომ შთაბეჭდილება მოვახდინე.

- მართალი ხართ, - რბილად მიპასუხა მან, - ნამდვილი სასწაულია.

სწორედ ამ დროს კარში ნატაშა გამოჩნდა.

- ოჰ, გამარჯობა, - თქვა ჩემს დანახვაზე, - ესე იგი, დღეს თქვენს ბაჭიაგოგოს კოსტიუმში აღარ ხართ, - და გაიღიმა, რომ თავისი ცინიკური შენიშვნა მხიარულ ხუმრობად გაესაღებინა.

- იცით, ჩვენ, ბაჭიები, ზამთარში ვიცვამთ, რომ არ გავიყინოთ, - ავუხსენი.

- ჯონ რომა? - გაცეხული მომაჩერდა ჯუდის კაბაზე, - გასული შემოდგომის კოლეჯიდან? არშინა ვცნობ.

ცოტა ხანს გავჩუმდი, რომ რამე გონებამახვილური და გესლიანი მეთქვა, მაგრამ, თითქოს ჯინაზე, აზრად არაფერი მომდიოდა. ამიტომ სულელური პაუზის შემდეგ ვთქვი:

- კარგი, დარწმუნებული ვარ, ერთი სული გაქვთ სხვა სტუმრებთან გადაინაცვლოთ. სასიამოვნო იყო თქვენთან კიდევ ერთხელ შეხვედრა. ნახვამდის.

გადავწყვიტე, რომ გარეთ გასვლა მჭირდებოდა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად და გასაბოლებლად. შესანიშნავი, თბილი, ვარსკვლავებიანი ღამე იყო, მთვარე როდოდენდრონების ბუჩქებს დაჰნათოდა. პირადად მე დიდად არასოდეს ვგიჟდებოდი როდოდენდრონებზე. ისინი დ. ჰ. ლოურენსის აღწერილ ვიქტორიანული ეპოქის ჩრდილოეთ პროვინციების სახლებს მაგონებენ, სადაც ხალხი ტბებში იხრჩობოდა. დაჩრდილულ ბაღში ჩავედი. სახლიდან ვენური ვალსების ჰანგები მოდიოდა, რომლებსაც თანამედროვე სტილში ასრულებდნენ. შემდეგ, მოულოდნელად, ზემოდან ხმაური მომესმა.

ფრანგული სტილის ფანჯრებში ადამიანის სილუეტი გამოჩნდა. მიმზიდველი ქერა ყმაწვილი იყო, კერძო სკოლის მოსწავლეს ჰგავდა.

- გამარჯობა, - თქვა ყმაწვილმა. გაჭირვებით მოუკიდა სიგარეტს და მომაჩერდა, თან ჩემკენ კიბით ეშვებოდა, - ცეკვას ხომ არ ინებებდით? ოჰ! აჰ, მომიტევეთ, - ხელი ისე გამომიწოდა, თითქოს იტონში ღია კარის დღეს ვესწრებოდით, ის კი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, რომელსაც მანერები დაავიწყდა, - საიმონ დალრიმპლი.

- ბრიჯიტ ჯონსი, - ვუპასუხე და ხელი მეც გავუწოდე, ისე ოფიციალურად, თითქოს სამხედრო საბჭოს წევრი ვყოფილიყავი.

- მოგესალმებით. ისა... მართლა მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით. აბა, შეგვიძლია ვიცეკვოთ? - თქვა და ისევ სკოლის მოსწავლეს დაემსგავსა.

- არც კი ვიცი, - ვუპასუხე და გაღეშილ მეძავს დავემსგავსე, თან უნებურად იეტს ვაინ ლოჯელი კახპებივით მჭახედ გავიცინე.

- გთხოვთ, რა, აქვე. მხოლოდ ერთი წუთით.

შევყოყმანდი. მართალი გითხრათ, მესიამოვნა. ეს საღამო, მარკ დარსის თვალწინ სასწაულის მოხდენა - ყველაფერი ერთად უკვე გონებას მირევდა.

- გთხოვთ, - დაჟინებით მიმეორებდა საიმონი, - უფროს ქალთან აქამდე არასოდეს მიცეკვია. ოჰ, ღმერთო ჩემო! მომიტევეთ, ამას არ ვგულისხმობდი, - გააგრძელა მან, როგორც კი ჩემი გამომეტყველების ცვლილება შენიშნა, - სკოლადამთავრებულს ვგულისხმობდი, - და ხელზე გრძნობით მომიჭირა ხელი, - წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? მე საშინლად, საშინლად მადლიერი დაგრჩებით!

საიმონ დალრიმპლს ნამდვილად დაბადებიდან ჰქონდა შესისხლხორცებული სამეჯლისო ცეკვები, ამიტომ ძალიან სასიამოვნოდ, ოსტატურად მიმიძლოდა, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ მართალია, ამის შემჩნევას ყველანაირად ვერიდებოდი, მაგრამ მას ყველაზე უფრო ძლიერი ერექცია ჰქონდა, რაც კი ცხოვრებაში მინახავს, ჩვენ კი ისე ახლო-ახლო ვცეკვავდით, ამის ვერშემჩნევა შეუძლებელი იყო.

- ახლა მე გავაგრძელებ, საიმონ, - გაისმა ხმა. მარკ დარსი ბრძანდებოდა.

- წადი, სახლში დაბრუნდი, კარგა ხანია, შენი ძილის დროა.

საიმონი განადგურებული ჩანდა. სახეზე ალისფერმა გადაჰკრა და სახლისკენ გაემართა.

- ნებას მომცემთ? - მარკმა ხელი გამომიწოდა.

- არა! - მრისხანედ მივახალე.

- რატომ?

- ჰმ! - დაბნეულმა საკუთარი მრისხანების მიზეზის მოძებნა ვცადე, - იმ ძუძუმწოვარას საშინლად მოეკეცით, საკუთარი ავტორიტეტით დაამცირეთ, არადა, ისეთ მგრძნობიარე ასაკშია! - შემდეგ, როცა მისი საგონებელში ჩავარდნილი გამომეტყველება შევნიშნე, უფრო ლმობიერად გავაგრძელე, - თუმცა, ვაფასებ თქვენ მიერ ჩემს ამ წვეულებაზე მოწვევას. შესანიშნავია. ძალიან დიდი მადლობა. ფანტასტიკური წვეულებაა.

- დიახ. მგონი ეს უკვე მითხარით, - წაილულლულა თვალების ხამხამით. მართალი გითხრათ, ძალიან შეწუხებული და გულნატკენი ჩანდა.

- მე... - ცოტა ხნით დადუმდა, შემდეგ ბილიკზე ბოლთის ცემას მოჰყვა, თან ოხრავდა და დროდადრო თმაზე ხელს ივლებდა, - მაგრამ... ბოლო დროს რაიმე საინტერესო წიგნი ხომ არ წაგიკითხავთ?

დაუჯერებელია!

- მარკ, - ვუთხარი, - კიდევ ერთხელ თუ მკითხავთ, რაიმე საინტერესო წიგნი ხომ არ წაგიკითხავთო, თავს მოვიკლავ. არ შეიძლება, სხვა რაიმე მკითხოთ? რაიმე განსხვავებული. მაგალითად, მკითხეთ, მაქვს თუ არა ჰობი, ან რა აზრის ვარ ერთიან ევროპულ ვალუტაზე, ან ხომ არ მქონია განსაკუთრებით უხერხული გამოცდილება პრეზერვატივებთან დაკავშირებით?

- მე... - დაიწყო ისევ მან.

- ან დუგლას ჰარდთან, მაიკლ ჰოვარდთან ან ჯიმ დევიდსონთან დაწოლის აუცილებლობა რომ მქონოდა, რომელს ამოვირჩევდი. მართალი გითხრათ, დუგლას ჰარდის გარდა, შანსი არც ერთს არ აქვს.

- დუგლას ჰარდთან? - მკითხა მარკმა.

- მმმ. დიახ. კარგა გემრიელად მკაცრია, მაგრამ სამართლიანი.

- ჰმმ! - ფიქრიანად წარმოთქვა მარკმა, - თქვენ ასე მიგაჩნიათ, მაგრამ მაიკლ ჰოვარდს უაღრესად მიმზიდველი და ინტელიგენტი ცოლი ჰყავს. ალბათ, რაიმე იდუმალი მომხიბვლელობა გააჩნია.

- მაგალითად, რას გულისხმობთ? - ბავშვურად დავიჟინე, იმედი მქონდა, სექსს ახსენებდა.

- რას და...

- შეიძლება, კარგი საყვარელია, - ვუკარნახე.

- ან დახელოვნებული მეთუნე.

- ან კვალიფიციური არომათერაპევტი.

- ჩემთან ერთად ისადილებთ, ბრიჯიტ? - მოულოდნელად მკვეთრად და საკმაოდ აგრესიულად თქვა მან, თითქოს აპირებდა, ახლავე სადმე მაგიდასთან დავესვი და გამოვეთათხე.

გავჩუმდი და მივაჩერდი.

- ამასთან დედაჩემს რაიმე კავშირი აქვს? - ვკითხე დაეჭვებულმა.

- არა... მე...

- უნა ალკონბერის?

- არა, არა...

მოულოდნელად ყველაფერს მივხვდი: - მაშინ, დედათქვენს, არა?

- იცით, დედაჩემს...

- არ მინდა, სადილად დამპატიჟოთ მხოლოდ იმიტომ, რომ დედათქვენს ასე სურს. თანაც, რაზე უნდა ვისაუბროთ? თქვენ უბრალოდ მკითხავთ, ბოლოს რა წავიკითხე და მომიწევს რამე პათეტიკური ტყუილი გამოვაცხო და...

თავზარდაცემულმა შემომხედა.

- მაგრამ უნა ალკონბერიმ მითხრა, წიგნის ჭიაა და თავფეხიანად ლიტერატურაში გადავარდნილიო.

- მართლა? - მოულოდნელად ეს აზრი მესიამოვნა, - კიდევ რა გითხრათ?

- რომ რადიკალური ფემინისტი ხართ და დაუჯერებლად გლამურულ ცხოვრებას ეწევი...

- ოოჰ, - ჩავიფრუტუნე.

- ... და უამრავი მამაკაცი გეხვეწებათ შეხვედრას.

- ჰაჰ!

- გავიგე დენიელის შესახებ. ვწუხვარ.

- როგორც ვხვდები, ჩემი გაფრთხილება სცადეთ, - წავიბურტყუნე ხასიათწამხდარმა, - და მაინც, რა გაქვთ მისი საწინააღმდეგო?

- ჩემს ცოლთან იწვა, - მიპასუხა მან, - ჩვენი ქორწილიდან ორი კვირის შემდეგ. თავზარდაცემულმა შევხედე. ამ დროს მაღლიდან გადმოგვძახეს:

- მააარკ!

ნატაშა იყო. მისი სილუეტი სინათლეზე გამოიკვეთა, ეზოში ჩამოდიოდა, რომ ენახა, რა ხდებოდა.

- მააარკ, - დაიძახა ისევ, - მანდ რას აკეთებ?

- გასულ შობას, - აჩქარებით დაიწყო მარკმა, - ვფიქრობდი, დედაჩემმა კიდევ ერთხელ რომ მიხსენოს „ბრიჯიტ ჯონსი“ „სანდი ფიფლსში“ წავალ და ჩემზე ძალადობაში დავდებ ბრალს, რადგან ისე მექცევა, როგორც მცირეწლოვანი ბავშვი ველოსიპედის საყვირს-მეთქი. შემდეგ, როდესაც ერთმანეთს შევხვდით... და მე ის სასაცილო რომბებიანი სვიტერი მეცვა, რომელიც საშობაოდ უნა ალკონბერიმ მაჩუქა... ბრიჯიტ, ყველა სხვა გოგონა, რომელსაც მე ვიცნობ, მეტისმეტად „დავარცხნილია“. სხვას არავის ვიცნობ, ვისაც შეუძლია, კოლჰოტზე ბაჭიის კუდი დაიმაგროს, ან...

- მარკ! - დაიღრიალა ნატაშამ და კიბეზე ჩვენკენ დაეშვა.

- მაგრამ თქვენ ხომ ვიღაცას ხვდებით, - კი არ ვივარაუდე, ფაქტი შევახსენე.

- მართალი გითხრათ, უკვე აღარ, - აღიარა მან, - უბრალოდ, ვისადილოთ? ერთხელ?

- კარგი, - წავიჩურჩულე, - კარგი.

შემდეგ ვიფიქრე, ჯობია, სახლში წავიდე-მეთქი: წარმოვიდგინე, რომ ნატაშა ნიანგი იყო, რომელიც ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალეზდა, მე კი მაინც ჩუმად ვეპარებოდი მის კვერცხებს. მარკ დარსის ჩემი მისამართი და ტელეფონის ნომერი მივეცი და შემდეგ სამშაბათს შეხვედრაზე შევუთანხმდი. საცეკვაო დარბაზში გავლისას დავინახე დედა, უნა და ელან და რსი - მხიარულად ესაუბრებოდნენ მარკს - თავი ვერ შევიკავე და

წარმოვიდგინე მათი გამომეტყველება, რომ სცოდნოდათ, რა მოხდა ახლახან. მოულოდნელად მომავალი ახალი წლის ინდაურის წვეულების ხილვა მეწვია – როგორ გვეგებება ბრაიან ენდერბი, თან შარვალს მაღლა იქაჩავს: – ჰმმმ! რა სასიამოვნოა ახალგაზრდა წყვილის ბედნიერების დანახვა! – და მერე შეკრებილი კომპანია მე და მარკს გვაიძულებს, ათასგვარი ტრიუკი შევასრულოთ მათ თვალწინ, მაგალითად, ცირკის სელაპებივით ვუხახუნოთ ერთმანეთს ცხვირები, ან სექსით დავკავდეთ.

სამშაბათი, 3 ოქტომბერი

8.12 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **3** (მ.კ.), სიგარეტი – **21** ღერი (ცუდია), უკანასკნელ ოცდაოთხ საათში სიტყვა „ნაბიჭვრის“ წარმოთქმის რაოდენობა – **369** (დაახლოებით).

19:30. სრულ პანიკაში ვარ. ნახევარ საათში მარკ დარსიმ უნდა შემომიაროს და წამიყვანოს. ახლა მოვედი სამსახურიდან, თმა გიჟივით მაქვს გაწეწილი და ჩასაცმელი არაფერი მაქვს. მიშველეთ, მიშველეთ! თეთრი ჯინსის ჩაცმას ვაპირებდი, მაგრამ მოულოდნელად აზრად მომივიდა, ის შეიძლება იმ ტიპის მამაკაცებს მიეკუთვნებოდეს, საშინლად მოდურ რესტორნებში რომ დაჰყავთ ქალებიმეთქი. ღმერთო, მდიდრული ჩასაცმელი საერთოდ არ მაქვს. ნეტავ, ხომ არ ელოდება, რომ ბაჭის კუდს დავიმაგრებ? დიდად კი არ მაინტერესებს, მაგრამ...

19:50. ო, ღმერთო, ო, ღმერთო. თმა ისევ არ დამიბანია. სწრაფად შევვარდები აბაზანაში.

20:00. ახლა თმას ვიშრობ. დიდი იმედი მაქვს, რომ მარკ დარსის დააგვიანდება, რადგან არ მინდა, სველი თმითა და პიჟამათი დავხვდე

20:05. თმა ახლა მეტნაკლებად მშრალია. უბრალოდ, მაკიაჟი უნდა გავიკეთო, ჩავიცვა და ნაგავი დივნის უკან გადავყარო. ჩემი აზრით, მაკიაჟი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაგვის გაქრობა.

20:15. ჯერ კიდევ არ მოსულა. ძალიანაც მომწონს მამაკაცები, რომლებიც აგვიანებენ, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ის კაცები, ადრე მოსვლით თავზარს რომ გცემენ და პანიკაში გაგდებენ, თანაც, უსიამოვნო ნივთებს ხედავენ, რომელთა გადამალვაც ვერ მოასწარი.

20:20. მაშ კარგი, ახლა სრულიად მზად ვარ. სხვა რამე ხომ არ ჩავიცვა? უცნაურია. დარსი არ ჰგავს იმ ადამიანს, ვინც ნახევარ საათზე მეტს დააგვიანებდა.

20:3021:00. ვერ ვიჯერებ. მარკ დარსიმ გადამაგდო. ნაბიჭვარი!

ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი

8.13 სტ (ცუდია), შოკოლადის ერთეული – 4 (ცუდია), ვიდეოს ყურების რაოდენობა – 17 (ცუდია.).

11:00. სამსახურის ტუალეტში ვარ. ოჰ, არა, არა! თითქოს ჩაშლილი პაემნით საშინელი დამცირება არ მეყოფოდა, დღეს დილის თათბირზე ყველას ყურადღების ცენტრშიც აღმოვჩნდი.

– მაშ ასე, ბრიჯიტ, – თქვა რიჩარდ ფინჩმა, – მეორე შანსს მოგცემ. ისაბელა როსელინის სასამართლო პროცესს. დღეს განაჩენს გამოიტანენ. ჩემი აზრით, გაამართლებენ. უმაღლეს სასამართლოში წადი. არ მჭირდება იმის ნახვა, როგორ დაცოცავ ბომბებზე ან გარე განათებებზე. სერიოზული ინტერვიუ მჭირდება. ჰკითხე, მისი აზრით, ნორმალურია, ადამიანები ვხოცოთ ყოველ ჯერზე, როცა მათთან სექსი არ გვეპიტნავება? რაღას ელოდები, ბრიჯიტ? წინ!

წარმოდგენა არ მქონდა, რაზე ლაპარაკობდა.

– ისაბელა როსელინის სასამართლო პროცესზე არაფერი გსმენია, ხომ მართალი ვარ? – მიხვდა რიჩარდი, – ოდესმე გაზეთებს კითხულობ?

ამ სამსახურის მთელი სირთულე ისაა, რომ ადამიანები განუწყვეტლად გაყრიან სახელებსა და ისტორიებს და მხოლოდ წამი გრჩება იმის გადასაწყვეტად, აღიარო თუ არა, რომ წარმოდგენა არ გაქვს, რას ამბობენ, და თუ ამ წამს ვერ გამოიყენებ, შემდეგი ნახევარი საათი იმაზე მოგიწევს თავის მტვრევა, რაზე მსჯელობენ ასეთი სერიოზული გამომეტყველებით: სწორედ ასე მოხდა ისაბელა როსელინის შემთხვევაშიც. ამიტომ ახლა უნდა გავვარდე და ხუთ წუთში სასამართლოს შენობის წინ საშინელ გადაძვებას ვეგუფებ, რათა შევქმნა სატელევიზიო რეპორტაჟი იმ ამბავზე, რომელზეც წარმოდგენა არა მაქვს.

11:05. მადლობა ღმერთს პაჩულის გამოგზავნისთვის! ტუალეტიდან რომ გამოვდიოდი, გვერდით ჩამიარა – დაჭიმული საბელით რიჩარდის ძაღლები მიათრევდნენ.

– კარგად ხარ? – მკითხა მან, – ცოტა არ იყოს, აფორაჯებული ხარ.

არა, არა, არაფერია, კარგად ვარ, – ვუპასუხე.

– დარწმუნებული ხარ? – წუთით მომაჩერდა, – მისმინე, მართლა, ხომ ხვდები, რომ ისაბელა როსელინის არ გულისხმობდა თათბირზე? სინამდვილეში, ელენა როსინიზე გითხრა.

მადლობა თქვენდა, უფალო და ციურნო ანგელოსნო! ელენა როსინი ბავშვების ძიძაა, რომელსაც ბრალად ედება დამჭირავებლის მკვლელობა, მას შემდეგ, რაც, ქალის მტკიცებით, კაცმა ის რამდენჯერმე გააუპატიურა და თვრამეტი თვე სახლში გამოკეტა. რამდენიმე გაზეთს ხელი ვტაცე, რომ დეტალები გამეზუთხა და ტაქსისკენ გავიქეცი.

15:00. არც კი მჯერა, რაც მოხდა. ლამის საუკუნე ვტრიალებდი სასამართლოს შენობის გარეთ გადაძვებას და რეპორტიორების მთელ ბანდასთან ერთად და სხდომის დასრულებას ველოდებოდით. სინამდვილეში, ბევრი ვიმხიარულეთ, ეშმაკმა დალახვროს. მისტერ იდეალურკოსტიუმის დარსისგან გადაგდების სასაცილო

მხარეების დანახვაც კი მოვახერხე. ცოტა ხანში მივხვდი, რომ სიგარეტი გამითავდა. ამიტომ ჩემს ოპერატორს, რომელიც ძალიან საყვარელი ვინმეა, ჩავჭურჭულე, მისი აზრით, ცუდი ხომ არაფერი იქნებოდა იმაში, რომ ხუთი წუთით მაღაზიაში გადამერბინა და მან მიპასუხა, არაფერი დაშავდება, ისინი ყოველთვის გვაფრთხილებენ, მოსამართლეები სადაცაა გამოვლენო და თუ ასე მოხდება, წამოვალთ და დაგიძახებთო.

როცა სხვა რეპორტიორებმაც გაიგეს, რომ მაღაზიაში ვაპირებდი წასვლას, მათაც დამაბარეს სიგარეტი და ტკბილეული, ასე რომ, ამ ყველაფერმა საკმაოდ დიდი დრო წაიღო. გამყიდველის წინ ვიდექი და ვეხვეწებოდი, ხურდები ცალცალკე დაებრუნებინა, როცა ვიღაც ტიპი, რომელსაც აშკარად ძალიან ეჩქარებოდა, შემოვარდა და უთხრა, თუ შეიძლება ერთი კოლოფი „ქვოლითი სთრითი“ მომეცითო, თითქოს იქ არ ვყოფილიყავი.

საბრალო გამყიდველმა ისე შემომხედა, თითქოს აღარ იცოდა, რა ექნა.

– უკაცრავად, სიტყვა „რიგი“ თქვენთვის რაიმეს ნიშნავს? – ქედმაღალი ტონით მისკენ შევტრიალდი, შევხედე და უცნაური ხმა აღმომხდა. ეს ბარისტერის (ბარისტერი – ინგლისში მაღალი რანგის ადვოკატი, რომელსაც უფლება აქვს ყველა სასამართლოში გამოვიდეს.) სამოსში გამოწყობილი მარკ დარსი აღმოჩნდა. ის, როგორც სჩვეოდა, უსიტყვოდ მომაჩერდა.

– სად ჯანდაბაში იყავით გუშინ? – ვკითხე.

– მეც იგივე კითხვის დასმა მინდოდა თქვენთვის, – ცივად მიპასუხა.

სწორედ ამ დროს მაღაზიაში ოპერატორის თანაშემწე შემოიჭრა:

– ბრიჯიტ! – დაიყვირა მან, – ინტერვიუ ჩაგვივარდა. ელენა როსინი გამოვიდა და წავიდა. მიყიდე საწუწნი კანფეტი?

ენა ჩამივარდა და, რომ არ წავქცეულიყავი, ტკბილეულის დახლის კიდეს ჩავეჭიდე.

– ჩაგვივარდა? – ამოვილულულუდე, როგორც კი ამოსუნთქვა შევძელი, – ჩაგვივარდა?

ღმერთო ჩემო! ეს ჩემი უკანასკნელი შანსი იყო სახანძრო ბოდის სირცხვილის შემდეგ, მე კი ტკბილეულს ვყიდულობდი! გამაგდებენ... სხვებმა თუ ჩაწერეს ინტერვიუები?

– სინამდვილეში, მასთან ინტერვიუ არავის ჩაუწერია, – მშვიდად თქვა მარკ დარსიმ.

– არა? – სასოწარკვეთილმა შევხედე, – თქვენ რა იცით?

– იმიტომ, რომ მას მე ვიცავდი და დავარიგე, არავის დათანხმებოდა, – მიპასუხა უბრალოდ, – შეხედეთ, ჩემს მანქანაში ზის.

როცა გავიხედე, ელენა როსინიმ მანქანის ფანჯრიდან თავი გამოყო და უცხოენოვანი აქცენტით დაიყვირა:

– მარკ, უკაცრავად, შეგიძლიათ „ქვოლითი სთრითის“ ნაცვლად „დეირი ბოქსი“ მომიტანოთ?

სწორედ ამ დროს მოვიდა ჩვენი გადამღები მანქანაც.

– დერეკ! – დაიღრიალა ოპერატორმა ფანჯრიდან, – „ტვიქსი“ და „ლაიენი“ წამოგვიღე, რა.

– ჰოდა, სად იყავით გუშინ? – მკითხა მარკ დარსიმ.

– ჯანდაბა, თქვენ გელოდებოდით, – კბილებში გამოვცარი.

– როდის, ცხრის ხუთ წუთზე? როცა თქვენს კარზე თორმეტჯერ დავრეკე ზარი?

- დიახ, მე... - და ჟრუანტელმა დამიარა, რადგან, როგორც იქნა, მივხვდი, - თმას ვიშრობდი...

- დიდი თმის საშრობი გაქვთ?

- დიახ, **1600** ვოლტიანი, სალონის ტიპის, - ამაყად მივუგე, - რატომ მეკითხებით?

- იქნებ ნაკლებხმაურიანი საშრობი შეგეძინათ, ან ცოტა ადრე დაგეწყით მომზადება. კარგი, არა უშავს. წამოდით, - მითხრა სიცილით, - ოპერატორი მოამზადეთ, იქნებ თქვენი დახმარება შევძლო.

ღმერთო ჩემო! რა სირცხვილია! ნამდვილი ბრიყვი ვარ!

21:00. ვერ დამიჯერებია, რა დიდებულად დასრულდა ყველაფერი! უკვე მეხუთედ გადავახვეე „დილა მშვიდობისას“ ჩანაწერი და ვუყურე.

„ახლა კი „დილა მშვიდობისა“ ექსკლუზივს გთავაზობთ. „დილა მშვიდობისა“ ერთადერთი სატელევიზიო პროგრამაა, რომელმაც გამამართლებელი განაჩენიდან ხუთ წუთში ელენა როსინისთან ინტერვიუს ჩაწერა შეძლო. ექსკლუზიურ რეპორტაჟს ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, ბრიჯიტ ჯონსი უძღვება“.

ვგიჟები ამ ნაწილზე: „ექსკლუზიურ რეპორტაჟს ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, ბრიჯიტ ჯონსი უძღვება“.

ერთხელაც გადავახვევ და მორჩა.

პარასკევი, 6 ოქტომბერი

9 სტ (გადლიერებული კვება), ალკოჰოლის ერთეული - **6** (სმის პრობლემა), სიგარეტი - **6** ღერი (მეტისმეტი მოწევა), ზარები **1471**ზე, რომ გავარკვიო, მარკ დარსის ხომ არ დაურეკავს - **21** (ცხადია, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო), ვიდეოს ყურების რაოდენობა - **9** (უკეთესია).

21:00. ჰმ. წუხელ დედას შეტყობინება დავუტოვე და ჩემი სენსაციური ახალი ამბავი მოვუყევი, ამიტომაც, როცა დღეს დამირეკა, ვიფიქრე, მოსალოცად რეკავსმეთქი, მაგრამ არა, ის ისევ წვეულებაზე ქაქანს აგრძელებდა. უნა და ჯოფრი ესა, ბრაიანი და მევისი ისა, რა დიდებული იყო მარკი და რატომ არ ველაპარაკებოდი მას და ა.შ. და ა.შ.! კინაღამ სულმა წამძლია, მისთვის ყველაფერი მომეყოლა, მაგრამ თავის შეკავება მოვახერხე, რადგან შედეგები თვალნათლივ წარმოვიდგინე: პაემნის გაგონებაზე მოზღვავებული გრძნობებისგან კივილი და ერთადერთი ქალიშვილის სასტიკი მკვლელობა, როცა მოვლენათა განვითარებაზე შეიტყობდა. იმედს ვიტოვებ, იქნებ დამირეკოს და თმის საშრობით გამოწვეული მარცხის შემდეგ კიდევ ერთხელ დამინიშნოს პაემანი. იქნებ წერილი მივწერო, მადლობა გადავუხადო ინტერვიუსათვის და ბოდიში მოვუხადო თმის საშრობის გამო. იმიტომ კი არა, რომ მომწონს ან რამე უბრალოდ, კარგი მანერები მოითხოვს.

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი

9.1 სტ (ცუდია), ალკოჰოლის ერთეული – **3** (ჯანმრთელობას არ ვნებს, ნორმალურია), სიგარეტი – **13** ღერი, ქონის ერთეული – **17** (ნეტავ შესაძლებელია თუ არა მთელი სხეულის ქონის ერთეულის გამოთვლა? იმედი მაქვს, არა), ლატარიის ბილეთები – **3** (ცუდია), ზარები **1471**-ზე რომ გავიგო, მარკ დარსის ხომ არ დაურეკავს – **12** (უკეთესია).

ჰმ! გაზეთში რომელიღაც გათხოვილი, თვითკმაყოფილი ჟურნალისტის მფარველური ტონით დაწერილმა სტატიამ გამაცოფა. სათაურად სექსუალურ თემაზე შეფარული ირონია გამოეტანათ: „მარტოხელა ცხოვრების სიამენი“.

„ისინი ახალგაზრდები, ამბიციურები და მდიდრები არიან, მაგრამ მათი ცხოვრება მტკივნეულ მარტოობას მალავს... როდესაც სამსახურიდან სახლში ბრუნდებიან, წინ უზარმაზარი ემოციური უფსკრული აღემართებათ... მარტოხელა ცხოვრებისადმი მიდრეკილი ინდივიდები ნუგეშისცემას მაღალკალორიულ საკვებში ეძებენ, დაახლოებით ისეთში, როგორსაც დედები უკეთებდნენ“

ჰმ! რა დამპლობაა. რატომ ჰგონია ამ თვითკმაყოფილ, ოცდაორი წლის დაქორწინებულ ჟურნალისტს თავი ყოვლისმცოდნე? ავდგები და მეც დავწერ სტატიას თვითკმაყოფილ დაქორწინებულებთან უამრავი საუბრის საფუძველზე: „როდესაც ისინი სამსახურიდან სახლში ბრუნდებიან, ყოველთვის ცრემლად იღვრებიან, რადგან, მიუხედავად გადაქანცულობისა, ვალდებულნი არიან, კარტოფილი გაფცქვანან და სარეცხი დარეცხონ, სანამ მათი გასიებული, გაბღენძილი ქმრები ბოყინით დაეგდებიან ფეხბურთის საყურებლად და ჩიფსიან ჯამებს ითხოვენ. ზოგჯერ, საღამოობით, უსახურ წინსაფრებში გამოწყობილები დეპრესიაში ვარდებიან, როდესაც ქმრები ურეკავენ და ატყობინებენ, ისევ გვიანობამდე ვრჩებით სამსახურშიო, ყურმილში კი შორიდან ტყავის მათრახის ტყლაშუნი და სექსუალური მარტოხელების ხითხითი ისმის“.

სამსახურის შემდეგ შერონს, ჯუდსა და ტომს შევხვდი. ტომსაც დაუწყია განრისხებული წარმოსახვითი სტატიის წერა თვითკმაყოფილი დაქორწინებულების ემოციური უფსკრულების შესახებ.

– მათი გავლენა ყველაფერში იგრძნობა, მშენებარე სახლებიდან – იმ პროდუქტებამდე, რომლებითაც მაღაზიებში დახლებია დახუნძლული, – თავზარდაცემას „ამოიკითხავდით“ ტომის სტატიაში, – ყოველ ნაბიჯზე დიასახლისებზე მორგებული „ენ სამერსის“ ტიპის მაღაზიებია, ეს დიასახლისები კი პათეტიკურად ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ მარტოხელებით ამაღელვებელი სექსი აქვთ; „მარკს ენდ სპენსერში“ სულ უფრო მეტი ეგზოტიკური საკვები პროდუქტი იყიდება იმ გადაქანცული წყვილებისთვის, რომლებიც თავს იკატუნებენ, თითქოს მარტოხელებით შესანიშნავ რესტორანში ვახშობენ და მოგვიანებით ჭურჭელი არ ექნებათ დასარეცხი.

– ყელში ამომივიდა ეს ამდენი ქედმაღალი სტატია მარტოხელების ცხოვრების შესახებ, – დაიღრიალა შერონმა.

– დიახ, დიახ, – კვერი დავუკარი მეც.

– ემოციური მოუმწიფებლობა დაგავიწყდათ, – დაისლოკინა ჯუდმა, – სულ მოუმწიფებლებს ვაწყდებით.

– ყოველ შემთხვევაში, მარტო მაინც არ ვართ. ჩვენს, სხვებზე უფრო ფართო, ოჯახის წევრებს ტელეფონით დაკავშირებული მეგობრებიც შეადგენენ, – წაიფილოსოფოსა ტომმა.

- დიახ! ვაშა! მარტოხელები გამუდმებით თავს არ უნდა იმართლებდნენ, მათ საყოველთაოდ აღიარებული სტატუსი უნდა ჰქონდეთ – როგორც გეიშა გოგოებს აქვთ, – დავიყვირე მხიარულად და ჩემი ჩილეური შარდონე მოვსვი.

- გეიშა გოგოებს? – ცივად შემომხედა შერონმა.

- მოკეტე, ბრიჯიტ, მთვრალი ხარ, – ცილი დამწამა ტომმა, – უბრალოდ, ცდილობ, შენი მოსაბეზრებელი ემოციური უფსკრულიდან სიმთვრალის საშუალებით ამოძვრე.

- შერონიც ამას აკეთებს, – გავბრაზდი მე.

- არა, – თქვა შერონმა.

- დიახაც, აკეთებ, – დავიჟინე.

- გეყოთ! მმმოკტეთ! – ისევ დაასლოკინა ჯუდმა, – კდევერთხოთლშარდნე დავლთ?

პარასკევი, 13 ოქტომბერი

9.3 სტ (დროებით ღვინის კასრად ვიქეცი), ალკოჰოლის ერთეული – **0** (მაგრამ ღვინის კასრიდან ვიწოვ), კალორია – **0** (მ.კ).*

* ისე, შემიძლია აქ გულწრფელი ვიყო. არც ისე კარგადაა საქმე – მხოლოდ იმიტომ **0** კალორია, რომ ჭამის შემდეგ მაშინვე გული ამერია და მთელი **5876** კალორია ამოვიღე. ღმერთო, ისეთი მარტოსული ვარ. წინ მთელი შაბათკვირაა გადაჭიმული, მე კი არავინ მყავს, ვინც მეყვარება, ან ვისთანაც გავერთობი. თუმცა, არ მაინტერესებს. „მარკს ენდ სპენსერში“ ნაყიდი მშვენიერი ჯანჯაფილის პუდინგი მაქვს, ახლავე მიკროტალღურ ღუმელში შევდგამ.

კვირა, 15 ოქტომბერი

9 სტ (უკეთესია), ალკოჰოლის ერთეული – **5** (მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევის გამო), სიგარეტი – **16** ღერი, კალორია – **2456**, მისტერ დარსიზე ფიქრში გატარებული წუთები – **245**.

8:55. ახლახან სიგარეტზე გადავირბინე, რომ **BBC**-ზე „სიამაყე და ცრურწმენის“ დაწყებამდე მომემარაგებინა. ვერ ვიჯერებ, რომ გზებზე ამდენი მანქანა იყო. სახლებში არ უნდა ისხდნენ და სერიალს არ უნდა ელოდნენ? მიყვარს, როცა ხალხი შეპყრობილია. ვიცი, რომ ჩემი საკუთარი შეპყრობილობის საფუძველი უბრალო ადამიანური სურვილია – მისტერ დარსის და ელიზაბეტს(მისტერ დარსი და ელიზაბეტი – ჯეინ ოსტინის რომანის, „სიამაყე და ცრურწმენა“, პერსონაჟები.) ყველაფერი გამოუვიდეთ. ტომი ამბობს, ფეხბურთის გურუ, ნიკ ჰორნბი თავის წიგნში წერს, რომ კაცებს ფეხბურთი სხვისი ემოციების თანაგანცდის გამო უყვართ, ჰორნბის მტკიცებით, ტესტოსტერონით გაგიჟებულ ფანატებს ის კი არ სურთ, თვითონ იყვნენ მოედანზე, არამედ საყვარელ გუნდს საკუთარ წარმომადგენლებად მიიჩნევენ, იმავე პრინციპით, როგორც პარლამენტარებსო. სწორედ ამას ვგრძნობ დარსისა და ელიზაბეტის მიმართ. სექსის, ან, უფრო სწორად, ფლირტის სფეროში, ისინი ჩემი არჩეული წარმომადგენლები არიან. თუმცა, საბოლოო შედეგების დანახვა არ მსურს. სულაც არ მინდა, დარსის და

ელიზაბეტს ლოგინში ვუყურო, სექსის შემდეგ სიგარეტის მოწვევისას. ეს არაბუნებრივი, არასწორი იქნებოდა და სულ დავკარგავდი ინტერესს.

10:30. ახლახან ჯუდმა დამირეკა და ოცი წუთი ბუზლუნში გავატარეთ.

– ოოფ, ეს მისტერ დარსი!

მომწონს ამ კაცის საუბრის მანერა, თითქოს დედამიწაზე არაფერი ანაღვლებს; მონოტონური. შემდეგ ხანგრძლივად ვიკამათეთ, ერთმანეთს ვადარებდით მისტერ დარსისა და მარკ დარსის ღირსებებს, ბოლოს ორივე შევთანხმდით, რომ მისტერ დარსი ბევრად უფრო მიმზიდველი იყო მისი სიხისტის გამო, მაგრამ მისი არარსებობა ის ნაკლი იყო, რომლის გაქარწყლებაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

ორშაბათი, 23 ოქტომბერი

9.2 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **0** (მ.კ. ახალი, გემრიელი, ალკოჰოლის შემცველი სასმელი აღმოვაჩინე, „სმუზი“ ჰქვია, მსუბუქია, ხილის), სიგარეტი – **0** ღერი („სმუზი“ სიგარეტის სურვილსაც აქრობს), „სმუზი“ – **22**, კალორია – **4265** (მათგან **4135** „სმუზისაა“)

უჰ! ის იყო, ვაპირებდი „პანორამისთვის“ მეყურებინა თემაზე „მაღალკვალიფიციური დასაქმებული ქალების სწრაფვა საუკეთესო პოზიციების დასაკუთრებისკენ“ (სწორედ ასეთი ქალი მინდა გავხდე და ამას ვევედრები ზეციურ მეუფესა და მის ყველა სერაფიმს) – „გადაჭრის თუ არა პრობლემას განათლების რეფორმა?“ როცა შემთხვევით „სტანდარტში“ დარსისა და ელიზაბეტის საზიზღარ ფოტოს გადავაწყდი – თანამედროვედ ჩაცმულები და ერთმანეთს ჩახვეულები მდელიოზე წვანან; ელიზაბეტს ქერა თმა მოდურად აქვს დავარცხნილი, სელის კოსტიუმი აცვია, დარსი კი ზოლიან პოლოს მაისურსა და ტყავის ქურთუკში გამოწყობილა და არადამაჯერებელი უღვაში ამშვენებს. სრულიად ნათელია, რომ უკვე ერთად წვანან. გულისამრევია. თავგზააბნეული და შეწუხებული ვარ, მისტერ დარსი არაფრის გულისათვის ჩაიდენდა ასეთ უსარგებლო და ქარაფშუტულ საქციელს – გამხდარიყო მსახიობი, და მაინც, მისტერ დარსი სინამდვილეში მსახიობია. ჰმ. დამაბნეველია.

სამშაბათი, 24 ოქტომბერი

9.3 სტ (დამპალი „სმუზი“), ალკოჰოლის ერთეული – **0**, სიგარეტი – **0** ღერი, „სმუზი“ – **32**.

სამსახურში ყველაფერი კარგად მიდის. ელენასთან ინტერვიუს შემდეგ მეჩვენება, რომ არასწორად აღარაფერს ვაკეთებ.

– იფიქრეთ! იფიქრეთ! როზმარი უესტი, – ამბობდა რიჩარდ ფინჩი, როცა სამსახურში გამოვცხადდი (მართალია, ცოტათი დაგვიანებით, მაგრამ ეს ყველას შეიძლება შეემთხვას), და მუშტებს ბოქსიორივით იქნევდა, – ვფიქრობ, გაუპატიურების მსხვერპლი ლესბოსელები, ვფიქრობ, ჟანეტ ვინტერსონი, ვფიქრობ, „დილა მშვიდობისას“ ექიმი, ვფიქრობ, სინამდვილეში რას აკეთებენ ლესბოსელები. სწორედ ამას! რას აკეთებენ ლესბოსელები საწოლში?

მოულოდნელად პირდაპირ მე შემომხედა.

- შენ ხომ არ იცი? - ყველა მე მომაჩერდა, - იფიქრეთ... ბრიჯიტ, ჯანდაბა, ისევ დააგვიანე! - დამიყვირა მოუთმენლად, - რას აკეთებენ სინამდვილეში ლესბოსელები საწოლში?

ღრმად ჩავისუნთქე.

- მართალი გითხრათ, ჩემი აზრით, დარსისა და ელიზაბეტის რომანი უნდა გავაშუქოთ რეალურ ცხოვრებაში.

მან ნელა ამხედჩამხედა.

- ბრწყინვალეა, - თქვა მოწიწებით, - სრულიად ბრწყინვალეა, მაგის დედაც. კარგი. ვინ თამაშობს დარსისა და ელიზაბეტის როლებს? მიდით, მიდით, - მუშტები გაიქნია შეკრებილების მიმართულებით.

- კოლინ ფირტი და ჯენიფერ ელი, - ვუპასუხე.

კლეინის თხელი აბრეშუმის მოკლე, ტანზე მომდგარი კოსტიუმისკენ, რომელზეც „სითხე“ (ე.ი. ლივლივა ნაჭერი) კვამლისა და მიწის კონტურებს „ტბორავდა“, რომ პოლარული ყინულის დნობა განესახიერებინა.

როდესაც მივხვდი, რომ ტომისგან ხეირი მაინც არ იქნებოდა, მოვუბოდიშე და, სანამ ძალიან დაგვიანდებოდა, წამოვედი, თუმცა დავპირდი, რომ სერიოზულად დავფიქრდებოდი საცურაო და დღის კოსტიუმებზე. სახლში მისულმა ჯუდს დავურეკე, მაგრამ მან არ დამაცადა და „კოსმოპოლიტენის“ თვის თემაზე - დიდებულ აღმოსავლურ სისტემაზე დამიწყო მოყოლა, რომელსაც ფენ შუი ეწოდება და თურმე გეხმარება, ცხოვრებისაგან ყველაფერი მიიღო, რაც გსურს. ამისათვის საჭიროა ბინა ცხრა სექციად დაყოთ (რასაც „ბაგუას სქემა“ ეწოდება), რომლიდანაც თითოეული თქვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ასახავს: მაგალითად, კარიერას, ოჯახს, ურთიერთობებს, სიმდიდრეს, ან შთამომავლობას. სახლის შესაბამის სექციაში განთავსებული ნივთები განაპირობებს თქვენი ცხოვრების ამ სფეროში მოვლენების წარმართვას. მაგალითად, თუ ხშირად არ გყოფნით ფული, ამის მიზეზი შესაძლოა კეთილდღეობის კუთხეში ცარიელი ნაგვის ვედრო აღმოჩნდეს.

ახალმა თეორიამ მაშინვე აღმაფრთოვანა, რადგან მას ბევრი რამის ახსნა შეუძლია. გადავწყვიტე, პირველივე შესაძლებლობისთანავე ვიყიდო „კოსმო“. ჯუდმა გამაფრთხილა, შერონს არ უთხრაო, რადგან, როგორც სჩვევია, იტყვის, ფენ შუი სირობააო. როგორც იქნა მოვახერხე, საუბარი მარკ დარსიზე გადამეტანა.

- რასაკვირველია, ის არ მოგწონს, ბრიჯ, ასეთი რამ წუთითაც არ გამივლია გონებაში, - თქვა ჯუდმა. მისი აზრით, პასუხი ნათელი იყო: სახლში სადილი უნდა გამემართა და მარკიც დამეპატიჟებინა.

- ეს შესანიშნავი გამოსავალია, - თქვა მან, - პაემანზე დაპატიჟებად არ ჩაგეთვლება, ამიტომ დაძაბულობა მოგეხსნება და შეძლებ, გიჟურად გაეპრანჭო, შენი მეგობრები კი თავს მოიკატუნებენ, თითქოს დიდებული ვინმე ხარ.

- ჯუდ, - გული მეტკინა, - ახლა მართლა „მოიკატუნებენ“ თქვი?

პარასკევი, 3 ნოემბერი

9.2 სტ (ჰმ!), ალკოჰოლის ერთეული – 2, სიგარეტი – 8 ღერი, „სმუზი“ – 13, კალორია – 5245.

11:00. სადილის იდეით ძალიან აღტაცებული ვარ. მარკო პიერ ვაითის ახალი, დიდებული რეცეპტების წიგნი ვიყიდე. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი მარტივ განსხვავებას სახლში მომზადებულ საჭმელსა და რესტორნის კერძებს შორის. როგორც მარკო ამბობს, მთავარი გაჯერებული გემოა. სოსისის საიდუმლო, რასაკვირველია, გაჯერებული გემოს გარდა, ნამდვილ ბულიონშია. დიდ ქვაბში უნდა მოხარშო თევზის ფხები, წიწილის ძვლები და ა.შ. შემდეგ ყინულის კუბებად გაყინო. ამის მერე „მიშლენის“ (იგლისხმება საბურავების მწარმოებელი კომპანია „მიშლენის“ ცნობილი ტურისტული გზამკვლევები, რომელშიც რეგულარულად აქვეყნებენ რესტორნების რეიტინგებს) სტანდარტის საჭმლის მომზადებაც კი მწყემსის ღვებელის გამოცხობასავით იოლი იქნება, ან, უფრო სწორად, კიდევ უფრო იოლი, რადგან კარტოფილის ფრცქვნა არ მოგიწევთ, შეგიძლიათ, კანიანად შეწვათ ბატის ქონში. არც კი მჯერა, რომ ამას აქამდე ვერ ვხვდებოდი. აი, როგორი მენიუ მექნება:

ნიახურის თეთრი სოუსი (ძალიან მარტივი და იაფია, როდესაც მზა ბულიონი გაქვს) გრილზე შემწვარი თინუსი თეთრ სოუსსა და პომიდორ ჩერისთან ერთად, ნივრითა და კარტოფილის პიურეთი.

ფორთოხლის ჯემი. ინგლისური გრანმარნიეს კრემი.

დიდებული იქნება. სახელს გავითქვამ, როგორც ბრწყინვალე მზარეული და თან ამისთვის დიდი ძალისხმევაც არ დამჭირდება.

ხალხი მოაწყდება ჩემს სადილებს, თან იყვირებენ: – რა შესანიშნავია ბრიჯიტთან სადილობა! ყოველთვის ბოჭემურ გარემოში, „მიშლენის“ ვარსკვლავიანი რესტორნის დონის კერძებით გვიმასპინძლებს! მარკ დარსიზე დიდ შთაბეჭდილებას მოვახდენ და მიხვდება, რომ არც მდაბიო ვარ და არც – არაკომპეტენტური.

კვირა, 5 ნოემბერი

9 სტ (კატასტროფა), სიგარეტი – 32 ღერი, ალკოჰოლის ერთეული – 6 (მაღაზიაში „სმუზი“ გაუთავდათ – უპასუხისმგებლო ნაბიჭვრები!), კალორია – 2266, ლატარიის ბილეთი – 4.

7:00. ჰმ! ამაღამ ფეიერვერკების ღამეა, მე კი არსად დამპატიყეს. შუშუნები, თითქოს ჩემს გამოსაჯავრებლად, ყოველ მხარეს ფეთქდება. ტომთან წავალ.

11:00. ამის დედაც, მშვენიერი სადამო გავატარე ტომთან, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ალტერნატიული მის მსოფლიოს ტიტული დამპალ ჯოან არკს გადასცეს.

– ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, რომ კონკურსის მესვეურები აცხადებენ, ეს შეჯიბრი სილამაზის კონკურსი არ არისო, არადა – არის. არა, რასაკვირველია

დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემა ამ ცხვირში არ არის... – გაბრაზებული ტომი სარკეში საკუთარ თავს ათვალიერებდა.

– რა?

– ჩემი ცხვირი.

– რა სჭირს შენს ცხვირს?

– რა სჭირს? ჰმ! კარგად დააკვირდი.

როგორც აღმოჩნდა, ცხვირზე პატარა, პაწაწუნა კეხი ჰქონია – ჩვიდმეტი წლის ასაკში ვიღაცას სახეში შუშის ჭიქა უსვრია.

– ხედავ, რას ვგულისხმობ?

კიდევ გავიმეორებ, ჩემი აზრით კეხი არაფერ შუაში იყო იმასთან, რომ ჯოან არკმა პრაქტიკულად ხელიდან გამოჰგლიჯა ტიტული, თუ, რასაკვირველია, ჟიურის წევრები ტელესკოპს არ იყენებდნენ შეფასებისას. მერე ტომი აწუწუნდა, მეტისმეტად მსუქანი ვარ და დიეტა უნდა დავიწყო.

– რამდენი კალორიის მიღების უფლება გაქვს, როცა დიეტაზე ხარ? – იკითხა მან.

– დაახლოებით ათასის. უფრო სწორად, ყოველთვის ათასის მიღებას ვგეგმავ, მაგრამ ხშირად ხუთასზე ვჩერდები ხოლმე, – ვუპასუხე და მივხვდი, რბილად რომ ვთქვათ, ეს განაცხადი სიმართლეს არ შეეფერებოდა.

– ათასი? – სკეპტიკურად თქვა ტომმა, – მეგონა, გადარჩენისთვის ორი ათასი კალორია იყო საჭირო.

შეშფოთებულმა შევხედე. მერე მივხვდი – უკვე იმდენი წელია დიეტაზე ვარ, უკვე ის აზრიც კი, რომ ჯანმრთელობისთვის კალორიების მიღებაა საჭირო, ჩემი ცნობიერებიდან სრულიად ამოიშალა. უკვე იმ წერტილს მივაღწიე, როდესაც სრულიად გწამს – კვების იდეალი საერთოდ არაფრის ჭამაა და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანები ჭამენ, ისაა, რომ სიხარბეს ვერ ერევიან და არ შეუძლიათ, დიეტის დარღვევისგან თავები შეიკავონ.

– რამდენი კალორიაა მოხარშულ კვერცხში? – მკითხა ტომმა.

– სამოცდათხუთმეტი.

– ბანანში?

– დიდში თუ პატარაში?

– პატარაში.

– დასრესილში?

– ჰო.

– ოთხმოცი, – დარწმუნებით ვუთხარი.

– ზეთისხილში?

– მწვანეში თუ შავში?

– შავში.

– ცხრა.

– შოკოლადის ორცხობილაში?

– ასოცდაერთი.

– რძიანი შოკოლადის ნაკრებში?

– ათი ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი.

– საიდან იცი ეს ყველაფერი?

დავფიქრდი.

- უბრალოდ ვიცი, როგორც ყველამ იცის ანბანი ან გამრავლების ტაბულა.
- კარგი. ცხრაჯერ შვიდი, - გამომცადა ტომმა.
- სამოცდაოთხი. არა, ორმოცდათექვსმეტი. სამოცდათორმეტი.
- რომელი ასოა ჯეიმდე? სწრაფად.
- ფი. უფრო სწორად, ელი.

ტომის დიაგნოზით - ავადმყოფი ვარ, მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ სრულიად ნორმალური ვარ და სხვებისგან, ე.ი. შერონისგან და ჯუდისგან, არაფრით განვსხვავდები. გულწრფელად გითხრათ, ტომზე ვდარდობ. ჩემი აზრით სილამაზის კონკურსში მონაწილეობით მან იმხელა წნეხი გადაიტანა, როგორსაც ჩვენ, ქალები დიდი ხანია ვუძლებთ; ამიტომ თავდაჯერებულობა დაკარგა, გარეგნობაზე მეტისმეტად დარდობს და სადაცაა, ანორექსიას დაიმართებს. სალამოს, ტომმა, მოსადუნებლად და თავის გასამხნეველად, სახურავის ტერასიდან რამდენიმე შუშხუნა გაუშვა მეზობლების ბაღში, რომლებიც, მისი თქმით, ჰომოფობები არიან.

ხუთშაბათი, 9 ნოემბერი

8.13 სტ („სმუზის“ გარეშე უკეთესად ვარ), ალკოჰოლის ერთეული - 5 (ეს ჯობია ხილის პიურეთი გამოტენილი მუცლით სიარულს), სიგარეტი - 12 ღერი, კალორია - 1456 (ბრწყინვალეა).

ისევ აღტაცებული ვარ სადილის გამართვის იდეით. ერთი კვირის შემდეგ, სამშაბათს დავნიშნე. აი, სტუმრების სია:

ჯუდი-უნამუსო რიჩარდი

შერონი-ტომი - პრეტენზიული ჯერომი

(თუ იღბალი არ გამიღიმებს და მასა და ტომს შორის ყველაფერი სამშაბათამდე არ დამთავრდება),

მაგდა-ჯერემი

მე-მარკ დარსი

მარკი ძალიან ნასიამოვნები მომეჩვენა, როდესაც დავურეკე.

- რის მომზადებას აპირებთ? - იკითხა მან, - კარგი მზარეული ხართ?

- ოჰ, იცით... - დავიწყე მე, - მართალი გითხრათ, ჩვეულებრივ მარკო პიერ ვაითის რეცეპტებს ვიყენებ. საოცარია, რა მარტივი შეიძლება იყოს მზარეულობა, თუ ადამიანი გემოს გაჯერების თეორიას მიჰყვება.

მან გაიცინა და მერე მითხრა:

- კარგი, ძალიან რთულს ნურაფერს გააკეთებთ. გახსოვდეთ, ყველა თქვენს სანახავად მოდის, და არა შაქრისპუდრიანი დესერტის საჭმელად. დენიელი არასოდეს მეტყოდა ასეთ სასიამოვნო რამეს. ერთი სული მაქვს, როდის დადგება სადილისთვის შერჩეული დღე.

შაბათი, 11 ნოემბერი

8.12 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 4, სიგარეტი – 35 ღერი (კრიზისის გამო), კალორია – 456 (საკვები გამითავდა).

ტომი გაუჩინარდა. ჯერ კიდევ დილით შევმფოთდი, როცა შერონმა დამირეკა და მითხრა, დედას ვერ დავიფიცებ, მაგრამ მგონი, ხუთშაბათს ღამით ლედბროკ გრუვზე სეირნობისას ტაქსის ფანჯრიდან ტომი დავინახე, პირზე ხელი აეფარებინა და მომეჩვენა, რომ ჩალურჯებული თვალი ჰქონდაო. სანამ შერონმა ტაქსის მძღოლს უკან დახევა სთხოვა, ტომი გაუჩინარებულა. გუშინ ორი შეტყობინება დაუტოვებია მისთვის ავტომოპასუხეზე, ხომ კარგად ხარო, მაგრამ ტომს პასუხი არ გაუცია.

მოულოდნელად გამახსენდა, რომ ოთხშაბათს მეც დავუტოვე შეტყობინება ავტომოპასუხეზე და ვკითხე, რას აპირებდა შაბათკვირას, მას კი არ უპასუხებია, რაც ტომის საქციელს არ ჰგავდა. ამას გაშმაგებული რეკვა მოჰყვა ტომთან. მისი ტელეფონი გამუდმებით რეკდა და რეკდა, ამიტომ ჯუდს დავურეკე, რომელმაც მითხრა, რომ არც მას სმენოდა ტომისგან რაიმე. ვცადე, მის პრეტენზიულ მეგობარ ჯერომთან დამერეკა: არაფერი. ჯუდმა თქვა საიმონს დავურეკავო, რომელიც ტომის მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობს, და ვთხოვე, შეუაროსო. ოც წუთში ისევ დამირეკა და მითხრა, საიმონმა ტომის კარზე უამრავჯერ დარეკა და კარის ჩაქუჩიც აკაკუნა, მაგრამ ამაოდ – არანაირი პასუხიო. შემდეგ ისევ შერონმა დარეკა. ულაპარაკია რებეკასთან, რომლის აზრითაც ტომი მაიკლთან აპირებდა ლანჩზე წასვლას. მაიკლს დავურეკე და მითხრა, ტომმა უცნაური შეტყობინება დამიტოვა, გაბზარული ხმით ამბობდა, მოსვლას ვერ შევძლებო, თანაც მიზეზიც კი არ აუხსნიაო.

15:00. უკვე მართლა პანიკაში ვარ, თანაც ტრაგედიის შუაგულში ყოფნის შეგრძნებით ვტკბები. პრაქტიკულად, მე ვარ ტომის საუკეთესო მეგობარი, ამიტომ ყველა მე მირეკავს, მე კი ვცდილობ სიმშვიდე და კომპეტენტურობა შევინარჩუნო. მოულოდნელად თავში მომივიდა, იქნებ, ახალი მეგობარი გაიჩინა და თაფლობის თვის მსგავს მალულ სექსუალურ ტკბობას არის მიცემული რამდენიმე დღითმეთქი. იქნებ შერონს ის არ დაუნახავს, ან ჩალურჯებული თვალი სულაც ხალისიანი, მგზნებარე, ახალგაზრდული სექსის შედეგია ან როკის საშინელებათა შოუს გრიმის ირონიული რეტროსპექტივაა, პოსტმოდერნულ სტილში. ყველას უნდა დავურეკო ერთი და ახალი თეორია გამოვცადო.

15:30. საერთო აზრმა ახალი თეორია მოსპო, რადგან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ შეუძლებელია ტომი ახალ მამაკაცს შეხვედროდა, მით უმეტეს, რომანი გაეჩაღებინა და ყველასთვის არ დაერეკა ამ ამბით სატრაბახოდ. საკამათო არაფერია. ველური აზრები მომდის თავში. ვერ უარვყოფ, რომ ბოლო დროს ტომი შეწუხებული ჩანდა. უკვე ვფიქრობ, მართლა ვარ თუ არა კარგი მეგობარი. ლონდონში ყველანი ისეთი დაკავებულები და ეგოისტები ვართ. შესაძლებელია თუ არა, ერთერთი ჩემი მეგობარი ისეთი უბედური ყოფილიყო, რომ მას... აი, სად დამიდა „მარი კლერის“ ამ თვის ნომერი – მაცივარზე!

„მარი კლერის“ ფურცვლისას ტომის დაკრძალვაზე დავიწყე ფიქრი და დაგეგმვა, რა უნდა ჩამეცვა. ააჰ, მოულოდნელად გამახსენდა პარლამენტის რომელიღაც წევრი,

რომელიც თავზე ცელოფანჩამოცმული, კისერზე თოკით და პირში შოკოლადიანი ფორთოხლით თუ რაღაც ამგვარით მოკვდა. ნეტავ, შეიძლებოდა, ტომი უცნაურ სექსუალურ თამაშებს გაეტაცებინა და ჩვენთვის არაფერი ეთქვა?

17:00. ახლახან ისევ ჯუდმა დარეკა.

- შენი აზრით, პოლიციას ხომ არ უნდა დავურეკოთ და კარის შემტვრევა ვთხოვოთ? - ვკითხე.

- უკვე დავურეკე, - მიპასუხა ჯუდმა.

- რა გითხრეს? - გულის სიღრმეში, ცოტა არ იყოს, მეწყინა, რომ ჯუდმა ჩემთვის ნებართვის უკითხავად დაურეკა პოლიციას. მე ვარ ტომის საუკეთესო მეგობარი, ჯუდი კი არა.

- მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოვახდინე მათზე. მითხრეს, ორშაბათამდე თუ ვერ იპოვით, კიდევ ერთხელ დარეკეთო. ხომ ხვდები, რასაც ფიქრობენ. საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ იმ ფაქტში, რომ ოცდაცხრა წლის მარტოხელა მამაკაცი შაბათ დილით სახლში არ არის და ლანჩზე ვერ ეწვია მასპინძელს, მით უმეტეს, რომ წინასწარ გააფრთხილა, მოსვლას ვერ შევძლებო.

- მაგრამ რაღაც რიგზე ვერ არის, ეს ზუსტად ვიცი, - ვთქვი იდუმალი, მძიმე ხმით, თანაც პირველად გავაცნობიერე, რა ძლიერი ინტუიციის მქონე პიროვნება ვიყავი.

- ვიცი, რასაც გულისხმობ, - მითხრა ჯუდმა ავის მომასწავებლად, - მეც იმავეს ვგრძნობ. რაღაც ნამდვილად ვერ არის რიგზე.

19:00. დაუჯერებელია. ჯუდთან ლაპარაკის შემდეგ მივხვდი, რომ საყიდლებზე წასვლას და სხვა ქარაფშუტულ საქციელს ვერ შევძლებდი. ვიფიქრე, იდეალური დროა ფენ შუის მიხედვით სახლის მოსაწესრიგებლად მეთქი, ამიტომ გავედი და „კოსმოპოლიტენი“ ვიყიდე. „კოსმოს“ გეგმის გამოყენებით, დიდი სიფრთხილით, ბაგუას სქემა მთელ ბინაში დავხაზე. უეცრად გონება გამინათდა. „სასარგებლო მეგობრების“ სექციაში ცარიელი ნაგვის ვედრო იდგა. ჯანდაბა, რა გასაკვირია, რომ ტომი გაუჩინარდა?

სასწრაფოდ ჯუდს დავურეკე და ყველაფერი მოვახსენე. მან მირჩია, ნაგვის ვედრო გადამეადგილებინა.

- მაგრამ სად? - ვკითხე, - არ ვაპირებ „ურთიერთობების“ ან „შთამომავლობის“ სექციებში მის გადადგმას.

ჯუდმა მითხრა, დამელოდე, უცბად ჩავხედავ „კოსმოსო“.

- კეთილდღეობაზე რას იტყვი? - მკითხა დაბრუნებულმა.

- ჰმ, არც კი ვიცი, მალე შობა მოდის და ხომ გესმის... - ვთქვი თუ არა, თავი მაშინვე საოცრად ძუნწად ვიგრძენი.

- მაშ, კარგი, თუ ასე უყურებ მოვლენებს... იმას ვგულისხმობ, რომ, ალბათ, ერთით ნაკლები საჩუქრის ყიდვა დაგჭირდება... - საყვედურით მითხრა ჯუდმა. საბოლოოდ გადავწყვიტე, ნაგვის ვედრო ჩემი ცოდნის სექციაში გადამეტანა და მცენარეების მაღაზიაში წავედი, რომ რამდენიმე მრგვალფოთლიანი ნარგავი წამომელო და ოჯახისა და სასარგებლო მეგობრების სექციაში დამედგა (წვეტიანფოთლოვანი მცენარეები, განსაკუთრებით - კაქტუსი, უარყოფით გავლენას ახდენს). ის იყო, სამზარეულოს

ნიჟარის ქვედა კარადიდან თავისუფალ ქოთანს ვიღებდი, რომ ჩხარუნი გავიგე. შუბლზე ხელი ვიტკიცე. ეს ტომის სათადარიგო გასაღები იყო, იმ დროიდან მქონდა, როცა იბიცაზე წავიდა დასასვენებლად.

წუთით ვიფიქრე, ჯუდის გარეშე წავალ მეტეი. მან ხომ პოლიციაში ჩემი ნებართვის გარეშე დარეკა? მაგრამ მერე ძალიან ეგოისტურ საქციელად მომეჩვენა, ამიტომ დავურეკე და ერთად გადავწყვიტეთ, შერონიც წაგვეყვანა, რადგან განგაში თავიდან მან ატეხა.

მაგრამ როცა ტომის ქუჩაზე შევუხვით, წარმოვიდგინე, როგორი ღირსეული, ტრაგიკული და მნიშვნელოვანი პერსონა გავხდებოდი, როცა გაზეთები ინტერვიუს მთხოვდნენ. იმავე დროს პარანოიული შიში შემომეპარა, რომ პოლიცია დაასკვნოდა, თითქოს ტომი მე მოვკალი. მოულოდნელად მივხვდი, ეს უკვე თამაში აღარ იყო. იქნებ მართლაც მოხდა რაღაც საშინელი და ტრაგიკული.

კიბეზე ასვლისას არც ერთ ჩვენგანს ხმა არ ამოუღია, არც ერთმანეთისთვის შეგვიხედავს.

- ჯერ ზარი ხომ არ უნდა დაგვერეკა? - წაიჩურჩულა შერონმა, როცა გასაღები საკეტისაკენ წავიღე.

- ამას მე ვიზამ, - თქვა ჯუდმა. სწრაფად მოგვაგლო თვალი და ზარს თითი დააჭირა. სიჩუმეში ვიდექით. არაფერი. ისევ დააჭირა. ის იყო, გასაღების საკეტში შეცურებას ვაპირებდი, რომ დომოფონიდან ხმა გაისმა: - ვინ არის?

- შენ თვითონ ვინ ხარ? - ხმა ამიკანკალდა.

- შენი აზრით ვინ ვიქნები, შე სულელო ძროხა!

- ტომ! - მხიარულად ვიღრიალე, - შემოგვიშვი!

- ვინ შემოგვიშვათ? - დაექვებით იკითხა.

- მე, ჯუდი და შერონი.

- გულწრფელად გითხრათ, სულაც არ მესიამოვნება თქვენი შემოსვლა, ძვირფასებო.

- ჯანდაბასაც წაუღიხარ, - ხელი მკრა შერონმა, - ტომ, შე სულელო, დამპალო პრინცესა! სულ რაღაც ნახევარი ლონდონი დააყენე ფეხზე, გვაიძულე პოლიცია ზარებით აგვეკლო, და მთელი დედაქალაქი გადაგვეჩხრიკა, რადგან არავინ იცოდა, სად იყავი. ახლავე შემოგვიშვი!

- ბრიჯიტის გარდა, არავის ნახვა მინდა, - გაჭირვეულდა ტომი. მე ნეტარი ღიმილით გადავხედე სხვებს.

- ნუ გამომიხვედი აქ პრიმადონა, - დაუცაცხანა შერონმა.

სიჩუმე.

- გეყოფა, შე უტვინო მაიმუნო, შემოგვიშვი.

კიდევ ერთი პაუზის შემდეგ ღილაკის ხმა გაისმა: ბზზზ.

- მზად ხართ ამ სანახაობისთვის? - მოგვესმა ტომის სიტყვები, როცა ზედა სართულზე ავედით და კარი გაგვიღო.

სამივემ ერთხმად წამოვიყვირეთ. ტომს მთელი სახე დახეთქილი, უზარმაზარი ყვითელი და შავი ლაქებით დაფარული და სალბუნებდაკრული ჰქონდა.

- ტომ, რა დაგემართა? - ვიკივლე და მოუქნელად ვცადე ჩავხუტებოდი, ამიტომ საბოლოოდ ყურზე კოცნა გამომივიდა. ჯუდს ცრემლები წასკდა, შერონმა კი კედელს მუშტი მიარტყა.

- არ ინერვიულო, ტომ, - დაიღრიალა მან, - ვიპოვით იმ ნაბიჭვრებს, ვინც ასე მოგექცა.
- რა მოხდა? - ვიკითხე კიდევ ერთხელ, ცრემლები ლოყებზე ჩამომიგორდა.

- ისა, მამ კარგი... - დაიწყო ტომმა და ტლანქად გაითავისუფლა თავი ჩემი მკლავებისგან, - მართალი გითხრათ, მე... ისა, ცხვირი გადავიკეთე.

როგორც აღმოჩნდა, ოთხშაბათს ტომმა ოპერაცია გაიკეთა, ჩვენ უჩუმრად, რადგან ძალიან რცხვენოდა, ჩვენ ხომ ყველანი უყურადღებოდ ვეკიდებოდით უმნიშვნელო იარას მის ცხვირზე. იმედი ჰქონდა, რომ მოუვლიდა ჯერომი, რომელიც ამიერიდან ცნობილი იქნება, როგორც გველი ჯერომი (თავიდან ვფიქრობდით, უგულო ჯერომი გვეწოდებინა, მაგრამ მერე ყველანი შევთანხმდით, რომ მაგისტანა ტიპისთვის ეს აღმატებული მეტსახელი იყო). თუმცა, როცა გველმა ჯერომმა ოპერაციის შემდეგ ტომი ნახა, ისეთი ზიზღი იგრძნო, რომ თქვა, რამდენიმე დღით უნდა წავიდეო, სინამდვილეში კი საერთოდ აორთქლდა და ტომს მის შესახებ აღარაფერი გაუგია. საბრალო ტომი ისეთი სევდიანი და ტრავმირებული იყო და ნარკოზის შემდეგ ისე უჩვეულოდ გრძნობდა თავს, რომ უბრალოდ ტელეფონი გამორთო, საბნის ქვეშ დაიმალა და ეძინა.

- ესე იგი, ლენდბროკ გროუვზე ხუთშაბათ ღამით შენ იყავი? - იკითხა შერონმა.

ის იყო. როგორც ჩანს, გვიან ღამემდე დაიცადა, მერე კი გარეთ გავიდა, რათა ღამის საბურველით ესარგებლა და საჭმელი მოეპოვებინა. მიუხედავად ჩვენი სიხარულისა, რომ ცოცხალი აღმოჩნდა, ტომი თავს ძალიან უბედურადგრძნობდა ჯერომის გამო.

- არავის ვუყვარვარ, - შემოგვჩვილა მან.

ვურჩიე, ჩემს ავტომობილსა დაერეკა და მოესმინა ოცდაორი შეშფოთებული შეტყობინება მისი მეგობრებისგან, რომლებიც გადარეულები იყვნენ ოცდაოთხი საათით მისი გაუჩინარების გამო. ვთქვი, რომ ამან ცოტა გამინელა შიში, რომელსაც ყველანი განვიცდით - რომ ერთ დღეს მარტოობაში მოვკვდები და გერმანული ნაგაზისგან შეჭმულს მიპოვიან.

- ან სამი თვე არ გვიპოვიან... და ხალიჩაზე გავიხრწნებით, - თქვა ტომმა.

ყველამ ვუსაყვედურეთ, ერთი სულელურსახელიანი, ჭირვეული ნადირალის გამო როგორ იფიქრე, რომ არავის უყვარხარო?

ორი სისხლიანი მერის შემდეგ უკვე იცინოდა ჯერომის ამოჩემებულ გამოთქმაზე „თვითშემეცნება“ და მის ტანზე მომდგარ, წვივის სიგრძე კელვინ კლაინის ნიფხავზე. ამასობაში საიმონმა, მაიკლმა, რებეკამ, მაგდამ, ჯერემიმ და ბიჭმა, რომელმაც საკუთარ თავს ელსი უწოდა, დარეკეს და მოიკითხეს.

- მესმის, რომ ყველანი ფსიქოპათები, მარტოხელა, უსარგებლო ადამიანები ვართ და მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტობთ, - დაიწყო ტომმა სენტიმენტალურად, - მაგრამ რადაცით ოჯახივით ვართ, არა?

ვიცოდი, რომ ფენ შუი იმოქმედებდა. ახლა ეს ამოცანა შესრულებულია - ამიტომ ვაპირებ, რაც შეიძლება სწრაფად გადავაადგილო მრგვალფოთლებიანი მცენარე ჩემი ურთიერთობების სექციაში. რა სამწუხაროა, რომ კულინარიული სექცია არ არსებობს. მხოლოდ ცხრა დღე დამრჩა.

ორშაბათი, 20 ნოემბერი

8.12 სტ (მ.კ.), სიგარეტი – **0** ღერი (მ. ცუდია მოწევა, როდესაც კულინარიულ საოცრებებს ქმნი), ალკოჰოლის ერთეული – **3**, კალორია – **200** (მაღაზიაში წასვლის მცდელობას უფრო მეტი კალორია უნდა დაეწვა, ვიდრე ვიყიდე, და, მით უმეტეს, ვჭამე).

19:00. ახლახან დავბრუნდი მარტოხელის საზიზღარი დანაშაულის შეგრძნებით საშუალო კლასის მაღაზიიდან, სადაც სალაროსთან მარტო ვიდექი ნორმალური, ბავშვიანი მოზრდილების უკან, რომლებიც ლობიოს, თევზის ჩხირებს, ანბანის ფორმის სპაგეტის და ა.შ. ყიდულობდნენ, მე კი ურიკაში მეწყო:

20 თავი ნიორი

ბატის ქონის ქილა

„გრან მარნიეს“ ბოთლი

8 თინუსის სტეიკი

36 ფორთოხალი

4 პინტი ათქვეფილი კრემი

4 ვანილის შეკვრა, თითო – **1.39** ფუნტად.

ამდამვე უნდა დავიწყო მზადება, რადგან ხვალ ვმუშაობ.

20:00. ოჰ, მეზარება მზარეულობა. განსაკუთრებით, წიწილის ჩონჩხის უზარმაზარ შეკვრასთან გამკლავება. გულის ამრევია.

22:00. წიწილის ჩონჩხი უკვე ქვაბშია. პრობლემა ისაა, რომ მარკო წერს, არომატის მისაცემად ქვაბში ერთმანეთზე გადაბმული პრასი და ნიახური უნდა ჩაუშვათო, მე კი მხოლოდ ლურჯი ბაწარი მაქვს. კარგი, მე მგონი, ისიც წავა.

23:00. ღმერთო, ამ ბულიონის მომზადებას საუკუნე სდომებია, მაგრამ ამაღ ღირს, რადგან საბოლოოდ დაახლოებით **2** გალონი გაყინული კუბები მექნება, რომელიც სულ რაღაც **1.70** ფუნტი დამიჯდება. მმმ! ფორთოხლის ჯემიც უგემრიელესი იქნება. ახლა მხოლოდ ოცდათექვსმეტი ფორთოხლის წვრილად დაჭრა და ქერქის დაფხევა დამრჩა. არა მგონია, დიდი ხანი დამჭირდეს.

01:00. დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვდგავარ, მაგრამ ბულიონი კიდევ ორი საათი უნდა იხარშებოდეს, ფორთოხლებს კი კიდევ ერთი საათით სჭირდება ლუმელში მზადება. ვიცი, რასაც ვიზამ. ბულიონს ძალიან დაბალ ცეცხლზე დავტოვებ მთელი ღამით, ფორთოხლებსაც ყველაზე დაბალ სიმძლავრეზე გადავიტან და ძალიან ნაზი გამოვა, ჩაშუშულივით.

სამშაბათი, 21 ნოემბერი

8.11 სტ (ქონი ნერვებმა შექამა), ალკოჰოლის ერთეული – **9** (მართლაც ძალიან ცუდია), სიგარეტი – **37** ღერი (ძ.ძ. ცუდი), კალორია – **3479** (თანაც ყველა გულის ამრევი).

9:30. ქვაბს თავსახური ავხადე. ორი გალონი უგემრიელესი ბულიონის ნაცვლად, რომლის იმედიც მქონდა, მისი შიგთავსი ჟელეთი დაფარულ წიწილის დანახშირებულ ჩონჩხად ქცეულიყო. თუმცა, ფორთოხლის ჯემი ფანტასტიკურად გამოიყურება, სწორედ ისეთია, როგორც სურათზე ეხატა, შეიძლება, ოდნავ მუქი. სამსახურში უნდა წავიდე. ოთხისთვის გავეთავისუფლები და მოვიფიქრებ, რა მოვახერხო „წვნიანის კრიზისის“ პასუხად.

17:00. ღმერთო ჩემო. მთელი დღე კომმარად მექცა. რიჩარდ ფინჩმა ყველას თვალწინ სასტიკად დამტუქსა თათბირზე:

– ღვთის გულისათვის, ბრიჯიტ, მოაშორე აქედან ეს რეცეპტების წიგნი! შუშხუნები ბავშვებს აზიანებენ. ვფიქრობ დასახიჩრებებზე, ვფიქრობ კომმარებად ქცეულ ბედნიერ ოჯახურ დღესასწაულებზე. ვფიქრობ, რა იქნება ოცი წლის შემდეგ. რა დაემართა იმ ბავშვს, რომელმაც სამოციან წლებში ჯიბეში პეტარდის აფეთქებისგან პენისი დაიწვა? სად არის ახლა ის? ბრიჯიტ, მომიძებნე პეტარდებისგან პენისდამწვარი ბიჭი. მიპოვე სამოციანი წლების შუშხუნების საჭურისი.

უჰ! გალიზიანებული, ორმოცდამერვე ნომრის აკრეფას ვაპირებდი ტელეფონზე, რომ გამერკვია, ეს ხომ არ იყო დამწვარპენისიანი მსხვერპლის მხარდამჭერთა გუნდის მისამართი, როცა ჩემმა მობილურმა დარეკა.

– გამარჯობა ძვირფასო, დედა ვარ, – ცოტა არ იყოს უჩვეულო, მაღალი ბგერებითა და ისტერიკული ტონით მომესალმა.

– გამარჯობა, დედა.

– გამარჯობა, ძვირფასო, წასვლამდე დასამშვიდობებლად გირეკავ, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად გექნება.

– წასვლამდე? სად მიდიხარ?

– ოჰ. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ხომ გითხარი, მე და ჯულიო პორტუგალიაში მივექრივართ, სულ რამდენიმე კვირით, მხოლოდ მის ოჯახს მოვინახულებთ და შობამდე ცოტას გავირუჯებით.

– ჩემთვის არაფერი გითქვამს.

– ოჰ, სისულელეს ნუ ამბობ, ძვირფასო. რასაკვირველია, გითხარი. მოსმენა უნდა ისწავლო. აბა, თავს გაუფრთხილდი, კარგი?

– კარგი.

– ოჰ, ძვირფასო, კიდევ ერთი რამ.

– რა?

– ისეთი დაკავებული ვიყავი, რომ ბანკში სამოგზაურო ჩეკების შეკვეთა დამავიწყდა.

– ოჰ, მაგაზე ნუ იდარდებ, შეგიძლია აეროპორტში აიღო.

– მაგრამ საქმე ისაა, ძვირფასო, რომ უკვე აეროპორტისკენ გზად ვარ, მე კი ჩემი საბანკო ბარათი დამავიწყდა.

გაოცებისგან თვალეები ავახამხამე.

- ძალიან საწყენია. და ვიფიქრე... ცოტაოდენ ნაღდ ფულს ხომ ვერ მასესხებდი? ბევრი არ მინდა, უბრალოდ ორიოდე ასეული გირვანქა სტერლინგი, რომ სამგზავრო ჩეკების მიღება შევძლო.

ისეთი მანერით მითხრა, რომ ქუჩის ლოთები გამახსენა, რომლებიც ფულს მათხოვრობენ „ჩაის დასალევად“.

- დედა, ახლა რთული სამუშაო დღე მაქვს. ჯულიოს არ შეუძლია ფული გასესხოს?

- არც კი მჯერა, რომ ასე ძუნწობ, ძვირფასო, - გაბრაზდა დედა, - მას შემდეგ, რაც მე გაგიკეთე! მე სიცოცხლე გაჩუქე, შენ კი ისიც არ შეგიძლია, საკუთარ დედას ორიოდე ასეული ასესხო სამოგზავრო ჩეკების მისაღებად.

- ჰო, მაგრამ როგორ უნდა მოგცე? სამსახურიდან გასვლა, ბანკომატიდან ფულის გამოტანა და ტაქსისთვის გამოტანება მომიწევს. მერე ფულს მოგვპარავენ და მასხარად აგვიგდებენ. სად ხარ ახლა?

- ოოჰჰ! კარგი, საბედნიეროდ, ძალიან ახლოს ვარ და თუ უბრალოდ ნატუესტზე ქუჩას გადმოჭრი, საპირისპირო მხარეს ხუთ წუთში შეგხვდები, - წაილულლულა მან, - შესანიშნავია ძვირფასო, დროებით!

- ბრიჯიტ, სად ჯანდაბაში ხარ ამდენი ხანი? - დამიღრიალა რიჩარდმა, როცა შეუმჩნევლად გაპარვას ცვდილობდი, - მიპოვე ის უბედური საჭურისი თუ ჯერ ვერა?

- სუნი ავიღე, - ვუთხარი და ცხვირზე თითი მივიკაკუნე, შემდეგ ადგილს მოვწყდი. ბანკომატთან ვიდექი და აპარატიდან თბილი, ტკიცინა ბანკნოტების გამოსვლას ველოდი, თან თავს ვიმტვრევდი, როგორ უნდა მოეხერხებინა დედას ორი კვირა ორასი ფუნტით ცხოვრება, როცა ჩემკენ მომავალი დავინახე. წვიმიანი დღის მიუხედავად მუქი სათვალე ეკეთა და საეჭვოდ იყურებოდა აქეთიქით.

- ოჰ, აი სად ყოფილხარ, ძვირფასო. რა საყვარელი ხარ. დიდი მადლობა. უნდა გავიქცე, თორემ თვითმფრინავზე დამაგვიანდება. ნახვამდის! - მომამახა და ბანკნოტები ხელიდან გამომტაცა.

- რა ხდება? - ვკითხე მე, - აქ რას აკეთებ, ეს ქუჩა აეროპორტისკენ გზად არ არის. როგორ გაიტან თავს საბანკო ბარათის გარეშე? რატომ არ შეუძლია ჯულიოს, ფული გასესხოს? რატომ? რას აპირებ? მითხარი!

წამით შეშინებული მომეჩვენა, თითქოს სადაცაა ატირდებოდა, შემდეგ თვალებით შორეულ წერტილს მიაშტერდა და გულნატკენი პრინცესა დაიანას გამომეტყველება მიიღო.

- კარგად ვიქნები, ძვირფასო, - და განსაკუთრებით გულადად გამიღიმა, - თავს გაუფრთხილდი!

ხმა გაეზარა, სწრაფად გადამეხვია და გაიქცა, თან ქუჩის გადაჭრისას მანქანებს ხელით ანიშნებდა, გზა დამითმეთო.

19:00. ახლახან მოვედი სახლში. მაშ ასე. მშვიდად, მშვიდად. შინაგანი ღირსება. წვნიანი შესანიშნავი გამომივა. უბრალოდ ჯერ ბოსტნეულს მოვხარშავ და, როგორცრეცეპტშია მითითებული, მათგან პიურეს დავამზადებ, შემდეგ კი გემოს მისაცემად წიწილის ჩონჩხს ლურჯ ჟელეს მოვამორებ და ხელახლა წამოვადუღებ წვნიანსა და ნაღებთან ერთად.

20:30. ყველაფერი დიდებულად მიდის. სტუმრები სასტუმრო ოთახში არიან. მარკ დარსი ძალიან თავაზიანია და შამპანური და ბელგიური შოკოლადის ნაკრები მომიტანა. ჯერ მთავარი კერძი არ მომიზადებია, რომ აღარაფერი ვთქვა კარტოფილის პიურეზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან სწრაფად მოვრჩები. ყოველ შემთხვევაში, ჯერ მაინც წვნიანი უნდა გავიტანო.

20:35. ო, ღმერთო! ახლახან ქვაბს თავსახური ავხადე, რომ ძვლები ამომეღო. წვნიანი ღია ცისფერია.

21:00. როგორ მიყვარს ჩემი საყვარელი მეგობრები! ცისფერი წვნიანი დიდსულოვნად მიიღეს, მარკ დარსიმ და ტომმა სიტყვამრავალი არგუმენტებიც კი წარმოადგინეს საკვების სამყაროში ფერებთან დაკავშირებული ცრურწმენების შესახებ. როგორც მარკმა თქვა, მართლაც, რა აუცილებელია ცისფერი წვნიანის უარყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას არ შეუძლია ცისფერი ბოსტნეული წარმოიდგინოს? ბოლოს და ბოლოს, თევზის ჩხირებიც არ არის ბუნებრივად ფორთოხლისფერი (სიმართლე გითხრათ, მიუხედავად ჩემი ძალისხმევისა, წვნიანს გადადუღებული ნალების გემო ჰქონდა, რაც უნამუსო რიჩარდმა ბოროტად შენიშნა. პასუხად მარკ დარსიმ ჰკითხა, რას საქმიანობთო, რამაც ძალიან გამამხიარულა, რადგან უნამუსო რიჩარდი წინა კვირას რესურსების გაფლანგვის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს.). ასეა თუ ისე, არა უშავს. მთავარი კერძი ძალიან გემრიელი იქნება. კარგი, სოუსის მომზადებას მივხედავ – პომიდორი ჩერით.

21:15. ო, ღმერთო. ალბათ ბლენდერში რამე იყო ჩარჩენილი, მაგალითად – სარეცხი სითხე, რადგან პომიდორი ჩერის პიურე აქაფდა და ახლა სამჯერ მეტია, ვიდრე იყო. კარტოფილიც ათი წუთის წინ უნდა მოხარშულიყო და ჯერ კიდევ ქვასავით მაგარია. ნეტავ მიკროტალღურ ღუმელში ხომ არ უნდა შევდო? აჰ, აჰ! მაცივარში შევიხედე და თინუსი იქ არ არის! სად გაქრა თინუსი? სად? სად?

21:30. მადლობა ღმერთს! ჯუდი და მარკ დარსი სამზარეულოში შემოვიდნენ და უშველებელი ომლეტის გაკეთებაში დამეხმარენ, შემდეგ ნახევრად მოხარშული კარტოფილი გაატარეს და ტაფაზე შეწვეს, მობრაწულას სტილში. სურათებიანი წიგნი სასადილო მაგიდაზე წავიღეთ, რომ ყველას ერთად გაგვერკვია, როგორი უნდა ყოფილიყო გრილზე შემწვარი თინუსი. კიდევ კარგი, ფორთოხლის ჯემი მაინც ივარგებს. ფანტასტიკურად გამოიყურება. ტომმა მირჩია, გრან მარნიეს ინგლისური კრემის დამზადებაზე თავი არ შეიწუხო, უბრალოდ დავლიოთო.

22:00. ძალიან მოწყენილი ვარ. მომლოდინედ ვათვალიერებდი მაგიდის გარშემო შემომსხდარ სტუმრებს, როცა პირველ კოვზ ჯემს სინჯავდნენ. სამარცხვინო სიჩუმე ჩამოვარდა.

– ეს რა არის, ძვირფასო? – მკითხა ბოლოს ტომმა, – მარმელადია? თავზარდაცემულმა მეც გავსინჯე ერთი კოვზი. მართლაც მარმელადი აღმოჩნდა, როგორც მან თქვა. გავაცნობიერე, რომ ამდენი წვალეებისა და ხარჯის შემდეგ ჩემს სტუმრებს მივართვი:

ცისფერი წვნიანი
ომლეტი
მარმელადი

კატასტროფული მარცხი განვიცადე. „მიშლენის“ დონის სამზარეულო? უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, საღორის დონის.

არ მეგონა, რომ მარმელადის მერე კიდევ შესაძლებელი იყო, რამე უარესი მომხდარიყო. მაგრამ როგორც კი საშინელი კერძები მაგიდიდან ავალაგე, ტელეფონმა დარეკა. საბედნიეროდ, საძინებელში ვუპასუხე. მამა იყო.

- მარტო ხარ? - მკითხა მან.

- არა, ყველა აქაა, ჯუდი და სხვები. რატომ მეკითხები?

- მე... მინდოდა ვინმე გყოლოდა გვერდით, როცა... ძალიან ვწუხვარ, ბრიჯიტ. ვშიშობ, საშინელი ახალი ამბავი უნდა გითხრა.

- რა? რა მოხდა?

- დედაშენსა და ჯულიოს პოლიცია ეძებს.

2:00. ნორთჰემპტონშირი, ალკონბერების ერთსაწოლიან თავისუფალ ოთახში. უჰ!
ჩავჯექი და ვცადე, მესუნთქა, მამაჩემი კი თუთიყუშივით კიდევ და კიდევ მიმეორებდა:

- ბრიჯ? ბრიჯიტ! ბრიჯიტ!

- რა მოხდა? - მოვახერხე ბოლოს ხმის ამოღება.

- ვშიშობ, რომ მათ უამრავი ადამიანი გააცურეს, მათ შორის - მეც და რამდენიმე ძალიან ახლო მეგობარი, და დიდი თანხა გამოსძალეს. შესაძლოა, და ვლოცულობ, ასე იყოს, დედაშენმა არც იცოდა. გამოძალული თანხის სრულ ოდენობაზე ინფორმაცია არ გაგვაჩნია, თუმცა პოლიციაში ამბობენ, რომ შესაძლოა, დედაშენს გარკვეული პერიოდის ციხეში გატარება მოუხდეს.

- ო, ღმერთო ჩემო. აი, თურმე რატომ მირბოდა პორტუგალიაში ჩემი ორასი სტერლინგით!

- სრულიად შესაძლებელია, ახლა უკვე საზღვრებს მიღმა იყოს.

თვალწინ ჩამიარა კომმარად ქცეულმა მომავალმა: რიჩარდ ფინჩი მაკურთხებს „დილა მშვიდობისას“ „მოულოდნელად მარტოხელას“ დატუსაღებული წამყვანის ქალიშვილად, მაიძულებს პირდაპირ ეთერში ინტერვიუ ავიღო დერეფანში გაჭიმული მომსვლელთა რიგიდან და შემდეგ მოულოდნელად პირდაპირ ეთერში მათავისუფლებს.

- რა ჩაიდინეს?

- როგორც ჩანს, დედაშენს ამოფარებულმა ჯულიომ უნას და ჯოფრის, ნაიჯელს და ელიზაბეტს და მალკოლმს და ელაინს (ო ღმერთო, მარკ დარსის მშობლებს!) საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა მოჰპარა, მრავალი ათასი ფუნტი, რომლითაც საერთოსარგებლობის ბინები უნდა შეეძინათ.

- შენ არ იცოდი?

- არა. როგორც ჩანს, ცოტათი რცხვენოდათ, რომ იმ გადაპრანჭულ მაიმუნთან დაიჭირეს საქმე, რომელმაც მათ ერთერთ საუკეთესო მეგობარს რქები დაადგა, ამიტომ ჩემთან ამ გარიგების ხსენებას თავს არიდებდნენ.

- აბა, მაშ რა მოხდა?

- საერთო სარგებლობის ბინები ბუნებაში არ არსებულა. დედაშენის და ჩემი დანაზოგებიდან ერთი პენიც კი აღარ დარჩა. საკმაოდ უჭკუო აღმოვჩნდი, როცა სახლი მის სახელზე გავაფორმე და მანაც იპოთეკით დატვირთა. დავილუპეთ - ლატაკი უსახლკაროები ვართ, ბრიჯიტ, და დედაშენს რიგითი დამნაშავესავით ეძებენ.

ამ სიტყვებზე მამა აქვითინდა. ტელეფონთან უნა მოვიდა და მითხრა, რომ დამამშვიდებელს დააღვეინებდა. ვუთხარი, ორ საათში მანდ გავჩნდებიმეთქი, მაგრამ მირჩია, სანამ შოკი არ გადაგივლის, საჭესთან არ დაჯდე, ახლა მაინც ველარაფერს გახდები და დილამდე დაიცადეო. ყურმილი რომ დავდე, კედელს მიყრდნობილი იატაკისკენ ჩავცურდი, თან თავს ვითათხავდი იმისთვის, რომ სიგარეტი სასტუმრო ოთახში დავტოვე. სწორედ ამ დროს ჯუდი შემოვიდა ხელში გრან მარნიეს ჭიქით.

- რა მოხდა? - იკითხა მან.

ყველაფერი ვუამბე და მისი გრან მარნიე პირდაპირ ჩავიპირქვავე ხახაში. ჯუდს სიტყვაც არ უთქვამს, მაშინვე წავიდა და მარკ დარსი მოიყვანა.

- ჩემი ბრალია, - თქვა დარსიმ და თითები თმაში ნერვიულად შეიცურა, - უფრო ნათლად უნდა გამომეთქვა ჩემი აზრი მღვდლებისა და მეძავების წვეულებაზე. ვხვდებოდი, რომ ჯულიო რაღაცას მალავდა.

- რას გულისხმობთ?

- ყვავილნართან მისი სატელეფონო საუბარი მოვისმინე. არ იცოდა, რომ მესმოდა. რომ მცოდნოდა, ამაში ჩემი მშობლებიც იყვნენ გარეული, მე... - მან თავი გააქნია, - ახლა, ამაზე რომ ვფიქრობ, მაგონდება, ერთხელ დედაჩემმა რაღაც ახსენა, მაგრამ ისე გამანერვიულა სიტყვების „საერთო სარგებლობის“ ხსენებამ, რომ, ალბათ, შევაშინე და გაჩუმდა. ახლა სად არის დედათქვენი?

- არ ვიცი. პორტუგალიაში? რიოდე ჟანეიროში? იქნებ, სილამაზის სალონში? ის ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა და ბარისტერისთვის შესაფერისად დამაყარა კითხვები.

- როგორ ცდილობენ მის პოვნას? რა თანხაზეა საუბარი? როგორ გამოირკვა ეს ამბავი? რას აკეთებს პოლიცია? ვინ იცის კიდევ ამის შესახებ? ახლა სად არის მამათქვენი? ხომ არ გინდათ მასთან წასვლა? ნებას მომცემთ, მე წაგიყვანოთ?

უნდა გამოგიტყდეთ, საოცრად სექსუალური იყო.

ჯუდი ყავით ხელში გამოჩნდა. მარკმა გადაწყვიტა, ყველაფერს აჯობებს, ჩემმა მძლოლმა ორივენი გრაფტონ ანდერვუდში წაგვიყვანოთო და სულ რაღაც წამით მოულოდნელი მადლიერება ვიგრძენი დედაჩემისადმი. როდესაც უნასა და ჯოფრისთან ჩავედით, ყველაფერი ძალიან დრამატულად მოხდა. ალკონბერები და ენდერბები აცრემლებულები დარბოდნენ სახლში, მარკ დარსი კი ბოლთას სცემდა და აქეთიქით რეკავდა. ვიგრძენი, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, რადგან, მიუხედავად შიშისა, ძალიან მსიამოვნებდა ის ფაქტი, რომ ჩვეულებრივი საქმეები ყველამ გვერდზე გადადო, განსაკუთრებული შემთხვევის გამო უფლება გვქონდა ხერესის სავსე ჭიქები გვესვა და ორაგულისპაშტეტის სენდვიჩები გვეჭამა, თითქოს შობა ყოფილიყო. სწორედ ასეთი შეგრძნება მქონდა მაშინაც, როცე ბეზიას შიზოფრენიამ მოუარა, ყველაფერი გაიხადა, პენი ჰაზბენდსბოსვორთის ორანჟერეაში შევარდა და იქიდან გამოსაყვანად პოლიციამ ალყა შემოარტყა.

ოთხშაბათი, 22 ნოემბერი

8.10 სტ (ვაშაა!), ალკოჰოლის ერთეული – **3**, სიგარეტი – **27** ღერი (სრულიად გასაგები მიზეზების გამო, დედა ხომ დამნაშავეა), კალორია – **5671** (ღმერთო, მგონი ისევ დამიბრუნდა მადა), მომენტალური ლატარიის ბილეთი – **7** (ალტრუსტული მცდელობა, ამოვიგო ყველას ფული, თუმცა შეიძლება ყველას სრულად არც დავუბრუნო, თუ კარგად დავფიქრდები), საერთო მოგება – **10** ფუნტი, საერთო მოგებიდან სარგებელი – **3** (როგორღაც ხომ უნდა დაიწყო ადამიანმა).

10:00. ღამისთევისაგან ძალაგამოლეული, სახლში დავბრუნდი. ყველაფერთან ერთად, სამსახურში ვარ წასასვლელი და დაგვიანებისთვის გამომთათხავენ. მამა ცოტათი გონს მოსულს ჰგავდა, როცა მოვდიოდი; ხასიათი გამუდმებით ეცვლებოდა ველური სიხარულიდან (იმის გამო, რომ ჯულიომ საკუთარი ნაძირლობა დაამტკიცა და ახლა შესაძლოა დედა დაბრუნდეს დ მასთან ერთად ახალი ცხოვრება დაიწყოს) ღრმა დეპრესიამდე (რომ ახალი ცხოვრების გატარება, ძირითადად, ციხეში პატიმრის მოსანახულებლად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაში მოუწევს). მარკ დარსი რამდენიმე საათში ლონდონში დაბრუნდა. ავტომოპასუხეზე შეტყობინება დავუტოვე, მადლობას ვუხდიდი დახმარებისთვის და საერთოდ, ყველაფრისთვის, მაგრამ პასუხად არ გადმოურეკავს. ვერ დავადანაშაულებ. ნაძლევს დავდებ, რომ ნატაშა ან მისი მსგავსი ქალები ცისფერ წვნიანს არ აჭმევდნენ და მერე დამნაშავის ქალიშვილი არ აღმოჩნდებოდნენ.

უნამ და ჯოფრიმ მითხრეს, მამაშენზე არ ინერვულო, ბრაიანი და მევისი აპირებენ დარჩენას და მის მოვლაში მოგვეხმარებიანო. მოულოდნელად დამაინტერესა, რატომ ვამბობთ ყოველთვის „უნას და ჯოფრის“ და არა „ჯოფრის და უნას“, მაშინ, როცა სხვები „მალკოლმი და ელაინი“ და „ბრაიანი და მევისი“ არიან? და კიდევ, მეორე მხრივ „ნაიჯელ და ოდრი კოულსები“. სწორედ ისევე, როგორც არასოდეს ვამბობთ „ჯოფრი და უნა“ ასევე, საპირისპიროდ, არავინ არასოდეს იტყვის „ელაინი და მალკოლმი“. რატომ? რატომ?

საკუთარი თავი გამოვიჭირე, რომ ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ იტყოდნენ მრავალი წლის შემდეგ შერონი და ჯუდი (თან საკუთარ ქალიშვილებს თავს მოაბეზრებდნენ): „იცნობ ბრიჯიტს და მარკს, ძვირფასო, დიდ სახლში რომ ცხოვრობენ ჰოლანდ პარკში და შვებულებებს კარიბის ზღვაზე ატარებენ“. სწორედ ასე. ეს იქნება „ბრიჯიტი და მარკი“. ბრიჯიტი და მარკ დარსი. დარსები. და არა მარკ და ბრიჯიტ დარსები.

ღმერთმა დამიფაროს. რა სისულელეებს ვროშავ! მოულოდნელად, როცა გავაცნობიერე, რომ მარკ დარსიზე ამ მხრივ ვფიქრობდი, ისეთივე თავზარი დამეცა, როგორიც „მუსიკის ჰანგებიდან“ მარიას კაპიტან ფონ ტრაპთან ცეკვის შემდეგ, ამიტომ უნდა გავიქცე და დედა წინამძღვარი ვნახო, რომელიც მიმღერებს „აიარე ყველა მწვერვალი“.

პარასკევი, 24 ნოემბერი

8.13 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **4** (მაგრამ პოლიციის თანდასწრებით ვსვამდი, ასე რომ, არა უშავს), სიგარეტი – **0** ღერი, კალორია – **1760**, ზარები **1471**ზე რომ გამეგო, მარკ დარსის ხომ არ დაურეკავს – **11**.

22:30. ყველაფერი ცუდიდან უარესობისკენ მიდის. ვფიქრობდი, დედაჩემის დანაშაულის ერთადერთი დადებითი მხარე ის იქნება, რომ მე და მარკ დარსის დაგვაახლოებს-მეთქი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ალკონბერების სახლიდან წავიდა, მის შესახებ აღარაფერი მსმენია. ახლახან ჩემსავე ბინაში პოლიციელებმა დამკითხეს. ისე ვიქცეოდი, როგორც ის ადამიანები, ვისაც ტელევიზიაში სთხოვენ ინტერვიუს მათი სახლის წინა ბაღში თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემდეგ – საინფორმაციო საშუალებებიდან, ან რაიმე მსგავსიდან ნასესხები ოფიციალური ფრაზებით ვმეტყველებდი. დავაფიქსირე, რომ დედაჩემი აღვწერე, როგორც „კავკასიური რასის წარმომადგენელი“ და „საშუალო აღნაგობის ქალი“.

თუმცა, პოლიციელები უზომოდ მომხიბლავები და დამაჯერებლები იყვნენ. საკმაოდ გვიან დაიწყეს დაკითხვა და ერთ-ერთმა დეტექტივმა ისიც თქვა, რომ როცა აქვე მოხვდებოდა, კიდევ შემომირბენდა და გამაგებინებდა, როგორ წავიდოდა საქმე. მართლაც ძალიან მეგობრული ვინმე იყო.

შაბათი, 25 ნოემბერი

9 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **2** (ხერესი, უჰ!), სიგარეტი – **3** ღერი (ალკონბერების ფანჯრიდან გავაბოლე), კალორია – **4567** (სულ კრემების და ორაგულის პაშტეტებიანი სენდვიჩებისგან), ზარები **1471**ზე, რომ გავიგო, მარკ დარსის ხომ არ დაურეკავს – **9** (კ.). მადლობა ღმერთს! დედამ მამას დაურეკა. როგორც ჩანს, უთხრა, არ ინერვიულოთ, უსაფრთხოდ ვარ და ყველაფერი კარგად იქნებაო, და მაშინვე დაკიდა. უნას და ჯოფრის სახლში მყოფმა პოლიციელებმა ზარის კვალი დაიჭირეს, როგორც „ტელმა და ლუიზაშია“. („ტელმა და ლუიზა“ – რიდლი სკოტის **1991** წლის ფილმი, რომლის პერსონაჟ ქალებსაც ფილმის ბოლოს პოლიცია დასდევს.) თქვეს, რომ ნამდვილად პორტუგალიიდან რეკავდა, მაგრამ კონკრეტულად საიდან, ვერ დააფიქსირეს. როგორ მინდა, მარკ დარსიმ დარეკოს.

ნათელია, ის ჩემმა კულინარიულმა კატასტროფამ და ოჯახის დამნაშავე წევრმა დააფრთხო, მაგრამ მეტისმეტად ზრდილობიანია, რომ ახლა ეს გამოამჟღავნოს. ჩვენი დამაკავშირებელი საბავშვო საცურაო აუზის მნიშვნელობა ალბათ ხუნდება ბრიჯიტის საბავშვო დედიკოსგან საკუთარი მშობლების გამარცვასთან შედარებისას. დღეს შუადღისთვის მამას ნახვას ვაპირებ, ყველა მამაკაცისგან მიტოვებული ტრაგიკული შინაბერას იმიჯი მექნება ნაცვლად იმ საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რომელსაც ფანტაზიებში ვეჩვეოდი: ჩემს მანქანას მძლოლი ატარებს და გვერდით საუკეთესო ადვოკატი მიზის.

13:00. ვაშა! ვაშაა! უკვე გასვლას ვაპირებდი, როცა ტელეფონმა დარეკა, მაგრამ ყურმილში ზუზუნის გარდა არაფერი მესმოდა. შემდეგ ისევ დარეკეს. მარკი იყო,

პორტუგალიიდან რეკავდა. რა საოცრად ბრწყინვალე და კეთილი საქციელია მისგან! როგორც აღმოჩნდა, მთელი კვირის განმავლობაში საკუთარ საადვოკატო საქმეებს შორის პოლიციასთან თანამშრომლობდა, გუშინ კი ალბუფერაში გაემგზავრა. იქაურმა პოლიციამ დედაჩემი იპოვა და მარკის აზრით, ამ საქმიდან გამოძვრება, რადგან სრულიად ნათელია, რომ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ჯულის მაქინაციებზე. ისინი თანხის ნაწილის კვალზეც გავიდნენ, მაგრამ ჯულის ადგილსამყოფელი ჯერ კიდევ არ იციან. დედა ამაღამ ბრუნდება, მაგრამ პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში წასვლა მოუწევს, სადაც დაჰკითხავენ. მარკმა მითხრა, არ ინერვულო, სავარაუდოდ ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ თუ რამე გართულდა, უკვე მოლაპარაკებულები არიან გირაოთი გამოშვების თაობაზე. შემდეგ საერთაშორისო ზარი გამოგვირთეს, მადლობის თქმაც კი ვერ მოვასწარი. სასოწარკვეთილმა გადავწყვიტე, ტომისთვის დამერეკა და ამ ფანტასტიკურ ახალ ამბავზე ყველაფერი მომეყოლა, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ დედას შესახებ არავის უნდა სცოდნოდა, თანაც, საუბედუროდ, როცა უკანასკნელად ტომთან მარკ დარსის შესახებ ვისაუბრე, თუ სწორად მახსოვს, მას საზიზღარი დედიკოს ბიჭი ვუწოდე.

კვირა, 26 ნოემბერი

9.1 სტ, ალკოჰოლის ერთეული – 0, სიგარეტი – 1/2 ღერი (მეტის შანსი აღარ მომეცა), კალორია – ღმერთმა უწყის, დედაჩემის მოკვლის სურვილზე დახარჯული წუთების რაოდენობა – 188 (მიახლოებითი გამოთვლით).

კომმარული დღე. თავიდან ველოდი, რომ დედა გუშინ ღამით დაბრუნდებოდა, შემდეგ ამ დილით, შემდეგ ამ შუადღეს და სამჯერ კინალამ გავემგზავრე გატვიკში, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ამ საღამოს ჩამოდის, თანაც ლუტონში და პოლიციის ზედამხედველობით.

მე და მამა ვემზადებოდით, რომ თანაგვეგრძნო, გვეგონა დედა, რომელსაც დავხვდებოდით, სრულიად განსხვავებული იქნებოდა იმ პიროვნებისგან, ვინც ბოლოს ვნახეთ, გულუბრყვილოდ გვწამდა, რომ დათრგუნავდა ყველაფერი ის, რისი გადატანაც ბოლო დროს მოუხდა.

– ხელი გამიშვით, სულელებო, – გაიწკრილა ხმამ ჩამომსვლელთა ჰოლიდან, – ახლა ბრიტანეთის მიწაზე ვარ, სადაც მიცნობენ და სულაც არ მინდა, ვინმემ დამინახოს, როგორ მომათრევენ პოლიციელები. ოჰ, იცით, რა? მგონი, ჩემი შლაპა თვითმფრინავში დამრჩა, სავარძლის ქვეშ.

ორმა პოლიციელმა თვალები გადაატრიალა, როცა სამოციანი წლების შავთეთრ კოსტიუმში, სათვალესა და თავსაბურავში გამოწყობილი (როგორც ჩანს, საგულდაგულოდ მოემზადა, რომ მისი სამოსი პოლიციის ფორმისთვის შესაბამისი ყოფილიყო) დედა ბარგის მისაღებ დარბაზში შევარდა. კანონის დამცველები დაქანცული გამომეტყველებით მიჰყვნენ. ორმოცდახუთი წუთის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ერთერთ პოლიციელს მისი ჩალის შლაპა მოჰქონდა.

სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა, როცა პოლიციის მანქანაში დედას ჩასმან სცადეს. თვალცრემლიანი მამა თავის „სიერაში“ იჯდა, საჭესთან, მე კი ვცდილობდი,

დედისთვის ამეხსნა, რომ ვალდებული იყო, განყოფილებაში წასულიყო და გაერკვია, რაიმე სასჯელი ხომ არ ელოდა, მაგრამ ის თავისებურად აგრძელებდა:

- ოჰ, ნუ სულელობ, ძვირფასო, აქეთ მოდი. ეს რა გაქვს სახეზე? ცხვირსახოცი არ გაქვს?

- დედა, - გაპროტესტება ვცადე, როცა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ნერწყვით დაასველა, - შეიძლება სისხლის სამართლის დამნაშავედ გალიარონ, - ისევ შევეწინააღმდეგე, როცა ცხვირსახოცით სახის გაწმენდა დამიწყო, - ჩემი აზრით, უხმაუროდ უნდა გაჰყვე ამ პოლიციელებს განყოფილებაში.

- ვნახოთ, ძვირფასო. იქნებ ხვალ შევიარო, როცა ბოსტნეულის კალათას გავასუფთავებ. ორი ფუნტი კარტოფილი დავტოვე წასვლის წინ, ნამღვეს ჩამოვალ, დაღპებოდა. ასევე, სანამ წასული ვიყავი, ნარგავებს არავინ უვლიდა და, დაგენაძლევები, უნას გათბობა ჩართული დარჩებოდა.

მხოლოდ მას შემდეგ გაჩუმდა და პოლიციელებს უფლება მისცა მანქანაში, უკანა სავარძელზე მოეთავსებინათ, რაც მამა მოგვიახლოვდა და უხემად უთხრა, რომ სახლი და მასთან ერთად ბოსტნეულის კალათაც ჩამოართვეს.

ორშაბათი, 27 ნოემბერი

9.1 სტ, ალკოჰოლის ერთეული - **0**, სიგარეტი - **50** ღერი (დიახაც! დიახაც!), ზარები **1471**-ზე იმის გასაგებად, ხომ არ დარეკა მარკ დარსიმ - **12**, ძილის საათები - **0**.

9:00. სამსახურში წასვლამდე სწრაფსწრაფად ვეწევი. დარდისგან განადგურებული ვარ. წუხელ მე და მამას ორი საათი გვაცდევინეს პოლიციის განყოფილების წინ, გრძელ ქუჩის სკამზე. ბოლოს დერეფნიდან ხმა გავიგეთ, რომელიც გვიახლოვდებოდა:

- დიახ, ეს სწორედ მე ვარ! „მოულოდნელად მარტოხელა“, ყოველ დილით. რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით. კალამი ხომ არ გექნებათ? აი, აქ? ვის სახელზე დავწერო? ოჰ, თქვე ცელქო კაცო! ვერც წარმოიდგენთ, როგორ ვოცნებობდი მომესინჯა ერთ-ერთი ასეთი...

- ოჰ, აი სად ყოფილხარ, მამილო, - კუთხეში გამოჩენისას დედას თავზე პოლიციელის ქუდი ეხურა, - მანქანა გართაა? იცი, ვკვდები, ისე მინდა დროულად მივიდე სახლში და ჩაიდანი ქურაზე შემოვდგა. უნას წამმზომის ჩართვა ხომ არ დაავიწყდა?

მამა არეული, შემფოთებული და საგონებელში ჩავარდნილი ჩანდა, უკეთესად არც მე ვგრძნობდი თავს.

- ყველაფერმა კარგად ჩაიარა? - ვკითხე.

- ოჰ, ნუ სულელობ, ძვირფასო! კარგად ჩაიარა? მე რა ვიცი! - მან თვალები გადაატრიალა უფროსი გამომძიებლისაკენ და კარში ძალით მიბიძგა. დეტექტივი ისე წითლდებოდა და თავს ისე დასტრიალებდა, არც კი გამიკვირდებოდა, თუ გავიგებდი, რომ დედა ამ ისტორიიდან დაკითხვის ოთახში მისი სექსუალური დაკმაყოფილებით გამოძვრა.

- საბოლოოდ, რა მოხდა? - ვკითხე, როცა მამამ „სიერას“ საბარგო განყოფილებაში მთელი მისი ჩემოდნების, ქუდების, ჩალის ვირის („მითხარი, ხომ შესანიშნავია?“) და კასტანეტების ჩალაგება დაასრულა და ძრავა დაქოქა. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი,

დედასთვის უფლება არ მიმეცა, ახსნაგანმარტებისთვის თავი აერიდებინა, მთელი ეს ისტორია ჩაეფარცხა და ისევ ჩვენთან მბრძანებლობა დაეწყო.

- ახლა უკვე ყველაფერი გარკვეულია, ძვირფასო, უბრალოდ, სულელური გაუგებრობა იყო. მანქანაში ვინ ეწეოდა?

- რა მოხდა, დედა? - გამაფრთხილებლად ვკითხე, - რა მოხდა ამდენი ფულისა და საერთო სარგებლობის ბინების თაობაზე? სად წავიდა ჩემი ორასი გირვანქა სტერლინგი?

- ბრრრ! უბრალოდ სულელური პრობლემა შეიქმნა დაგეგმარების ნებართვის გამო. იცი, პორტუგალიელი ჩინოვნიკები ძალიან კორუმპირებულები არიან. მექრთამეობა და ფეხის ქირის გამოძალვა მძვინვარებს. ამიტომ ჯულიომ უბრალოდ ყველა დეპოზიტი უკან დააბრუნა. ბრწყინვალე არდადეგები გვქონდა, ნამდვილად! მართალია, ამინდი ცოტა არეული იყო, მაგრამ...

- სად არის ჯულიო? - დაეჭვებულმა ვკითხე.

- ოჰ, ის პორტუგალიაში დარჩა, რომ ნებართვა აიღოს.

- ჩემს სახლს რა ეშველება? - ჩაერთო მამა, - ან ჩვენს დანაზოგს?

- არც კი ვიცი, რაზე ლაპარაკობ, მამილო. სახლს არაფერი სჭირს.

თუმცა, დედასთვის საუბედუროდ, როცა გებლსში ჩავედით, სახლის ყველა საკეტი შეცვლილი დაგვხვდა, ამიტომ ისევ უნასა და ჯოფრისთან დავბრუნდით.

- ოოჰ, იცი რა, უნა, ისეთი გადაქანცული ვარ, მგონი, ახლავე დასაძინებლად უნდა წავიდე, - გამოაცხადა დედამ, როგორც კი შემფასებლური მზერა შეავლო გულისწყრომით აღსავსე სახეებს, გამხმარ ყვავილებსა და ჭარხლის გამომშრალ ნაჭრებს. მამას ტელეფონმა დაურეკა.

- მარკ დარსი იყო, - თქვა მამამ, როცა დაბრუნდა. გული ყელში მომეხჯინა და სახის ნაკვეთების დამორჩილება ვცადე, რომ ჩემი მღელვარება არ გამეცა, - ალბუფეირაშია. როგორც ჩანს, გარიგება მოახერხა იმ... იმ... გადაპრანჭულ მაიმუნთან და თანხის ნაწილის დაბრუნება მოახერხა. ჩემი აზრით, გებლსის დაბრუნება შეგვეძლება... ამ სიტყვებზე ყველას შვების ოხვრა აღმოხდა და ჯოფრიმ წაილიღინა: - ის მართლაც შესანიშნავი ახალგაზრდაა.

ველოდი, რომ უნა ჩემ შესახებაც იტყოდა რაიმე სასიამოვნოს, მაგრამ - სულ ტყუილად. ასეც ვიცოდი. როგორც კი გადავწყვიტე, რომ მარკ დარსი მომწონს, ყველამ მაშინვე შეწყვიტა მისი ჩემთვის გარიგების მცდელობა.

- შენთვის მეტისმეტად ბევრი რძე ხომ არ ჩავასხი, კოლინ? - უნამ მამას ფორთოხლის ყვავილით მორთული რძიანი ჩაის ჭიქა გადააწოდა.

- არ ვიცი... არ მესმის, რატომ... არც კი ვიცი, რა ვიფიქრო, - თქვა შეწუხებულმა მამამ.

- მისმინე, სანერვიულო სრულიად არაფერია, - უნა უჩვეულოდ მშვიდი და თავდაჭერილი იყო, და მოულოდნელად მასში ნამდვილი დედა დავინახე, როგორც მე არასოდეს მყოლია, - უბრალოდ, მეტისმეტად ბევრი რძე ჩავასხი. ახლა ცოტას გადავაქცევ და მდულარე წყალს დავამატებ.

როცა, როგორც იქნა, ამ სულისშემძვრელ სცენას მოვწყდი და გავემგზავრე, ლონდონისკენ გზად მანქანას მეტისმეტად სწრაფად ვატარებდი და სულელურიპროტესტის ნიშნად სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი.

დეკემბერი ღმერთო ჩემო!

ორშაბათი, 4 დეკემბერი

9.2 სტ (ჰმ! საშობაო მუცლის ამოყორვამდე უნდა მოვასწრო წონის დაკლება), ალკოჰოლის ერთეული – **3** (ზომიერი), სიგარეტი – **7** ღერი (წმინდანი ვარ!), კალორია – **3876** (ოჰ, რა ძნელია), ზარები **1471**ზე, რომ ვნახო, დარეკა თუ არა მარკ დარსიმ – **6** (კ).

ახლახან მაღაზიაში ვიყავი და აღმოვაჩინე, რომ ანგარიშმიუცემლად ნაძვის ხეებზე, ბუხრისპირზე, საშობაო საგალობლებზე, ტკბილ ღვეზელებზე და ა.შ. ვფიქრობდი. შემდეგ გავაცნობიერე, რატომაც. სავენტილაციო ხვრელებიდან, საიდანაც, ჩვეულებრივ, ახალგამომცხვარი ცომეულის უგემრიელესი სუნი მოდის, ახლა ტკბილი ღვეზელების სურნელი იფრქვეოდა. რა ცინიზმია, დაჯერებაც არ მინდა! ვენდი კოპის ჩემი საყვარელი ლექსი გამახსენდა, რომელიც ამბობს:

ციცქნა ეჟვნების წკრიალსა ჰგავს ყრმათა სიცილი,

შობის ღამეა, ვის აშინებს ზამთრის სიცივე?

როცა მშობლები გულითადად მასლაათობენ

მარტოყოფნაა, გულს ტკივილით რომ აათრთოლებს.

მარკ დარსისგან ისევ არაფერი მსმენია.

სამშაბათი, 5 დეკემბერი

9.2 სტ (კარგი, მართლა ვაპირებ დღეს დიეტის დაწყებას), ალკოჰოლის ერთეული – **4** (სადღესასწაულო სეზონის გახსნა), სიგარეტი – **10** ღერი, კალორია – **3245** (უკეთესია), ზარები **1471**ზე – **6** (სტაბილური პროგრესი).

დროდადრო თავგზას მირევს გაზეთებიდან გადმოვარდნილი „სტოკინგ ფილა“ (**Stocking filler** – მომცრო ზომის სათამაშოები, საჩუქრები და ტკბილეული, რომლებიც შესანიშნავია საშობაო წინდაში ჩასადებად.) კატალოგები. განსაკუთრებით მომწონს ლითონის გაპრიალებული, ფარის ფორმის სათვალის ჩასადები ბუდე: „მალიან ხშირად სათვალეს უბრალოდ მაგიდაზე ვდებთ, და უბედური შემთხვევაც არ ახანებს“. რთულია, არ დაეთანხმო. ნატიფი დიზაინის გასაღების ასხმულაზე ჩამოსაკიდი ფარანი „შავი კატა“, რომელსაც მარტივი მექანიზმი აქვს, „ის განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებს ნებისმიერი კატის მოყვარულის გასაღების ასხმულას“. ბონსაის ნაკრები! ვაშა! „გაიწაფეთ ბონსაის უძველეს ხელონებაში ამ ქოთნებისა და სპარსული ვარდისფერი აბრეშუმის ხის ნერგების საშუალებით“. შესანიშნავია, ნამდვილად შესანიშნავი.

თავს ვერ ვიკავებ – სევდა მიპყრობს იმის გამო, რომ ჩემსა და მარკ დარსის შორის აღმოცენებული რომანტიკული ვარდისფერი აბრეშუმის ხის ნერგები დედაჩემმა და მარკო პიერ ვაითმა გათელეს, მაგრამ ვცდილობ, ამას ფილოსოფიურად შევხედო. იქნებ მარკ დარსი მეტისმეტად სრულყოფილი, წმინდა და გაშალაშინებულია ჩემთვის მთელი თავისი ნიჭიერებით, გონიერებით, არამწველობით, არამსმელობით და მძლოლებიანი მანქანებით. იქნებ მიწერია, ვიყო ვინმე უფრო ველურთან, მიწიერსა და მოღალატესთან. მაგალითად, მარკო პიერ ვაითის მსგავსთან, ან, უბრალოდ, პირველივე სახელი რომ ავიღოთ, დენიელთან. ჰმმ! კარგი. უბრალოდ ცხოვრება უნდა გავაგრძელო და ვეცადო, საკუთარი თავი არ შევიბრალო.

ახლახან შერონს დავურეკე, რომელმაც მითხრა, არავის განუსაზღვრავს, რომ მაინცდამაინც მარკო პიერ ვაითს უნდა ხვდებოდე, და, მით უმეტეს, დენიელსო. ერთადერთი რამ, რაც ქალს შენს ასაკსა და ჩვენს დროში სჭირდება, საკუთარი თავიაო. ვაჰა!

2:00. რატომ არ დამირეკა მარკ დარსიმ? რატომ? რატომ? მიუხედავად იმისა, რომ სასოწარკვეთილი ვცდილობ საპირისპიროს, მაინც გერმანული ნაგაზი შემჭამს, როცა მოვკვდები. რატომ, ღმერთო, რატომ მაინცდამაინც მე?

პარასკევი, 8 დეკემბერი

9.5 სტ (კატასტროფა), ალკოჰოლის ერთეული - **4** (კ), სიგარეტი - **12** ღერი (ბრწყინვალე), საშობაო საჩუქრები - **0** (ცუდი), გაგზავნილი ბარათი - **0**, ზარები **1471**ზე - **7**.

16:00. ჰმ. ახლახან ჯუდმა დამირეკა და დამშვიდობებამდე მითხრა:

- რებეკასთან შევხვდებით, კვირას.
- რებეკასთან? კვირას? რა ხდება რებეკასთან?
- ოჰ, არ უთქვამს? ის უბრალოდ პატარა... მგონი, რაღაც წინასაშობაო სადილს აწყობს.
- არა უშავს, მაინც დაკავებული ვარ კვირას, - მოვატყუე. ბოლოს და ბოლოს საშუალება მექნება, მტვრით გამოტენილ კუთხეებს მივხედო. მეგონა, რებეკასთვის მე და ჯუდი თანაბრად ახლო მეგობრები ვიყავით, რატომ დაპატიჟა ის და მე არა?

21:00. კაფეში შევირბინე, რომ ხასიათზე მოსასვლელად შერონთან ერთად ღვინო დამელია და მან მკითხა:

- რის ჩაცმას აპირებ რებეკას წვეულებაზე?
- წვეულებაზეო? ესე იგი, ეს წვეულებაა და არა უბრალოდ სადილი. შუალამე. არა უშავს. ამაზე გული არ უნდა დამწყდეს. ეს ისეთი რამაა, რასაც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ადამიანებს უფლება უნდა ჰქონდეთ, საკუთარ წვეულებებზე ის ხალხი დაპატიჟონ, ვინც თვითონ უნდათ, ისე, რომ ამან ვიღაცა არ გაანაწყენოს.

5:30. რატომ არ დამპატიჟა რებეკამ თავის წვეულებაზე? რატომ? რატომ? კიდევ რამდენი წვეულებაა დაგეგმილი, სადაც ყველა დაპატიჟებულია ჩემ გარდა? დაგენადღეებით, რომ ახლაც ერთერთ მათგანზეა ყველა, იცინიან და ძვირად ღირებულ შამპანურს მიირთმევენ. არავის მოვწონვარ. შობა ჩემთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება, არსად დამპატიჟებენ და მოწყენილობით მოვკვდები, გარდა ოცი დეკემბრისა, როცა სამგან ვარ მიწვეული და გარდა ამისა, მთელი საღამო მონტაჟი მაქვს დანიშნული.

შაბათი, 9 დეკემბერი

საშობაო წვეულებები, რომლებსაც მოუთმენლად ველოდები – 0

7:45. დედამ გამაღვიძა.

– გამარჯობა, ძვირფასო. უცებ დაგირეკე, რადგან უნამ და ჯოფრიმ მკითხეს, რას ისურვებს შობასო და მაინტერესებს, სახის მასაჟზე რა აზრისა ხარ.

როგორ მოახერხა დედაჩემმა ყველას თვალში შერცხვენისა და მრავალწლიანი პატიმრობისთვის თავის გაჭირვებით არიდების შემდეგ ყოველდღიურ ცხოვრებაში ისე დაბრუნება, თითქოს აქ არაფერიაო, თანაც ისე, რომ იმ დღეს ღიად ეფლირტავებოდა პოლიციელს და მეც ძველებურად მტანჯავს?

– სხვათა შორის, ხომ მოდიხარ... – წამით გული ამიჩქარდა და ვიფიქრე, რომ წინადადებას დაასრულებდა სიტყვები „ინდაურის წვეულებაზე უნასა და ჯოფრისთან“ და ძველებურად მოაყოლებდა საუბარში მარკ დარსის, მაგრამ ასე არ მოხდა, – „ვიბრანტ TV-ს“ წვეულებაზე სამშაბათს? – განაგრძო მხიარულად.

დამცირებისგან გამაკანკალა. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ „ვიბრანტ TV-ში“ ვმუშაობ!

– არავის მივუწვევივარ, – ამოვილულლულე. იმაზე ცუდი არაფერია, როცა დედასთან უნდა აღიარო, რომ არც ისეთი პოპულარული ხარ.

– ოჰ, ძვირფასო, რასაკვირველია, მიწვეული ხარ. ყველა მოდის.

– მე არ მივუწვევივარ.

– კარგი, შესაძლებელია, არც ისე დიდი ხანია მუშაობ. მერე რა...

– მაგრამ, დედა, – გავაწყვეტინე, – შენ საერთოდ არ მუშაობ იქ.

– ეს სულ სხვა საქმეა, ძვირფასო. კარგი, უნდა გავიქცე. ნახვამდიის!

9:00. როცა ფოსტა მივიღე, წამით მომეჩვენა, რომ ჰორიზონტზე ოაზისი გამოჩნდა წვეულებაზე მოსაწვევის სახით, მაგრამ ეს მხოლოდ მირაჟი აღმოჩნდა – ძვირად ღირებული თვალის ჩრდილების ფასდაკლებაზე მეპატიჟებოდნენ.

11:30. არანორმალურად სასოწარკვეთილმა ტომს დავურეკე, რომ გამეგო, ამაღამ სადმე ხომ არ წამოვიდოდა გასართობად.

– მაპატიე, – დაიჟღურტულა მან, – მე და ჯერომი წვეულებაზე მივდივართ ამაღამ „გრუჩო კლავში“.

ღმერთო, როგორ ვერ ვიტან, როცა ტომი ბედნიერი და თავდაჯერებულია და ჯერომთან კარგად გრძნობს თავს. ბევრად მირჩევნია, როცა საცოდავი, დაეჭვებული და ნევროტულია. როგორც თვითონ ამბობს ხოლმე ხშირად, „ყოველთვის სასიამოვნოა, როცა ჩვენ კი არა, სხვა ადამიანებს მისდით საქმე ცუდად“.

– არა უშავს, ხვალ გნახავ, – წამოისროლა უცებ, – რებეკასთან.

ტომი მხოლოდ ორჯერ თუ შეხვედრია რებეკას, ორივეჯერ ჩემს სახლში, მე კი მაგ ქალბატონს ცხრა წელია ვიცნობ! გადავწყვიტე, დარდის გასაფანტად საყიდლებზე წავსულიყავი.

14:00. „გრემ ენდ გრინში“ რებეკას გადავაწყდი, **169** ფუნტიან შარფს ყიდულობდა (რა ემართებათ ამ შარფებს? ერთ წუთში თუ უბრალოდ წინდის შესავსები საჩუქრების

რანგში გადიან და **9.99** ფუნტად ფასობენ, მეორე წუთში მოდური ხავერდისგან იკერებიან და ტელევიზორის ფასი ადევთ. მომავალ წელს ალბათ იგივე დაემართება წინდებს ან ტრუსებს და თავს ჩამორჩენილებად ვიგრძნობთ, თუ არ გვეცმევა ინგლისური ექცენტრული კნიკერსები შავი ხავერდის ტექსტურით, რომელიც **145** ფუნტი ეღირება).

- გამარჯობა, - მივესალმე აღელვებული, მეგონა, როგორც იქნა, დასრულდებოდა ეს წვეულებასთან დაკავშირებული კომმარი და ისიც მეტყოდა „კვირას შევხვდებით“.

- ოჰ, გამარჯობა, - ცივად მიპასუხა და თვალი ამარიდა, - მაპატიე, ვერ გავჩერდები, ძალიან მეჩქარება.

როცა მაღაზიიდან გადიოდა, ყველგან გაისმოდა სიმღერა „ცეცხლში წაბლი ტკაცუნობს (Chestnuts roasting on an open fire – საშობაო განწყობის სიმღერა.)“ მე კი მთელი ძალით მივჩერებოდი ფილიპ სტარკის ფირმის თუმფალანგს და ვცდილობდი, თვალის ხამხამით შემეჩერებინა მოწოლილი ცრემლები. მძულს შობა. ყველაფერი ოჯახებზე, რომანტიკაზე, სითბოზე, გრძნობებსა და საჩუქრებზეა გათვლილი და თუ მეგობარი მამაკაცი არ გყავს, არ გაქვს ფული, დედაშენი გაქცეულ პორტუგალიელ დამნაშავეს ხვდება და ძველ მეგობარს შენთან მეგობრობა აღარ უნდა, გაიძულებს სასტიკ მუსლიმურ რეჟიმში ემიგრირება ინატრო, სადაც, ასეა თუ ისე, ყველა ქალს ერთნაირად ცუდად ექცევიან. მერე რა, არ მანაღვლებს. მთელი შაბათკვირა მშვიდად წავიკითხავ წიგნს და კლასიკურ მუსიკას მოვუსმენ. იქნებ „შიმშილის გზა“ წავიკითხო.

20:30. „ბრმა პაემანი“ ძალიან კარგი იყო. მეორე ბოთლი ღვინის გახსნას ვაპირებ.

ორშაბათი, 11 დეკემბერი

სამსახურიდან დაბრუნებულს ავტომობილსა და ცივი შეტყობინება დამხვდა. „ბრიჯიტ, რებეკა ვარ. ვიცი, რომ ახლა ტელევიზიაში მუშაობ. ვიცი, რომ უამრავ ბრწყინვალე წვეულებაზე დადიხარ ყოველ საღამოს, მაგრამ მეგონა იმდენ ზრდილობას მაინც გამოიჩენდი, მეგობარს მიწვევაზე უპასუხებდი, თუნდაც ახლა ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, რომ მის წვეულებაზე მისვლა აღარ გეკადრებოდეს“.

გააფთრებულმა დავურეკე რებეკას, მაგრამ მას არ უპასუხებია და არც ავტომობილსა და ჩართულა. გადავწყვიტე შემეველო და ბარათი დამეტოვებინა. კიბეზე დენს გადავაწყდი, ავსტრალიელ ბიჭს ქვედა სართულიდან, რომელსაც აპრილში ვაკოცე.

- გამარჯობა. შობას გილოცავ, - მითხრა მან ეშმაკურად და ძალიან ახლოს მოიწია, - წერილები მიიღე?

გაოცებულმა შევხედე.

- კარქვეშ გიცურებდი, რომ დილაობით პიჟამაში არ შეგციებოდა. კისრისტეხით ავვარდი კიბეზე, კართან დაგებული ხალიჩა ავწიე და იქ, ბუდეში გამოჩეკილი საშობაო სასწაულივით, ბარათების, წერილებისა და მოსაწვევების მცირე გროვა დამხვდა. და ყველა მათგანი ჩემს სახელზე იყო. მე მაპატიებდნენ, მე, მე, მე!

ხუთშაბათი, 14 დეკემბერი

9.3 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **2** (ცუდია, რადგან გუშინ საერთოდ არ დამიღვია – ხვალ უნდა დავამატო, რომ გულის შეტევას გადავურჩე), სიგარეტი – **14** ღერი (ცუდია? ან იქნებ კარგია? დიახ. ნიკოტინის ერთეულების მცირე რაოდენობა ალბათ კარგიც კი იქნება ორგანიზმისთვის, რასაკვირველია, თუ ორთქლმავალივით არ აფუილებ), კალორია – **1500** (ბრწყინვალეა), ლატარიის ბილეთები – **4** (ცუდია, მაგრამ კარგი იქნებოდა რიჩარდ ბრენსონს მოეგო არაკომერციული ლატარიის ბილეთებით), გაგზავნილი ბარათები – **0**, საშობაოდ ნაყიდი საჩუქრები – **0**, ზარები **1471**ზე – **5** (ბწყინვალეა).

წვეულებები, წვეულებები, წვეულებები! და კიდევ სამსახურიდან მეთმა დამირეკა და მკითხა, სამშაბათს საშობაო ლანჩზე ვიქნები თუ არა. შეუძლებელია, მოვწონდე – ლამის დიდ დეიდად ვეკუთვნი, მაგრამ მაშინ რატომ დამირეკა საღამოს? და რატომ მკითხა, რას ჩავიცვამდი? მეტისმეტად არ უნდა გავატაცებინო თავი ამ წვეულებების გროვას და ტელეფონზე ლაწირაკის ზარს. უნდა მახსოვდეს ძველი გამოთქმა – „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“ – რომელიც სამსახურში კალმებზე გვიწერია. ისიც უნდა მახსოვდეს, რა მოხდა უკანასკნელად, როცა ძუძუმწოვარას ვაკოცე – საზარელი დამცირება გვეისგან: „ოჰ, რა ხორციანი ხარ“. ჰმ! სექსუალურად მაცდურ საშობაო ლანჩს რატომღაც დისკოტეკა მოჰყვება შუადღეს (ასე წარმოუდგენია მთავარ რედაქტორს „დროის კარგად გატარება“); მომიწევს ჩაცმულობაზე თავის სერიოზულად მტვრევა. მგონი, უკეთესი იქნება, ჯუდს დავურეკო.

სამშაბათი, 19 დეკემბერი

9.7 სტ (მაგრამ ჯერ კიდევ თითქმის ერთი კვირა მაქვს შობამდე წონის დასაკლებად), ალკოჰოლის ერთეული – **9** (ცუდია), სიგარეტი – **30** ღერი, კალორია – **4240**, ლატარიის ბილეთი – **1** (ბრწყინვალეა), გაგზავნილი ბარათები – **0**, მიღებული ბარათები – **11** (მაგრამ ორი გაზეთების დამტარებელი ბიჭისგანაა, **1** – მენაგვისგან, **1** – „პეჟოს“ გარაჟიდან და **1** იმ სასტუმროდან, რომელშიც ოთხი წლის წინ ღამე გავატარე). ან პოპულარული არ ვარ, ან ყველამ გადაწყვიტა წელს ბარათები გვიან დააგზავნოს.

9:00. ღმერთო, თავს საშინლად ვგრძნობ: მწვავე ნაბახუსევი მაქვს, არადა, დღეს სამსახურში დისკოტეკა და ლანჩია. ასე გაგრძელება აღარ შემიძლია. ალბათ გავსკდები შეუსრულებელი საშობაო ამოცანების ზეწოლისგან, რომლებიც თითქოს წლის შეჯამებაა. ჯერ კიდევ არ დამიწერია მისალოცი ბარათები, არც საშობაო საყიდლებზე ვყოფილვარ, თუ არ ჩავთვლით გუშინდელ განწირულ, პანიკურ სირბილს მაღაზიებში, როცა გავაცნობიერე, რომ შობამდე გოგოებს უკანასკნელად შევხვდებოდი მაგდასა და ჯერემის სახლში სადილზე.

თავზარს მცემს მეგობრებთან საჩუქრების გაცვლა, რადგან, ოჯახისგან განსხვავებით, წინასწარ არასოდეს იცი, ვინ აპირებს დაგასაჩუქროს და ვინ – არა, ასევე ეს საჩუქრები კეთილგანწყობისა და სიყვარულის სიმბოლოები იქნება თუ პრაქტიკული საჩუქრები, ამიტომ ყველაფერი საძაგელ ურთიერთგაცვლად იქცევა ხოლმე. ორი წლის წინ მაგდას საყვარელი საყურე ვუყიდე, რითაც შევარცხვინე და უხერხულ მდგომარეობაში

ჩავაგდე, რადგან მას ჩემთვის არაფერი უყვია. სამაგიეროდ, შემდეგ წელს მე აღარაფერი მიყვია, მან კი „კოკო შანელის“ ძვირად ღირებული სუნამოს ფლაკონი მაჩუქა. გასულ წელს ვუყვიდე დიდი ბოთლი ზაფრანის ზეთი და მამპანური, კიდევ იაფფასიანი მავთულის სასაპნე, მან კი ბრაზიანად დაიწყო აშკარა ტყუილების ბურტყუნი, რომ ჯერ კიდევ არ შეეძინა საჩუქრები. გასულ წელს შერონმა სანტა კლაუსის ფორმის სააბაზანოს ქაფი გადმომცა, ამიტომ გუშინ უბრალოდ წყალმცენარეების შხაპის გელი მივუტანე, მან კი ხელჩანთა მაჩუქა. ყოველი შემთხვევისთვის, ძვირფასი ზეთუნის ზეთის ბოთლი მქონდა შეფუთული, როგორც დამატებითი საჩუქარი, მაგრამ პალტოდან ამომივარდა და მაგდას ძვირფას ხალიჩაზე დაიმტვრა.

უპ. არ შეიძლება ეს შობა უბრალოდ გადიოდეს, საჩუქრების გარეშე? რა სულელურია, ყველა გადაქანცულია, საცოდავად აკოწიწებენ ფულს და მერე ხარჯავენ უაზრო ნივთებზე, რომლებიც არავის სჭირდება: ეს საჩუქრები სიყვარულის სიმბოლოები კი აღარ არის, არამედ პრობლემების გადაჭრის გზაა, რომელიც ბრაზს ნიღბავს (ჰმ. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ დიდად ნასიამოვნები ვარ ახალი ხელჩანთით). უაზრობაა, რომ მთელი ერი წინ და უკან დარბის ექვსი კვირის განმავლობაში და, ცუდ განწყობაზე მყოფი, სხვისი გემოვნების გამოცნობის სრულიად უსარგებლო გამოცდისთვის ემზადება, რომელშიც აბსოლუტურად ყველა იჭრება და ყველას არასასურველი საქონელი რჩება ხელთ. თუ საჩუქრები და მისალოცი ბარათები ძირფესვიანად ამოიძირკვება, მაშინ შობა მშვენიერი იქნებოდა, რადგან წარმართული დღესასწაულივით იციმციმებდა და ყურადღებას გადაგვატანიებდა ხანგრძლივი ზამთრის უკუნიდან. მაგრამ თუ მთავრობა, სასულიერო პირები, მშობლები, ტრადიციები და ა.შ. მოითხოვს, რომ შობას საჩუქრების „გადასახადებმა“ ყველაფერი გააფუჭოს, რატომ არ უნდა დავაკანონოთ, რომ ამ ფსიქოლოგიური ტანჯვაწამების ნაცვლად ყველა წავიდეს და **500** ფუნტი დახარჯოს საკუთარ საჩუქრებზე, მერე შეძენილი ნივთები ნათესავებსა და მეგობრებში გაგზავნოს, რათა მათ შეფუთონ და უკან დაუბრუნონ?

9:45. ახლახან დედას ველაპარაკე ტელეფონზე.

– ძვირფასო, იმის სათქმელად გირეკავ, რომ გადავწყვიტე, წელს არავინ დავასაჩუქრო. შენ და ჯეიმში ახლა უკვე იცით, რომ სანტა არ არსებობს, ჩვენ კი ძალიან დაკავებულები ვართ. უბრალოდ ერთმანეთის კომპანიით დავტკბეთ. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიღებდით საჩუქრებს სანტასგან, ჩვენი საწოლის ქვეშ ამოდებული წინდებით. სამყარო უფრო ნაცრისფერი და პირქუში მომეჩვენა. შობა შობას აღარ ჰგავდა.

ღმერთო, ჯობია, დროზე წავიდე სამსახურში – მაგრამ არაფერს დავლევ დისკოტეკა ლანჩზე, უბრალოდ, მეგობრულად და კოლეგიალურად მოვექცევი მეთს, **15:30**მდე დავრჩები, შემდეგ წამოვალ და საშობაო მისალოც ბარათებს დავწერ.

2:00. ყველაფერი წესრიგშია – სამსახურში გამართულ საშობაო წვეულებებზე ყველა სვამს ხოლმე. ეს ძალიან სახალისოა. უნდა დავიძინო – რა ძნელად მეხდება ეს ტანსაცმელი.

ოთხშ. 20 დეკემბერი

5:30. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! სად ვარ?

ხუთშაბათი, 21 დეკემბერი

9.3 სტ (მართალი რომ ვთქვა, სასაცილო რამ მოვიფიქრე – რატომ არ უნდა გავხდე პირდაპირ შობას? მით უმეტეს, უკვე ყელამდე ვარ – ყოველი საშობაო სადილის შემდეგ სრულიად მისაღებად მიმაჩნია საკვებზე უარის თქმა იმ საბაბით, რომ უკვე დანაყრებული ვარ. მგონი, ეს წელიწადში ერთადერთი დღეა, როცა ნორმალურია, არაფერი ჭამო.).

უკვე ათი დღეა გამუდმებულ ნაბახუსევსა და გაძლიერებულ კვებაზე ვარ, მაგრამ რიგიან საკვებსა და ცხელ კერძებს ვერ ვიღებ. შობა ომივითაა. ოქსფორდის ქუჩაზე გავლა დამოკლეს მახვილივით მადგას თავზე. ვაითუ, გერმანელებმა ან წითელმა ჯვარმა მიპოვონ. ოჰ! უკვე ათი საათია. საშობაო საყიდლებზე არ ვყოფილვარ. მისალოცი ბარათები არ დამიგზავნია. სამსახურში ვარ წასასვლელი. კარგი, მე აღარასოდეს, აღარასოდეს დავლევ დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. აჰ! საველე ტელეფონი რეკავს.

ჰმ! დედა იყო, მაგრამ ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა, გებელსი ყოფილიყო და ეცადა, პოლონეთში შეჭრაზე დავეყოლებინე.

– ძვირფასო, უბრალოდ იმის დასადგენად გირეკავ, რომელ საათზე ჩამოხვალ პარასკევ ღამით.

დედაჩემი თვალისმომჭრელი მამაცობით გეგმავს გულისამაჩუყებელ ოჯახურ შობას, ის და მამა აპირებენ თავი მოიკატუნონ, თითქოს მთელი გასული წელი არც ყოფილა „ბავშვების საკეთილდღეოდ“ (ე.ი. ჩემი და ჯეიმის, რომელიც ოცდაჩვიდმეტი წლისაა).

– დედა, მგონი უკვე შევთანხმდით, რომ პარასკევს არ მოვდივარ სახლში, შობა დამეს მოვდივარ. არ გახსოვს, რამდენი ვილაპარაკეთ ამაზე? ჯერ კიდევ... აგვისტოში...

– ოჰ, ნუ სულელობ, ძვირფასო. არ შეიძლება, მარტო იჯდე შენს სახლში მთელი შაბათ კვირა, როცა შობაა. რის ჭამას აპირებ?

ღრრ! მძულს ეს. თითქოს, რადგან მარტოხელა ხარ, არც სახლი გაქვს, არც მეგობრები გყავს ან პასუხისმგებლობები გაგაჩნია. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება არ გაიქცე ვინმეს პირველივე ზარზე, მთელი საშობაო პერიოდი ბედნიერს გეძინოს საძილე ტომარაში გამოხვეულს საბავშვო ოთახის იატაკის კუთხეში, მთელი დღე ფხეკდე ორმოცდაათი კაცის სამყოფ ბრიუსელის კომბოსტოს და „სასიამოვნო საუბრებში“ ჩაერთო გარყვნილებთან, რომელსაც „ბიძიათი“ მიმართავ, როცა ისინი უტიფრად მოგჩერებიან მკერდზე, არის სრული ეგოისტობა.

მეორე მხრივ, ჩემს ძმას უფლება აქვს, როცა მოეპრიანება მაშინ მოვიდეს და წავიდეს, ისე, რომ არ დაკარგოს ყველას პატივისცემა და სიყვარული, მხოლოდ იმიტომ, რომ ვეგან ტაიძის მოყვარულთან ცხოვრობს. გულწრფელად რომ ვთქვა, მირჩევნია, საკუთარი ხელით წავუკიდო ჩემს სახლს ცეცხლი, ვიდრე მასავით ბეკასთან ერთად ვცხოვრობდე. ვერ დამიჯერებია, რომ დედაჩემი მარკ დარსის არ ემადლიერება პრობლემების მოგვარებისთვის. ამის ნაცვლად დარსი იქცა ნაწილად იმისა, რისი ხსენებაც არ შეიძლება (ანუ საერთო სარგებლობის ბინების დიდი აფერა) და დედაჩემი

ისე იქცევა, თითქოს ის არც არასოდეს არსებულა. რატომღაც მგონია, რომ მარკმა საკუთარი ჯიბიდან გაიღო თანხა, რათა ფული ყველასთვის დაებრუნებინა. ძალიან კარგი ადამიანია. ნათელია, რომ ჩემთვის მეტისმეტად კარგია.

ო, ღმერთო. საწოლში თეთრეული უნდა გამოვცვალო. გულისამრევია მოუხერხებელ, ღილებიან ლეიბზე წოლა და ძილი. მაგრამ სად არის თეთრეული? ნეტავ რამე საჭმელი მქონდეს.

პარასკევი, 22 დეკემბერი

უკვე თითქმის შობაა და მოულოდნელად დენიელზე სენტიმენტალური ფიქრები მომეძალა. არც კი მჯერა, რომ მისგან საშობაო ბარათი არ მიმიღია (თუმცა, რომ დავფიქრდე, მე თვითონ ჯერ ერთი ბარათიც არ გამიგზავნია). უცნაური მეჩვენება, რომ წლის განმავლობაში ასე ახლოს ვიყავით და ახლა საერთოდ აღარ გვაქვს შეხება. ძალიან სევდიანი ამბავია. იქნებ ახლა დენიელი მოულოდნელად ორთოდოქსი ებრაელი გახდა. იქნებ ხვალ მარკ დარსიმ დამირეკოს და ბედნიერი შობა მისურვოს.

შაბათი, 23 დეკემბერი

9.4 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **12**, სიგარეტი – **38** ღერი, კალორია – **2976**, მეგობრები და საყვარელი ადამიანები, რომლებსაც ამ საშობაო არეულობაში ვახსოვარ – **0**.

18:00. ძალიან მიხარია – გადავწყვიტე სახლში მარტოხელური წვეულება მოვაწყო, როგორც პრინცესა დაიანამ.

18:05. ნეტავ სად გაქრა ყველა? ჩემი აზრით, ყველანი მეგობარ მამაკაცებთან არიან, ან სახლში წავიდნენ ოჯახებთან. ასე იყოს, მშვენიერი შანსი მაქვს, რომ ყველაფერი მოვასწრო... ან მათაც საკუთარი ოჯახები აქვთ. ბავშვები. პაწაწუნა, ფუმფულა ბავშვები პიჟამებში, ვარდისფერი ლოყებით, საშობაო ნამკვების ხეს აღტაცებულები შესცქერიან. ან იქნებ ჩემ გარდა ყველა დიდ წვეულებაზეა. როგორც უნდა იყოს. უამრავი საქმე მაქვს.

18:15. რას ვიზამ. „ბრმა პაემნამდე“ ერთი საათი რჩება.

18:45. ო, ღმერთო, რა მარტო ვგრძნობ თავს! ჯუდმაც კი დამივიწყა. მთელი კვირა შეშფოთებული მირეკავდა და მეკითხებოდა, რა ვუყიდო უნამუსო რიჩარდსო. მეტისმეტად ძვირად ღირებული არ უნდა ყოფილიყო: ისე გამოვიდოდა, თითქოს ურთიერთობის გასერიოზულებას ითხოვდა ან მორალურად ასაჭურისებდა (ისე, მე რომ მკითხო, შესანიშნავი აზრია); არც რაიმე ჩასაცმელი, ეს მცდარი ნაბიჯი იქნებოდა დანაღმულ ველზე და შეიძლება უნამუსო რიჩარდისთვის თავისი ძველი მეგობარი ქალი, უნამუსო ჯილი მოეგონებინა (რომელთან დაბრუნებაც აღარ უნდა, მაგრამ თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ისევ უყვარდეს, რომ თავი აარიდოს ჯუდის შეყვარების აუცილებლობას – ქვეწარმავალი!). ბოლოს ვისკიზე შევჩერდით, ოღონდ რაიმე სხვა მცირე საჩუქართან ერთად, რომ ძუნწი არ ეგონოს – მაგალითად მანდარინთან ან

შოკოლადის მონეტებთან, იმის მიხედვით, როგორ მოეწონება ჯუდს საკუთარი საჩუქარი – მეტისმეტად გულისამრევი მოეჩვენება თუ საშინლად კარგი და პოსტმოდერნული.

19:00. გადაუდებელი დახმარება: აცრემლებულმა ჯუდმა დარეკა. უნამუსო რიჩარდი თავის უნამუსო ჯილს დაუბრუნდა. ჯუდი ამას საჩუქარს აბრალებს. მადლობა ღმერთს, სახლში დავრჩი. ნამდვილად ყრმა იესოს წარმოგზავნილი ვარ დედამიწაზე, რომ შობას დავეხმარო მათ, ვისაც თანამედროვე ჰეროდეები – მაგალითად, უნამუსო რიჩარდი – სდევნიან. ჯუდი რვის ნახევარზე მოვა.

19:15. ჯანდაბა. „ბრმა პაემნის“ დასაწყისი გამოვტოვე, რადგან ტომმა დამირეკა, შემოვლას აპირებს. ჯერომმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ შეურიგდა, ისევ მიაგდო და ყოფილ მეგობარს დაუბრუნდა, რომელიც „კატების“ („კატები“ – ენდრიუ ლოიდ უებერის ცნობილი მიუზიკლი. ბროდვეის ერთერთი პოპულარული შოუ.) გუნდის წევრია.

19:17. საიმონი შემომივლის. მისი მეგობარი ქალი ყოფილ ქმარს დაუბრუნდა. მადლობა ღმერთს, რომ სახლში დავრჩი და მიგდებულ მეგობრებს მივიღებ, როგორც აჩუყებული გულების დედოფალი. მაგრამ მე ხომ სწორედ ასეთი ადამიანი ვარ: მიყვარს სხვებზე ზრუნვა.

20:00. ვაშაა! საშობაო სასწაული მოხდა! ახლახან დენიელმა დამირეკა.

– ჯონშ, – წაიბუტბუტა გაურკვეველად, – მიყვარხარ, ჯონშ. სმნლი შცდომა დავუშვ. სულლი სუკი, პლასტმასისაა. მკერდი სულ აცქვეტილი აქვს. მიყვარხარ, ჯონშ. უნდა მოვდე და ვნახო, როგრ გრძნობს თავს შენი ქვედაბოლო.

დენიელმა დარეკა, დიდებულმა, გარყვნილმა, სექსუალურმა, ამაღელვებელმა, მხიარულმა დენიელმა!

შუადამე. ჰმ. არც ერთი არ მოსულა. უნამუსო რიჩარდმა გადაიფიქრა და ჯუდს დაუბრუნდა, ასევე მოიქცა ჯერომიც და საიმონის მეგობარი გოგონაც. ყველაფერი უბრალოდ საშობაო მღელვარების ბრალი იყო, რომელიც გაიძულებს ყოფილი პარტნიორების გახსენებისას ათრთოლდე. და დენიელი! ათ საათზე დამირეკა:

– მისმინე, ბრიჯიტ. ხომ იცი, რომ შაბათ საღამოობით ყოველთვის ფეხბურთს ვუყურებ? შეიძლება ხვალ შემოგიარო თამაშის დაწყებამდე?

რაო? ამაღელვებელიო? ველურიო? მხიარულიო? უჰ!

1:00. სრულიად მარტო ვარ. მთელი წელი ერთი დიდი მარცხი იყო.

5:00. ოჰ, ჯანდაბას, არა უშავს. იქნებ თვითონ შობა მაინც არ იყოს საშინელი. იქნებ დედა და მამა დილით სახეგაბრწყინებულები, სექსისგან მთვრალეები, ხელჩაკიდებულები შემოიჭრან და გვითხრან:

– ბავშვებო, თქვენთვის რაღაც გვაქვს სათქმელი...

მე კი ძველი ქორწინების განმტკიცების ცერემონიაზე პატარძლის მეჯვარე ვიქნებოდი.

კვირა, 24 დეკემბერი

9.4 სტ, ალკოჰოლის ერთეული – **1** საცოდავი ჭიქა ხერესი, სიგარეტი – **2** ღერი, მაგრამ ვერ ვისიამოვნე, რადგან ფანჯარასთან ვაბოლებდი ჩუმჩუმად, კალორია – დაახლოებით მილიონი, თბილი, სადღესასწაულო ფიქრების რაოდენობა – **0**.

შუალამე. ძალიან დაბნეული ვარ – აღარ ვიცი, რა ხდება რეალობაში და რა არა. ჩემი საწოლის ბოლოს ბალიშის პირი დევს, დედამ დამიდო ძილის წინ და წაიღულუნა:

– აბა ვნახოთ, მოვა თუ არა სანტა კლაუსი?

ახლა ეს ბალიშის პირი სავსეა საჩუქრებით. დედა და მამა, რომლებიც დაშორებულები არიან და გაყრას აპირებენ, ერთ საწოლში წვანან. თითქოს კონტრასტის უკეთ აღსაქმელად, ჩემს ძმასა და მის მეგობარ გოგონას, რომლებიც ოთხი წელია ერთად ცხოვრობენ, სხვადასხვა ოთახებში სძინავთ. ამ ყოველივეს მიზეზი გაუგებარია, მარტო იმას ვფიქრობ, შეიძლება ასე იმიტომ იქცევიან, რომ ბებიას არ აწყენინონ, რომელიც ა) შეშლილია და ბ) ჯერ კიდევ არ ჩამოსულა. ერთადერთი რამ, რაც რეალურ სამყაროსთან მაკავშირებს, არის ის, რომ მე ისევ დამამცირებლად მარტოდმარტო ვატარებ შობის ღამეს მშობლების სახლის ერთსაწოლიან ლოგინში. იქნებ სწორედ ამ წუთში მამა დედაზე ზემოდან მოქცევას ცდილობს? უჰ, უჰ! არა, არა! საიდან ჩნდება ჩემს ტვინში ასეთი ფიქრები?

ორშაბათი, 25 დეკემბერი

9.5 სტ (ღმერთო, სანტა კლაუსივით, საშობაო პუდინგით, ან რამე ასეთივით ჩავმრგვალდი), ალკოჰოლის ერთეული – **2** (ნამდვილი ტრიუმფია), სიგარეტი – **3** ღერი (ასევე), კალორია – **2657** (თითქმის მთელი საწებელი), სრულიად არანორმალური საშობაო საჩუქრების რაოდენობა – **12**, იმ საჩუქრების რაოდენობა, რომლებისგანაც არანაირი ხერი არ გამოდნება – **0**, ფილოსოფიური აზრები უმანკოდ დაბადების მნიშვნელობის შესახებ – **0**, იმ წლების რაოდენობა, რომლებიც ჩემი უმანკოების შემდეგ გავიდა – **3333**!

ქვემოთ ჩავბარბაცდი იმ იმედით, რომ თმაზე კვამლის სუნი არ ამდიოდა და აღმოვაჩინე, რომ დედა და უნა ბრიუსელის კომბოსტოს არჩევდნენ და პოლიტიკურ შეხედულებებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

– ოჰ, დიახ, ჩემი აზრით, მისი რეპუტაცია შესანიშნავია.

– იცი რა, ის ხომ, ჩემი აზრით, მოკლედ, ხომ გაუმკლავდა რა ქვია იმას, იმ შემთხვევას, თუმცა არავის ეგონა, რომ ასე მოხდებოდა?

– ოჰ, მაგრამ მაშინ, ხომ იცი, ყურადღება უნდა მიგვექცია, თორემ შეიძლებოდა უბრალოდ აღმოვჩენილიყავით, რა ჰქვია იმას, იმ კანდიდატის ხელში, რომელიც კომუნისტი აღმოჩნდა. მართლა, იცი? შებოლილი ორაგული მწყენს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მანამდე ბევრ შოკოლადს შევჭამ. ოჰ, გამარჯობა, ძვირფასო, – შემამჩნია დედამ, – აბა, რის ჩაცმას აპირებ შობას?

- რაც მაცვია, - წავიბურტყუნე მჟავედ.

- ოჰ, ნუ სულელობ, ბრიჯიტ, არ შეიძლება შობის ღამეს ეგ გეცვას. აბა, ხომ არ ჩამოხვიდოდი და სანამ გამოსაცვლელად აბრუნდები, დეიდა უნას და ბიძია ჯოფრის მიესალმებოდი? - მითხრა იმ ნათელი, აღტაცებული, სუნთქვაშეკრული ხმით, რომელიც ადამიანურ ენაზე ნიშნავდა „ისე მოიქეცი, როგორც გეუბნები, თორემ ამ მიქსერით სიფათს მოგიხრე“.

- აბა, მოდი მაშინ, ბრიჯიტ! როგორ მიდის შენი სასიყვარულო საქმეები? - რეპლიკა ჩაურთო ჯოფრიმ და მხურვალედ ჩამეხუტა, მერე ერთიანად გაწითლდა და აჭიმები შეისწორა.

- მშვენივრად.

- ესე იგი, ისევ არ გყავს კაცი. ბრრრ! რა უნდა მოგიხერხოთ?

- ეს შოკოლადის ბისკვიტია? - იკითხა ბებია და პირდაპირ მე შემომხედა.

- წელში გასწორდი, ძვირფასო, - დაისისინა დედამ.

ძვირფასო ღმერთო, გთხოვ, დამეხმარე. სახლში მინდა. ჩემი საკუთარი ცხოვრება მინდა. აქ თავს ზრდასრულივით არ ვგრძნობ, მექცევინ თინეიჯერი ბიჭივით, რომელიც ყველას აწუხებს.

- და რას აპირებ ბავშვებზე, ბრიჯიტ? - მკითხა უნამ.

- უი, შეხედეთ, პენისია, - თქვა ბებია და ნამცხვრების უზარმაზარი შეკვრა აიღო.

- წავალ, გამოვიცვლი, - დედას მლიქვნელურად გავუღიმე, საძინებელში ავვარდი, ფანჯარა გამოვადე და სიგარეტს მოვუკიდე. შემდეგ ერთი სართულით ქვემოთ შევნიშნე ფანჯარაში გამოყოფილი ჯეიმის თავი, რომელიც ასევე ეწეოდა. ორი წუთის შემდეგ სააბაზანოს ფანჯარა გამოიღო და წითური თავი გამოჩნდა, რომელმაც მოუკიდა. ეს წყეული დედაჩემი იყო.

00:30. საჩუქრების გაცვლა კომმარად იქცა. ყოველთვის მეტისმეტ აღტაცებას ვიჩენ და სიხარულისგან ვყვირი, მაშინაც კი, როცა ცუდ საჩუქრებს მჩუქნიან და შედეგად ჩემი საჩუქრები ყოველ წელს უფრო და უფრო უარესდება. მაგალითად, ბეკა - როცა გამომცემლობაში ვმუშაობდი, ყოველ წელს მჩუქნიდა ერთმანეთზე უარეს, წიგნის ფორმის ტანსაცმლის ჯაგრისებს, ფეხსაცმლის მაშველებს და თმის სამაგრებს - წელს კი დუბლების განმაცალკევებელი დაფის ფორმის მაცივრის მაგნიტი მაჩუქა. უნამ, რომლისთვისაც დიასახლისობის არც ერთი სფერო არ უნდა დარჩეს მექანიზების გარეშე, მაჩუქა სახუფავების ნაკრები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ქილებისა და ბოთლების თავსახურებს ერგება. დედაჩემმა კი, რომელიც ძალიან ცდილობს, რომ ჩემი ცხოვრება მისას დაამსგავსოს, ერთსადგამიანი გაზქურა მაჩუქა:

- სამსახურში წასვლამდე მხოლოდ ხორცის ნაჭერი დააგდე და ცოტა ბოსტნეული დაუმატე გარნირად, მეტი არაფერია საჭირო (ნეტა წარმოდგენა მაინც თუ აქვს, რა ძნელია ზოგიერთ დილას თუნდაც ჭიქა წყლის დასხმა კვნესის გარეშე?).

- შეხედეთ, ეს პენისი კი არა, ბისკვიტი ყოფილა, - თქვა ბებია.

- ჩემი აზრით, ამ საწებელს უკვე გაწურვა სჭირდება, პემ, - გამოსძახა უნამ სამზარეულოდან და ხელში ტაფით შემოვიდა.

ო, არა. ოღონდ ეს არა, გთხოვ.

- არა მგონია, ჯერ ამის დრო იყოს, ძვირფასო, - კბილებში გამოცრა დედამ, - უკვე

აურიე?

- ნუ მასწავლი, პემ, - სახიფათოდ გაიღიმა უნამ. ერთმანეთის პირისპირ მებრძოლებივით გაჩერდნენ. საწებელის მომზადებისას ყოველ წელს ეს ალიაქოთი ხდება.

ღვთის წყალობით, ყურადღების სხვა რამეზე გადატანა მოუხდათ: საშინელი დაჯახების ხმა და ყვირილი გაისმა და ფრანგული ფანჯრიდან ადამიანი შემოვარდა. ჯულიო იყო. ყველანი ადგილზე გაშეშდნენ, უნამ კი დაიკვივლა.

ჯულიო გაუპარსავი იყო და ხელში ხერესის ბოთლი ეჭირა. ის მამასკენ წაბარბაცდა და მთელი სიმაღლით გაეჭიმა ცხვირწინ.

- შენ ჩემს ქალთან გძინავს.

- ოჰ, - უპასუხა მამამ, - შობასგილოცავ, კი არა და... ხერესი ხომ არ გინდა - თუმცა, უკვე გაქვს. ძალიან კარგი. ტკბილ ღვეზელზე რას იტყვი?

- შენ, - თქვა ისევ ჯულიომ, უფრო სახიფათოდ, - ჩემს ქალთან გძინავს!

- ოჰ, ნამდვილი ლათინოამერიკელია, - წაიკვკლუცა დედამ, დანარჩენები კი შეშინებულები ვუყურებდით. რამდენჯერაც ჯულიო მყავდა ნანახი, ყოველთვის სუფთა და აკურატულად დავარცხნილი იყო, ჯენლტმენის ხელჩანთას ატარებდა. ახლა ველური, მთვრალი, აბურძგნილი იყო და, გულწრფელად რომ ვთქვა, მამაკაცების იმ ტიპს განასახიერებდა, მე რომ ვგიჟდები. სულაც არ მიკვირს, რომ დედა უფრო აიგზნო, ვიდრე შერცხვა.

- ჯულიო, შე ცელქო კაცო, - წაიღულუნა მან. ღმერთო ჩემო, მგონი, ისევ უყვარდა!

- შენ, - უთხრა ჯულიომ, - მასთან წევხარ.

მან ჩინურ ხალიჩაზე დააფურთხა და ნახტომით ავარდა კიბეზე, უკან დედა მიჰყვა, რომელმაც ზურგს უკან მოგვამახა:

- მამილო, საჭმელი გამოიტანე და ყურადღება მიაქციე, რომ მაგიდას ყველა მიუსხდეს. არავინ განძრეულა.

- მაშ ასე, ხალხო, - თქვა მამამ დამაბული, სერიოზული, მამაკაცური ხმით, - მაღლა სახიფათოდ დამნაშავეა და პემს მძევლად იყენებს.

- ოჰ, მე თუ მკითხავთ, დიდად წინააღმდეგიც არ არის, - წამოისროლა ბებიამ იშვიათი და, ამ მომენტისთვის უკიდურესად შეუფერებელი გონებრივი სიცხადით, - ოჰ, შეხედეთ, გეორგინებში ბისკვიტია!

ფანჯრიდან გავიხედე და კინალამ ადგილზე შევხტი. მარკ დარსი იყო, მოლზე პატარა ბიჭის მოქნილობით მოაბიჯებდა და ჩვენკენ მოიწევდა, ფრანგული ფანჯრებისკენ. გაოფლილი იყო, ჭუჭყიანი, თმააბურძგნილი, ღილებჩახსნილი. ძინძინ!

- ყველამ სიმშვიდე და სიწყნარე შეინარჩუნეთ, თითქოს ყველაფერი წესრიგშია, - თქვა რბილად. ჩვენ ყველანი ისეთი გაოგნებულები ვიყავით, ის კი ისე ამაღელვებლად ავტორიტეტული მოგვეჩვენა, რომ დაჰიპნოზებული ზომბებივით დავემორჩილეთ.

- მარკ, - წავიჩურჩულე და გვერდით ჩავუარე საწებლით ხელში, - რას ამბობთ? სწორედაც რომ არაფერი არაა წესრიგში.

- არ ვარ დარწმუნებული, რომ ჯულიო სახიფათო არ არის. გარეთ პოლიციაა. თუ მოვახერხებთ, რომ დედათქვენი ქვემოთ ჩამოვიტყუოთ, მაშინ ზემოთ ასვლას და მის დაკავებას შეძლებენ.

- კარგი. ეგ მე მომანდეთ, - ვუთხარი და კიბეზე ფეხი შევდგი.

- დედა, - დავიღრიალე მე, - ხელსაწმენდებს ვერ ვპოულობ.

ყველამ სუნთქვა შეიკრა. პასუხი არ ყოფილა.

- კიდევ სცადეთ, - მარკმა აღფრთოვანებით შემომხედა.

- უნას უთხარით, საწებელი სამზარეულოში წაიღოს, - დავისისინე. მარკი ასეც მოიქცა და ცერის აწევით მანიშნა, რომ შეასრულა. მეც ავუწიე ცერი და ყელი ჩახველებით ჩავიწმინდე.

- დე! - კიდევ ერთხელ ავმახე კიბეს, - საწური სად არის? უნა, ცოტა არ იყოს, დელავს საწებელზე.

ათ წამში კიბეზე ბრაგაბრუგი გაისმა და აწითლებული დედაჩემი ჩამოიჭრა.

- ქალადის ხელსაწმენდები ხელსაწმენდების ყუთშია, კედელზე, შე სულელო. აბა, რა დამართა უნამ საწებელს? ბრრრ! ახლა მიქსერით მოგვიწევს ათქვევა.

მისმა ხმამაც კი ვერ ჩაახშო კიბეზე არბენისა და ზედა სართულზე გამართული ბრძოლის ხმა.

- ჯულიო! - დაიწვილა დედამ და კარისკენ გაიქცა.

დეტექტივი, რომელიც პოლიციის განყოფილებიდან მეცნო, ჩვენი სასტუმრო ოთახის კარში იდგა.

- ყველაფერი წესრიგშია, ყველამ სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ყველაფერს ვაკონტროლებთ, - თქვა მან.

დედაჩემს კვილი აღმოხდა, როცა დერეფანში ახალგაზრდა პოლიციელზე ბორკილით მიბმული ჯულიო გამოჩნდა, რომელიც წინკარში ბიძგებით გაიყვანეს დეტექტივის ზურგს უკან.

თვალს ვადევნებდი, როგორ მოერია თავს და სიტუაციის შესაფასებლად ოთახს თვალი მოავლო.

- კარგი, მადლობა ღმერთს, ჯულიოს დაწყნარება მოვახერხე, - მხიარულად თქვა წუთიერი დუმილის შემდეგ, - რაღას ვიზამთ. მამილო, ხომ კარგად ხარ?

- ბლუზა უკულმა გაცვია, დედილო, - უთხრა ხმაჩაწყვეტილმა მამამ.

ამ საზარელ სცენას ვუყურებდი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სამყარო თავზე მენგრეოდა. შემდეგ მკლავზე ძლიერი ხელის შეხება ვიგრძენი.

- წამოდით, - მითხრა მარკ დარსიმ.

- რა? - ვუპასუხე.

- ნუ ამბობ „რას“ ბრიჯიტ, თქვი „უკაცრავად“? - დაისისინა დედამ.

- მისის ჯონს, - მტკიცედ თქვა მარკმა, - ბრიჯიტი მიმყავს, რომ ვიზეიმოთ ის, რაც ჯერ კიდევ დარჩა ყრმა იესოს დაბადების სასწაულიდან. ღრმად ჩავისუნთქე და მარკ დარსის გამოწვდილ ხელს ხელი ჩავჭიდე.

- ყველას გილოცავთ შობას, - ვთქვი ღმობიერი ღიმილით.

- იმედი მაქვს, ჩემთან გნახავთ, ინდაურის წვეულებაზე.

აი, რა მოხდა შემდეგ:

მარკ დარსიმ „ჰინტლუმე ჰოლში“ წამიყვანა შამპანურზე და გვიან საშობაო სადილზე, რომელიც ძალიან კარგი იყო. ცხოვრებაში პირველად მართლაც ვისიამოვნე საშობაო ინდაურზე საწებლის მოსხმით, ისე, რომ შენიშვნა არავის მოუცია. შობა დედასა და უნას გარეშე უცნაური და ჯადოსნური აღმოჩნდა. მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ მარკ

დარსისთან საუბარი ძალიან იოლიყო, განსაკუთრებით დღესასწაულზე ჯულის შემოჭრისა და პოლიციის ალყის თემის განხილვისას.

როგორც აღმოჩნდა, გასულ თვეში მარკს დიდი დრო გაუტარებია პორტუგალიაში, გულისამაჩუყებელი კერძო დეტექტივივით. მითხრა, რომ ჯულის კვალს თვით ფუნშალამდე მიჰყვა და თანხის ასავალდასავალი შეიტყო, მაგრამ ვერც მოტყუებით და ვერც დაშინებით შეძლო მისთვის ფულის დაბრუნება ეიძულებინა.

- თუმცა, მგონია, რომ ახლა მოუწევს, - მითხრა და გაიკრიჭა. მართლა ძალიან საყვარელია ეს მარკ დარსი, თანაც უჭკვიანესი.

- რატომ დაბრუნდა ინგლისში?

- ჰო, მომიტევეთ, რომ კლიშე უნდა გამოვიყენო, მაგრამ მე მისი აქილევსის ქუსლი აღმოვაჩინე.

- რა?

- ნუ ამბობთ „რას“ ბრიჯიტ, თქვით „უკაცრავად“, - გამეხუმრა და ჩავიხითხითე, - მივხვდი, მიუხედავად იმისა, რომ დედათქვენი მსოფლიოში ყველაზე აუტანელი ქალია, ჯულის ის უყვარს. მართლა უყვარს.

წყეული დედა, გავიფიქრე. როგორ ახერხებს იყოს სექსის უძლეველი ქალღმერთი? იქნებ მართლა უნდა წავიდე სალონში „შენი საუკეთესო ფერი“.

- და თქვენ რა გააკეთეთ? - ვკითხე, რომ ჩამეხშო სურვილი მეკვილა: „ჩემზე რას იტყვით? მე? მე რატომ არავის ვუყვარვარ?“

- უბრალოდ, ვუთხარი, რომ დედათქვენი შობას მამათქვენთან ერთად ხვდებოდა; ვშიშობ, ერთ საწოლში წვანანმეთქი. წინათგრძნობა მქონდა, რომ საკმარისად სულელი იყო საიმისოდ, ეცადა, ისა... მათი გეგმების ჩაშლა.

- საიდან იცოდით?

- ინტუიცია. ამ საქმეში ეს თავისთავად გამომუშავდება.

ღმერთო, რა მაგარი ვინმეა!

- რა კეთილი ხართ, თქვენ ხომ სამსახურსაც დააკლდით და სხვა ყველაფერსაც. რატომ წუხდებით ასე?

- ბრიჯიტ, - წყნარად მითხრა მან, - ნუთუ ეს ნათელი არ არის?

ღმერთო ჩემო!

როცა კიბე ავიარეთ, აღმოჩნდა, რომ ნომერი ჰქონდა შეკვეთილი. ფანტასტიკური და ძალიან მდიდრული იყო, ბევრი ვიძხიარულეთ, გამოვიყენეთ ყველაფერი, რაც სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი, კიდევ უამრავი შამპანური დავლიეთ და მერე უზარმაზარი მონოლოგი წარმოთქვა იმის შესახებ, როგორ ვუყვარვარ - მართალი რომ ვთქვა, ასეთი მონოლოგები დენიელსაც შესანიშნავად გამოსდიოდა, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით.

- მაშინ რატომ არ დამირეკე შობამდე? - ვკითხე დაეჭვებულმა, - ორი შეტყობინება დაგიტოვე!

- არ მინდოდა დალაპარაკება, სანამ ამ საქმეს არ დავამთავრებდი. და მეგონა, დიდად არ მოგწონდი.

- რაა?

- ჰო, იცი რა... სახლში არ შემომიშვი, იმიტომ, რომ თმას იშრობდი. თანაც, როცა პირველად შევხვდით, სულელური რომბებიანი სვიტერი მეცვა და ის ბზიკებიანი

წინდები, რომელიც დეიდაჩემმა მაჩუქა და ნამდვილი ხეპრესავით მოვიქეცი. მეგონა იფიქრებდი, რომ ყველაზე საზარელი ტიპი ვარ მსოფლიოში.

– იცი რა, ასეც იყო, ცოტათი, – ვთქვი მე, – მაგრამ...

– მაგრამ რა...?

– შენ არ უნდა თქვა „უკაცრავად“?

შემდეგ მან ხელიდან შამპანურის ჭიქა გამომართვა, მაკოცა და მითხრა:

– კარგი, ბრიჯიტ ჯონს, უკაცრავად ამ კოცნისთვის, – ხელში ამიტაცა, საძინებელში გამიყვანა (რომელშიც ოთხკაციანი საწოლი იდგა!) და ისეთი ამბები დაატრიალა იქ, რომ მივხვდი, თუ ოდესმე კიდევ მომიწევს რომლებიან სვიტერში გამოწყობილი კაცის გაცნობა, სირცხვილისგან გავწითლდები.

სამშაბათი, 26 დეკემბერი

ბოლოს და ბოლოს, მივხდი კაცებთან ბედნიერების საიდუმლოს და ღრმა მწუხარებით, განრისხებითა და მარცხის დაუძლეველი გრძნობით უნდა ვაღიარო, რომ იგი მდგომარეობს მოღალატე, დამნაშავის თანამზრახველი და მესამე ხარისხის ცნობილი ტელეწამყვანის სიტყვებში:

– ნუ ამბობ „რას“, თქვი „უკაცრავად“, ძვირფასო, და მოიქეცი ისე, როგორც დედიკო გირჩევს.

იანვარდეკემბერი შეჯამება

ალკოჰოლის ერთეული – **3836** (ცუდია)

სიგარეტი – **5277** ღერი

კალორია – **11090265** (გულისამრევია)

სიმსუქნის ერთეული – **3457** (დაახლოებით) (მაინც საზარელი აზრია)

მომატებული წონა – **5.2** სტ

დაკლებული წონა – **5.3** სტ (ბრწყინვალეა)

დამთხვეული ლატარიის რიცხვები – **42** (ძ.კ.)

არაზუსტი ლატარიის რიცხვები – **387**

სულ ნაყიდი მომენტალური ლატარიის ბილეთები – **98**

სულ მოგებული მომენტალური პრიზი – **110** ფუნტი

სულ შემოსავალი მომენტალური ლატარიის ბილეთებიდან – **12** ფუნტი (არის! არის!)

აღებული კურსის ერგულებით სისტემა დავამარცხე)

ზარები **1471**ზე – საკმაოდ ბევრი

ვალენტინობის მისალოცი ბარათი – **1** (ძ.კ.)

შობის მისალოცი ბარათი – **33** (ძ.კ.)

ნაბახუსევისგან თავისუფალი დღეების რაოდენობა – **114** (ძ.კ.)

მეგობარი მამაკაცი – **2** (მაგრამ ერთი – ჯერ მხოლოდ შექვსე დღეა)

კარგი მეგობარი მამაკაცი – **1**

წინასახალწლო გეგმებიდან შესრულებული პუნქტი – **1** (ძ.კ.)

ერთი წლისთვის შესანიშნავი შედეგია.

